

ერნესტ ჰემინგუეი

ჰარი მორგანი (ქონა თუ არქონა)

Contents

ერნესტ ჰემინგუეი	1
ჰარი მორგანი (ქონა თუ არქონა)	1
ნაწილი პირველი. გაზაფხული	4
თავი პირველი	5
თავი მეორე	23
თავი მესამე	32
თავი მეოთხე	35
თავი მეხუთე	44
ნაწილი მეორე. შემოდგომა	47
თავი პირველი	48
თავი მეორე	54
თავი მესამე	60
ნაწილი მესამე. ზამთარი	62
თავი პირველი	63
თავი მეორე	73
თავი მესამე	75
თავი მეოთხე	78
თავი მეხუთე	82
თავი მეექვსე	87
თავი მეშვიდე	91
თავი მერვე	100
თავი მეცხრე	103
თავი მათე	106
თავი მეთერთმეტე	122
თავი მეორმეტე	124
თავი მეცამეტე	126
თავი მეოთხმეტე	134
თავი მეთხუთმეტე	155
თავი მეთექვსმეტე	158
თავი მეჩვიდმეტე	170

თავი მეთვრამეტე177

ნაწილი პირველი. გაზაფხული

თავი პირველი

ჰავანა ხომ წარმოგიდგენიათ დილაადრიან? კედლებთან მაწანწალები მიყრილან და სძინავთ, ჯერ ყინულის ფურგონებსაც კი არ ჩამოუვლიათ. სწორედ ეს დრო იქნებოდა, როცა ნავსადგომიდან წამოვედით, მოედანი გადავჭყერით და ყავის დასალევად „სან-ფრანცისკოს მარგალიტისაკენ“ გავწიეთ. მარტო ერთ მათხოვარს არ ეძინა მთელ მოედანზე, შადრევანთან მიმდგარიყო და წყალს სვამდა, მაგრამ კაფეში რომ შევედით და დავსხედით, ის სამი კაცი იქ დაგვხვდა, ჩვენ გველოდებოდნენ.

მივუსხედით თუ არა მაგიდას, ერთ-ერთი მათგანი ჩვენკენ გამოემართა.

- რას იტყვი? - მკითხა მან.

- ვერა, - ვუპასუხე მე, - ნეტა კი შემეძლოს, მაგრამ წუხელაც ხომ გითხარით, ვერ ვიზამ-მეთქი!

- პირდაპირ თქვი, რამდენი გინდა.

- განა ფასზეა საქმე. ისე, არ შემიძლია და რა ვქნა.

ის ორიც მოვიდა. იდგნენ ცხვირჩამოშვებულები და შემოგვცქეროდნენ. კარგი ბიჭები ჩანდნენ. ნეტა მართლა შემძლებოდა დახმარება.

- ათას დოლარს ჩამოვდივართ თვითეული, - თქვა ერთმა, კარგმა მეინგლისურემ.

- რად გინდათ, ზედმეტად შემაწუხოთ. ალალი გულით გეუბნებით, არ შემიძლია-მეთქი.

- მერე გაგიმართლებს, როცა ყველაფერი შეიცვლება.

- ვიცი, სულით და გულით თქვენთანა ვარ. მაგრამ რომ არ შემიძლია!

- რატომ მაინც?

- ნავია ჩემი მარჩენალი, ეგეც თუ დავკარგე, რაღამ დამარჩინოს?!

- სხვა ნავს იყიდი იმ ფულით.

- ციხეში?

ეტყობა იფიქრეს, თუ ჩავაცივდით, უსათუოდ დავიყოლიებთო და ერთი მათგანი აღარ მომეშვა.

- სამი ათას დოლარს ახლავე მიიღებ, ნაღდს, მერე სხვანაირადაც გაგიმართლებს. დიდხანს არ გასტანს ასე, ხომ იცი.

- მოიხედეთ, - ვუთხარი მე, - სულაც არ მენადვლება, ვინ იქნება აქ პრეზიდენტი. ისეთი ტვირთით, რასაც ლაყბობა შეუძლია, მე შტატებში ვერ წავალ.

- მაშ, ჩვენ მოლაყბეები ვყოფილვართ და ეგ არის, - თქვა ერთმა, რომელსაც აქამდე ხმა არ გაეღო. გაბრაზებული ჩანდა.
 - მე ვთქვი, რასაც ლაყბობა შეუძლია-მეთქი.
 - მაშ, ჩვენ *lenguas largas* ვყოფილვართ.
 - მე ეგ არ მითქვამს.
 - იცი, რა ჰქვია *lenguas largas*?
 - ვიცი. ენაწაგდებულ კაცს.
 - ის თუ იცი, მაგისტანებს რას ვუშვრებით?
 - ნეტა რას მედიდგულებით! თქვენა მთხოვეთ, მე ხომ არაფერი მითხოვია!
 - გეყოფა, პანჩო, - უთხრა გაბრაზებულს იმან, მე რომ პირველად გამომელაპარაკა.
 - მოლაყბეებს გვეძახის, - მიუგო პანჩომ.
 - მოიხედეთ. მე გითხარით, ისეთ რამეს არ წავილებ, რამაც ლაყბობა იცის-მეთქი.
- ღვინის ყუთები არ ილაყბებენ, არც კვარტიანები ილაყბებენ. სხვა რამემ იცის ლაყბობა. ადამიანმა იცის ლაყბობა.
- ჩინელებმა თუ იციან? - თქვა პანჩომ კარგა გესლიანად.
 - იციან, მაგრამ იმათი ლაყბობისა მე არაფერი გამეგება.
 - მაშ, არ გინდა, ხომ!
 - აკი წუხელვე გითხარით. არ შემიძლია.
 - ლაყბობას ხომ არ მოჰყვები? - მკითხა პანჩომ.
- ვერ გამიგო და იმიტომ გაწიწმატდა. ალბათ იმიტომაც, რომ იმედი ჰქონდა და საბოლოოდ არაფერი გამოუვიდა. არც კი მიპასუხნია.
- შენ ხომ არ ხარ *lengua larga*? ჰა? - ისევ გესლიანად მკითხა.
 - არა მგონია.
 - ოჰ! იმუქრები კიდევ?!
 - მოიხედეთ, - ვუთხარი მე, - ნეტა რას მედიდგულებით ამ უთენია. ვიცი, რომ ბევრისთვის გამოგიჭრიათ ყელი. მე ჯერ ყავაც არ დამიღვევია.
 - მაშ, გჯერა, რომ მე ხალხს ყელსა ვჭრი, არა?
 - რატომ? მე რაში მეკითხება. არ შეიძლება, ისე გაარიგო საქმე, რომ არ გაცოფდე?
 - სწორედ რომ გაცოფებული ვარ, - მითხრა მან, - სიამოვნებით მოგკლავდი.

- რა ჯანდაბა მოგივიდა, - შევუტიე მე. - რა ენად გაიკრიფე!

- გეყოფა, პანჩო, - უთხრა პირველმა. მერე მე მომიბრუნდა, - ძალიან სამწუხაროა. ნეტა წაგეყვანეთ.

- მეც ძალიან მწყინს, მაგრამ რა ვქნა.

კარისკენ გაემართნენ სამივენი და მე თვალი გავაყოლე. ეშხიანი ბიჭები იყვნენ, კარგად ჩაცმულები. ქუდი არც ერთს არ ეხურა. თავი ისე ეჭირათ, დიდძალი ფული უნდა ჰქონოდათ. ყოველ შემთხვევაში, პირზე სულ ფული ეკერათ და ინგლისურსაც ისე ლაპარაკობდნენ, როგორც ფულიანი კუბელები ლაპარაკობენ ხოლმე.

ორი მათგანი ძმები უნდა ყოფილიყვნენ, მესამე კი, ის პანჩო, ამათზე ცოტა უფრო მაღალი იყო, მაგრამ მათივე ჯილაგისა - ჩამოსხმული, კარგად ჩაცმული, თმაგადაპრიალებული. არა მგონია, ისეთი ღვარძლიანი ყოფილიყოს. მე მგონი, ნერვიული იყო.

გავიდნენ თუ არა კარიდან და მარჯვნივ შეუხვიეს, ვხედავ - მოედანი დახურულმა მანქანამ გადმოჭრა და მათკენ გამოექანა. ჯერ მინა დაიმსხვრა და ტყვია ვიტრინის მარჯვნივ დალაგებულ ბოთლებს მოხვდა. სროლა გაგრძელდა - ბუმ, ბუმ, ბუმ - და ბოთლები ერთიანად დაიფშვნა.

მე დახლში ვისკუპე, მარცხენა მხარეს, და იქიდან დავუწყე ცქერა. მანქანა გაჩერდა და იქვე ორი კაცი ჩაცუცქდა. ერთს თომპსონის თოფი ეჭირა ხელში, მეორეს - ლულაგადახერხილი ავტომატი. თომპსონის პატრონი ზანგი იყო; მეორეს შოფრის თეთრი კომბინიზონი ეცვა.

იმ სამთაგან ერთი ბიჭი ზედ ჩამსხვრეულ ვიტრინასთან ჩამხობილიყო ქუჩაში, ორნი კი ამოფარებოდნენ „ტროპიკული ლუდის“ ფურგონს, რომელსაც, ის იყო, მეზობელ ბარში ყინული მოეტანა. ფურგონში შებმული ერთი ცხენი დავარდნილიყო და ფეხს ასავსავებდა, მეორე კი გამწარებით აქიციანებდა თავს.

ფურგონს მოფარებულმა ბიჭმა გაისროლა, ტყვია ტროტუარს მოხვდა და ასხლტა. თომპსონიანი ზანგი თითქმის მიწას განერთხო და ზედიზედ დაუშინა; ქუჩაში ვიღაც დავარდა, თავი ტროტუარის ძგიდეს დაჰკრა, აფართხალდა. ხელები თავზე იტაცა და მანამ ზანგი თოფის ხელახლა გატენას მოასწრებდა, შოფერმა ამ მომაკვდავს თავისი ფილთა დაახალა. ახლა უფრო დიდხანს კაკანებდა ზანგის „თომპსონი“, ვერცხლის ნაპერწკლებივით სხლტებოდა საფანტი ტროტუარზე.

მეორე ბიჭი ფეხში სწვდა დაჭრილ ამხანაგს და ფურგონისაკენ გაითრია; დავინახე, როგორ განერთხო ისევ მიწას ზანგი და კიდევ ერთი ბათქი მისცა. ფურგონს მოფარებული პანჩო გამოძვრა, ჯერ ფეხზე მდგარ ცხენს მოეფარა, მერე სულაც გამოვიდა წინ, სახე ჭუჭყიანი ზეწარივით გადატეტკოდა, თავის დიდ ლიუგერს მეტი სიმტკიცისათვის ორივე ხელი ჩასჭიდა და შოფერს ესროლა.

ბოლოს მობრუნდა და მაღლა დაიჭირა თოფი, ზანგის თავს ზემოთ - ორჯერ გაისროლა ასე, ერთი ტყვია კი დაბლა მიუშვა.

აშკარა იყო, მანქანის საბურავი გახვრიტა, რადგან ერთბაშად გამოვარდნილი ჰაერის შხუილთან ერთად დავინახე, როგორ დაიგრიხინა და ქუჩას მოსწყდა მტვრის ჭავლი. ათ ნაბიჯზე მიუშვა ზანგმა პანჩო და მერე თავისი „თომპსონი“ მუცელში დაახალა. ეტყობოდა, უკანასკნელი ვაზნები იყო, რადგან ხელადვე გადააგო თოფი. პანჩო ტროტუარზე ჩაიკეცა და პირქვე ჩაემხო, ლიუგერს ხელიდან არ იშორებდა. წამოდგომა სცადა, მაგრამ თავი ვეღარ წამოსწია, ამასობაში ზანგმა ფილთას დასტაცა ხელი, რომელიც იქვე ეგდო მანქანის თვალთან, შოფრის გვერდით, და პანჩოს თავის ქალა ააცალა. ზანგს უყურე!

იქვე ბოთლები ეწყო და ერთ-ერთ გახსნილს დავავლე ხელი, პირზე მოვიყუდე, არც კი შემიხედავს, რა ესხა შიგ. გუნება მომეშხამა. დახლიდან სამზარეულოში გავძვერი და ქუჩაში ამოვყავი თავი. მოედანს ისე შემოვუარე, ერთხელაც არ მიმიხედავს ხალხისკენ, რომელიც კაფეს მიმართულებით გარბოდა. ჭიმკარი გავიარე, ნავსადგომს მივაშურე და კარჭაპში ჩავხტი.

ის ვაჟბატონი, რომელსაც ჩემი კარჭაპი ჰქონდა დაქირავებული, უკვე იქ მელოდა. ვუამბე, რაც მოხდა.

- ედი სადღაა? - მკითხა ჯონსონმა, იმ ვაჟბატონმა, ჩვენმა დამქირავებელმა.

- სროლა რომ დაიწყო, მერე აღარ მინახავს.

- მოკლავდნენ ვითომ?

- მოკლავდნენ კი არა. ავი გითხარით, მარტო ვიტრინას მოხვდა-მეთქი. მანქანით რომ მოსდევდნენ, მაშინ ესროლეს და ის პირველიც სწორედ ზედ ვიტრინასთან გააგორეს. ირიბად მოდიოდნენ, მოჩეხვას ცდილობდნენ...

- ასე დაწვრილებით საიდან გაიგე?

- ჩემ თვალწინ მოხდა, - მივუგე მე.

უცებ თავი ავწიე და ვხედავ. ედიმ ნავსადგომი გადმოჭრა, ჩვეულებრივზე უფრო მაღალი და მოშვეებული ჩანდა, ისე მოლასლასებდა, გეგონებოდა, კუნთები ულაცლაცებო.

- აგერ, ედიც.

საშინელი ფერი ედო. დილაობით მაინცდამაინც კარგი შესახედავი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ ახლა მტრისას.

- სად იყავი? - ვკითხე მე.

- იატაკზე ვეგდე.

- დაინახე? - ჰკითხა ჯონსონმა.

- ნულარ გამახსენებთ, მისტერ ჯონსონ, - უპასუხა მან, - გაფიქრებაზეც კი გული მერევა.

- დალიე რამე, - უთხრა ჯონსონმა. მერე მე მომიბრუნდა, - ჰა, გავდივართ დღეს?

- თქვენი ნებაა.

- ამინდს რა პირი უჩანს?

- გუშინდელივით იქნება. უკეთესიც.

- მაშ, წავსულვართ.

- ჯერ საქნიერები მოიტანონ.

აგერ სამი კვირა გავიდა, რაც ამ ვაჟბატონს დავატარებთ სათევზაოდ, დღე არ ჩავგიგდია და ჯერ ერთი ცენტიც არ ვიცი მისი, გარდა იმ ასი დოლარისა, რაც კონსულისთვის გადასაცემად, ნავსადგურიდან გასვლის ნებართვისა და

ბენზინ-სანოვაგისთვის მომცა. გარიგებული ვიყავით ოცდათხუთმეტ დოლარზე დღეში, სათევზაო მოწყობილობა - ჩემი. ღამეს სასტუმროში ათევდა. დილდილობით გამოდიოდა ნავსადგომში. ედიმ მიშოვა ეს მუშტარი და ამიტომ ისიც დამყავდა სათევზაოდ. დღეში ოთხ დოლარს ვუხდიდი.

- თან ბენზინიც უნდა ჩავასხა, - ვუთხარი ჯონსონს.

- კარგი.

- ოღონდ ცოტაოდენი ფული დამჭირდება.

- რამდენი?

- გალონი ოცდარვა ცენტი ღირს. ორმოცი გალონი მაინც მოგვინდება. ასე რომ, თერთმეტი და ოცი.

თხუთმეტი დოლარი მომცა.

- რაც დამრჩება, იმით ლუდი და ყინული რომ ვიყიდო? - ვკითხე მე.

- დიდებული იქნება. ეგეც ჩემს ვალს მიუმატე.

სამი კვირა რა ამბავია-მეთქი, ვფიქრობდი, ამდენ ხანს რად უნდა ადროვო? მაგრამ სანდო კაცი თუა, რა მოხდა მერე, სულ ერთი არ არის! ისე, ჯობდა, ყოველი კვირის ბოლოს მაინც ეძლია. თუმცა მუდამ ასე მომდის, თითო თვით ვაცლი და მერე ერთბაშად მიხდიან. ჩემი შეცდომაა, მაგრამ რას იზამ, ისე გამიხარდება კლიენტის გამოჩენა, ხელად ვთანხმდები. დრო რომ მიიწურება, მაშინ კი ვღელავ ცოტას, მაგრამ თქმით არაფერს არ ვეუბნები - განაწყენებას ვერიდები. სანდო კაცი თუა, რასაც მეტს დარჩება, მით უკეთესი.

- არა, გმადლობთ.

უცებ ის ზანგი გამოჩნდა, რომელსაც ჩვენთვის საქნიერები მოჰქონდა ხოლმე. მე ედის გავძახე, მოემზადე, მივდივარ-მეთქი.

ზანგი ამოვიდა, კარჭაპი შევაცურეთ და ნავსადგომიდან გავედით. ზანგი დორადების წამოცმას შეუდგა; ანკესს პირში ჩაუყოფდა, ლაყუჩებში გაუტარებდა, გვერდს გამოუფატრავდა, წვერს გარეთ გამოაყოფინებდა ანკესს, მერე დორადებს პირს მოუკრავდა და საგულდაგულოდ დაამაგრებდა ანკესზე - საქნიერა ასე მოშვებული იყო, მაგრამ არ ლაყლაყებდა.

ნამდვილი შავი ზანგი იყო, მარჯვე და პირქუში. კისერზე, პერანგქვეშ ცისფერი მძივის ავგაროზი ეკიდა და ძველი ჭილის ქუდი ეხურა. ნავზე არაფერს არ აკეთებდა - ან ეძინა, ან გაზეთებს კითხულობდა. ისე, მარჯვე კი იყო და საქნიერებსაც კარგად აგებდა ხოლმე.

- შენ არ შეგიძლია, კაპიტანო, საქნიერების ასე წამოგება? - მკითხა ჯონსონმა.

- რატომ!..

- მაშ ეს ზანგი რილას მაქნისია?

- დიდი თევზი რომ გამოჩნდება, მაშინ მიხვდებით.

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

- უფრო მარჯვედ აგებს.

- ედის არ შეუძლია?

- არა, სერ.

მე კი მგონია, ზედმეტი ხარჯი მოგვდის, - თითო დოლარს უხდიდა ყოველდღიურად და ზანგიც საღამოობით რუმბას საცეკვაოდ დადიოდა. ახლაც, შევნიშნე, უკვე რული მორეოდა.

- საჭირო კაცია, - ვუთხარი მე.

ამასობაში სმაკებს ჩავუარეთ, რომელთაც კაბანას პირდაპირ ჩამოეშვათ ღუზები, აქვე იყო პატარა სათევზაო ნავეები. მოროს მახლობლად, პირდაპირ ქვის ფსკერზე იჭერდნენ ღლაბუტებს, და მეც იქითკენ მივმართე ნავი, ჩაშავებული უბისკენ. ედიმ ორი დიდი ტივტივა გამოიტანა, ზანგმა კი სამი ანკესი გაამზადა.

გოლფსტრიმი ლამის ნაპირს უწევდა და ღრმად რომ შევედით, წყალს იისფერი დაკრავდა. უბერავდა სუსტი ზენა ქარი და ჩვენ ბლომად მფრინავი თევზი წამოვშალეთ, დიდ-დიდი შავფარფლა თევზები, ლინდბერგის სურათზე გამოსახულ თვითმფრინავებს რომ ჰგავს.

ეს მფრინავი თევზები - უტყუარი ნიშანია. ირგვლივ, სადამდისაც კი თვალი მიგიწვდებოდა, მოყვითალო მცენარეების პატარ-პატარა ბუჩქები ჩანდა; ამით მიხვდებოდი, რომ მთავარი დინება აქ ძალიან ღრმად მოდიოდა. ჩიტები ტუნა

თევზების ქარავნებს დასტრიალებდნენ თავს. ზოგჯერ ამოხტებოდა ხოლმე წყლიდან ეს ტუნა თევზი, სულ პატარები არიან, ორიოდ გირვანქა თუ გამოვა.

- შეგიძლიათ, ჩაუშვათ, - ვუთხარი მე ჯონსონს.

ქამარი შემოირტყა და დიდი ანკესი ჩაუშვა, რომელიც ჰარდის კოჭაზე გვქონდა გამოზმული, ექვსასი იარდის სიგრძისა იყო ანკესის ძუა, ოცდათექვსმეტი პატარა ძაფი ჰქონდა მიმაგრებული. უკან მივიხედე - საქნიერა მშვენივრად მოცურავდა, ნელა ირწეოდა ზვირთებში, ტივტივები კი ხტოდნენ და წყალში ყვინთავდნენ. ნავი ზომიერი

სიჩქარით მიმყავდა, მთავარი დინებისკენ მქონდა გეზი აღებული.

- თოკი ბუდეში დაამაგრე, - ვუთხარი ჯონსონს, - აღარ დაგამძიმებს. მუხრუჭი მოშვებული გქონდეს, პირს რომ მოავლებს, ძუა თავისუფლად უნდა იყოს, თორემ მოგიტაცებს და ზღვაში გადაგადებს.

მუდამ დღე ასე, ერთი და იგივეს ჩიჩინი!.. მაგრამ გული მაინც არ მომდიოდა. ორმოცდაათ ამისთანა მეთევზეში ერთი თუ გამოერევა, ხეირიანად იცოდეს თევზაობა. და ისიც ისეთი ჩერჩეტი იქნება, რომ რიგიან ძუასაც ვერ შეარჩევს - იყიდის რაღაც დამპალს, მოზრდილი თევზი ხელადვე გაგლეჯს.

- როგორი დღე შეგვხვდა? - მკითხა მან.

- უკეთესს ვერც ინატრებ, - ვუპასუხე მე. მართლაც მშვენიერი დღე იყო.

საჭე ზანგს მივანდე, გავაფრთხილე - დინებას მიჰყევი აღმოსავლეთისკენ-მეთქი, და ჯონსონთან გადავინაცვლე, რომელიც იჯდა და საქნიერების რწევას შეჰყურებდა.

- მეორე ანკესიც ხომ არ ჩავუშვა? - ვკითხე მე.

- რა საჭიროა, მე თვითონვე მინდა წამოვაგო და ამოვათრიო ჩემი თევზი.

- აგრე იყოს, - ვუთხარი მე, - თუ გნებავთ, ედი ჩაუშვებს ანკესს და, როგორცკი თევზი პირს მოავლებს, მაშინვე თქვენ გადმოგცემთ.

- არა, ერთი ანკესი მირჩევნია.

- თქვენი ნებაა.

ზანგი საჭეს ჩაფრენოდა და კარჭაპს დინების გასწვრივ მიაცურებდა, შევნიშნე, როგორ გააყოლა თვალი მფრინავი თევზების ქარავანს, რომელიც ჩვენი ნავისგან ცოტა მოშორებით ერთბაშად ამოფრთხილდა წყლიდან. თავი უკან მივატრიალე და მზეზე თვალისმომჭრელად მოელვარე ჰავანას გავხედე. ნავსადგურიდან, ის იყო, რაღაც გემი დაიძრა.

- დღეს კი, მე მგონი, ნამდვილად გაგიმართლებთ, მისტერ ჯონსონ, - ვუთხარი მე.

- დროც არის, - თქვა მან, - რამდენი ხანია ვთევზაობთ?

- დღეს სამი კვირა შესრულდა.

- ამდენ ხანს თევზაობა ვის გაუგონია!

- თევზს რას გაუგებ, - ვუპასუხე მე. - ჯერ წამლად რომ გინდოდეს, ვერ ნახავ, მაგრამ ერთი თუ მოვიდა, მორჩა, ვედარ აუხვალ. მოსვლით კი უსათუოდ მოვა. დღესაც თუ არ გამოჩნდა, მაშინ საშველი არ ყოფილა და ის არის. მთვარე სწორედ სამაგისოა, დინება - შესაფერი, - ქარიც ზედგამოჭრილი.

- პირველად რომ გამოვედით, სულ წვრილი თევზები ირეოდა.

- დიახ, - ვთქვი მე, - აკი გითხარით: ჯერ წვრილი თევზები გაქრება და მსხვილი მერე გამოჩნდება.

- მენავებებს მიზეზი არ გამოგელევათ - ხან ძალიან ადრეა, ხან მეტისმეტად

დაგვიანებულია, ხან მარჯვე ქარი არ უბერავს და ხანაც მთვარე არ დგას სწორად. ფული კი მაინც მიგაქვთ და მიგაქვთ.

- რას იზამ, - ვუთხარი მე, - მართლაც ასეა: ხან ძალიან ადრეა, ხან ძალიან გვიან. ქარის ლოდინში ხომ გული იღევა. ბოლოს, როცა ნამდვილად შესაფერი დღე გათენდება, ნაპირზე უნდა ეგდო უკლიენტოდ.

- დღეს ვითომ კარგი დღეა?

- როგორ გითხრათ, - ვუპასუხე მე, - იმდენ რამეს გადავეყარე დილიდანვე... მაგრამ სანაძლეოს ჩამოვალ, რომ დღეს ბევრს დაიჭერთ.

- ღმერთმა ქნას.

მოვემზადეთ სათევზაოდ. ედი გამოვიდა და წინა ერდოზე გაწვა. მე ვიდექი და ვუთვალთვალეზბდი, იქნებ კუდმა გაიელვოს-მეთქი, ზანგს სულ თვალეზბი ერულეზბოდა და იმისთვისაც უნდა მიმექცია ყურადღება. სანაძლეოს ჩამოვალ, რომ წუხელაც კარგი დრო უტარებია.

- ერთ ბოთლ ლუდს ვერ მომაწვდი, კაპიტანო? - მითხრა ჯონსონმა.

- ახლავე სერ, საღამომდე დავიცდი.

გავხსენი ბოთლი და ის იყო, უნდა მიმეწოდებინა, რომ ვხედავ, მურა თევზმა წყლიდან თავი ამოჰყო და საქნიერასკენ გადგაფუნდა. უშველებელი თევზი იყო; მკლავზე უგრძესი მახვილი ჰქონდა, თვითონ მორის სიმსხო იქნებოდა.

- მოუშვით ძუა! - დავიღრიალე მე.

- ჯერ არ დაუქაჩავს, - გამომძახა ჯონსონმა.

- მაშ, დაამუხრუჭე.

დიდი სიღრმიდან იყო წამოსული და პირი ვედარ მოავლო, ააცდინა. მაგრამ ვიცოდი, ისევ მობრუნდებოდა.

- როგორც კი დაქაჩავს, მაშინვე მოუშვით.

ახლა უკნიდან შემოუარა. ფარფლები წითელი ფრთებივით გაეშალა, მურა ქეცედსაც წითელი ზოლები დაჰყვებოდა. წყალქვეშა ნავივით მოცურავდა, ზემოთა ფარფლი ზედაპირზე ამოსულიყო, ჩანდა, როგორც ჰკვეთავდა წყალს. საქნიერას რომ მიადგა, მახვილიც გამოჰყო, თითქოს წყლის ზევით იქნევს და ვიღაცას ემუქრებაო.

- მიუშვით, დააქაჩვინეთ, - გავძახე მე.

ჯონსონმა დახვეულ ძუას ხელი უშვა, კოჭამ ხრჭიალი დაიწყო, თევზი ერთბაშად შეტრიალდა და ძირს დაეშვა, მერე მობრუნდა და ნაპირისკენ გაქანდა. ვერცხლისფრად გაიბრჭყვიალა წყალში.

- ცოტათი დაამუხრუჭეთ, - გავძახე მე, - ოდნავ.

ჯონსონი მუხრუჭს ეცა.

- ოდნავ! - გავუმეორე მე. ძუა ირიბად დაიჭიმა, - დაამუხრუჭეთ და დაითრიეთ, - ვუთხარი, - უნდა დაითრიოთ. ახლა სხმარტალს დაიწყებს.

ჯონსონმა დაამუხრუჭა და ანკესის ჯოხს მიუბრუნდა.

- დაქაჩეთ! - ვუთხარი მე, - მაგრად მოადებინეთ. ექვსჯერ მაინც დაქაჩეთ.

ერთი-ორჯერ კიდევ მოსწია მაგრად, კოჭა ახრჭიალდა და უცებ, დგაფ, წყალზე ამოდგაფუნდა, წამით მზეზე ვერცხლისფრად აელვარდა ეს უშველებელი თევზი და ისევ მოწყვეტით ჩაეშვა, თითქოს ცხენი კლდეს მოწყდაო.

- მოუშვი მუხრუჭი, - გავძახე მე.

- წაგვივიდა, - თქვა ჯონსონმა.

- სად ჯანდაბაში წავა, - ვუთხარი მე, - ჩქარა, მუხრუჭი მოუშვით.

ძუა დაიგრიხა, მეორე ამოხტომაზე უკვე კიჩოსკენ მოქცეულიყო თევზი, გაშლილ ზღვაში მიცურავდა. მალე ისევ ამოდგაფუნდა, წყალი ააქაფა და ამჯერად დავინახე, როგორ გამოსდებოდა ანკესი ლაყუჩებს. დიდებული თევზი იყო, ვერცხლისფრად მოელვარე, წითელი ზოლებით დასერილი და უშველებელი, დიდი კუნძისხელა.

- წაგვივიდა, - თქვა ჯონსონმა. - ძუა მთლად მოფამფალდა.

- დაახვიეთ, - შევძახე მე, - ისე აქვს ანკესი გამოდებული, რომ ვერსად წაგვივა. მთელი სისწრაფით მიუშვი! - დავუღრიალე ზანგს.

კიდევ ამოხტა ერთჯერ, მეორედაც, კეტივით გაჯგიმული, ჩვენკენ იყო შემართული მთელი ტანით და ისეთი დგაფუნით ეცემოდა, რომ წყალი მაღლა ისვეტებოდა. ძუა დაიმაგრა, შევნიშნე, რომ თევზმა ისევ ნაპირისკენ გაიწია, მერე შებრუნდა.

- ახლა კი გაუტევეს, - ვთქვი მე, - სხმარტალს თუ მოჰყვა, არც მე მოვეშვები. მუხრუჭი მოშვებული გქონდეთ. ძუა საკმარისია.

თევზმა ჩრდილო-დასავლეთისკენ ენა პირი, როგორც ყველა დიდ თევზს ჩვევია ხოლმე. მაგრამ, ჰოი ბიჭო, რა ასხმარტალდა! სულ კამარით მიდიოდა და ყოველ შეხტომაზე ისე ადგაფუნებდა წყალს, გეგონებოდა ძრავიანი ნავი მიჰქრისო. ჩვენც მივყევით მეოთხედი მილის მანძილზე, საჭესთან ახლა მე ვიდექი და წარამარა ვუყვიროდი, ჯონსონს მუხრუჭი მოშვებული სჭეროდა და კოჭაც სულ უფრო და უფრო

სწრაფად ეტრიალებინა. უცებ ტარი შეტოკდა და ხელადვე ძუაც მოფოფინდა. გამოუცდელი კაცი ამას ვერ შენიშნავდა, რადგან ძუას, თავისი სიმძიმის წყალობით, მაინც დაჭიმული ჰქონდა ტარი. მაგრამ მე რას გამომეპარებოდა.

- გაგვექცა, - ვთქვი მე. თევზი კვლავ სხმარტალებდა, და მანამ თვალს მიეფარა, არც შეუწყვეტია სხმარტალი. დიდებული თევზი კი იყო.

- არა, ისევ ეწევა, - მითხრა ჯონსონმა.

- ეს ძუის სიმძიმეა.

- ძლივს რომ მიჭირავს! იქნებ სული ამოხდა.

- შეხედეთ, როგორ ხტის, ვუთხარი მე. ნახევარი მილიდანაც კარგად ჩანდა, როგორ ადგაფუნებდა წყალს.

მუხრუჭი გავსინჯე. ბოლომდე დაეჭიმა. ერთი ბეწოთიც კი ვერ მოუშვებდი ძუას. რაღა თქმა უნდა, გაწყვეტდა.

- აკი გითხარით, მუხრუჭი მოშვებული გქონდეთ-მეთქი!

- სულ სწევდა და სწევდა.

- მერე რა მოხდა?

- მეც მოვუჭირე.

- მოიხედეთ, - ვუთხარი მე, - თევზი რომ ასე დაიწყებს სხმარტალს, ძუა უნდა მიუშვა, თორემ გაგიწყვეტს. რაც არ უნდა ძუა იყოს, ველარ გაუძლებს. რაკი იწევს, უნდა მიუშვა. მუხრუჭი მოშვებული უნდა გქონდეს. გამოცდილი მეთევზეც რომ იყო, ჰარპუნის თოკით ვერ დაიჭერ მაგხელა თევზს. იმიტომ მივდევეთ ხოლმე ასე გამწარებით - საშიშია, ძუა არ გამოილიოს. სხმარტალს რომ მორჩება და ფსკერისკენ წავა, მაშინ შეგიძლია დაამუხრუჭო და ძუაც დაითრიო.

- მაშ, ძუა რომ არ გაწყვეტილიყო, დავიჭერდი?

- რატომაც არა.

- სულ ხომ არ ისხმარტალებს?

- ისხმარტალებს კიდევ და ყველაფერი! ოღონდ წრიალს როცა მორჩება, ნამდვილი ბრძოლა მაშინ იწყება ხოლმე.

- რამე მაინც დავიჭიროთ, - თქვა მან.

- ჯერ ძუა უნდა დავახვიოთ, ვუპასუხე მე.

ისე გამოვიჭირეთ ეს თევზი და მერე ისე გაგვექცა, რომ ედის თავიც არ წამოუწევია, ეძინა. ბოლოს გაიღვიძა და კიჩოზე გამოვიდა.

- რა მოხდა? - იკითხა მან.

ერთ დროს კარგი მეზღვაური იყო ედი, მანამ გალოთდებოდა, ახლა აღარაფრად ვარგა. ვუყურებდი ამ აწოწილ, ყვრიმალეზხავარდნილ, ლაშჩამომშვებულ, უპეებგამოთეთრებულ, თმაგამოხუნებულ კაცს, და ვგრძნობდი, რომ დალევდა ახლა სულს ერჩივნა.

- გახსენი ლუდი და დალიე, - ვუთხარი მე. ყუთიდან ბოთლი ამოიღო და დალია.

- როგორაა საქმე, მისტერ ჯონსონ? - ჰკითხა მან. - ვატყობ, ერთ პირ ძილს კიდევ გამოვაცხოვებ! ლუდისთვის დიდი მადლობა, სერ.

აჰ, ედი! ედი! ძალიან კი ენაღვლებოდა შენი თევზაობა!

შუადღისას კიდევ გამოვიჭირეთ ერთი თევზი, მაგრამ გაგვისხლტა. ოცდაათ ფუტზე მაინც შეხტა ანკესი, როცა პირიდან აისხლიტა.

- ახლაც შეგვეშალა რამე? - იკითხა ჯონსონმა.

- არა, ახლა ისე აისხლიტა.

- მისტერ ჯონსონ, - უთხრა ედიმ, რომელსაც ლუდის დასალევად გაღვიძებოდა, - ბედი არა გწყალობთ, მისტერ ჯონსონ. იქნებ ქალებში მაინც გაგიმართლოთ. მოდი, ამაღამ გავისეირნოთ, ჰა, მისტერ ჯონსონ?! - მერე ისევ მიბრუნდა და დაეგდო.

ოთხი საათისთვის უკანვე ვბრუნდებოდით, ნაპირის გასწვრივ. ზურგში მზე გვაცხუნებდა და ისეთი ქოთქოთით ვკვეთავდით დინებას, გეგონებოდა წისქვილის ძრავი ტრიალებსო; უცებ ჯონსონის ანკესს კიდევ ერთი უშველებელი, შავი მარლინი გამოედო. ამხელა თევზი ჩემს დღეში არ მენახა. ოთხი პატარა ტუნა დავიჭირეთ და ერთი მათგანი ზანგმა ჯონსონის ანკესზე წამოაგო. საქნიერა კარგა ღრმად ჩაეშვა, მაგრამ მაინც მაგრად ტყლაშუნობდა.

ჯონსონმა ქამარი მოიხსნა და ანკესის ტარი მუხლზე დაიდო; იმდენ ხანს ეჭირა ხელში, რომ მკლავები დაეღალა. მერე, როცა მე თვალი მომარიდა, თურმე მუხრუჭიც ბოლომდე მოუჭირა, რადგან დიდი საქნიერა ძალუმად სწევდა ძუას და ხელებიც ატკინა. მე ეგ არ შემიძინა. ტარის მუხლზე დადება არ მეჭაშნიკა, მაგრამ ამდენმა ჭიჭყინმაც გული გამიწყალა. თან, როცა მუხრუჭი მოშვებულია, კოჭა თავისუფლად ტრიალებს და საშიშიც აღარ არის. თუმცა ასე თევზაობა სად გაგონილა!

საჭესთან ვიდექი და კარჭავს მთავარი დინების გასწვრივ მივაცურებდი, გავუპირდაპირდი ძველ ცემენტის ქარხანას, საცა დინება ღრმად ეშვება ხოლმე და

ერთგვარ მორევსა ქმნის, ამ მორევში უამრავი საქნიერები იცის. უცებ, ვხედავ, ჩემ წინ წყალი ადგაფუნდა, თითქოს ბომბი ჩამოეგდოთ, მერე მახვილი დავინახე, თვალეზიც, დაღებული ხახა, და შავი მარლინის უშველებელი მურა თავი! ზემოთა ფარფლი კარგად აღკაზმული გემივით წამომართულიყო წყლის ზედაპირზე, ხოლო ჩვენს საქნიერას რომ გამოუდგა, რკალივით მოქნეული ბოლოც გამოაჩინა. ბეისბოლის ჩოგნისხელა მახვილი ჰქონდა. უსაშველოდ დიდი თევზი იყო. ათასი გირვანქა მაინც გამოვიდოდა.

ჯონსონს დავჭყვივლე, ძუა მიუშვი-მეთქი, მაგრამ სიტყვის დამთავრებაც ვერ მოვასწარი, რომ ეს შენი ჯონსონი უცებ ჰაერში აიზიდა, თითქოს ამწე-ონკანს აეტაცოს. ანკესის ტარი, რომელიც მას ისევ ხელში ეჭირა, მშვილდივით გაიღუნა, მსხვილი მხარე მუცელში მოხვდა და მთელი მოწყობილობა წყალში ჩაცვივდა.

მუხრუჭი ბოლომდე ჰქონდა მოჭერილი და, თევზმა რომ დაქაჩა, ჯონსონი სკამიდან წამოაგდო, ანკესი ვეღარ დაიმაგრა. ტარის მსხვილი ბოლო ფეხებქვეშ ამოედო და, ქამარი რომ შემორტყმული ჰქონოდა, ვეღარაფერი უშველიდა, პირდაპირ ოკეანეში გადაითრევდა.

ძრავი გამოვრთე და კიჩოსკენ გავქანდი. ისევ სკამზე ჩამჯდარიყო და ხელები მუცელზე მოეჭირა.

- სადღეისოდ, მგონი, გვეყოფა, - ვთქვი მე.

- რა თევზი იყო?

- შავი მარლინი.

- მერე, როგორ მოხდა ეს?

- თქვენ თვითონ უნდა გამოიანგარიშოთ, - ვუთხარი მე, - კოჭაში ორას ორმოცდაათი დოლარი მაქვს მიცემული. ახლა მაგ ფასადაც ვერ იშოვი. ტარი ორმოცდახუთი ღირს. გრძელი ძუა იყო, ექვსას იარდს ბევრი არაფერი უკლდა, ოცდათექვსმეტი წვერი ჰქონდა.

ედიმ მხარზე დაჰკრა ხელი.

- ბედი არ გწყალობთ, მისტერ ჯონსონ, - უთხრა მან, - ჩემს დღეში არ მინახავს ამისთანა რამე.

- მოკეტე, ლოთო! - შევუბღვირე მე.

- მითქვამს და კიდევ გეტყვი, - აღარ მოეშვა ედი, - ჩემს დღეში ამისთანა არაფერი მინახავს.

- ამხელა თევზს რომ დავეთრე, რა უნდა მექნა?! - თქვა ჯონსონმა.

- თქვენ თვითონ გინდოდათ ყველაფერი გაგეკეთებინათ და, აჰა! - ვუთხარი მე. გავმწარდი კაცი.

რამხელა თევზებია, - ჩაილაპარაკა ჯონსონმა, ეს ხომ სასჯელი გამოდის, სადაური თევზაობაა!

- მაშ რა გეგონათ?! მაგხელა თევზს შეიძლებოდა მოეკალით კიდევ.

- ხომ იჭერენ?!

- გამოცდილი და მცოდნე ხალხი დაიჭერს. მაგრამ არ გეგონოთ, იმათთვისაც სასჯელი იყოს.

- ერთი გოგოს სურათი მინახავს, ამხელა თევზი დაუჭერია.

- ვიცი, - დავეთანხმე მე, - მაგრამ განა ცოცხალი იყო - თევზმა საქნიერა გადაყლაპა, მთელი შიგნეული გადმოუტრიალა და თავისით ამოტივტივდა, მკვდარი. ცოტათი რომ გამოსდებს ანკესს, მერე უნდა სდიოთ-მეთქი, სულ ამას გეჩიჩინებით.

- ჰო, უსაშველოდ დიდები არიან ეგ ოხრები. გართობა აღარ გამოდის. რა ძალა მადგას! - თქვა ჯონსონმა.

- მართალი ხარ, მისტერ ჯონსონ, - კვერი დაუკრა ედომ, - თუკი ვერ ერთობი, რა ძალა მადგას? კარგად კი გამოგივიდა მისტერ ჯონსონ, თუკი ვერ ერთობი, რა ძალა მადგას!

ყბედობის თავი აღარ მქონდა, სულ ის თევზი მედგა თვალწინ და დაკარგულ სათევზაო მოწყობილობაზე ფიქრი გულს მიწურავდა. მოროსკენ მიაბრუნე-მეთქი, ზანგს გავძახე. იმათთვის ხმა არ გამიცია, და ისხდნენ თავისთვის - ედის ლუდის ბოთლი ეჭირა ხელში და ერთ სკამზე იჯდა, ჯონსონი - მეორეზე.

- კაპიტანო, - მითხრა ჯონსონმა ცოტა ხნის შემდეგ, ჰაიბოლს¹¹ ვერ მომიმზადებთ?

ხმა არც კი გამიღია, ისე მოვუმზადე, მერე ჩემთვისაც დავისხი სუფთა ვისკი. გულზე ვსკდებოდი. ეს ვიღაც ჯონსონი აგერ თხუთმეტი დღეა სათევზაოდ დადის, ბოლოს ისეთი თევზი შეხვდა, რომ ნამდვილი მეთევზე ერთი წლის სიცოცხლეს გასწირავდა იმის გულისთვის... ამ თევზს კარგავს, მთელს ჩემს

მოწყობილობას კარგავს, ახლა კი არხეინად ზის აგერ ლოთთან და, ვითომც არაფერიო, ვისკისა წრუპავს.

ნავსადგომში რომ შევედით, ზანგმა კარჭაპი შეაჩერა. ბრძანებას ელოდა.

- ხვალ რა ვქნათ? - ვკითხე მე.

- აჰ, კმარა, - თქვა ჯონსონმა, ყელში ამომივიდა ასეთი თევზაობა.

- ზანგს ახლავე გაუსწორდებით?

- რამდენი მმართველს?

- დოლარი. თუ გინდათ, ცოტა ზედმეტიც აჩუქეთ.

ერთი დოლარი და ორი ოცცენტიანი კუბური მონეტა მისცა.

- ეს რისია? - ზანგმა მონეტები მაჩვენა.

- ეს ისე, გაჩუქა, - ვუთხარი ესპანურად, - მეტი აღარ დასჭირდება შენი სამსახური.

- ხვალ არ მოვიდე?

- არა.

ზანგი თავის შავ სათვალესა და კანაფის მორგვს იღებს, რითაც საქნიერებს ამაგრებდა

ხოლმე ანკესზე, ქილის ქუდს იხურავს და მიდის, არც კი გვემშვიდობება. არაფრად არ გვაგებდა ეს ზანგი.

- ჩვენ როდის გავასწოროთ ანგარიში, მისტერ ჯონსონ? - ვკითხე მე.

- დილაზე უნდა მივიდე ბანკში, - მითხრა მან, - ხვალ ნაშუადღევს იყოს.

- ხომ გახსოვთ, რამდენი დღეც არის?

- თხუთმეტი.

- არა. დღეს მეთექვსმეტეა. თითო დღეც გადასვლა-გადმოსვლისა, სულ თვრამეტი გამოდის. ახლა ეს ანკესი, კოჭა, ძუა...

- ეგ ხომ შენი რისკის საქმეა.

- არაფერიც. თქვენ დაკარგეთ, რა ჩემი ბრალია!

- ყოველდღიურ ქირას გაძლევდი, დაკარგვა-არდაკარგვის რისკი შენ უნდა გასწიო.

- არა, სერ, - ვუთხარი მე, - თევზს რომ გაეტეხა და გაეტაცნა, მაშინ ჰო. თქვენი გაუფრთხილებლობით მოხდა.

- თევზმა დაქაჩა და წამართვა.

- იმიტომ, რომ ბუდეში არ გედოთ, თან მუხრუჭიც მოჭერილი გქონდათ.

- მაგას ვერ დამავალდებულებ.

- მანქანა რომ დაიქირავოთ და კლდეს მიანარცხოთ, როგორ გგონიათ, არ გაზღვევინებენ?!

- მე თვითონ თუ ვიჯექი იმ მანქანაში, ვერა, - მიპასუხა ჯონსონმა.

- ეს კი კარგად გამოგივიდა, მისტერ ჯონსონ, - უთხრა ედიმ, - ხედავ, კაპიტანო?!

მანქანაში რომ მჯდარიყო, თვითონაც ხომ დაიღუპებოდა! მკვდარს რაღას გადაახდევინებ? დიდებულად გამოგივიდა.

ლოთს რა ყურს დავუგდებდი.

- ორას ოთხმოცდათხუთმეტი დოლარი უნდა გადაიხადოთ მთელი მოწყობილობისა - კოჭაც ამაში შედის და ანკესის ტარიც, - ვუთხარი ჯონსონს.

- არა ხარ სწორი, - მითხრა მან, - მაგრამ თუ მართლა ასე გგონია, შუაზე მაინც გავიყოს ზარალი.

- სამას სამოცზე ნაკლებ ვერ ვიყიდი ახალ მოწყობილობას. ძუის ფულს არც გახდევინებთ. მაგისტანა თევზს, რამსიგრძე ძუაც არ უნდა ყოფილიყო, სულ მოუნდებოდა. მაგაში ვერ დაგადანაშაულებთ. ამ ლოთს რა ჭკუა უნდა მოჰკითხო, თორემ ვინც არ უნდა იყოს ახლა აქ, ყველა გეტყოდა, რომ მე უსინდისოდ არაფერი მომიტხოვია. სათქმელად ბევრი ფული ჩანს, მაგრამ, როცა ვყიდულობდი, მაშინაც ბევრი იყო. საუკეთესო მოწყობილობა თუ არ გექნა, მაგისტანა თევზს რას დაიჭერ.

- ხომ ხედავ, მისტერ ჯონსონ, მე ლოთს მეძახის. იქნებ მართლაც ლოთი ვიყო. მაგრამ სიმართლეს ვერ დავუკარგავ - ზედმეტს არაფერსა გთხოვს. სწორიც არის და სამართლიანიც, - უთხრა ედიმ.

- დავას აღარ მოვეყვები, თქვა ბოლოს ჯონსონმა. - გადავიხდი. არა ვარ ვალდებული, მაგრამ მაინც გადავიხდი. მაშ, თვრამეტი დღე, არა - ორმოცდათხუთმეტი-ორმოცდათხუთმეტი დოლარი, იქაც ორას ოთხმოცდათხუთმეტი...

- ასი უკვე გადახდილი გაქვთ, - ვუთხარი მე, ცალკე ჩამოგიწერთ, რა ვიყიდე; რა სანოვაგეც დარჩა, თქვენი ნაყიდი, იმასაც გამოგიქვითავთ.

- სწორია, თქვა ჯონსონმა.

- იცი რა, მისტერ ჯონსონ, - უთხრა ედიმ, - რომ გაცოდინა, როგორ ატყავებენ აქ უცხოელებს, მაშინ სწორზე მეტიც არისო, იტყოდი. რას ამბობ! ასე ვინ დაგინდობდა. მშობელ დედას არ მოექცეოდა კაცი ასე პატიოსნად.

- ხვალ წავალ ბანკში და ნაშუადღევს გაგისტუმრებ. ზეგ კი გემით გავემგზავრები.

- ბარემ ჩვენ გამოგვყევით, ფული დაგეზოგებათ.

- არა, გემით დროს დავზოგავ.

- თქვენი ნებაა, - ვუთხარი მე, - ცოტა ხომ არ დაგველია?

- სიამოვნებით, - დამეთანხმა ჯონსონი, - გულში ხომ აღარაფერი ხინჯი დაგრჩა?

- არა, სერ, - ვუთხარი მე. სამივენი ჩამოვსხედით კიჩოზე და ჰაიბოლს შევექეცით.

მეორე დღეს, მთელი დილა, კარჭაპს ვუტრიალებდი; ზეთი გამოვცვალე, ეს გავაკეთე, ის გავაკეთე. შუადღისას ქალაქში გავედი და ერთ პატარა ჩინურ რესტორანში ვისადილე, ორმოც ცენტად კარგად დანაყრდები ამ რესტორანში. მერე ცოლისა და სამი გოგონასათვის რაღაცეები ვიყიდე ქალაქში. ხომ მოგეხსენებათ, ნელსაცხებელიო, მარაოებიო, სამი მაღალი სავარცხელი... საყიდლებს რომ მოვრჩი, დონოვანისკენაც შევუხვიე და ლუდი გადავკარი, ბერიკაცსაც გამოველაპარაკე. იქიდან პირდაპირ სან-ფრანცისკოს ნავსადგომისკენ გავუყევი და გზაში ორ-სამგან კიდეც დავლიე ლუდი.

კუნარდის ბარში ფრენკიც დავიწვიე ლუდზე და, ნავზე რომ დავბრუნდი, კაი გუნებაზე ვიყავი. ჯიბეში ორმოცი ცენტილა დამრჩა. ფრენკიც თან გამომყვა და მანამ ჯონსონს ველოდებოდით, ორი ბოთლი ჩაცივებული ლუდი ამოვიღეთ და დავლიეთ.

ედი აღარ გამოჩენილა არც წინა ღამეს, არც დღისით, მაგრამ ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან უსათუოდ მოვიდოდა, როცა ნისიას შეუწყვეტდნენ. დონოვანმა მითხრა, წუხელ ცოტა ხნით ჯონსონი მოიყვანა და ნისიად გაუმასპინძლდაო. კარგა ხანს ველოდით ჯონსონს, გამიკვირდა, აქამდე რატომ არ გამოჩნდა-მეთქი. ალბათ, გვიან თუ დაიძინა და შუადღემდე ველარ გაიღვიძა-მეთქი, გადავწყვიტე. ბანკები ოთხის ნახევრამდე ღიაა. სარეისო თვითმფრინავმაც ჩაიარა და ექვსის ნახევრისთვის უკვე გუნება გამიფუჭდა.

ექვს საათზე ფრენკი გავგზავნე სასტუმროში, იქნებ ჯონსონი ნახოს-მეთქი. კიდეც არ ვკარგავდი იმედს - ან დიდხანს შეჰყვა ყიალს, ან ცუდად გახდა და ველარ ადგა-მეთქი. ველოდი და ველოდი, მანამ მთლად არ დაღამდა. მაგრამ მოსვენება კი დავკარგე; ხუმრობა ხომ არ არის - რვაას ოცდახუთი დოლარი ემართა.

ნახევარ საათზე ცოტა მეტი შეაგვიანდა ფრენკის. მერე, ვხედავ, გამალებით მოდის და

თავს აქნევს.

- თვითმფრინავით წასულა.

ეგეც შენ! ასეა... საკონსულო უკვე დაკეტილი იყო. ჯიბეში ორმოცი ცენტია მედო. თუმცა სულ ერთია, თვითმფრინავი უკვე მაიამში იქნებოდა. დეპეშის გაგზავნაც კი არ შემეძლო. ჰოი, მისტერ ჯონსონ, ბარაქალა შენს კაცობას! ჩემი ბრალია. უფრო ჭკვიანად უნდა მოიქცე.

- რა გაეწყობა, - ვუთხარი ფრენკის, - ერთი ბოთლი ჩაციებული კიდევ დავლიოთ. მისტერ ჯონსონის ნაყიდია, - სამი ბოთლი ტროპიკული ჩარჩენილიყო ყუთში.

ფრენკისაც ჩემსავით გაფუჭებოდა გუნება. არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ ეს აშკარა იყო. სიტყვა ველარ დაედრა, ხელსდა მითათუნებდა ბეჭებზე და თავს აქნევდა.

ესეც ასე. ყურამდე ჩავეფალი. ხუთას ორმოცდაათი დოლარი ნავის ქირა, სათევზაო მოწყობილობა - სამას ორმოცდაათი. ჰოი, რას გაიხარებენ ეს არამზადები, ნავსადგომში

რომ ირევინ უსაქმურად, გავიფიქრე მე. კონჩები ხომ სიხარულით ცას ეწევიან. სწორედ გუშინწინ მაინც არ მეთქვა უარი სამი ათას დოლარზე, უცხოელებმა რომ შემომადლიეს, კუნძულზე გადაგვიყვანეო. საცა გინდა, წაგვიყვანე, ოღონდ აქაურობას გაგვაშორეო.

კარგი, მაგრამ რა უნდა ვქნა ახლა მე? ტვირთის გადატანა არ მოხერხდება, ჯერ ერთი, ფული არა მაქვს სპირტეულის საყიდლად და, მეორეც, აღარაფერი ხიერი მაგაში არ ყრია. ქალაქი ისედაც სასმელში ცურავს. სპირტეულის მყიდველი ვინდაა ახლა. მაგრამ ხელცარიელი დავბრუნდე შინ და მთელი ზაფხული ვიშიმშილო? ოჯახი მაინც არ მყავდეს. ზღვაში გასვლის ნებართვა ადრევე შევიძინე. ისე ვინ გამოგიშვებს, წინასწარ უნდა გადაიხადო. ბენზინის ფულიც აღარა მაქვს, რა ოხრობა უნდა ვქნა. კაი დღეში კი ჩავვარდი. ბარაქალა, მისტერ ჯონსონ.

- რამე ტვირთი უნდა ვიშოვო, ფრენკი, - ვუთხარი მე, - ცოტაოდენი ფული უნდა გავაკეთო.

- მოვიფიქროთ, - თქვა ფრენკიმ. სულ აქ ყიალებს ხოლმე, ნავსადგომში, ხან რას აკეთებს

და ხან რას, ყურში არაფერი ესმის, ყოველდამე მთვრალია. მაგრამ ამაზე ერთგულსა და გულკეთილს სხვას ვერავის ნახავ. რაც ჩამოვედი, იმ დღიდან ვიცნობ. რამდენჯერ დამხმარებია ნავის დატვირთვაში. მერე სპირტეულის გადმოზიდვას რომ თავი დავანებე და მოხალისე მეთევზეებისათვის ნავის მიქირავება დავიწყე კუბაში, სულ იქ ვხედავდი - ნავსადგომსა და კაფეში. ლენჩით დადის და სულ იკრიჭება. ერთი სიტყვა არ დაცდება, მაგრამ ეს სიყრუით მოსდის.

- სულერთია, რას წაიღებ? - მკითხა ფრენკიმ.

- აბა, რა ვქნა. სარჩევად არა მაქვს საქმე.

- რაც არ უნდა იყოს?

- აბა, რა ვქნა.

- ვნახავ რამეს, - თქვა ფრენკიმ, - სად იქნები?

- „მარგალიტში“ ვიქნები, - ვუთხარი მე, - უნდა ვჭამო რამე.

„მარგალიტში“ ოცდახუთ ცენტადაც მშვენივრად ისადილებ. ყოველ თავ კერძს, სუპს გარდა, ათ ცენტად იძლევიან, სუპი კი ხუთი ღირს. კაფემდე ერთად მივედით მე და ფრენკი, მერე მე კაფეში შევუხვით, ის კი წავიდა. წასვლის წინ ხელი ჩამომართვა და ერთხელ კიდევ მომითათუნა ბეჭებზე.

- გულს ნუ გაიტებ, - მითხრა მან, - მე შემხედე - ბევრი პოლიტიკა, ბევრი საქმე, ბევრი სმა, ფული სულ არა. სამაგიეროდ კარგი მეგობარი. გულს ნუ გაიტებ.

- ნახვამდის, ფრენკი, - ვუთხარი მე, - შენც ნუ გაიტებ გულს.

თავი მეორე

შევედი „მარგალიტში“ და მაგიდას მივუჯექი. ტყვიით ჩამსხვრეული ფანჯრის მინა ახლით შეეცვალათ და ვიტრინაც დაელაგებინათ. დახლთან gallegoes ირეოდნენ - ზოგი სვამდა, ზოგი ჭამდა. ერთ მაგიდაზე უკვე დომინოს თამაშიც გაეჩაღებინათ. მე მუხუდოს სუპი და შემწვარი ხორცი მოვატანინე, მოხარშული კარტოფილით, ამას თხუთმეტი ცენტი დასჭირდა. ერთი ბოთლი ლუდიც - სულ მეოთხედი დოლარი დამიჯდა. ოფიცინტს გამოველაპარაკე სროლის თაობაზე, მაგრამ ხმაც არ გამცა. მაგრად დაფეთებულიყვნენ.

ვახშამს მოვრჩი, სკამს გადავაწექი და სიგარეტს მოვუკიდე. ტვინს ვიჭყლეტდი, რა ვიღონო-მეთქი. ვხედავ, კარებში ფრენკი შემოვიდა, ვიღაცა მოჰყვებოდა. ყვითელი საქონელი ჩანს, გავიფიქრე გუნებაში. ჰო, ყვითელი საქონელი.

- აგერ, მისტერ სინგი მოვიყვანე, - მითხრა ფრენკიმ და გამიღიმა. ხელად მიშოვიდა ხოლმე მუშტარს და ეს ეამაყებოდა.

- გამარჯობა, - მითხრა მისტერ სინგმა.

ჩემს დღეში არ მინახავს ამ მისტერ სინგისთანა ქლესა კაცი. ჩინელი იყო, მაგრამ ინგლისურს ნამდვილი ინგლისელივით ლაპარაკობდა, თეთრი კოსტუმი ეცვა, აბრეშუმის პერანგი, შავი ყელსახვევი, და ას ოცდახუთდოლარიანი პანამა ეხურა.

- ყავაზე არ დამეწვევით? - მკითხა.

- სიამოვნებით.

- მადლობელი ვარ, - მითხრა მისტერ სინგმა. - ჩვენ სულ მარტონი ვართ?

- ამ ხალხს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში, - ვუთხარი მე.

- კეთილი და პატიოსანი, - განაგრძო მისტერ სინგმა, - თქვენ კარჭაპი გქონიათ.

- ოცდათვრამეტი ფუტის სიგრძისა, - ვუპასუხე მე, ასი ცხენის ძალის კერმათი.

- აჰ! - წამოიძახა მისტერ სინგმა, მე უფრო დიდი მეგონა.

- ორას ორმოცდახუთ ყუთს სულ თავისუფლად გადავიტან.

- მომაქირავებთ?

- პირობა როგორი იქნება?

- თქვენ აქ დარჩებით. მე კაპიტანიც მყავს და მეზღვაურებიც.

- არა, - ვუთხარი მე, - უჩემოდ ვერ გავაქირავებ.

- გასაგებია, - თქვა მისტერ სინგმა, - მარტო ვერ დაგვტოვებთ? - მიმართა მან ფრენკის. ფრენკიმ ჩვეული ცნობისმოყვარეობით შეხედა და გაეჭყანა.

- ყრუა, - ვუთხარი მე, - ინგლისურიც არ ესმის ხეირიანად.

- გასაგებია, - თქვა მისტერ სინგმა. - თქვენ ხომ იცით ესპანური. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდეს.

ცერით ვანიშნე ფრენკის. ისიც ადგა და დახლისკენ გაემართა.

- თქვენ არ იცით ესპანური? - ვკითხე მე.

- რა ბრძანებაა, - მითხრა მისტერ სინგმა, - ახლა ეს მითხარით, რამ გაიძულათ თუ გაფიქრებინათ, რომ...

- გავკოტრდი.

- გასაგებია, - თქვა მისტერ სინგმა, - კარჭაპი ხომ არა გაქვთ დაგირავებული? ყადაღას ხომ ვერ დაადებენ?

- არა.

- ძალიან კარგი, - თქვა მისტერ სინგმა, - ჩემი უბედური თანამემამულეების გადაყვანა რომ მოვინდომო, რამდენი კაცი მოთავსდება თქვენს ნავში?

- სად მიგყავთ?

- ერთი დღის გზაა.

- როგორ გითხრათ. თორმეტამდე კაცი. ბარგი თუ არ ექნებათ.

- ბარგი არა აქვთ.

- სად მიგყავთ?

- ეს თქვენთვის მომინდვია, - მითხრა მისტერ სინგმა.

მაინც სად უნდა გადავსხა?

- თქვენ ტორტუგასში გადასასხმელად წაიყვანთ, იქ უხუნამ უნდა მიაკითხოს.

- ჰო, მაგრამ, ტორტუგასში, ზედ ლოგერჰედ კიზე შუქურაც უდგათ და რადიოსადგურიც.

- სავსებით სწორია, - თქვა მისტერ სინგმა, - მართლაც უდიდესი სისულელე იქნებოდა იმათი იქ გადასხმა.

- მაშ რა?

- მე გითხარით, ტორტუგასში გადასასხმელად-მეთქი. იმათთან ასე ვარ შეთანხმებული.

- აჰა!.. - ვთქვი მე.

- საცა გული გატყვით, იქ გადასხით.

- შხუნა მართლა მიაკითხავს ტორტუგასში?
- აჰ, არა, - მითხრა მისტერ სინგმა, - რა სისულელეა.
- თითო სულზე რამდენს გადაიხდით?
- ორმოცდაათ დოლარს.
- არ გამოვა.
- სამოცდათხუთმეტზე რას იტყვით?
- თქვენ თვითონ რამდენს იღებთ კაცზე?
- მაგას ამ საქმესთან რა კავშირი აქვს. მართალი თუ გინათ, ჩემი დამოკიდებულება ამ საქმესთან სულ სხვადასხვა ასპექტით, ან, თუ გნებავთ, სხვადასხვა კუთხით განიზომება. მარტო ამ საკითხით არ ისაზღვრება.
- დიახ, - ვთქვი მე, - იმ საქმეში კი, რის გაკეთებასაც მთავაზობთ, ფული სულაც არ არის საჭირო, ხომ?
- სავსებით გასაგებია, - მითხრა მისტერ სინგმა, - ას-ას დოლარზე რას იტყვით?
- მოიხედეთ, - ვუთხარი მე, - რომ ჩამავლონ, რამდენი წლის ციხე მელის, თუ იცით მაინც?
- ათი წლის, - თქვა მისტერ სინგმა, - სულ ცოტა, ათი წლის. მაგრამ ციხეში ჩაჯდომა რა სავალდებულოა, ჩემო ძვირფასო კაპიტანო! მთავარი რისკი მგზავრების ჩასხმაა. დანარჩენი თქვენს სიფრთხილეზეა დამოკიდებული.
- რომ მობრუნდნენ და პასუხი მოგთხოვონ?
- მაგაზე ადვილი რაა. მე თქვენ დაგდებთ ბრალს, რად მიღალატე-მეთქი, მერე ნაწილობრივ ავუნაზღაურებ ზარალს და ისევ გავამგზავრებ. რაღა თქმა უნდა, თვითონაც კარგად ესმით, რა ძნელი მგზავრობა ელით.
- მე რაღა უნდა ვქნა?
- ალბათ საკონსულოში მომიწევს შეტყობინება.
- მესმის.
- ათას ორასი დოლარი ჩვენს დროში ასე ასაგდები ფული არ არის, კაპიტანო.
- ფულს როდის მივიღებ?
- ორას დოლარს, თანხმობას რომ მეტყვით, მაშინვე, ათასს კი - როცა ხალხს ჩასხამთ.
- თანა გაქვთ ის ორასი დოლარი?
- რა თქმა უნდა.

- თეფშის ქვეშ ამოდეთ.

ამოიღო და თეფშის ქვეშ ამოდო.

- ძალიან კარგი, ვუთხარი მე, - დილით ნებართვას ავიღებ და როგორც კი დაბნელდება, ზღვაში გავალ. ჰო, ხალხი სად უნდა ჩავსხა?

- ბაკურანაოზე რას იტყვით?

- თქვენი ნებაა. მოგვარებული გაქვთ ყველაფერი?

- რა თქმა უნდა.

- ახლა ხალხის ჩასხმაზე მოვილაპარაკოთ, - ვთქვი მე, - თქვენ ორ სინათლეს ამინთებთ კონცხზე, ერთს მაღლა და მეორეს - ცოტა უფრო დაბლა... დავინახავ თუ არა, მაშინვე გამოვწევ. თქვენ ნავით შემოხვალთ ზღვაში და ნავიდან გადმოვსხათ. თქვენც იქვე იქნებით და ფულსაც თან იქონიებთ. მანამ არ გამისწორდებით, ერთ კაცსაც არ ჩავისვამ.

- არა, - თქვა მან, - ნახევარს ჩასხმის დაწყებისთანავე მიიღებთ, ნახევარს მერე, როცა ჩასხმას მორჩებით.

- აგრე იყოს, ვუთხარი მე, - უფრო ჭკვიანურია.

- მაშ, ყველაფერზე შევთანხმდით.

- მე მგონი. არავითარი ბარგი, არავითარი იარაღი - არც თოფები, არც დანები, არც სამართებლები. ერთი სიტყვით, არაფერი. მე თვითონ შევამოწმებ.

- არ მენდობით, კაპიტანო? - მითხრა მისტერ სინგმა, - ვერა ხედავთ მაინც, რომ ჩვენ ერთნაირი ინტერესი გვაქვს?!

- შემამოწმებინებთ?

- თუ ღმერთი გწამთ, უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩამაყენებთ. თქვენ თვითონ ვერა ხედავთ, რომ ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა?

- კარგი, - მივუგე მე, - რა დროს მოხვალთ?

- შუალამისას.

- კარგი, მგონი ყველაფერზე შევთანხმდით.

- რა ფული გირჩევნიათ?

- ასიანები იყოს.

წამოდგა. მე თვალი გავაყოლე. კარებში რომ გადიოდა, ფრენკიმ გაუღიმა. მისტერ სინგს არც კი შეუხედავს მითვის. ქლესა ჩინელი ბრძანდებოდა. ეჰ, ჩინელო, ჩინელო.

ფრენკი მაგიდასთან მოვიდა.

- რაო? - იკითხა მან.

- საიდან იცნობ ამ მისტერ სინგს?

- ჩინელები გადაჰყავს ხოლმე, - მითხრა ფრენკიმ, - დიდი საქმის კაცია.

- რამდენი ხანია იცნობ?

- ორი წელიწადი იქნება, რაც აქ არის, - თქვა ფრენკიმ, - ადრე ვილაც სხვას გადაჰყავდა. ალბათ მოკლეს.

- როცა იქნება, მაგ მისტერ სინგსაც მოკლავენ.

- მაშ არადა, - თქვა ფრენკიმ, - ახიც იქნება. დიდ საქმეს ეჭიდება.

- იცოცხლე!

- ძალიან დიდ საქმეს, - მითხრა მან, - მაგისი გამგზავრებული ჩინელები უკან აღარასოდეს ბრუნდებიან. სხვა ჩინელები წერილებს მაინც იწერებიან, კარგად ვართო.

- დიდებულია.

- მაგისტანა ჩინელებმა წერა არ იციან. მარტო მდიდარმა ჩინელებმა იციან წერა-კითხვა. არც არაფერს ჭამენ. ბრინჯით უდგათ სული. ასი ათასი ჩინელია აქა. მარტო სამი ჩინელი ქალი ჰყავთ.

- რატომ?

- მთავრობა არ ანებებს.

- შავ დღეში ყოფილან.

- საქმეს გაურიგდი?

- ალბათ.

- კარგი საქმეა. პოლიტიკას ჯობია. დიდძალი ფული იცის, დიდებული საქმეა.

- ლუდი დალიე, - ვუთხარი მე.

- კიდევ ცუდ გუნებაზე ხარ?

- აჰ, აღარა, - ვუთხარი მე, - დიდი საქმე გამოდგა. ძალიან დამავალე.

- კარგია, - თქვა ფრენკიმ და ბეჭებზე ხელი მომითათუნა. - შენ რომ კარგად გხედავ, მეც მიხარია. შენი კარგა ყოფნის მეტი არაფერი არ მინდა. ჩინელები კაი საქმეა, ჰა?

- დიდებულია.

- მეც მოვისვენე. - თქვა ფრენკიმ. ცოტას გაწყდა, არ ატირდა; ძალიან ნასიამოვნები დარჩა, რომ ყველაფერი ასე კარგად მოგვარდა. მეც ავიღე და ბეჭებზე ხელი მოვუთათუნე. ეჰ ფრენკი! ფრენკი!

დილით აგენტთან მივედი და ნებართვა ვთხოვე. მეზღვაურების სია მომთხოვა, მაგრამ არავინ არა მყავს-მეთქი, ვუთხარი.

- მარტო აპირებ წასვლას, კაპიტანო?

- დიახ.

- შენს თანაშემწეს რა მოუვიდა?

- ლოთობს.

- მარტო წასვლა ძალიან საშიშია.

- ოთხმოცდაათი მილის გავლას რა ბევრი რამე უნდა, ვუთხარი მე, - ლოთი გინდა გყოლია და გინდა არა.

ნავი სტანდარტ-ოილის მისადგომზე გადავაცენე და ბენზინით გავავსე ორივე ავზი. თითქმის ორას გალონს იტევს. ძალიან კი მიმძიმდა ამ ბენზინის ყიდვა, ოცდარვა-ოცდარვა ცენტად თითო გალონი, მაგრამ ვინ იცის, სად მომიწევს წასვლა.

რაც ამ ჩინელს გადავეყარე და ფული გამოვართვი, მოსვენება დამეკარგა. სულ ამ საქმეზე ვფიქრობდი. მთელი ღამე თეთრად გავათენე. სან-ფრანცისკოს ნავსადგომში რომ მივბრუნდი, ედი იქ დამხვდა, მელოდებოდა.

- ჰელოუ ჰარი, - შორიდანვე მომამახა და ხელი დამიქნია. კიჩოს საბელი გადავუგდე და იმანაც ხიმინჯზე მიაბა. მერე ნავზე ამოვიდა. ჩვეულებრივზე უფრო აწოწილი ჩანდა, უფრო თვალამღვრეული და უფრო მთვრალი. კრინტიც არ დამიძრავს მასთან.

- ხედავ, ჰარი, როგორ გაიძურწა ის ვაჟბატონი, ჯონსონია თუ ვიღაცა. - მითხრა მან, - ხომ არაფერი გაგიგია?

- აქედან დაიკარგე, - ვუყვირე მე, - შხამივით მეზიზღები.

- შენ გგონია, ნაკლებად მაწუხებს ეს ამბავი, ძამიკო?

- დაიკარგე-მეთქი.

უფრო მოხერხებულად გადაწვა სკამზე და ფეხები გაშალა.

- დღეს მივდივართო, ყური მოვკარი, - თქვა მან, - ან კი რა აზრი აქვს აქ ყურყუტს.

- შენ არსადაც არ მიდიხარ.

- რა მოგივიდა, ჰარი? ჩემთან ჩხუბი არაფერ ხეირს არ დაგაყრის.

- რაო? დაიკარგე!..

- ძალიან ნუ გაცხარდები.

ავიღე და სახეში გავუშალე, წამოდგა და ისევ ნავმისადგომზე აბობლდა.

- მე ასე არ მოგეცეოდი, ჰარი, - გამომძახა.

- რას გამიბედავდი! - ვუპასუხე მე, - არსადაც არ წაგიყვან. მორჩა და გათავდა.

- სახეში გარტყმას რაღას მემართლებოდი?

- ჭკუაზე მოგიყვანს.

- რას მიპირებ? აქ დავრჩე და შიმშილით მოვკვდე?!

- შიმშილით რა მოგკლავს, - ვუთხარი მე, - სარეისო გემზე მოეწყობი. უკან გასაბრუნებელ ფულს გააკეთებ.

- ასე უსინდისოდ რად მექცევი?

- ნეტა შენ ვის მოქცევიხარ სინდისიერად, შე ლოთო?! - შევძახე მე, - მშობელ დედასაც არ დაინდობ.

მართლაც ასე იყო. მაგრამ მაინც გული დამწყდა, რატომ გავარტყი-მეთქი! ასეთი გრძნობა მოგიცავს ხოლმე, მთვრალს რომ შემოჰკრავ. მაგრამ ამისთანა საქმეზე ნამდვილად ვერ წავიყვანდი. ძალიანაც რომ მდომოდა, მაინც ვერ წავიყვანდი.

ნავსადგომს დაუყვავა. უსაუზმოდ დღეზე უფრო გრძელი ჩანდა ახლა. მერე მობრუნდა და ჩემკენ გამოემართა.

- იქნებ ორიოდ დოლარი მასესხო, ჰარი!

ავიღე და ხუთდოლარიანი მივეცი, ჩინელისგან აღებული.

- ჩემს დღეში არ შემპარვია ეჭვი, რომ კარგი ძმაცავი იყავი, ჰარი. ბარემ წამიყვანე.

- ცუდი ფეხი გაქვს!

- შენ დღეს გაცეცხლებული ხარ და ეგ არის, - თქვა მან, - არა უშავს, ძმობილო. მეორედ რომ შემხვდები, გაგეხარდება კიდევ.

ფული რომ მოიგდო, ფეხს აუჩქარა, მაგრამ რომ ვუყურებდი, მაინც ეკალივით მესობოდა გულზე. ისე მიდიოდა, თითქოს მთელი სახსრები შებრუნებული ჰქონოდა.

„მარგალიტისკენ“ გავწიე, ვნახე აგენტი, ქაღალდები მომცა, მე ლულზე დავპატიჟე. მერე, სასაუზმოდ რომ დავჯექი, ფრენკიც შემოვიდა.

- ეს მომცა ვილაცამ, გადაეციო, - დახვეული ქალაღდი მომაჩეჩა, გარედან წითელი კანაფით იყო შეკრული. გარეთა ქალაღდი რომ შემოვხსენი, ფოტოსურათი მეჩვენა, ალბათ ვინმემ ჩემი ნავი თუ გადაიღო-მეთქი, გავიფიქრე და გავშალე.

რას ნახავ! მკვდარი ზანგის სურათი იყო. ყელი ყურიდან ყურამდე სულ გამოღადრული და მერე ამოკერილი ჰქონდა, მკერდზე კი - ქალაღდი: „ენაწაგდებულებს ჩვენ ასე ვუსწორდებით“, ეწერა ესპანურად.

- ვინ მოგცა ეს ქალაღდი? - ვკითხე ფრენკის.

ერთი ესპანელი ბიჭი დამანახა, ნავსადგომზე მუშაობს ხოლმე. ახლა დახლთან იდგა და საუზმობდა.

- წადი, მოიყვანე.

ბიჭი მოვიდა. ორ ახალგაზრდა კაცს მიეცა. ასე, თორმეტი საათი იქნებოდაო. თუ იცნობო, ჩემზე უკითხავთ და, კიო, ამას უპასუხნია. ბიჭმა კიდევ აიღო და ფრენკის მისცა ჩემთვის გადმოსაცემად. ერთი დოლარი აჩუქეს თურმე, უსათუოდ გადაეციო. კარგად ჩაცმულები იყვნენო, დაასრულა ბიჭმა.

- პოლიტიკა ჩანს, - თქვა ფრენკიმ.

- ჰო, ასეა, - ვუთხარი მე.

- ალბათ ჰგონიათ, რომ პოლიციაში დაასმინე, ამ დილით რომ იყვნენ აქ.

- ჰო, ალბათ.

- ვერაფერიშვილი პოლიტიკაა, - დაასკვნა ფრენკიმ, - კიდე კარგი, მიდიხარ.

- ხომ არაფერი დაგაბარეს? - ვკითხე მე ესპანელ ბიჭს.

- არა. ეს გადაეციო, მითხრეს.

- წავედი, - ვუთხარი ფრენკის.

- ვერაფერიშვილი პოლიტიკაა, - გაიმეორა ფრენკიმ, - ძალიან ცუდი პოლიტიკა.

აგენტის მოცემული ქალაღდები ერთად დაგვეცე. საუზმის ფული გადავიხადე და კაფედან გამოვედი, მოედანს დავუყევი, ჭიშკარი გავიარე. შვებით ამოვისუნთქე, როცა საწყობებს გავცდი და ნავსადგომზე შევდგი ფეხი. რაც გინდა თქვი და კაი შიში კი მაჭამეს იმ ბიჭებმა. ბრიყვები!.. ეგონათ, მათ საიდუმლოს სადმე წამოვაცრანტალებდი. რაღა პანჩო და რაღა ეგ ბიჭები. შიში აცოფებთ ხოლმე, და როცა გაცოფდებიან, ვინმე უნდა მოკლან.

ნავზე ავედი და ძრავი ჩავრთე გასახურებლად. ფრენკი ნავსადგომის ბაქანზე იდგა და მე შემომცქეროდა. ახლაც ყრუ ადამიანის უცნაური ღიმილით იკრიჭებოდა. მისკენ გავემართე.

- ჰეი, - ვუთხარი მე, - შენც არ ჩავარდე ამ ამბების გამო.

ვერ გაიგონა. იძულებული გავხდი, მეყვირა.

- ეჰ, ჩემი კარგი პოლიტიკა, - თქვა მან. მერე ნავი ხიმინჯიდან ახსნა.

თავი მესამე

ხელი დავუქნიე ფრენკის, მან საბელი მესროლა. კარჭაპი გავაცურე და უბეში გავედი. ჩემ წინ ინგლისური სატვირთო გემი მოდიოდა - წამოვეწიე და გავუსწარი. მაგრად იყო დატვირთული შაქრით და სულ ჩაქანგებული ჩანდა. კიჩოზე ძველ, ლურჯ სვიტერში ჩაცმული ლიმონიწუნია¹²¹ იდგა; როცა ჩავუარე, ზემოდან გადმომხედა. ნავსადგური გავიარე, მოროს გავცდი და გეზი კი-უესტისკენ დავიჭირე, ჩრდილოეთით. საჭეს მოვშორდი, საბელი დავახვიე, მერე ისევ მივბრუნდი და გეზი გავასწორე; ჰავანა ჯერ კიჩოს გასწვრივ გადაიშალა, მერე კი ჩვენს შორის მთები აღიმართა და თვალს მიეფარა.

თანდათანობით მოროც გაუჩინარდა, მერე - სასტუმრო „ნაციონალიც“. ხოლო საბოლოოდ კაპიტოლის გუმბათიც დავკარგე თვალთაგან. იმ დღესთან შედარებით, როცა ჩვენ უკანასკნელად გავედით სათევზაოდ, ახლა ძლიერი დინება არ ყოფილა, მსუბუქი ზღვაური უბერავდა. ორი სმაკი დავინახე, ჰავანასაკენ მიცურავდნენ. დასავლეთიდან მოდიოდნენ და ამითაც შეატყობდი, რომ დინება ძლიერი არ იყო.

ძრავი გამოვრთე - ტყუილად რად უნდა მეხარჯა ბენზინი. ნავი დინებას მივანდე. რომ დაბნელდება, გზას მოროს შუქურითაც ადვილად გავიგნებ, ან არადა, შორს თუ გამიტაცა დინებამ, კოხიმარის სინათლეებითაც შეიძლება ადგილსამყოფელის განსაზღვრა და ბაკურანაოსკენ მერე ავიღებ გეზს. ვარაუდით გამოვთვალე, რომ ასეთი დინება დაბნელებამდე თორმეტიოდე მილით წაიყვანდა ნავს ბაკურანაოსკენ და იქიდან კი ბარაკოას სინათლეებითაც შეიძლებოდა გზის გაგნება.

ერთი სიტყვით, ძრავი გამოვრთე და მალე ავედი, რათა ირგვლივ თვალი მომეველო. ის ორი სმაკილა ჩანდა, რომელთაც დასავლეთისაკენ აეღოთ გეზი, ხოლო უფრო მოშორებით - ზღვაზე გადმომხობილი კაპიტოლის თეთრი გუმბათი. ალაგ-ალაგ წყალზეით ამოწვერილ ყვითელ მცენარეებსაც შენიშნავდი, ჰაერში კი ფრინველები დასრიალებდნენ, ალონდ კანტიკუნტად. ერთ ხანს ვიჯექი ასე ჯიხურზე და ზღვას ვაკვირდებოდი, მაგრამ თევზი არ შემინიშნავს, გარდა იმ წვრილი მურა თევზებისა, რომლებიც წყალმცენარეების ირგვლივ ირევიან ხოლმე. არავის არ დაუჯერო, ჩემო ძმაო, თითქოს ჰავანა იქვე იყოს კი-უესტთან. რამდენი ხანია გამოვედი და წინ კიდევ რა გზა მედო!

ცოტა ხნის მერე დაბლა ჩავედი, კოკპიტში, და იქ ედი დამხვდა.

- რა მოხდა? ძრავს რა მოუვიდა?

- გატყდა.

- სარკმელს რატომ არ კეტავ?

- ეჰ, ჯანდაბას! - ვთქვი მე.

იცით, რა უქნია? უკანვე მობრუნებულა, წინა სარკმლიდან გადმომძვრალა კაიუტაში და დაუძინია. თან ორი ბოთლი მოუტანია. პირველივე ბოდეგაში შევიდა თურმე, ეს ორი ბოთლი იყიდა და ნავზე დაბრუნდა. ძრავი რომ ჩავრთე, ერთი გაღვიძება გაელვია, მაგრამ ისევ დაეძინა, ხოლო უბეში რომ გავაჩერე ნავი, რწევა დააწყებინა და ხელახლა გაელვია.

- ვიცოდი, რომ წამომიყვანდი, ჰარი.

- ჯანდაბაში წაგიყვან, - ვუთხარი მე, - მეზღვაურთა სიაშიც კი არ ხარ შეტანილი. ახლავე გადაგახტუნებ ზღვაში.

- შენ ძველი ხუმარა ხარ, - მითხრა მან, - გაჭირვების დროს თუ ერთმანეთს მხარში არ ამოვუდექით, რალა კონჩები ვართ!

- შენა? შენი ენის პატრონი მეუბნები მაგას? მტერი მოგენდოს, ენად თუ გაიკრიფე!

- მე ნალდი კაცი ვარ, ჰარი. ერთი გამომცადე და ნახე, რა ნალდი კაცი ვარ.

- ეს ბოთლები აქ მომეცი, - ვუთხარი მე. სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი.

ბოთლები მომაწოდა, და მე გახსნილი ბოთლიდან მოვსვი, მერე ძირს დავაწყვე, საჭესთან. ედიც იქვე იდგა. გადავხედე. შემეცოდა. თავიდან უნდა მომეშორებინა, სხვა გზა არ მქონდა, და ამიტომაც შემეცოდა. ეჰ, პირველად რომ გავიცანი ედი, მაშინ კაცური კაცი იყო.

- ნავს რა მოუვიდა, ჰარი?

- არაფერიც არ მოსვლია.

- მაშ რა მოხდა?.. რას მომაშტერდი?

- ძმობილო, - ვუთხარი მე და ისევ სიბრალულმა წამომიარა, - ცუდად არის შენი საქმე, მტრისას!

- რას მიპირებ, ჰარი?

- მე თვითონ არ ვიცი, - ვუთხარი მე, - ჯერ არ მომიფიქრებია.

ერთ ხანს ასე ვისხედით, სულაც არ მეხალისებოდა მასთან საუბარი. ვიცოდი, რაც უნდა მომხდარიყო და მიმძიმდა გამოლაპარაკება: მერე დაბლა ჩავედი და დგუშიანი თოფი და ოცდაათყალიბრიანი უინჩესტერი ამოვიტანე - ქვემოთ ვინახავდი ხოლმე, კაიუტაში, ახლა წამოვიღე და, ბოხჩები არც კი გამიხსნია ისე, ჯიხურზე ჩამოვკიდე, ზედ საჭესთან, საცა ანკესებს ვკიდებთ ხოლმე. ასე უფრო ადვილად მივწვდებოდი. ფარფაზა ბოხჩებში მიდევს, შიგნით მატყლი აქვს გამოკრული და ეს მატყლი მუდამ ზეთით არის გაჟღენთილი. ასე თუ არ ქენი, ჟანგს მოიკიდებს იარაღი გემზე.

თოფს დგუში გავუსინჯე, რამდენჯერმე მოვუშვი და ისევ დავამაგრე, მერე კი გავტენე. უინჩესტერსაც პირში მივეცი ერთი ტყვია, სავაზნე კოლოფიც კარგად გავტენე. მერე ნაალიდან ოცდათვრამეტყალიბრიანი სმით-ვესონი გამოვაძვრე, გავწმინდე, გავზეთე, გავტენე და ქამარზე ჩამოვიკიდე. მაიამის პოლიციაში რომ ვმუშაობდი, იქიდან შემომრჩა ეს რევოლვერი.

- რა მოხდა? - მკითხა ედიმ, - გამაგებინე მაინც, რა ჯანდაბა მოხდა?

- არაფერიც არ მომხდარა.

- მაშ, ეს იარაღი რა ჯანდაბად გინდა?

- მუდამ თან არ დამაქვს გემზე იარაღი?.. ხან ჩიტებს ვესვრი, საქნიერებს თუ დაუწყეს წიწკნა, ხან ზვიგენი გამოჩნდება, ან იქნებ კუნძულებს შორის კრეისერობის დროს დამჭირდეს.

- რა ჯანდაბა მოხდა? - არ მეშვებოდა ედი, - რა მოხდა?

- არაფერიც არ მომხდარა, - მივუგე მე. იქვე ვიჯექი, კარჭაპის რწევისაგან ჩემი ძველი სმით-ვესონი ბარძაყზე მიტყაპუნებდა. ედის შევეყურებდი და ვფიქრობდი - ახლა რა აზრი აქვს, იქნებ კიდეც დამჭირდეს.

- პატარა საქმე გამოგვიჩნდა, - ვუთხარი მე, - ბაკურანაოში. როცა დრო მოვა, მე თვითონ გეტყვი, რა უნდა გააკეთო.

წინასწარ ყველაფრის თქმას მოვერიდე - შეწუხდება, დაფრთხება და მერე მორჩა, აღარაფერში არ გამოგადგება.

- ჩემზე უკეთესს ვერავის ვერ იშოვი, ჰარი, - თქვა მან, - სწორედ ჩემისთანა კაცი გჭირდება. მუდამ შენთან მიგულე.

შევხედე ამ აწოწილ, თვალამღვრეულ, მოყანყალეზულ მაწანწალას, მაგრამ თქმით არაფერი მითქვამს.

- მოიხედე, ჰარი, - მითხრა მან, - ერთი ყლუპი მაინც მომასმევი. კანკალი არ დამაწყებინოს, მეშინია.

მივეცი ბოთლი. ვისხედით ასე და დადამებას ველოდით. დიდებული სანახავი იყო მზის ჩასვლა, თან საამური სიოც ქროდა. მზე რომ ჩაესვენა, ძრავი ჩავრთე და კარჭაპი მძიმედ გავაცურე ნაპირისაკენ.

თავი მეოთხე

ნაპირიდან ერთი მილის დაშორებით გავჩერდი სიბნელეში. მზის ჩასვლას დინების გაძლიერება მოჰყვა და შევნიშნე, რომ მიმართულება შესცვლოდა დინებას. დასავლეთით, კარგა შორს, მოროს შუქურა ელავდა, ჰავანაც დაისის ციაგში გახვეულიყო. ჩვენ პირდაპირაც ციმციმებდა სინათლეები, ეს იყო რინკონი და ბარაკოა. მანამ ბაკურანაოს გავცდებოდი და კოხიმარს მივუახლოვდებოდი, კარჭაპი დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიმყავდა, აქედან კი დინებას მივაცოლუე. კარგა მაგრად ბნელოდა, მაგრამ ჩვენს ადგილსამყოფელს შეუცდომლად გეტყოდით. ერთი სინათლეც არ მენტო კარჭაპზე.

- ჰარი, მითხარი მაინც რა ხდება? - ედის ისევ იპყრობდა შიში.

- შენ როგორ ფიქრობ, რა ხდება?

- რა ვიცი, - თქვა მან, - მე კი დამაფეთე და. - ჰა და ჰა, ეტყობოდა, ისევ აიტანდა კანკალი და, როცა მომიახლოვდა, მისი სუნთქვაც ვიგრძენი, კაკაჩას სუნი ასდიოდა.

- რა დრო იქნება?

- წავალ, ვნახავ, - თქვა მან. მალევე მობრუნდა, ათის ნახევარი, თქვა.

- გშია? - ვკითხე მე.

- არა. ხომ იცი, რომ ასე ვერა ვჭამ, ჰარი.

- კარგი, ერთი კიდეც მოსვი.

ახლა როგორღა ხარ-მეთქი, ვკითხე, როცა მოსვა. კარგად ვარო.

- ცოტა ხნის მერე კიდეც დაგაღვივინებ, - ვუთხარი მე. - გიცნობ, რა ვაჟკაციც ბრძანდები: თუ არ შეთვერი, შიშით სული გაგძვრება. მაგრამ დასაღვივიც რომ ბევრი აღარა გვაქვს. რას იზამ, იოლას უნდა გახვიდე.

- მითხარი მაინც, რა უნდა გავაკეთოთ.

- მოიხედე, - დავიწყე მე იმ სიბნელეში, - ბაკურანაოში უნდა ჩავიდეთ და იქიდან თორმეტი ჩინელი უნდა წამოვიყვანოთ. შენ საჭესთან უნდა დადგე, როცა განიშნებ, და რასაც გიბრძანებ, ყველაფერი უნდა გააკეთო. ჩავსხამთ იმ თორმეტ ჩინელს და მაშინვე კაიუტაში დავამწყვდევთ. ახლა წადი და წინა სარკმელი დაკეტე გარედან.

წავიდა. ხომ სიბნელე იყო, მაინც გავარჩიე მისი ჩრდილი, მობრუნდა თუ არა, მაშინვე მთხოვა:

- ჰარი, არ შეიძლება, ახლავე მოვსვა?

- არა. მე მინდა ცოტათი გაგამხნეოს სასმელმა; სულ თუ მოიჩვართე, რილას მაქნისი იქნები?!

- მე ნაღდი კაცი ვარ, ჰარი. შენ თვითონ ნახავ.

- შენ ლოთი ხარ, - ვუთხარი მე. - მოიხედე, აქ ერთი ჩინელი უნდა მოვიდეს და ის თორმეტი კაცი მოიყვანოს. ფულის ერთ ნაწილს წინასწარ მომცემს. დანარჩენს - როცა

ხალხს ჩავსხამთ, მერე თვალი კარგად გეჭიროს, როცა დაინახავ, მეორე ნაწილსაც მაძლევს, კარჭაპი მაშინვე დაძარი და ზღვაში გადი. რაც არ უნდა მოხდეს. გაიგე?

- გავიგე.

- კაიუტიდან გადმოხტომა თუ მოინდომოს რომელიმე ჩინელმა, ან სარკმელიდან გადმოძრომა, მაშინვე დგუშთან თოფს დასტაცე ხელი და უკანვე შეაბრუნე. დგუშთან თოფის ხმარება ხომ იცი?

- არა, მაგრამ მასწავლე.

- ვერ დაიხსომებ. არც უინჩესტერის ხმარება იცი?

- ფეხი უნდა გამოვუშალო და გავისროლო!

- სწორი ხარ, - ვუთხარი მე, - ოღონდ ფრთხილად, კარჭაპის კორპუსს არ მოახვედრო.

- ბარემ ერთი ყლუპი კიდევ მოგესმევიანებინა.

- კარგი, მოსვი.

მართლაც დავალევიანე. ვიცოდი, რომ აღარ დათვრებოდა ახლა. შიში გაუქარწყლებდა სიმთვრალეს. მაგრამ ცოტა ხნით ხომ იმოქმედებს ყოველი ყლუპი. როცა მოსვა, სიხარულით წამოიძახა, თითქოს ძალიან ბედნიერი ყოფილიყოს ამით:

- მაშ, ჩინელები მიგვყავს! სულ ამას გავიძახი, ღმერთმანი: საქმე რომ ცუდად წამივა, ჩინელების გადაზიდვას დავიწყებ-მეთქი.

- როდის წაგსვლია საქმე ცუდად, ჰა? - ვუთხარი მე. რაც გინდა თქვი და დიდი სასაცილო კაცი კი იყო.

ათის ნახევრამდე სამჯერ კიდევ დავალევიანე გულის გასამაგრებლად. უნდა გენახათ, რა სასაცილო იყო, ვუყურებდი და გულს ვაყოლებდი. არ მიფიქრია, ამდენი ლოდინი თუ დამჭირდებოდა. რომ დაბნეულდება, გავალ, სინათლის ზონას გავეცლები და, ნაპირის გასწვრივ, კობიმარისკენ გავწევ-მეთქი, ვფიქრობდი.

თორმეტს ცოტადა აკლდა, როცა კონცხზე ორი სინათლე შევნიშნე. ცოტა დავიცადე და ნელა დავძარი კარჭაპი ნაპირისაკენ. ბაკურანაო პატარა ყურეა, წინათ აქ დიდი ნავსადგომი ჰქონდათ მოწყობილი, სილას ეზიდებოდნენ. პატარა მდინარე ერთვის აქ ზღვას და წვიმების დროს შესართავს ერთიანად ამოსილავს ხოლმე. ზამთრობით ჩრდილოეთის ქარი მოაყრის და მოაყრის სილას და ერთიანად ჩაკეტავს მდინარეს. უწინ შხუნები მოჰყავდათ აქ და guavas-ათი ტვირთავდნენ. აქვე ქალაქიც იყო გაშენებული. მერე ქალაქი გრიგალმა დაანგრია და ახლა სულ მოსწორებულია აქაურობა, ერთი სახლილა დგას, გალევოებმა ააშენეს გრიგალისაგან დანგრეული ქოხმახების მასალით და კლუბივით იყენებენ. წამოვლენ კვირაობით ჰავანიდან დროს სატარებლად და ბანაობენ და ქეიფობენ. მეორე სახლიც დგას, აგენტი ცხოვრობს შიგ, მაგრამ ეს სახლი უფრო მოშორებითაა ნაპირიდან.

ამისთანა ადგილებში, მთელი სანაპიროს გაყოლებაზე, სულ აგენტები უდგათ, მაგრამ, მე მგონი, ჩინელი მასთანაც იქნებოდა მოლაპარაკებული, ის კი არა და, ნავსაც ის ათხოვებდა. უბეში რომ შევედით, ერთბაშად მეცა ზღვის ყურძენასა და ბუჩქების ტკბილი სუნი, რაც მუდამ ხმელეთიდან მოდის ხოლმე.

- წინ გაიხედე, - გავძახე ედის.

- აქ არაფერს არ წამოვედები, - მიპასუხა მან, - რიფები იქითა მხარესაა, ზედ შესასვლელში. - ხომ ხედავთ, რა ბიჭი ყოფილა ერთ დროს!

- ყურადღებით იყავი, - ვუთხარი მე და კარჭაპი იქითკენ მივმართე, სადაც ნამდვილად დაგვინახავდნენ. მიქცევა არ ყოფილა და ძრავის გუგუნს ადვილად გაიგონებდნენ. ზღვაში ყურყუტს და იმის ვარაუდს, შეგვნიშნეს თუ არა-მეთქი, ვერიდებოდი, ამიტომ წამიერად სინათლეები ავანთე - წითელიცა და მწვანეც - და ხელადვე ჩავაქრე. მერე კარჭაპი შევატრიალე და ცოტაზე უკანვე გავბრუნდი. ზედ უბის ყელთან გავჩერდი, ძრავი კი არ გამომირთავს, ისევ ვაგუგუნებდი. დიდი ღელვა არ ყოფილა, ოდნავ გვარწევდა.

- აქ მოდი, - გავძახე ედის და ამჯერად კარგა მაგრად მოვასმევინე.

- ჩახმახი ადრევე უნდა გადმოვწიო ცერით? - ჩურჩულით მკითხა. ახლა უკვე საჭესთან იჯდა, მე ხელი გადავწიე, ორივე ბოხჩა გავხსენი და ტარები ორიოდ გოჯზე ამოვაცურე.

- ჰო.

- ჰოი, ბიჭო! - შესძახა მან.

საოცარი კი იყო, რა დიდებულად მოქმედებდა სასმელი და ისიც რა სწრაფად.

იქვე ვიდექით, როცა ბუჩქებს მიღმა, აგენტის სახლში, სინათლეს მოვკარი თვალი. ის ორი სინათლე კი, კონცხზე, ერთი პირობა გაქრა, მერე ერთ-ერთმა კონცხის იქითა მხარეს გაიელვა. ეტყობა, მეორე ჩააქრეს.

- ცოტა ხნის შემდეგ, ვხედავ, ნავი გვიახლოვდება, ნიჩბებით მოაცურებს ვიღაც. ამას ნავის თავისებურ რწევაზე მივხვდი. ისიც აშკარად ეტყობოდა, რომ დიდი ნიჩბები იყო. ძალიან გამეხარდა: რაკი კიჩოს დიდი ნიჩბები იყო, უსათუოდ ერთი მენავე იქნებოდა.

გაგვიპირდაპირდნენ.

- სალამო მშვიდობისა, კაპიტანო, გამომძახა მისტერ სინგმა.

- კიჩოთი მოაცურეთ და ზედ მოეკვრება კარჭაპს, - ვუთხარი მე.

მისტერ სინგმა რაღაც გადაულაპარაკა მენავე ბიჭს, მაგრამ ბიჭმა ვერ მოახერხა ნავის უკუსვლით წამოყვანა; ავდექი და პლანშირს ვტაცე ხელი, კიჩოსთან მოვაცურე. რვა კაცი იჯდა ნავში - ექვსი ჩინელი, თვით მისტერ სინგი და მენავე ბიჭი. მანამ წახრილი ვიყავი და ნავს ჩემკენ ვქაჩავდი, სულ თავში ჩარტყმას ველოდი, მაგრამ არა. გავიმართე და მისტერ სინგს საშუალება მივეცი კიჩოს ჩაფრენოდა.

- აბა, ერთი ვნახოთ, როგორია, - ვთქვი მე.

მისტერ სინგმა ფულის შეკვრა გადმომცა. საჭესთან მივბრუნდი, საცა ახლა ედი იჯდა, და ნაგტუიზის სანათური ავანთე. გაფაციცებით დავათვალიერე შეკვრა. რიგიან-პირიანად მეჩვენა ყველაფერი და ისევ ჩავაქრე სინათლე. ედი კანკალს აეტანა.

- მიდი, დალიე, - ვუთხარი მე. ბოთლს გადაწვდა და მიყუდა.

ისევ კიჩოსთან მივედი.

- კარგი, - ვუთხარი მე სინგს, ამოვიდეს ეს ექვსი.

მისტერ სინგი და კუბელი მენავე თავიანთ ნავს ჩააფრინდნენ, რომ ჩვენსას არ მოჯახებოდა. დიდი ღელვა არ ყოფილა, მაგრამ მაინც საშიში იყო. მისტერ სინგმა ჩინურად უთხრა რაღაც თავის ხალხს და მათაც კარჭაპზე ამოდრომა დაიწყეს.

- თითო-თითოდ! - გავაფრთხილე მე.

მისტერ სინგმა ისევ რაღაც გადაულაპარაკა ჩინურად, და ახლა რიგ-რიგობით იწყეს ამოსვლა. სულ სხვადასხვა სიმაღლისა და მოყვანილობის ხალხი იყო.

- ბანზე გაიყვანე, - ვუთხარი ედის.

- აქეთ, ბატონებო, - წაუძღვა ედი. იცოცხლე, კარგად ბლომად გადაუყლურწავს ამჯერად.

- კაიუტა გადაკეტე! - ვუთხარი მე, როცა ყველანი შელაგდნენ.

- ახლავე, სერ.

- დანარჩენებსაც მალე მოვიყვან, - თქვა მისტერ სინგმა.

- ოკეი, - ვუთხარი მე.

ნავს ხელი ვკარი და ბიჭმა ნიჩბები მოუსვა.

- მოიხედე, - გავმახე ედი, - მოემვი მაგ ბოთლს, გული საკმაოდ გამაგრებული გაქვს.

- ოკეი, უფროსო.

- რა მოგივიდა?

- ამას რა სჯობს, - თქვა ედიმ, - ასე უნდა გადმოსწიო, არა, ცერით?

- აი, შე ლოთო-ფოთო! მეც მომაწოდე ეგ ბოთლი.

- აღარაფერი დარჩა, - თქვა ედიმ, - მაპატიე, უფროსო.

- მოიხედე, ახლა დიდი ყურადღება გმართებს: გადმომცემს თუ არა ფულს, მაშინვე უნდა დასძრა ჩვენი ნავი.

- ოკეი, უფროსო.

მეორე ბოთლს დავეწვდი, კორპსადრობი მოვიმარჯვე და საცობი ამოვიღე. კარგა ბლომად მოვსვი, საცობი მაგრად დავუცვი, ბოთლი ორი წყლიანი ბოცას უკან ჩავდგი და კიჩოსკენ გავბრუნდი.

- აჰა, მისტერ სინგიც, - გავმახე ედის.

- დიახ, სერ.

ნავი კვლავ ჩვენკენ მოცურავდა. მოაყენეს კიჩოს და მისტერ სინგმა კიჩოზე დამაგრებულ გორგოლაჭს ჩასჭიდა ხელი, რითაც ჩვენ დიდ თევზს ვითრევთ ხოლმე გემზე.

- ამოვიდნენ! - ჩავმახე მე, - სათითაოდ.

ჩინელების ახალი პარტია ამოჰყვა კიჩოს და ბანზე ამოვიდა ექვსი კაცი, ოღონდაც ამჯერად ერთი ზომისანი.

- გააღე და გაუძეხი, - ვუთხარი ედის.

- ახლავე, სერ.

- კაიუტა გადაკეტე.

- დიახ, სერ.

უკვე საჭესთან იდგა ედი.

- აბა, მისტერ სინგ, - ვუთხარი მე, - დანარჩენიც ვნახოთ.

სინგმა ხელი ჯიბეში ჩაიყო და ფული გამომიწოდა. ფულთან ერთად მაჯაც ჩავბლუჯე მისი, ხოლო როცა კიჩოზე შემოდგა ფეხი, მეორე ხელით ყელში ვწვდი. ვიგრძენი, როგორ დაიდრა ნავი და დგაფუნით მოშორდა ჩვენს კარჭაპს; ისე მყავდა ჩაბლუჯული მისტერ სინგი, რომ თითქოს სხვა არაფრის თავი არ უნდა მქონოდა, მაგრამ მაინც გავხედე კუბელ ბიჭს, რომელიც ნავის კიჩოზე იდგა და ხელში ნიჩბები ეჭირა. ამასობაში ჩვენც დავიძარით და მისტერ სინგის ჯაჯგურსა და სხმარტალში იქაურობას გავეცალეთ. ისე სხმარტალეზდა და მიგძიგებდა, რომ ბარჯას გამოდებული დელფინი შემირცხვენია. მკლავი ზურგს უკან გადავუგრიხე, მაგრამ ისე მაგრად მომივიდა, რომ ერთბაშად გადაუტყდა, უცებ რაღაც სასაცილო ხმა გაიღო და გამოიწია, ბეჭებში ჩამარჭო კბილები, თუმცა ცალი ხელი ისევ ყელში მქონდა მისთვის ჩაქდობილი. როცა ვიგრძენი, მკლავი მოწყდა-მეთქი, ხელი ვუშვი და ახლა ორივე ხელით ვწვდი ყელში. ჰოი, ბიჭო, რას ფხაკურობდა ეს შენი მისტერ სინგი! თევზივით სხმარტალეზდა მკლავმოწყვეტილი კაცი. მაინც ვძლიე და დავაჩოქე, თითები ლაყურჩებში გავუყარე და უკან გადავზნიქე, ტკაცანი გავაღებინე. ერთი წამით ასე მეჭირა გადაზნიქილი, მერე ავიღე და კიჩოზე გავიწვინე. იწვა ასე, პირაღმა, გაშემებული, მშვენიერ ტანსაცმელში გამოწყობილი, ფეხები კოკპიტში ჰქონდა ჩაკიდული.

იქვე მივატოვე, ფული მოვკრიფე, ნაგტუიზთან მივედი, სანათური ავანთე და დავთვალე. მერე საჭესთან გადავინაცვლე, ედის გავმახე, კიჩოს ქვეშ რკინის ნატეხი მომიძებნე-მეთქი. ამ რკინებს ღუზად ვხმარობდი ხოლმე, როცა მეჩეჩიან ადგილებში ვთევზაობდი, ქვიან ფსკერზე ღუზის გამეტება მიჭირდა.

- რას ვიპოვი! - თქვა მან. მისტერ სინგის სიახლოვეს გავლისა ემინოდა.

- მაშ, საჭესთან მოდი, - ვუთხარი მე, - ღრმად შეაცურე ზღვაში.

ქვემოდან საშინელი ხმაური ამოდიოდა, მაგრამ იმათი შიში არ მქონდა.

ვიპოვე, რასაც ვეძებდი - ტორტუგასის ნავსადგომიდან წამოღებული ორი რკინის ნაჭერი. თოკის ნაგლეჯი ავიღე და ეს რკინები მისტერ სინგს კოჭებზე მივაკარი საგულდაგულოდ. ორი მილის სიღრმეზე რომ შევედით ზღვაში, ავწიე და წყალში ჩავუშვი, გორგოლაჭზე ჩავაცურე. ჯიბეები არც კი მომიჩხრეკია, რა სასიამოვნო იყო მის ჯიბეებში ხელის ფათური.

კიჩო ცხვირ-პირიდან გამონადენი სისხლით გასვრილიყო. ვედროს დავწვდი და წყალი ამოვიღე, კინალამ მეც ზღვაში გადავყირავდი. კიჩოს ქვემოდან ცოცხი გამოვადვრე და სისხლის კვალი სულ გადავრეცხე.

- შეანელე სვლა, - გავმახე ედის.

- რომ ამოტივტივდეს?

- ამ ადგილებში შვიდასი ფათომის სიღრმე აქვს ზღვას, - ვუთხარი მე, - ახლა ალბათ ფსკერისკენ ეშვება. პატარა გზა ხომ არ გგონია, ჩემო ძმაო. სანამ გაზით არ

გაიბერება, არ ამოტივტივდება, მანამდე კი დინება გაიტაცებს და თევზებს საქნიერად გამოადგება. მოეშვი ერთი, ნეტა რას მისტირი მაგ მისტერ სინგს!

- რას ერჩოდი? - მკითხა ედიმ.

- არაფერს, - ვუთხარი მე, - მაგისთანა რბილი ხასიათის კაცს ჯერაც არ შევხვედრივარ. მაგრამ სულ ის მეჩვენებოდა, საქმე-საქმეზე ვერ მოდის-მეთქი.

- რად მოკალი?

- ან ის უნდა მომეკლა, ან ეს თორმეტი ჩინელი.

- ჰარი, - თქვა მან, - კიდევ უნდა დამალევიყო, თორემ გული მეზიდება. რომ დავინახე, თავი როგორ უყანყალებდა, გული კინალამ ამერია.

რალა უნდა მექნა, ავიღე და დავალევი.

- ამ ჩინელებს რას უპირებ?

- რაც შეიძლება, ჩქარა უნდა მოვიშორო თავიდან, - ვუთხარი მე, - მანამ სულ აუმყრალეზიათ კაიუტა.

- სად უნდა წაიყვანო?

- გრძელ მეჩეჩზე გადავსხათ. - ვუთხარი მე.

- მაშ, მივაბრუნო ნაპირისკენ?

- მიაბრუნე, - ვუთხარი მე, ოღონდ ნელა.

ნელა მივცურავდით წყალში ჩამალული რიფის თავზე, ბოლოს მეჩეჩმაც გაიელვა. ეს რიფი კარგა ღრმად არის ზღვაში გაწოლილი, იმის გადაღმა კი ქვიშიანი ფსკერი დამრეცად მიიწევს ნაპირისაკენ.

- ერთი, წინ გადადი და სიღრმე მაჩვენე.

კეტით ზომავდა წყლის სიღრმეს და მანიშნებდა უფრო წინ მევლაო. მერე მობრუნდა და, შეაჩერეო, მანიშნა. მე კიჩოთი მივაბრუნე კარჭაპი.

- ხუთიოდე ფუტი იქნება.

- ლუზა უნდა ჩავუშვათ, - ვუთხარი მე, - თუ ღმერთი გაწყრა და ლუზის ამოღება ვეღარ მოვასწარით, ჯაჭვს გავწყვეტო. - ედი ნელ-ნელა უშვებდა დაჭიმულ ჯაჭვს, ხოლო როცა მოფამფალდა, აილო და დაამაგრა. კარჭაპი კიჩოთი მიადგა ნაპირს.

- ნაპირი სილიანია, ხომ იცი, - მითხრა მან.

- კიჩოს ქვეშ რა სიღრმისა იქნება წყალი?

- დიდი-დიდი ხუთი ფუტი იქნება.

- თოფი აიღე, - ვუთხარი მე, - და ფრთხილად იყავი.

- ერთი კიდევ მომასმევი, - თქვა მან. მაგრად შეშინდა.

დავალევი და დგუშიანი თოფი ჩამოვიღე. მერე კაიუტის კარი გამოვალე და ვთქვი:

- აბა, გადმოდით!

არც განძრეულან.

მერე ერთმა ჩინელმა გამოიჭყიტა, თოფი დაუნახა ხელში ედის და უკანვე შერგო თავი.

- გამოდით, კაცი ხელს არ გახლებთ, - შევმახე მე.

თქვენც არ მომიკვდეთ. ოღონდ ერთმანეთში ატატყანდნენ ჩინურად.

- გამოდით, ჰეი! - შესმახა ედიმ. ღმერთო ჩემო, ეტყობოდა, კიდევ გადასწვდა ბოთლს.

- ბოთლი ადგილზე დადე, თორემ ახლავე გადაგადებ ნავიდან, - ვუყვირე მე. - აბა, გამოდით, მივუბრუნდი ისევ ჩინელებს, გამოდით, თორემ გესვრით.

კიდევ გამოიჭყიტა ერთმა და, ეტყობოდა მეჩეჩს მოჰკრა თვალი, რადგან ხელადვე კბილების კაწკაწი დააწყებინა.

- გამოდით, - გავუმეორე მე, - თორემ გესვრით!

ნელ-ნელა დაიდრნენ.

მართლა გარეწარი უნდა იყო კაცი, რომ ეს უბედურები ამოჟუჟო; სანამდღოს ჩამოვალ, მარტო სადავიდარაბო საქმე კი არ იქნებოდა ეს, თავში საცემიც გაგვიხდებოდა.

სულ გამოლაგდნენ, შიშით სული სძვრებოდათ. თოფები არა ჰქონიათ, მაგრამ თორმეტი კაცი იყო. მე კიჩოსკენ დავიხიე, თოფმომარჯვებულმა.

- გადახტით, - შევმახე მე, - წყალი არც კი დაგფარავთ.

არც განძრეულან.

- გადახტით-მეთქი!

არც განძრეულან.

- აბა, თქვენ ყვიციანო თავვიჭამიებო, - დასჭყივლა ედიმ, - ჩქარა გადახტით.

- მოკეტე, ლოთო, - გავუჯავრდი მე.

- ცურვა არ ვიცი, - თქვა ერთმა ჩინელმა.

- ცურვა რად გინდა, - ვუთხარი მე, - სულ არ არის ღრმა.

- ჩქარა, გადახტით, - არ ეშვებოდა ედი.

- შენ კიჩოზე გადი, - გავძახე ედის, - ცალ ხელში თოფი გეჭიროს, მეორეში კეტი. აჩვენე ერთი, რა სიღრმისაა.

დასველებული კეტი წყლიდან ამოსწია და აჩვენა.

- ცურვა არ გინდა? - მკითხა იმავე ჩინელმა.

- არა.

- მართლა?

- მართლა.

- ჩვენ სადა ხარ?

- კუბაში.

- შენი თაღლითი! - თქვა მან და გადაძვრა, ჯერ ხელებით დაეკიდა გემის კიდეს და მერე ჩახტა. ჩაყვინთა, მაგრამ მალევე ამოსწია თავი - წყალი ნიკაპამდე წვდებოდა. - შენი თაღლითი! - თქვა მან, - საზიზღარი თაღლითი!

გაცოფებულს გული მოსცემოდა. რაღაც ამოსძახა თავისიანებს ჩინურად, და დანარჩენებიც გადახტნენ.

- აბა, - ვუთხარი ედის, - ღუზა ამოზიდე.

ზღვაში რომ შევედით, მთვარე ამოიწვერა. ჩინელებს თავი წყლიდან ამოეყოთ და ნაპირისაკენ მიემართებოდნენ. მეჩეჩი თეთრად ელავდა, გადაღმა კი ბურჩქნარი მოჩანდა.

გავცდით რიფს და ერთხელ კიდევ მივიხედე ნაპირისკენ - მეჩეჩის გადაღმა ახლა მთები წამოიმართა. კარჭაპი შევაბრუნე და გეზი კი-უესტისკენ ავირე.

- დაიძინე, თუ გინდა, - ვუთხარი ედის, - თუმცა არა, დაიცა, დაბლა ჩადი და სარკმელები დააღე. განიავდეს, მყრალი სუნი გავიდეს, თან იოდიც წამოიღე.

- რა მოგივიდა? - მკითხა მან, როცა იოდი მომიტანა.

- თითი გავიჭერი.

- გინდა, მე დავჯდები საჭესთან.

- შენ დაიძინე, მე გაგაღვიძებ.

იქვე გაწვა, კოკპიტში, ზედ ბენზინის ბაკთან, და მალე ჩაეძინა კიდეც.

თავი მეხუთე

საჭეს მუხლი მივაბჯინე, პერანგი გავიხსენი და მისტერ სინგის ნაკბენს დავხედე. მაგარი ნაკბენი იყო და იოდი წავიცხე, მერე, საჭეს რომ მივუბრუნდი, ფიქრი ამეკვიატა - ჩინელის ნაკბენი კაცს ხომ არ მოწამლავს-მეთქი. ვიჯექი, საჭეს ვმართავდი, ყურს ვუგდებდი, როგორ ლაღად და საამურად მიაპობდა კარჭაპი წყალს, როგორ ეტყლაშუნებოდა ზვირთები მის კედლებს, და საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ არა, რა ჯანდაბას დამაკლებს, ამ ნაკბენმა როგორ უნდა მომწამლოს-მეთქი. მისტერ სინგისნაირი ხალხი დღეში ალბათ ორ-სამჯერ იხეხავს კბილებს. ეჰ, მისტერ სინგ! დიდი საქმოსანი ვერ გამოდგა. თუმცა ვინ იცის. იქნებ მე მომენდო. მართალი თუ გინდათ, ახლაც არ ვიცი, რა კაცი იყო.

მორჩა, სულ უბრალოდ მოხდა ყველაფერი. ოღონდ ედის რა მოვუხერხო?! ლოთია, ერთი რომ გადაჰკრას, ყველაფერს დაროშავს. საჭეს ვმართავდი, ედის გადავხედავდი ხოლმე და ვფიქრობდი: ჯანდაბას, რაღა მაგისტანა სიცოცხლე და რაღა სიკვდილი, მეც ხელ-ფეხი გამეხსნება. გემბანზე რომ დავინახე, მაშინვე გადავწყვიტე იმქვეყნად

გამესტუმრებინა, მაგრამ მერე, როცა ისე კარგად წარიმართა ყველაფერი, გულმა აღარ მომცა. ახლა კი, ასე გაშხლართულს რომ შევხედე, კვლავ იმძლავრა ცდუნებამ. მაგრამ ეგეც გავიფიქრე, რად უნდა გავიფუჭო საქმე, ისეთი რამე რად უნდა ვქნა, რაც შემდეგ სანანებელი გამიხდება-მეთქი. მერე ისიც მომაგონდა, რომ მეზღვაურთა სიაში არა მყავდა ჩარიცხული და ჯარიმას გადამახდევინებდნენ; აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი.

დრო, იცოცხლე, ბევრი მქონდა მოსაფიქრებლად, კარჭაპი მთელი სიჩქარით მიცურავდა, მე კი ვიჯექი და ხელს ხშირ-ხშირად გადავუწვდენდი ხოლმე ედის მოტანილ ბოთლს. ბევრი აღარ დარჩენილიყო შიგ და, როცა სულ გამოვწრუპე, ერთადერთი ბოთლიღა მქონდა შემონახული და ის გამოვიღე. მართალი თუ გინდათ, ძალიან სასიამოვნო იყო საჭესთან ჯდომა, ღამეც დიდებული დადგა. საბოლოოდ კარგად გამიმართლა ამ მგზავრობამ, თუმცა თავიდან კარგი პირი არ უჩანდა და რამდენჯერმე ბეწვზე ეკიდა საქმე.

განთიადისას ედიმ გაიღვიძა, ძაღლის გუნებაზე ვარო, თქვა.

- ცოტა ხანს საჭესთან მოდი, - ვუთხარი მე, - ერთი უნდა გავიხედო ირგვლივ.

კიჩოზე გავედი და კიდევ დავასხი წყალი, თუმცა აღარაფერი აჩნდა. ცოცხითაც კარგად მოვფხიკე ფერდი. თოფები ქვემოთ ჩავიტანე, ოღონდ წინასწარ ვაზნებისაგან დავცალე, რევოლვერი კი არ მომიხსნია, ისევ ქამარზე მეკიდა. დაბლა კარგად განიავებულიყო ყველაფერი, სუნი სულაც არ იგრძნობოდა. ოღონდ მარჯვენა სარკმელიდან ცოტა წყალი შემოსულიყო და საწოლი დაესველებინა. მეც ავიღე და დავეკეტე სარკმლები. ახლა საიდანაც არ უნდა

გამოგეწერათ სასაზღვრო აგენტი, სულ ტყუილია, ჩინელების სუნს აქ ვეღარავინ აიღებდა.

კედელზე, ჩარჩოში ჩასმული ნებართვის ქვეშ, აგენტის მოცემულ ქაღალდებს მოვკარი თვალი. აქა მქონდა ეს ქაღალდები შენახული, ბადეში. ამოვიღე, გადავათვალიერებ-მეთქი, ვიფიქრე. მერე ზემოთ ავედი, ედის ვუთხარი:

- მოიხედე. მეზღვაურების სიაში როგორ მოხვდი?

- აგენტი შემხვდა და, მეც მივდივარ-მეთქი, ვუთხარი.

- ლოთებს ღმერთი სწყალობთ. - ვუთხარი მე, ჩემი ოცდათვრამეტყალიბრიანი რევოლვერი მოვიხსენი და დაბლა ჩავიტანე.

ქვემოთ ყავა მოვიმზადე, მერე ავედი და საჭეს მივუჯექი.

- ჩადი, ყავა დალიე, - ვუთხარი ედის.

- ყავა რას მიშველის, ჩემო ძმაო, - შეგეცოდებოდა. კაცის სახე აღარ ედო.

ასე, ცხრა საათი იქნებოდა, როცა ზედ ცხვირწინ სენდი-კიეს შუქურა დავინახეთ. კარგა ხნის წინ ტანკერებიც შევნიშნეთ. უბისკენ მიემართებოდნენ.

- ორი საათის სავალილა დაგვრჩა, - ვთქვი მე, - ოთხ-ოთხი დოლარი უნდა გადაგიხადო დღეში, თითქოს იმ ჯონსონს ეხადოს.

- წუხელ რამდენი გააკეთე?

- ექვსასი, მეტი არა.

არ ვიცი, დაიჯერა, თუ არა.

- მე წილი არ მიდევს?

- შენი წილი ეგ არის, რაც გითხარი. მაგრამ წუხანდელ საქმეზე თუ სადმე სიტყვა დაგცდენია, იცოდე, უსათუოდ გავიგებ და სხვანაირად გაგისწორდები.

- მე რომელი ყბედი მნახე, ჰარი!

- შენ ლოთი ხარ. მაგრამ, რაც არ უნდა გალემილი იყო, ამაზე რომ დაგცდეს სიტყვა, მორჩა.

- ხომ იცი, რომ ნალდი კაცი ვარ, - მითხრა მან, - ასე რად მელაპარაკები?

- საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ეგ შენი სინაღდე ხელადვე გაქრება, - ვუთხარი მე, მაგრამ ედის შიში სულ აღარ მაწუხებდა - ვინ დაუჯერებს?! მე შენ გეტყვი, მისტერ სინგი იჩივლებს, ან ის ჩინელები. ის მენავე ბიჭი რომ ახლდა? აუტკივარ თავს რად

აიტკივებს! ადრე იქნება თუ გვიან, ედიმ შეიძლება წამოროშოს, მაგრამ ლოთს ვინ დაუჯერებს?!

ეგეც რომ არ იყოს, რითი დამიმტკიცებენ? ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა მაშინ გენახა, მეზღვაურების სიაში რომ აღმოაჩენდნენ ედის. კარგად კი გამიმართლა, რა მეთქმის. გემიდან გადავარდა-მეთქი ვიტყვოდი, მაგრამ მაინც ერთ ალიაქოთს ამიტეხდნენ. ედისაც გაუმართლა. საერთოდ, კარგად გაგვიმართლა.

ამასობაში გოლფსტრიმს მივადექით, ლურჯი წყალი გამწვანდა და უფრო გამჭვირვალე გახდა. გამოჩნდა დასავლეთ და აღმოსავლეთ მშრალ კლდეებზე დამაგრებული ხიმინჯები, კი-უესტსა და კონჩას სასტუმროზე ამართული ანტენები და კვამლის დახვეული ბოლქვები იმ ადგილას, საცა ნაგავს წვავენ ხოლმე. სენდ-კიეს შუქურა შორს აღარ იყო ახლა, ვხედავდი კიდეც შუქურის ძირში მოწყობილ ნავსაყუდელსა და პატარა დოკს. აქედან უკვე ორმოცი წუთის სავალია იყო. კარგ გუნებაზე დავდექი - შინ ვბრუნდებოდი და საზაფხულოდ კაი ფულიც გამიჩნდა.

- ცოტა არ დაგველია, ედი? - ვთქვი მე.

- ო, ჰარი, - წამოიძახა მან, - ერთხელაც არ შემპარვია ეჭვი, რომ შენ ჩემი ძმაკაცი ხარ.

იმ საღამოს ოთახში ვიჯექი, სიგარას ვაბოლებდი, ვისკის ვწრუპავდი და თანდათანობით ძილი მომერია. გარეთა კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. ჩემი ცოლი მარი ადგა და გახედა. მალევე მობრუნდა და მითხრა:

- ის შენი ლოთია, ედი მარშალი, საქმე მაქვსო.

- უთხარი, თავისით წავიდეს, ნუ გამომიყვანს, თორემ კინწისკვრით გავაგდე.

მარი ისევ შემოვიდა ოთახში და დაჯდა. მე ფანჯარასთან ვიჯექი, ფეხები რაფაზე მქონდა შეწყობილი და გარეთ ვიყურებოდი. ედიმ ჩაიარა. ვიღაც მასავით ლოთს გადაჰკიდებოდა და ძლივს მიბარბაცებდნენ, თაღოვან სინათლეზე მათი ჩრდილები კიდეც უფრო სასაცილოდ ფარფატებდა.

- უბედური ლოთები, - თქვა მარიმ, - მეცოდება ლოთი ხალხი.

- ეგ ბედნიერი ლოთია.

- ლოთის ბედნიერება სადა თქმულა, ჰარი, - თქვა მარი.

- მართალი ხარ, მართლაც სად თქმულა!

ნაწილი მეორე. შემოდგომა

თავი პირველი

ლამით გადასჭრეს ყურე და ჩრდილო-დასავლეთიდან კარგა მაგრად უბერავდა. როცა ინათა და მზე ამოიწვერა, მან ნავსადგურიდან გამოსულ ტანკერს მოჰკრა თვალი. ისე წამოზიდულიყო და მზის სხივებზე ისე თეთრად ელავდა, რომ ამ დილას სიცივეში ზღვიდან წამომართული შენობა ეგონებოდა კაცს, და მან ზანგს მიმართა:

- ნეტა, სად ჯანდაბაში ვართ?

ზანგი წამოდგა და გახედა.

- მაიამისკენ ამისთანა არაფერი არ მეგულება.

- ველარ გაიგე, რომ მაიამისკენ არ მივდივართ! - შეუტია მან ზანგს.

- მეც მაგას გეუბნები - საერთოდ, ფლორიდა-კისკენ მაგისთანა შენობა არ მეგულება.

- ჩვენ სენდ-კისკენ გვიჭირავს გეზი.

- მაშ, აქამდე უნდა გამოჩენილიყო. ან ისა და ან ამერიკის რომელიმე მეჩეჩი მაინც.

ცოტა ხანიც და უკვე კარგად გაარჩია, რომ ეს შენობა კი არ ყოფილა, ტანკერი იყო, ხოლო ამის შემდეგ ერთი საათიც არ გასულა და თვით სენდ-კისაც ჰკიდა თვალი; ზღვიდან ამოსვეტილიყო ყავისფრად, სწორედ იმ ადგილას, საცა ვარაუდობდნენ.

- გულდაჯერებული უნდა უჯდე საჭეს, - უთხრა მან ზანგს.

- გულდაჯერებული კი ვიყავი, მაგრამ ამ მგზავრობის დროს ისე უკუღმართად დატრიალდა ყველაფერი, რალა გული შემრჩებოდა.

- ფეხი როგორა გაქვს?

- ერთთავად მტკივა.

- არაფერია, - უთხრა პირველმა, - სუფთად შეხვეული გქონდეს და თავისით მოგიშუშდება.

ახლა დასავლეთით აიღო გეზი, რათა უმენ-კის მახლობლად რიზოფერას ბუჩქებს მოფარებოდა და დღე იქ გაეტარებინა. შეპირებულ ნავსაც იქ უნდა შეხვედროდა.

- გაგივლის, ნუ გეშინია, - უთხრა მან ზანგს.

- რა ვიცი, - მიუგო ზანგმა, - მაგრად კი მტკივა და!

- ერთი ჩავალწიოთ და ყველაფერს გაგიკეთებ, - უთხრა მან, - დიდი ჭრილობა არა გაქვს, ნუ გეშინია.

- დიდი მძევს თუ პატარა, ჭრილობა - ჭრილობაა, მაინც საშიშია, - თქვა ზანგმა, - ჩემს დღეში არ ვყოფილვარ დაჭრილი.

- შეშინდი და მეტი არაფერი.

- არა, სერ, დაჭრილი ვარ. საშინლად მტკივა. მთელი ღამე მაჟრჟოლებდა.

ადარ გაათავა ბუზღუნნი, ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჭრილობა შეიხსნა.

- მოეშვი, - უთხრა იმან, საჭეს რომ მართავდა. ზანგი კოკპიტში იწვა, პირდაპირ იატაკზე და ირგვლივ უთავბოლოდ ეყარა ღვინის ბოთლებით გამოტენილი ტომრები, ერთი შეხედვით, საგულდაგულოდ გამოყვანილი ლორები გეგონებოდა. ტომრები გვერდზე მიეყარა და ჩაწოლილიყო. რამდენს გაინძრეოდა, ტომრებში დამსხვრეული ბოთლები გაიჩხრიალებდა და ღვინის სუნი გამოვარდებოდა. ყველგან ღვინო ესხა. ახლა უმენ-კის გაუპირდაპირდა კარჭაპი. მესაჭე უკვე კარგად ხედავდა ყველაფერს.

- მტკივა, - თქვა ზანგმა, - სულ უფრო და უფრო მტკივა.

- ძალიან მეცოდები, უესლი, - უთხრა მესაჭემ, - მაგრამ საჭეს ვერ მოვშორდები.

- შენთვის ძალი და ადამიანი ერთია, - უთხრა ზანგმა. საშინელი ღრენა დაიწყო. მაგრამ იმ პირველს მაინც ეცოდებოდა.

- ყველაფერს გაგიკეთებ, უესლი, - ამშვიდებდა იგი, - ოღონდ ახლა წყნარად იწევი.

- ადამიანი შენ ფეხებზე გკიდია, - უთხრა ზანგმა, - არაფერი არა გცხია ადამიანისა.

- ნახე, რა კარგად მოგიარო, - ეუბნებოდა იგი, - ოღონდ წყნარად იწევი.

- ვიცი, რა მომვლელიც ხარ! - არა ცხრებოდა ზანგი. კაცმა, რომელსაც ჰარი მორგანი ერქვა, არაფერი უპასუხა, რადგან მართლაც უყვარდა ეს ზანგი, მაგრამ ახლა არფერი არ შეეძლო, გარდა დარტყმისა, დარტყმას კი გული არ აძლევდა. ზანგი სულ ბუზღუნებდა და ბუზღუნებდა.

- რატომ არ გავაჩერეთ გემი, სროლა რომ დაგვიწყეს?

ჰარის არაფერი უპასუხნია.

- ადამიანი უფრო ძვირფასია თუ ერთი ყუთი ღვინო?

ის მეორე კვლავ საჭეს ჩაფრენოდა გულისყურით.

- მაშინვე უნდა გავაჩერებინა. წაეღოთ ღვინო. დიდი ამბავი!

- არა, - უთხრა მან, - ღვინოსაც წაგვართმევდნენ, გემსაც, და ჩვენც ციხეში ჩაგვყრიდნენ.

- ნეტა არ დავჭრილიყავი და ციხეს რას დავემებ, ჩავესვით ციხეში.

ისე გაუწვრილდა გული, რომ იმ მეორეს მოხეზრდა ამდენი წუწუნის მოსმენა.

- ეს ოხერი, ვის უფრო მაგარი ჭრილობა აქვს, შენ თუ მე?!

- შენა გაქვს, - მიუგო ზანგმა, - მაგრამ მე ჩემს დღეში არ ვყოფილვარ დაჭრილი. არც მიფიქრია, ოდესმე თუ დავიჭრებოდი. დასაჭრელად კი არ მოგექირავე. რა ოხრობა უნდა ვუყო ამ ჭრილობას!

- დამშვიდდი, უესლი, - უთხრა კაცმა, - წუწუნი რაღას გიშველის?

ამასობაში მიადგნენ კიდეც კუნძულს. მეჩერებს შორის უნდა გაეძვრინა გემი და წყალი კი ისე ლაპლაპებდა მზეზე, რომ სულ თვალებსა სჭრიდა. ზანგი გაგიჟდა თუ გამოთაყვანდა ჭრილობის შიშით - ერთი წუთით ენა არ გაუჩერებია.

- ან ამ ღვინოს რას გვათრევინებენ? - ბუზღუნებდა იგი. - მშრალი კანონი გაუქმებულია. ვის რაში სჭირდება ამისთანა კონტრაბანდა? ადგნენ და დიდი გემებით გადაზიდონ!

მესაჭე კვლავ წყალს მიშტერებოდა.

- რატომ არ შეიძლება, რომ ალალი შრომით და პატიოსნად იცხოვროს კაცმა და პატიოსანი და ალალი ლუკმა ჭამოს?!

მესაჭემ წყლის ჭავლის თამაში კი შენიშნა ნაპირის სიახლოვეს, მაგრამ თვით ნაპირის დანახვას მზე უშლიდა. მაინც დროზე მოაბრუნა კარჭაპი. ცალი ხელით საჭე სწრაფად გადაატრიალა, მძიმედ შეაცურა და ნელა მიაყენა რიზოფერას ბუჩქებს. კიჩოთი შეაცურა ბუჩქებში და ორივე ძრავი გამორთო.

- ღუზის ჩაშვებას როგორმე მოვახერხებ, მაგრამ ამოღებით ვეღარ ამოვიღებ, - თქვა მან.

- მე განძრევის თავიც აღარ მაქვს, - თქვა ზანგმა.

- რა ჯანდაბა მოგივიდა, სულ მოგელო ბოლო! - უთხრა მესაჭემ.

ძლივძლივობით მოხსნა პატარა ღუზა, გამოათრია და წყალში მოიქნია, ბაწარი

გრძლად მიუშვა და გემმა რწევა იწყო რიზოფერას ბუჩქებში, რტოები პირდაპირ კოკპიტში შეცურდა. მესაჭე გამობრუნდა და პირდაპირ კოკპიტისკენ გაემართა, ერთი ვნახო, რა ჯოჯოხეთი დატრიალდაო.

მთელი ღამე კომპასს უჯდა. ჯერ ზანგს შეუხვია ჭრილობა, მერე ზანგმა მას შეუხვია მკლავი, და ამის შემდეგ საჭეს და კომპასს არ მოსცილებია: როცა ინათა, მაშინლა დაინახა, რომ ზანგი კოკპიტში ჩაწოლილიყო, ტომრებს შორის. მაგრამ კომპასსა და ზღვას მაინც ვერ ამორებდა მესაჭე თვალს, თან სენდ-კისაკენაც უნდა ეცქირა და ვეღარ მოახელთა, რომ ენახა, გემბანზე რა ხდებოდა. კარჭაპზე კი საქმე ცუდად დატრიალებულიყო.

ტომრებში გაჩხირულ ზანგს ფეხი მაღლა აეშვირა. ტყვიებს რვა ადგილას დაეცხრილა და აეტკეჩა გემის კორპუსი, ქარსაფარი მინა ერთიანად დაფშვნილიყო. არ იცოდა, რამდენი ღვინის ბოთლი დაემსხვრა, და საცა ზანგის სისხლს ვერ მიელწია, იქ თვითონ მის სისხლს მოერწყო იატაკი. მაგრამ ამჟამად ყველაზე უფრო მეტად სპირტეულის სუნი აწუხებდა. ირგვლივ ყველაფერი სასმელს გაეჟღინთა. კარჭაპი ახლა წყნარად

იდგა რიზოფერას ბუჩქებში, მაგრამ ის საშინელი ნჯღრევის გრძნობა, რაც წუხელ განიცადა ზღვის უბეში, ჯერაც ვერ მოეშორებინა.

- ჯერ ყავას მოვამზადებ, - უთხრა მან ზანგს, - და მერე მოგივლი.

- ყავა არ მინდა.

- მე მინდა, - მიუგო მესაჭემ, მაგრამ კაიუტაში რომ ჩავიდა, თავბრუ დაეხვა და იძულებული გახდა, ისევ ბანზე ამოსულიყო.

- ყავას ველარ ველირსებით, ეტყობა, - თქვა მან.

- მე წყალი მინდა.

- ახლავე დაგალევეინებ.

შემოწნული ბოთლიდან გადმოასხა ფინჯანში წყალი და ზანგს მიაწოდა.

- რატომ მაშინვე არ გააჩერე, სროლა რომ აგვიტეხეს? რას მოექანებოდი?

- იმათ რატომღა აგვიტეხეს სროლა?!- უპასუხა მეორემ.

- ექიმი მინდა, - თქვა ზანგმა.

- ექიმმა რა უნდა გიქნას ისეთი, რასაც მე ვერ გაგიკეთებ?!

- მომარჩენს.

- ექიმიც იქნება სალამოზე, ჯერ ნავი მოვიდეს.

- აღარ შემიძლია ნავის ლოდინი.

- კარგი, - უთხრა მეორემ, - წყალში ჩავუშვათ ეს ბოთლები.

და მაშინვე შეუდგა ტომრების წყალში ჩაყრას, მაგრამ ცალხელა კაცისთვის ძნელი

გამოდგა. სულ ორმოციოდე გირვანქას იწონის ბოთლებიანი ტომარა, მაგრამ რამდენიმე ცალი რომ ჩაუშვა, ისევ დაეხვა თავბრუ. იატაკზე ჩაჯდა და მერე გაწვა კიდევაც.

- თავს მოვიკლავ ასე, - უთხრა ზანგმა.

ის კი გაუნძრევლად იწვა კოკპიტში, თავი ტომარაზე მიედო. რიზოფერას რტოები კოკპიტში შემოჭრილიყვნენ და ჩრდილსა ჰფენდნენ. ამ ჩრდილში იწვა იგი. ესმოდა ქარის სისინი, რომელიც რიზოფერას ბუჩქებს აწყდებოდა, გაჰყურებდა ცივ, მაღალ ცას და ჩრდილოეთიდან დაძრულ თხელ ღრუბლებს ხედავდა.

„ამისთანა ქარში ვინღა უნდა მოვიდეს, - ფიქრობდა იგი, - გრიგალი რომ ამოიჭრა, მაშინვე იფიქრებდნენ, აღარ წამოვლენო“.

- მოვლენ, ვითომ? - იკითხა ზანგმა.

- უსათუოდ, - უპასუხა მეორემ, - რატომ არ უნდა მოვიდნენ?

- ძალიან მაგრად უბერავს.

- გველოდებიან.

- ამისთანა ამინდში ვინ დაგველოდება! ჩემი მოტყუება რაში გჭირდება?

ზედ ტომარაზე მიედო ტუჩები ზანგს და ისე დუდლუნებდა.

- დამშვიდდი, უესლი, - ამშვიდებდა მეორე.

- დამშვიდდი! ადვილი სათქმელია, - დუდლუნებდა ზანგი, - დამშვიდდი! რამ დამამშვიდლოს?! ძალლივით ამომხდება სული და მაშინ დავმშვიდდები. როგორც შემომათრიე აქ, ისევე უნდა გამიყვანო.

- დამშვიდდი, - ალერსიანად უთხრა მან.

- აღარავინ არ მოვა, - თქვა ზანგმა, - დანამდვილებით ვიცი, რომ არ მოვლენ. მცივა, გაიგონე! ველარ გავუძლებ ამ ტკივილს და სიცივეს, გესმის?!

ჰარი წამოჯდა. სულში სიცარიელესა და სისუსტეს გრძნობდა. ზანგი თვალს ადევნებდა, როგორ წამოიჩოქა მან ცალ მუხლზე, უსიცოცხლოდ ჩამოკიდებულ მარჯვენა მკლავს მარცხენა ხელი ჩასჭიდა და მუხლებს შორის ჩასჩარა, მერე პლანშირზე მიკრულ ფიცარს მოეჭიდა და წამოდგა, ზანგი თვალს არ აშორებდა, მარჯვენა ხელი კვლავ ფეხებში ჰქონდა გაჩრილი. ჩემს დღეში ტკივილი არ გამომიცდიაო, ფიქრობდა.

- ასე თუ მიჭირავს, ასე გაჭიმული, მაშინ აღარ მტკივა იმდენად, - თქვა მან.

- მოდი, სამხარილლიეზე წამოგიკიდებ, - თქვა ზანგმა.

- ნიდაყვში ვერა ვხრი, გამიშეშდა.

- რა ვქნათ ახლა?

- ტვირთი უნდა ჩავძიროთ, - მიუგო მეორემ, - იქნებ შენც გადაგეყარა, უესლი, რასაც მიწვდები!

ზანგი ტომარას წაეპოტინა, მაგრამ მაშინვე კვნესა ამოუშვა და დაწვა.

- ძალიან გტკივა, უესლი?

- ო, ღმერთო! - ამოიკვნესა ზანგმა.

- იქნება, რომ იმოდროაო, მაშინ უფრო დაგიამდეს.

- მე დაჭრილი ვარ, - თქვა ზანგმა, - ვერ გავინძრევი. დაჭრილ კაცსაც აღარ ეშვება

- ტომრები უნდა გადააყრევინოს!

- დამშვიდდი.

- კიდევ რომ მითხრა ეს სიტყვა, გავგიჟდები.

დამშვიდდი, - წყნარად გაუმეორა კაცმა.

ზანგმა წამოიყმუვლა, ხელი იატაკზე მოაფათურა და კომინგსს ქვეშ სალეს ქვასა სწვდა.

- მოგკლავ, - იყვირა მან, - გულს ამოგჭრი.

- სალესი ქვით რას ამომჭრი, - უთხრა მეორემ, - დამშვიდდი, უესლი.

ზანგმა ტომარაში ჩარგო თავი და აზლუქუნდა. ჰარიმ კი თავისი საქმე განაგრძო

- ნელ-ნელა სწევდა ტომრებს და ყრიდა.

თავი მეორე

ტომრების გადაყრაში იყო გართული, როცა ძრავის ხმა გაიგონა. გაიხედა და სწორედ მათკენ მომავალი ნავი დაინახა; უბე გადმოეჭრა და კის გაყოლებზე ყურეს მოჰყვებოდა. ყვითლად შეღებილი ნავი იყო, წინ ქარსაფარი მინა ჰქონდა ჩასმული.

- ნავი მოდის, - თქვა მან, - ადექი, უესლი.

- არ შემოიძლია.

- ამიერიდან ყველაფერს დავიხსომებ, რაც კი მოხდება, - უთხრა მან, - აქამდე სხვა იყო.

- დაიხსომე, რამდენიც გენებოს, - მიუგო ზანგმა, - არც მე დავივიწყებ რამეს.

ახლა კიდევ უფრო დაფაცურდა, მუშაობაში გართულს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, თავიც კი არ აუღია, რომ მძიმედ მომავალი ნავისკენ გაეხედა; საღი ხელით ტომრებს სწევდა და ნავიდან ყრიდა.

- გადაბრუნდი, - იმ ტომარას წაეპოტინა, რომელზედაც ზანგს თავი ჰქონდა მისვენებული, და წყალში ჩაუშვა. ზანგი წამოჯდა.

- მოვიდნენ, - უთხრა მან ზანგს. ნავი უკვე მათ გაპირდაპირებოდა.

- კაპიტანი უილია, - თქვა ზანგმა, - მოხალისე მეთევზეები მოჰყავს.

თეთრი ნავის კიჩოზე ორი თეთრქუდიანი კაცი მოკალათებულიყო, ფანელის კოსტიუმები ეცვათ, ხელში ანკესები ეჭირათ; საჭეს კი საწვიმარში ჩაცმული, ფეტრისქუდიანი ბერიკაცი ეჯდა და ნავს პირდაპირ რიზოფერას ბუჩქებისაკენ მიაცურებდა, საცა კონტრაბანდისტების კარჭაპი იდგა.

- რასა იქ, ჰარი? - გასძახა მენავემ. კაცმა, რომელსაც ჰარი დაუძახეს, პასუხად საღი ხელი დაუქნია. ნავმა ჩაიარა. მეთევზეებმა კონტრაბანდისტების კარჭაპს გახედეს და რაღაც უთხრეს ბერიკაცს. ჰარის არ გაუგონია მათი სიტყვები.

- ზღვის ყელში მოტრიალდება და ისევ აქ მოვა, - უთხრა ჰარიმ ზანგს, დაბლა ჩავიდა და საბანი ამოიტანა. - მოდი, დაგახურო.

- კარგ დროს გაგახსენდა! ალბათ დაინახეს კიდევ ღვინო. ახლა რა უნდა ვქნათ?

- უილიმ იცის თავისი საქმე, - უპასუხა მან. - ქალაქში რომ ჩავა, ეტყვის, ვისაც საჭიროა, რომ აქა ვართ. მაგ მეთევზე ვაჟბატონებს სულაც არ აწუხებთ ჩვენი ამბავი, რაში ენაღვლებათ, ჩვენ რას ვაკეთებთ?

ფეხზე ძლივს იდგა. საჭეს მიუჯდა, მარჯვენა ხელი ფეხებში ჩაიჩარა და მუხლები მოუჭირა. მუხლები უკანკალებდა და ამის გამო მკლავის ძვლები ერთმანეთს ეხახუნებოდა. ისევ გაშალა მუხლები, მკლავი გაითავისუფლა და

გვერდზე დაუშვა. იქვე იჯდა, მკლავჩამოკონწიალებული, როცა თეთრმა ნავმა ისევ ჩამოიარა. ის ორი მოხალისე მეთევზე ერთმანეთს ელაპარაკებოდა. ანკესები გვერდზე გადაედოთ და ერთი მათგანი დურბინდით უყურებდა მას. კარგა მოშორებით იყვნენ და მათი ლაპარაკი არ ესმოდა. კიდევ რომ გაეგონა, რას გახდებოდა.

საქირაო ნავ „სამხრეთ ფლორიდაზე“ კი, - რომელიც ახლა აღმა-დაღმა დაპროწიალობდა უმენ-კის ყურეს გასწვრივ, რადგან ამისთანა ქარში ღია ზღვაში გასვლა არანაირად არ იქნებოდა, - კაპიტანი უილი ადამსი საჭეს მისჯდომოდა და

ჰარის წინაღამინდელ თავგადასავალზე ფიქრობდა. მაშ, წუხელ დაბრუნებულა კუბიდან! ნამდვილი ვაჟკაცი კია! შუაგულ გრიგალში მოხვდებოდა. გემიც კარგი აქვს. ეს ქარსაფარი როგორღა ჩაემსხვრა, ნეტა?! ცოცხალი თავით ამისთანა ამინდში ვერ გავბედავდი წამოსვლას. კუბიდან სასმელის წამოღებასაც არ ვიკისრებდი. ახლა მარიელიდან მოაქვთ ხოლმე. იქ თურმე თავისუფალი ვაჭრობაა.

- რა მკითხეთ, სერ?

- ის რა ნავია? - ჰკითხა ერთმა მეთევზემ.

- ის ნავი?

- ჰო, ის ნავი.

- ოჰ, ეს კი-უესტის კარჭაპია.

- ვისია-მეთქი, მე გეკითხები.

- რა მოგახსენოთ.

- პატრონი მეთევზეა?

- ჰო, მეთევზეც არისო, ამბობენ.

- ვერ გავიგე, რას ამბობ.

- ცოტა-ცოტაობით ყველაფერ საქმეს მისდევს.

- სახელი არ იცი?

- არა, სერ.

- ჰარი რომ დაუძახე!

- მე არაფერი არ დამიძახნია.

- ჩემი ყურით გავიგონე, რომ ჰარი დაუძახე.

კაპიტანი უილი ადამსი კარგად დააკვირდა ამ კაცს, ვისაც ელაპარაკებოდა; გამოზურცული ღაწვები ჰქონდა, თხელი ტუჩები, ღაჟღაჟა სახე, ზიზღით გამომზირალი, ღრმად ჩამჯდარი ჭროლა თვალები; თავზე ტილოს თეთრი ქუდი ეხურა.

- ალბათ ისე წამოვიძახე, - მიუგო კაპიტანმა უილიმ.

- დაჭრილი ჩანს ეს კაცი, დოქტორ, - უთხრა ამხანაგს მეორე მეთევზემ და დურბინდი გადასცა.

- მაგას უდურბინდოდაც ვხედავ, - თქვა იმან, რომელსაც დოქტორი უწოდეს, - ვინ არის?

- რა მოგახსენოთ, - უპასუხა კაპიტანმა უილიმ.

- მაშ, ახლავე გაიგებ - თქვა ზიზღით გამომზირალმა კაცმა, - ნავის ნომერი ჩაიწერე.

- ჩაწერილი მაქვს, დოქტორ.

- ახლოს მივიდეთ და ვნახოთ, რა ამბავია, - თქვა დოქტორმა.

- მართლა დოქტორი ხარ? - ჰკითხა კაპიტანმა უილიმ.

- დოქტორი კი ვარ, მაგრამ მედიცინისა არა, - მიუგო ჭროლათვალებიანმა.

- თუ ექიმი არ ხართ, არ წაგიყვანთ.

- რატომ?

- რამე რომ სდომოდა ჩვენგან, თვითონვე დაგვიძახებდა. თავად თუ არაფერი უნდა, ძალათი ხომ არ შევეჩხირებით. ჩვენში ასე ვიცით ხოლმე - ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

- მაშ შენც შენს საქმეს მიხედე, იმ კარჭაპთან ახლოს მიგვიყვანე.

კაპიტანმა უილიმ ოდნავადაც კი არ გადაუხვია აღებულ გეზს - ორცილინდრიანი პალმური კვლავ მძიმე ქოთქოთით მიჰყვებოდა ყურეს.

- არ გაიგონე, რა გითხარი?

- გავიგონე, სერ.

- მერე, რატომ არ ასრულებ ჩემს ბრძანებას?

- ნეტა ვინ გგონიათ თქვენი თავი?!

- მაგასაც გეტყვი, თუ ასე გაინტერესებს. მთელ შეერთებულ შტატებში სამ ყველაზე გავლენიან პირთაგან ერთ-ერთი მე გახლავართ.

- კი-უესტში რაღა ოხრობა გინდათ?

მეორე მეთევზე წინ გადმოიხარა.

- ეს ფრედერიკ ჰარისონია, - დიდი ამბით განაცხადა მან.

- ჩემს დღეში არ გამიგონია, - თქვა კაპიტანმა უილიმ.

- არა უშავს, ახლა გაიგონებ, - უთხრა ფრედერიკ ჰარისონმა, - შენცა და მთელი ეს აყროლებული ქალაქიც, თუნდაც ძირფესვიანად მომიხდეს მისი ამოთხრა და ამოძირკვა.

- რა მშვენიერი კაცი ხარ, - მიმართა კაპიტანმა უილიმ, - ასეთი დიდი ვინმე როგორ გახდი?!

- ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კაცია მთელ მთავრობაში, - უთხრა მეორემ.

- როგორ არა, დიახ, - მიუგო კაპიტანმა უილიმ, - მაგხელა კაცი რომ იყოს, რაღა კი-უესტში ჩამოვიდოდა!

- დასასვენებლად ჩამოვიდა, - განუმარტა მდივანმა, - ეგ უნდა გახდეს გენერალ-გუბერნატორი...

- კმარა, უილის, - თქვა ფრედერიკ ჰარისონმა, - ახლა შენ იმ კარჭაპთან მიგვიყვან, - განაგრძო მან ღიმილით. რაღაცნაირი ღიმილი ჰქონდა, ასეთი შემთხვევისათვის იზოგავდა.

- არა, სერ.

- აქეთ მოიხედე, შე გამოთაყვანებულო მეთევზე. ისე გაგიხდი საქმეს, რომ შენი ცოდვით...

- ვიცი, - თქვა კაპიტანმა უილიმ.

- შენ ჯერ არ იცი, ვინა ვარ!

- ვინც გინდა იყავი, ჩემთვის სულ ერთია, - მიუგო კაპიტანმა უილიმ.

- კონტრაბანდისტია ხომ, ეგ კაცი?

- თქვენ თვითონ როგორ გგონიათ?!

- ჯილდოც იქნება დაწესებული მაგაზე.

- არა მგონია.

- ყოჩაღია.

- ოჯახის კაცია, თვითონაც უნდა ჭამოს და ცოლ-შვილიც არჩინოს. თქვენ ვინ ოხრობაღა გარჩენთ? ისევ ეს ხალხი, კვირაში ექვს-ნახევარ დოლარად რომ ემსახურებიან მთავრობას ამ კი-უესტში.

- დაჭრილია. ეტყობა, რამე ფათერაკს გადაეყარა.

- თვითონვე თუ არ დაიჭრა თავი გასართობად.

- ეგ ხუმრობა შენთვის შეინახე, გამოგადგება. ახლა ადგები და იმ კარჭაპს მიგვაყენებ. უნდა შევიპყრათ ის კაცი და თავის კარჭაპიანად პოლიციას გადავცეთ.

- სად?

- კი-უესტში.

- თქვენ რა, პოლიციელი ხართ?

- ხომ გითხარი, ვინც არის! - პასუხი დაასწრო მდივანმა.

- რა გაეწყობა, - თქვა კაპიტანმა უილიმ. ერთბაშად მოატრიალა საჭე და ნავი მოაბრუნა, ისე ახლოს ჩაუქროლა ნაპირს, რომ პროპელერი წამოედო კიდეც და მერგელის მტვერი ჰაერში დახვეულ ღრუბლად ავარდა. მერე ქოთქოთით გაემართა რიზოფერას ბუჩქებისაკენ, საცა ის კარჭაპი იდგა.

- რამე იარაღი არა გაქვთ ნავზე? - ჰკითხა ფრედერიკ ჰარისონმა კაპიტან უელის.

- არა, სერ.

ფანელისკოსტიუმიანი ორივე მეთევზე კიჩოზე წამომდგარიყო და გაფაციცებით ადევნებდა თვალს კონტრაბანდისტის კარჭაპს.

- თევზაობაზე უფრო კაი სეირს გადავეყარეთ, არა, დოქტორ? - მიმართა მდივანმა.

- თევზაობა სისულელეა, - უპასუხა ფრედერიკ ჰარისონმა, - შიმშერიც რომ დაიჭირო, რის მაქნისია! მე შენ გეტყვი, საჭმელად გამოგადგეს! ეს კი ნამდვილად საინტერესო რამეა. ძალიან მიხარია, რომ პირდაპირ გადავეყარე ამისთანა საქმეს. დაჭრილი კაცი რას გაგვექცევა. ზღვა მაგრად ღელავს. კარჭაპის ნომერიც ვიცით.

- მართლაც რომ სხვის დაუხმარებლად შეგიძლიათ შეიპყროთ, - აღფრთოვანებით შესძახა მდივანმა.

- თანაც უიარაღოდ, - დასძინა ფრედერიკ ჰარისონმა.

- არც საიდუმლო პოლიციის ფახიფუხი! - განაგრძო მდივანმა.

- ედგარ ჰუვერმა ლამის თავი გადაგვჭამოს, ამისთანა სახელი გვაქვსო, - თქვა ფრედერიკ ჰარისონმა, - ჩვენი ბრალია, თავის ნებაზე მივუშვით. გვერდზე მიაყენე, - უთხრა მან კაპიტან უილის. კაპიტანმა ძრავი გამორთო და ნავი დინებას მიჰყვა.

- ჰეი, - გასძახა კაპიტანმა უილიმ კონტრაბანდისტების კარჭაპს, - თავი დამალეთ!

- რა ღმერთი გიწყრება?! - გაბრაზდა ჰარისონი.

- მოკეტე! - შეუტია კაპიტანმა უილიმ. - ჰეი, - კვლავ გასძახა მან კონტრაბანდისტების კარჭაპს, - ყური მიგდეთ. ახლავე ქალაქისკენ გასწიე და ფიქრი ნურაფრისა გექნება. გემს ველარაფერს უშველი. წაიღებენ. ტვირთი ჩაძირე, თავი ქალაქს შეაფარე. აგერ ერთი ვაჟბატონი მყავს ნავზე, ვაშინგტონელი ჯაშუში უნდა იყოს. პრეზიდენტზე დიდი კაცი ვარო. შენს ჩავლებას ცდილობს. კონტრაბანდისტი ჰგონიხარ. კარჭაპის ნომერიც ჩაიწერა. მე შენ ჩემს დღეში არ მინახიხარ და არც ვიცი, ვინა ხარ. გუმანითაც ვერა ვხვდები. ვინ უნდა იყო...

ნავი კარგა შორს წაიღო დინებამ. კაპიტანი უილი კვლავ გაჰყვიროდა:

- არც ეს ადგილი მახსოვს, საცა შენ დაგინახეთ. ვერც გამოვიგნებ აქეთკენ გზას.
- ო კეი! - გამოსძახეს კონტრაბანდისტების კარჭაპიდან.
- ეს დიდი კაცი დაღამებამდე უნდა ვათევზაო, - დაუყვირა კაპიტანმა უილიმ.
- ო კეი!
- ჰკუჟას კარგავს თევზაობაზე, - ისე ღრიალებდა, ლამის ხმა ჩაუწყდა კაპიტან უილის, - მაგრამ საჭმელად უვარგისიაო, ამ მაღლის გაგდებულს დაუჟინია.
- მაღლობა, ძმაო, - გაისმა ჰარის ხმა.
- შენი ძმაა? - ჰკითხა ფრედერიკ ჰარისონმა, რომელიც ერთიანად წამოჭარხლებულიყო სახეზე, მაგრამ ცნობისმოყვარეობა კვლავ სტანჯავდა.
- არა, სერ, - მიუგო კაპიტანმა უილიმ, - მენავეები ასე მიმართავენ ხოლმე ერთმანეთს.
- ახლავე კი-უესტისკენ მივდივართ!- თქვა ფრედერიკ ჰარისონმა, მაგრამ მის ხმას სიმტკიცე მოჰკლებოდა.
- არა, სერ, - უპასუხა კაპიტანმა უილიმ, - თქვენ მთელი დღით დაიქირავეთ ეს ჩემი ნავი. რაც ფული დაგიხარჯავთ, იმისი ხომ უნდა გასიამოვნოთ. გამოთაყვანებული კი დამიძახეთ, მაგრამ მე მაინც მთელ დღეს გასეირნებთ.
- კი-უესტისკენ წაგვიყვანე! - გაუმეორა ჰარისონმა.
- კი, ბატონო, - მიუგო კაპიტანმა უილიმ, - ოღონდ ცოტა მოგვიანებით. ისე, შიმშირი მერლანს არაფრით არ ჩამოუვარდება, ნაკლები გემო არა აქვს, ჰავანას ბაზარზე გირვანქაში ათ ცენტს გვაძლევდნენ, მეტი არც მერლანი ღირს.
- ხმა ჩაიკმინდა! - დაუყვირა ფრედერიკ ჰარისონმა.
- მე მეგონა, ასეთი რამეები დაგაინტერესებდათ მთავრობის კაცს. თქვენ არ აწესებთ? რაც შეიძლება ძვირიო და ამნაირი რაღაც-რაღაცეები?! ბურღული რაც შეიძლება ძვირი, თევზი - იაფი!
- ხმა ჩაიკმინდა-მეთქი! - უყვირა ჰარისონმა.

თავი მესამე

თავისი კარჭაპიდან ჰარიმ უკანასკნელი ტომარა ჩაუშვა წყალში.

- თევზის დანა მომაწოდე, - უთხრა მან ზანგს.

- დაიკარგა.

ჰარიმ სტარტერს ფეხი დააჭირა და ორივე ძრავი აამუშავა. მეორე ძრავი მას შემდეგ დადგა, რაც სასმელით კონტრაბანდისტობას დაუბრუნდა, როცა კრიზისმა საქირაო ნავებს უქნარა მოხალისე მეთევზე მუშტრები დაუკარგა. მარცხენა ხელით ნაჯახი გამოიღო და ღუზის ბაგირი ზედ კოტასთან გადაჭრა. ჩაიძირება, და ტვირთს რომ ამოვიღებთ, ამასაც გამოვდებთო, გაიფიქრა. ახლა გარისონ ბაიტისკენ გავწევ; თუ გემის წართმევას დააპირებენ, წაიყვანონ, რა ვქნა. მე ახლა ექიმი მჭირდება. გემთან ერთად ხელსაც ხომ არ დაგვარგავ. ეს საქონელი გემზე ნაკლებ როდი ფასობს. არც იმდენი დამსხვრეულა. ერთი ბოთლი რომ გატყდეს, აქაურობა სუნით გაიჟღინთება.

მარცხენა სასხლეტი გადასწია და კარჭაპი ბუჩქნარიდან დასძრა. ძრავები თანაბრად მუშაობდა. კაპიტან უილის ნავი უკვე ორ მილზე ჩანდა, ბოკა გრანდესაკენ აეღო გეზი. მოქცევის გამო წყალი ისე მოდიდებულა, რომ უკვე ტბებში შესვლაც შეიძლება, გაიფიქრა ჰარიმ.

ახლა მარჯვენა სასხლეტი გადასწია. დროსელი გახსნა და ძრავები აღმუვლდა. იგრძნო, როგორ წამოეწია გემის ქიმი და რიზოფერას ბუჩქები სწრაფად გაცურდა. იქნებ, ღმერთით, არც წამართვან კარჭაპი, ფიქრობდა იგი. ეს ხელიც იქნებ მომირჩინონ, ღვთით. რას ვიფიქრებდი, რომ მარიელში სროლას აგვიტეხდნენ - ექვსი თვეა დავდივარ და კაცს ხმა არ გაუცია. ესეც შენი კუბელები. ვიღაცა ვიღაცას ფულს არ გადაუხდის და შენ უნდა გესროლონ. ასე მოსდგამთ კუბელებს.

- ეი, უესლი, - გასძახა მან და კოკპიტისაკენ მიიხედა, საცა საბანწაფარებული ზანგი იწვა, - როგორა ხარ?

- ღმერთო, - ამოიგმინა უესლიმ, - ამაზე უარესად აღარ შეიძლება იყოს კაცი..

- უარესი მაშინ იკითხე, ექიმი რომ გაგიხსნის ჭრილობას, - უთხრა ჰარიმ.

- შენ ხომ კაცი არა ხარ, - თქვა ზანგმა, - კაცის გული არა გაქვს.

უილი ძველია, მაგათ გააცურებს, ფიქრობდა ჰარი. მაგისტანა რამე უილის ჰკითხე. კარგი ვქენით, რომ არ დავიცადეთ და წამოვედით. დაცდა სისულელე იყო. ისე დამეხვა თავბრუ და გულიც ისე მეზიდებოდა, რომ განსჯის უნარი დავკარგე.

შორიდან სასტუმრო ლა კონჩას თეთრი შენობა გამოჩნდა, რადიოანძებსა და ქალაქის ქუჩებსაც კარგად ხედავდა. ტრუმბოს დოკთან ბორანიც დაინახა. ამ

ბორანს გვერდს აუქცევს და გარისონ ბაიტისკენ გაემართება. ჰა, ეს ძველი უილი, ფიქრობდა იგი. მაგათ აჩვენებს სეირს. ნეტა რა ჯილაგის ხალხი ჰყავდა ამ ნავში! ახლაც ლამის წავიქცე. თავბრუ მეხვევა. კიდევ კარგი, წამოვედით. კიდევ კარგი, არ დავიცადეთ.

- მისტერ ჰარი, - უთხრა ზანგმა, - მაპატიე, რომ ტომრების ჩაძირვა ვერ გიშველე.

- კარგი ერთი! - მიუგო ჰარიმ. დაჭრილ ზანგს რა მოეთხოვება. შენ მაინც კარგი ზანგი ხარ, უესლი.

ძრავის ღმუილი და წყლის ძალუმი ტლაშუნი ოდნავადაც ვერ ახშობდა იმ უცნაურ, ყრუ სიმღერას, რასაც იგი საკუთარ გულში გრძნობდა. მუდამ ასე იყო ხოლმე, როცა რეისიდან შინ ბრუნდებოდა. ხელი იქნებ მომირჩინონ, ღვთით, ფიქრობდა იგი. ეს არის ჩემი მარჩენალი.

ნაწილი მესამე. ზამთარი

თავი პირველი

ელბერტის ნაამბობი

ფრედის ბარში ვსხედვართ ყველანი და, ვნახოთ, ეს ჩვენი აწოწილი ვეკილი შემოდის. ხუანი სად არისო.

- ჯერ არ დაბრუნებულა, - მიუგო ვილაცამ.

- ვიცი, რომ დაბრუნდა და ნახვა მინდა მისი.

- მაშ არადა: შენ თვითონ დააბეზდე, სასამართლოში მიეცი და ახლა ვეკილად გინდა დაუდგე, - უთხრა ჰარიმ. - ნეტა აქ რას მოდიხარ და რას გვეკითხები. შენ თვითონ ჯიბეში გეყოლება.

- რას მიქარავთ, სამუშაო გამოვუძებნე.

- მაშ, წადი და სადმე სხვაგან ეძებე, - უთხრა ჰარიმ, - აქ არ არის.

- სამუშაო გამოვუძებნე-მეთქი, გეუბნები, - არ მოეშვა ვეკილი.

- შენც რომ ვინმესთვის თავს შეიწუხებ. შხამი ხარ და მეტი არაფერი.

უცებ ის გაბურძღვნილი ბერიკაცი შემოვიდა, ჭადარა თმა საყელოზე რომ აქვს გადმოშვებული... აი, რეზინის ნივთებით რომ ვაჭრობს. ერთი კვარტი სასმელი მინდაო. ფრედიმ ჩაუსხა. დაუცო ბერიკაცმა საცობი და ფაცხაფუცხით გავარდა ქუჩაში.

- ხელზე რა მოგივიდა? - ჰკითხა ვეკილმა ჰარის. სახელო ჰარის ზედა მხარზე ჰქონდა მიბნეული.

- თვალში არ მომდიოდა და მოვიჭერი, - მიუგო ჰარიმ.

- შენ თვითონ მოიჭერი თუ სხვაც დაგეხმარა?

- მე და ექიმმა გადავჭერთ, - უპასუხა ჰარიმ. ბევრი ჰქონდა დალეული და უკვე თავში აუვარდა. - მე გაუნძრევლად მეჭირა და ის კიდევ სჭრიდა. სხვის ჯიბეებში ფათურისთვის რომ სჭრიდნენ ხელებს, შენ აქამდე არც ხელი შეგრჩებოდა და არც ფეხი.

- რა მოგივიდა ამისთანა, რომ მოსაჭრელი გაგიხდა? - ჰკითხა ვეკილმა.

- რა შენი საქმეა, - მიუგო ჰარიმ.

- ისე გეკითხები. რა მოგივიდა, სად იყავი?

- რაღა მე ჩამაცივდი, სხვა ვინმე მონახე, - შეუტია ჰარიმ, - ძალიან კარგად იცი, სად ვიყავი და რა მომივიდა. ენას კბილი დააჭირე და გული ნუ გამიწყალე.

- რაღაც უნდა გითხრა.

- თქვი, რაღას უცდი.
- არა, ცალკე უნდა გითხრა.
- სულაც არ მეხალისება შენთან ლაპარაკი. კარგს არაფერს არ უნდა მოელოდეს შენგან კაცი. შხამი ხარ.
- რაღაც უნდა გითხრა, კარგი რამე.
- კარგი, ამ ერთხელ მოგისმენ, - მიუგო ჰარიმ, - ვისზე უნდა მითხრა? ხუანზე?
- არა. ხუანზე არა.

დახლს შემოუარეს, გადატიხრულში შევიდნენ და კარგა ხანს დარჩნენ იქ. იმათ არყოფნაში გასიებული ლიუსის გოგო შემოვიდა, ის ქალი ახლდა, მუდამ თან რომ დასდევს. დახლს შემოუსხდნენ და კოკა-კოლა მოითხოვეს.

- რაღაც კანონი გამოდისო, საღამოს ექვსი საათის შემდეგ გოგოებს ქუჩაში გამოსვლა ეკრძალებათ თურმე, არც ბარში შემოუშვებენო, - გასიებული ლიუსის გოგოს უთხრა ფრედომ.

- ჰო, ამბობენ.

-ქალაქი კი არა, პირდაპირ ჯოჯოხეთი გახდა, - თქვა ფრედომ.

- მართლაც რომ ჯოჯოხეთია. სენდვიჩი მოგინდა იქნება ადამიანს, ან კოკა-კოლა. გამოხვალ და გტაცებენ ხელს, თხუთმეტი დოლარი ჯარიმა!

- მაგისთანა ხალხი ამოიჩემეს ახლა, - თქვა გასიებული ლიუსის გოგომ, - ხალისიანი ხალხი. ღიმილი თუ შენიშნეს ვინმეს სახეზე, მორჩა.

- რამე თუ არ მოხდა ამ ცოტა ხანში, ცუდადაა ჩვენი საქმე, აღარ გვედგომება ამ ქალაქში.

ამ დროს ჰარი და ის ვეჯილი შემობრუნდნენ.

- მაშ, იქ მოხვალ, არა? - უთხრა ვეჯილმა.

- ისინი რომ მოვიყვანო აქ?

- არა. აქ არ მოვლენ. შენ მოდი იქ.

- კარგი, მოვალ, - უთხრა ჰარიმ და დახლისკენ მიბრუნდა, ვეჯილი კი ქუჩაში გავიდა.

- ელ, შენ რას დალევ? - მკითხა ჰარიმ.

- ბაკარდის.

- ორი ბაკარდი, ფრედი, - მერე მე მომიბრუნდა და მითხრა, - სადა ხარ ახლა, ელ?

- ბირჟაზე.

- რას აკეთებ?
 - მიწას გვაჩიჩქინებენ. ტრამვაის ძველ ლიანდაგს ვთხრობ.
 - რამდენს გაძლევენ?
 - შვიდ ნახევარს.
 - კვირაში?
 - აბა რა გეგონა?!
 - მაგ ფულით რა უნდა დალიო?!
 - არცა ვსვამ, აგერ შენ დამპატიჟე, - მივუგე. ჰარი ცოტათი ჩემკენ გადმოიწია.
 - რეისზე არ წახვიდოდი?
 - რეისს გააჩნია.
 - მაგას მოვილაპარაკებთ.
 - კი, ბატონო.
 - წამოდი, მანქანაში ჩავსხდეთ, - მითხრა მან, - ფრედი, ნახვამდის, - ცოტათი ქოშინებდა. სულ ასე მოსდის ხოლმე, როცა დაღევს. გავიარეთ ათხრილი ქუჩა, სადაც მე მთელი დღე მამუშავებენ, კუთხეში მოვუხვიეთ და მის მანქანას მივადექით. - ჩაჯექი, - მითხრა მან.
 - სად მივდივართ?
 - მე თვითონ არ ვიცი, უნდა მოვძებნო.
- ისე ავიარეთ უაიტჰედ-სტრიტი, რომ ხმა არ გაუღია. ქუჩის თავში მარცხნივ შევუხვიეთ, ქალაქის ცენტრი გადავჭერით და უაიტ-სტრიტზე გავლით სანაპიროს მივადექით. ამ ხნის განმავლობაში ჰარის კრინტიც არ დაუძრავს. სანაპიროთი ბულვარისკენ გავემართეთ. გავედით თუ არა ბულვარზე, მანქანა ზედ ტროტუართან დაამუხრუჭა და გააჩერა.
- ვილაც უცხოელები კარჭაპსა მთხოვენ, ერთ რეისზე მოგვაქირავეო, - მითხრა მან.
 - კარჭაპი რომ საბაჟო პოლიციამ ჩამოგართვა!
 - ეგ მაგათ არ იციან.
 - რა რეისია?
 - ერთი კაცი უნდა გადავიყვანოთ კუბაზე, რაღაც საქმე აქვსო - არც თვითმფრინავით შეიძლება თურმე გადაყვანა და არც სამგზავრო გემით. ენაგატლეკილმა მითხრა.

- ამისთანა საქმესაც აკეთებენ?

- მაშ არადა. სულ ასე არ არის, რაც გადატრიალება მოხდა! არც არავის უკვირს. ასე დადის მთელი ხალხი!

- კარჭაპს რა უნდა უყო?

უნდა მოვიპაროთ. ძრავები მოშალეს და ერთბაშად ვერ ავამუშავებ.

- აბა, როგორ გინდა ნავსადგურიდან გამოიყვანო?

- რამეს მოვახერხებ.

- უკან როგორღა დავბრუნდებით?

- მაგას მოვიფიქრებ. თუ არ გინდა წამოსვლა, პირდაპირ მითხარი.

- სიამოვნებით წამოვალ, ცოტა ფულს თუ გამაკეთებინებ.

- მოიხედე, - მითხრა მან, - კვირაში შვიდ-ნახევარ დოლარს გადმოგიგდებენ. სამი ბავშვის პატრონი ხარ, გამგელებულები მოგადგებიან ხოლმე სკოლიდან შუადღისას. შიმშილით კუჭი გეწვით მთელ ოჯახს... მე ცოტა ფულის გაკეთებას გპირდები... რა გინდა მეტი?

- რომ არ გითქვამს, რამდენს მპირდები! ღირდეს მაინც, საალაღბედოდ თუ გავიხდი საქმეს.

- რაც არ უნდა საალაღბედოდ გაიხადო, ხომ იცი, რომ ბევრმა ფულმა მოგჭამა ჭირი, - მითხრა მან, - აგერ, მე შემომხედე. იყო დრო, მთელი სეზონი დამყავდა სათევზაოდ ხალხი და დღეში ოცდათხუთმეტ დოლარს ვახდევინებდი. ახლა მესვრიან, ხელსა ვკარგავ, გემს ვკარგავ, რისთვის? რაღაც ბითურული სასმელისთვის, რომ გასწიო და გაჭიმო, გემის ფასს არ ამინაზღაურებს. მაგრამ რა ვქნა, ბავშვებს შიმშილით კუჭს ვერ

ავუწვავ, ვერც იმ არხების ჩიჩქნას მოვყვები მთავრობისთვის, ბავშვები თუ არ გამომიკვება იმაში აღებულმა ფულმა. ანკი სად შემიძლია ახლა მიწის თხრა. არ ვიცი, კანონები ვინ დააწესა, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ იშინებულეო, ამისთანა კანონი არ არსებობს.

- მაგისთანა ხელფასის გამო იყო, რომ გავიფიცე.

- მერე ადექი და ისევ სამუშაოს მიუბრუნდი, - მითხრა მან, - ქველმოქმედებას გაეფიცნენო, გამოაცხადეს. შენ სულ მუშაობ, შენი დღე და მოსწრება, ხომ? კაცისთვის არ გითხოვია, ქველმოქმედება გამოიჩინე და მოწყალება მოილეო.

- ახლა აღარ არის სამუშაო, - ვთქვი მე, - იმისთანა სამუშაოს ველარ ნახავ, რომ კაცმა თავი დაირჩინო.

- რატომ მერე?

- არ ვიცი.

- მეც არ ვიცი, - მითხრა მან, - მაგრამ, სანამ სხვას არ გამოლევია საჭმელი, არც ჩემს ცოლ-შვილს გამოელევა. მაგათ გადაუწყვეტიათ, შიმშილით სული ამოგხადონ კონჩებს, აქედან ფეხი ამოგაკვეთინონ, თქვენი ქოხმახები გადაბუგონ და თქვენს ნასახლარზე დიდებული სასახლეები წამოჭიმონ, ტურისტული ქალაქი გააშენონ. ასე მაქვს გაგონილი. ამ მიწის ნაკვეთებს ყიდულობენო, მითხრეს. მერე აქ რომ აგეწვებათ მაგრად შიმშილით კუჭი და სხვა ადგილებში საშიშრობად გასწევთ, მოვლენ და მშვენიერ ტურისტულ კუთხეს მოაწყობენ.

- რა რადიკალივით ლაპარაკობ, - ვუთხარი მე.

- რადიკალი არა ვარ, - თქვა მან, - გამწარებული ვარ. გამამწარეს.

- აბა, რა კაი გუნებაზე დაგაყენებდა ხელის დაკარგვა.

- ხელი ჯანდაბას. ერთი ხელი დავკარგე. რა მოხდა მერე. ამაზე უარესიც მომხდარა. ბოლოს და ბოლოს. ორი ხელი აქვს კაცს, ორი სხვა რამე კიდევ. ერთი ხელიც რომ დარჩეს, და გინდა ერთი სხვა რამე, კაცი მაინც კაცია. ჯანდაბას, - თქვა მან, - არც ღირს

ამაზე ლაპარაკი, - ერთი წუთის შემდეგ ისევ განაგრძო, - დანარჩენი ყველაფერი მთელი მაქვს, - მერე მანქანა აამუშავა და თქვა: - წავიდეთ, ის ხალხი ვნახოთ.

ავყევით ბულვარს, ზღვიდან სუსტი ქარი უბერავდა, შემხვედრი მანქანები კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა. იმ ადგილებიდან, საცა ტალღებს ცემენტის ჯებირი გადმოელახათ, დამპალი ზღვის ბალახის სუნი მოდიოდა. ჰარი მარცხენა ხელით მართავდა საჭეს. თავიდანვე შემიყვარდა ეს კაცი, რამდენჯერ ვხლებივარ ხოლმე ძველად გემზე, მაგრამ რაც ხელი დაკარგა, სულ შეიცვალა კაცი; მერე, აქ რომ ისვენებდა, იმ ვაშინგტონელმა ვაჟბატონმაც დააბეზლა, კარჭაპიდან ზღვაში სპირტიან ყუთებსა ჰყრიდაო და საბაჟო პოლიციამ კარჭაპიც ჩამოართვა. გემზე თავს მუდამ კარგად გრძნობდა, უგემოდ კი ძალღის გუნებაზე იყო ხოლმე. ახლა, მოპარვის მიზეზი რომ მიეცა, შევატყვე, გაეხარდა. დიდი ხნით არ შეარჩენდნენ, ამას კი გრძნობდა, მაგრამ იქნებ ცოტაოდენი ფულის გაკეთება მაინც მოვასწროო, ფიქრობდა. ფული მეც ძალიან მჭირდებოდა, მაგრამ ხიფათში გაბმას ვერიდებოდი.

- ხიფათში კი არ გავებათ, ჰარი, - ვუთხარი მე.

- ამაზე მეტი რა უნდა გაება?! - მიპასუხა მან, - ამაზე უარესს რას უნდა გადაეყარო, შიმშილით სული გძვრება.

- ნეტა რას დაგიჟინია ეს შიმშილი, - ვუთხარი მე, - სულაც არა ვარ მშიერი.

- შენ იქნებ არ იყო, მაგრამ შენი შვილები არიან.

- კარგი, გეყოფა, - ვუთხარი მე, - გამოყოლით გამოგყვები, მაგრამ ამისთანა ლაპარაკი აღარ დამიწყო.

- კი, ბატონო, - თქვა მან, - მაგრამ ხომ ნამდვილად გინდა ჩემთან მუშაობა? მსურველს ბლომად ვიშოვი ქალაქში.

- მინდა, - ვუთხარი მე, - აკი გითხარი, მინდა-მეთქი.

- მაშ, გამხნევდი.

- შენ თვითონ გამხნევდი. შენ ლაპარაკობ რადიკალივით.

- ჰო, ჰო, გამხნევდი, - თქვა მან, - თუმცა ვინ მისცა კონჩას ვაჟკაცობა!

- რამდენი ხანია, კონჩა აღარ ბრძანდები?

- პირველად რომ გავძეხი, მას შემდეგ.

ძალიან ბინძურად კი გამოუვიდა, მაგრამ ბავშვობიდანვე ასე იყო, არავისი დანდობა არ იცოდა. თუმცა რა, საკუთარ თავსაც არ ინდობდა ხოლმე.

- ასე იყოს, - ვუთხარი მე.

- აბა, მშვიდად, - გამაფრთხილა მან. უკვე გამოჩნდა იმ ბარის შუქრეკლამა.

- აქ უნდა შევხვდეთ იმათ, - მითხრა ჰარიმ. - კბილი მაგრად დააჭირე ენას.

- წადი, ერთი.

- აბა, აბა, მშვიდად.

შევუხვით და ბარს უკანა კარიდან მივადექით. დიდი ჭინჭყლი ვინმე იყო და ენაც მყრალი ჰქონდა, მაგრამ მე მაინც მიყვარდა.

მანქანა კართან დავაყენეთ და სამზარეულოში შევედით. დიასახლისი ღუმელთან ფუსფუსებდა.

- ფრედას გაუმარჯოს. - უთხრა ჰარიმ, - ენაგატლეკილი სად არის?

- ეს წუთია შემოვიდა, ჰარი. ელბერტ, გამარჯობა.

- გამარჯობა, მისის რიჩარდს, - მეც მივესალმე. დიდი ხანია ამ ქალს ვიცნობდი, ჯერ კიდევ „ჯუნგლებიდან“ მახსოვდა. მაგისთანა წრიდან გამოსულები სხვებიც ყოფილან ჩვენს ქალაქში. გათხოვების შემდეგ კაი მშრომელი ქალები გახდნენ. ეს დედაკაციც, რაც მართალია, მართალია, მშვენიერი მეოჯახე დადგა.

- თქვენები როგორ არიან? - მკითხა მან.

- კარგად.

სამზარეულოდან უკანა ოთახში შევედით. სწორედ იქ დაგვხვდა ენაგატლეკილი ვეჟილი და მასთან ერთად მაგიდას ოთხი კუბელი შემოსჯდომოდა.

- დასხედით, - მოგვმართა ერთ-ერთმა ინგლისურად. მოსული კაცი იყო, ჩასკვნილი, პირბრტყელი, ხმაჩახლეჩილი, ხელადვე შეატყობდით, რომ უკვე კარგად ბლომად ეყლურწა, - შენი სახელი?
- შენ თვითონ რა გქვია?
- კარგი, - თქვა კუბელმა, - აგრე იყოს. კარჭაპი სადაა?
- იახტების ნავსადგომში მიდგას, - მიუგო ჰარიმ.
- ეგ ვილაა? - ჩემზე ანიშნა.
- ჩემი თანაშემწე, - უპასუხა ჰარიმ. იმ კუბელმა მე შემათვალეირა, დანარჩენებმა კი - ჩვენ ორივენი. - მშიერი ჩანს, - თქვა კუბელმა და გაიცინა, დანარჩენებს არ გაეცინათ, - არ დალევთ?
- რატომაც არა.
- რას? ბაკარდია?
- რასაც თქვენ სვამთ, - უთხრა ჰარიმ.
- შენი თანაშემწეც სვამს?
- ერთს მეც დავლევ, - ვთქვი მე.
- დალიეო, არავის უთქვამს შენთვის, - მითხრა იმ ზორზოხა კუბელმა. - თუ სვამ-მეთქი, გკითხე.
- ეჰ, კარგი ერთი, რობერტო, - უსაყვედურა მეორე კუბელმა, ყმაწვილი იყო, ბავშვი გეგონებოდა. - ისე ვერაფერს გაარიგებ, თუ არ დაგესლე!
- გესლი რა მოსატანია, თუ სვამ-მეთქი, ვკითხე. კაცს რომ დაიქირავებ, არ უნდა ჰკითხო, მსმელია თუ არა?!
- დაუსხი და დააღვინე, - უთხრა მეორემ, - საქმეზე მოვილაპარაკოთ.
- რამდენს გადაგვახდევინებ მაგ შენს კარჭაპში? - ეს იმ ხმაჩახლეჩილმა კუბელმა იკითხა, რობერტოს რომ ეძახდნენ.
- გააჩნია, რაზე გჭირდებათ.
- კუბაზე უნდა გადაგიყვანო ჩვენ ოთხი.
- რა ადგილას?
- კაბანასში. კაბანასის მახლობლად. მარიელს რომ გასცდები, ხომ იცი, სადაც არის?
- როგორ არა, - მიუგო ჰარიმ, - გადაგიყვანთ და მორჩა, ხომ?
- მეტი არაფერი. მიგვიყვანთ და ნაპირზე გადაგვსხამთ.

- სამასი დოლარი.
- ბევრია. დღიურად რომ მოგვაქირაო ორი კვირის ვადით?
- ორმოცი დოლარი დღეში და ათას ხუთასი დოლარიც - წინდად. კარჭაპს რომ რამე მოუვიდეს ნებართვა გვინდა?
- არა.
- ბენზინის და ზეთის ფულსაც თქვენ იხდით, - უთხრა ჰარიმ.
- ორას დოლარს მოგცემთ და გადაგვიყვანე.
- არ იქნება.
- აბა რამდენს თხოულობ?
- აკი გითხარი.
- ძალიან ბევრია.
- სულაც არა, - უთხრა ჰარიმ, - ვინ ხართ, არ ვიცი. რა საქმეზე მიდიხართ, არ ვიცი. უცებ სროლა რომ აგიტეხონ! ორჯერ უნდა გადავცურო უბე ამ ზამთარში. ბოლოს და ბოლოს, კარჭაპსაც სარისკოდა ვხდი. კარგი, გადაგიყვანთ ორასად, მაგრამ ათას დოლარს წინდად ჩამოდი, კარჭაპს რომ რამე მოუვიდეს.
- სწორია, - ლაპარაკში ჩაერია ენაგატლეკილი, სწორზე მეტიც არის.
- კუბელებმა ესპანურად დაიწყეს ერთმანეთში ლაპარაკი. მე არაფერი მესმოდა იმათი, მაგრამ ვიცოდი, რომ ჰარის ესმოდა.
- კარგი, - თქვა იმ ჩასკვნილმა რობერტომ, - გასვლა როდის შეგვეძლება.
- ხვალ ღამით რა დროსაც გინდათ.
- ზეგამდე რომ შეგვაგვიანდეს?! - იკითხა ერთმა მათგანმა..
- თქვენი ნებაა. ჩემთვის სულ ერთია, - მიუგო ჰარიმ, - ოღონდ წინასწარ შემატყობინეთ.
- კარჭაპი მზად გაქვს?
- რა თქმა უნდა, - უპასუხა ჰარიმ.
- ისეთი ღამაში ნავია! - თქვა ერთმა მათგანმა.
- შენ სად გინახავს?
- აგერ, ჩვენმა ვექილმა მაჩვენა, მისტერ სიმონსმა.
- ა-ა! - თქვა ჰარიმ.
- აიღეთ, დალიეთ, - გვითხრა მეორე კუბელმა, - კუბაში ბევრჯერ ყოფილხარ?

- რამდენჯერმე.
- ესპანური იცი?
- ვერ იქნა ვერ ვისწავლე, - უპასუხა ჰარიმ.

შევნიშნე, როგორ გადახედა ენაგატლეკილმა ვეკილმა, მაგრამ თვითონ გაფუჭებული კაცი იყო და, ტყუილს რომ იტყოდა ვინმე, გაეხარებოდა ხოლმე. ჰარისტან რომ მოვიდა, მაგალითად, ამ საქმეზე, განა პირდაპირ უთხრა თავის სათქმელი! მიკიბ-მოკიბა, ხუან როდრიგოს ვეძებო, მოიგონა; ერთი აქოთებული გალეგოა, ქურდი და ავაზაკი, საკუთარ დედასაც არ დაინდობს და აწაპნის რამეს, თუკი მოახელთა, ამ ენაგატლეკილმა თვითონ მისცა სამართალში, რათა მერე გამოსულიყო და დაეცვა.

- მისტერ სიმონსმა კაი ესპანური იცის, - თქვა კუბელმა.
- განათლებული კაცია.
- გემის მართვა შეგიძლია?
- იმდენი კი შემიძლია, რომ მიგიყვანოთ და მოვბრუნდე.
- მეთევზე ხარ?
- დიახ, სერ, - უპასუხა ჰარიმ.
- ცალი ხელით როგორ ახერხებ? - ჰკითხა პირბრტყელა კაცმა.
- ორჯერ უფრო მარდად, - მიუგო ჰარიმ, - სხვა ხომ არაფერი გინდათ?
- არა.

ისევ ესპანურზე გადავიდნენ.

- ნავის ამბავს მე შეგატყობინებ, - უთხრა ენაგატლეკილმა ჰარის.
- ეგ ხვალაც მოესწრება.
- მაშ, ღამე ნებისა, - გამოემშვიდობა ჰარი ყველას.
- ღამე ნებისა, - უპასუხა ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ზრდილობიანმა.

პირბრტყელს ხმაც არ ამოუღია. დანარჩენი ორი კი, ინდიელებს რომ მიუგავდათ სახე, ზოგჯერ ესპანურად თუ გამოეღაპარაკებოდნენ იმ პირბრტყელს, თორემ ისე მთელი ამ ხნის განმავლობაში კრინტიც არ დაუძრავთ.

- მე მოგვიანებით გნახავ, - უთხრა ენაგატლეკილმა.
- სად?
- ფრედისტან.

გამოვბრუნდით და ისევ სამზარეულო გამოვიარეთ.

- მარი როგორა გყავს, ჰარი? - ჰკითხა ფრედიმ.

- ახლა დიდებულად, - მიუგო ჰარიმ, - კარგად არის ახლა.

გამოვედით ქუჩაში, მანქანაში ჩავსხედით და უკანვე დავუყევით ბულვარს, ისე რომ ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. ეტყობა, რაღაცას ფიქრობდა.

- შინ მიგიყვანო?

- მიმიყვანე.

- გზატკეცილზე ცხოვრობ ახლა?

- ჰო. რეისისა რა გადაწყვიტე?

- რა ვიცი, - თქვა მან, - ჯერ არ ვიცი, საერთოდ თუ წავალთ. ხვალ გნახავ.

სახლის წინ ჩამომსვა, შინ შევედი, მაგრამ კარის გაღებაც ვერ მოვასწარი, რომ ჩემმა ბებრუხანამ საყვედურებით ამავსო, სად დაწანწალებო, სადღაც ხეთქავ და ვახშამზე მალოდინებო. ფული ვინ მომაქვავა, რითი უნდა დავლიო-მეთქი, ვუთხარი. სესხულობო. შენ რას მიედ-მოედები, ბირჟაზე მომუშავე კაცს ფულს ვინ ოხრობა მასესხებს-მეთქი. ღვინის სუნი არ გამაკარო, თუ შეიძლებოდეს, მაგერ სუფრას მიუჯექიო. დავჯექი, რას ვიზამდი. ბავშვები ბეისბოლის საყურებლად გაკრეფილიყვნენ, ვზივარ სუფრასთან და ცოლს ვახშამი მოაქვს, მაგრამ ხმას კი არ მცემს.

თავი მეორე

ჰარი

სულაც არ მეხალისება ამისთანა საქმეში გარევა, მაგრამ ჩემს სურვილზეა?! სურვილს ვილა დაგიდევს. უარს ვეტყობდი, მაგრამ რომ არ ვიცი, ხვალ რა მელის! საგანგებოდ არასოდეს არ მიძებნია ასეთი საქმე; როცა თავისით შეგხვდება, რა თქმა უნდა, ხელს ხომ არ კრავ. ელბერტის წაყვანა კი არ ღირს, ალბათ. შტერია. თუმცა პატიოსანი კაცი კია, თან მარჯვე მეზღვაურიც. გულადია, აგრერიგად ვერ შეაშინებ. მაინც ვერ გადამიწყვეტია, წავიყვანო თუ არა. თუმცა ვილაც ლოთს ან ზანგს ხომ ვერ წავიყვან, სანდო კაცი უნდა შევარჩიო. თუ რამე გამოდნა, წილს მასაც ვარგუნებ. მაგრამ ყველაფერს ვერ გავუმხელ, არ წამომყვება. არადა ვინმე ხომ უნდა ვიახლო. მარტოკა კი მირჩევნია - სხვას რომ არ ჩაირევ საქმეში, იმას რა შეედრება, მაგრამ ახლა სხვის დაუხმარებლად თავს ვერ გავართმევ. ისე, იცოცხლე, მარტოკა სჯობს. ელბერტისთვისაც უმჯობესია, რომ ამ საქმის ასავალ-დასავალი არ იცოდეს. შენ ისა თქვი, ენაგატლეკილს რა მოვუხერხო. ყველაფერი ეცოდინება მაგ ენაგატლეკილს.

იმათ უნდა ეფიქრათ ეს. თავიდანვე გაეთვალისწინებინათ ყველაფერი. დავიჯერო, ისე შტერია ენაგატლეკილი, რომ ვერა ხვდება, რის გაკეთებას აპირებენ?! არა მგონია. ვინ იცის, იქნებ სულაც არ აპირებენ მაგისთანა საქმეს. თუმცა მაგათგან სწორედ ეს არის მოსალოდნელი, აკი მოვკარი კიდეც იმ სიტყვას ყური. თუ მართლა ამას აპირებენ, მაშინ დაკეტვამდე უნდა გააკეთონ, თორემ სანაპირო დაცვის თვითმფრინავი მოუსწრებთ მაიამიდან. ექვსზე ღამდება ახლა. თვითმფრინავს ერთი საათი მაინც მოუნდება. რომ დაბნელდება, მერე ვედარაფერს დააკლებენ. მართლა თუ მიმყავს ეს ხალხი, მაშინ კარჭაპსაც უნდა მოვუხერხო რამე. გამოყვანა არ გამომხელდება, მაგრამ ამაღამ თუ გამოვიყვანე და გამიგეს, ადვილად მომაგნებენ. ჰოი, რა ამბავს დაატრიალებენ. მაინც ამაღამ უნდა გამოვიყვანო. ზღვის მოქცევის დროს გამოვიყვან და სადმე დავმალავ. გავსინჯავ, რა აკლია (თუკი აკლია რამე), ხომ არაფერი ამოაცალეს. მერე ბენზინსაც ჩავასხამ. წყალს ავიღებ. მაგარი მუშაობა კი მელის ღამით. როცა კარგად დავმალავ, ელბერტი პატარა ძრავიანი ნავით მოიყვანს იმათ. თუნდაც უოლტონის ნავით. ვიქირავებ და გადავუხდი. ან ენაგატლეკილი იქირავებს. ასე აჯობებს. გემის გამოყვანაშიაც მიშველის ამაღამ ენაგატლეკილი. მარტო ენაგატლეკილს თუ დავიხმარებ. იმიტომ რომ, ცხადზე უცხადესია, ენაგატლეკილის

ბედი იმათ უკვე გადაწყვეტილი აქვთ. ჩემი და ელბერტის ბედიც რომ ჰქონდეთ გადაწყვეტილი?! ჰგავს ნეტავ რომელიმე მათგანი მეზღვაურს? ჰა, ეტყობოდა რომელიმე მათგანს მეზღვაურობა? ჰა?! მგონი კი. აი, ის სანდომიანი ბიჭი. სწორედ ის, ყველაზე ახალგაზრდა. ეგ უსათუოდ უნდა გავარკვიო, იმიტომ რომ, თავიდანვე თუ გადაწყვიტეს ელბერტისა და ჩემი მოშორება, რაღა გამოვიდა. ადრე იქნება თუ გვიან, კი მოინდომებენ ამას. მაგრამ უბეში რომ შევალთ, დრო

ბევრი გვექნება. მეც სულ ამაზე ვფიქრობ. კარგად უნდა ავწონ-დავწონო ყველაფერი. შეცდომა არ უნდა მომივიდეს. არავითარი შეცდომა. არც ერთხელ! ეჰ, საფიქრელი მართლაც ბევრი გამიჩნდა ახლა. საფიქრელი და მოსაგვარებელი. მარტო იმის ვარაუდი, რა მოხდება-მეთქი, არას მარგებს. გულხელის დაკრეფა და ლოდინი, რა უბედურება მოხდება-მეთქი. რაკი წამოიწყეს ეგ საქმე, მორჩა. რაკი შენც გაერიე. რაკი საქმე იშოვე. გულხელის დაკრეფა და შორიდან ცქერა, რა ჯანდაბა მოხდებაო, არ გარგებს. უნავოდ და უსახსროდ ყოფნა. ჰა, ეს ენაგატლეკილი! თვითონაც არ იცის რაში გაება. ჯერ აზრზეც არ არის, რა მოხდება. ნეტა კი დროზე მოვიდეს ფრედისთან. ქვეყნის საქმე მაქვს ამაღამ. წავიდე, რამე შევჭამო.

თავი მესამე

ათისნახევარი იქნებოდა, როცა ენაგატლევილი დანიშნულ ადგილას მივიდა. ზედვე ეტყობოდა, კარგად ბლომად ეყლურწა რიჩარდთან, რადგან, როგორც კი ცოტას დალევს, სახეზე ხელად უტიფრობა აღებეჭდება, ახლა კი მეტისმეტ უტიფრობას იჩენდა.

- აბა, ძამიკო, - მიმართავს იგი ჰარის.

- თუ ღმერთი გწამს, ნუ მეძამიკოები, - უპასუხებს ჰარი.

-- უნდა მოგელაპარაკო, ძამიკო.

- სადა? შენს კაბინეტში, ამ დახლს უკან?

- ჰო, დახლს უკან. არის იქ ვინმე, ფრედი?

- ვილა იქნება ამ კანონის გადამკვიდე?! მოიხედე, კიდეც დიდხანს უნდა იყოს ეგ ექვსი საათის კანონი?

- რატომ არ ამიყვან მერე ვექილად, იქნებ რამე გავარიგო? - ენაგატლევილი უპასუხებს.

- ეშმაკმა აგიყვანოს, - ეუბნება ფრედი. და ის ორი, ჰარი და ენაგატლევილი, დახლს უკან გადიან, კაბინეტებში, საცა ცარიელბოთლებიანი ყუთები აწყვია.

ჭერიდან ერთი ელექტრონათურა იყო ჩამოშვებული და ჰარიმ ყველა კაბინეტში შეიჭყიტა, საცა კი ბნელოდა; დარწმუნდა, რომ არავინ იყო.

- აბა! - თქვა მან.

- ზეგ საღამოსთვის გადადეს.

- რა უნდათ, რას აპირებენ?

- შენ აკი იცი ესპანური, - უთხრა ენაგატლევილმა.

- ეგ იმათ ხომ არ გააგებინე?

- რას ამბობ. მე შენი მეგობარი ვარ. შენც ხომ იცი.

- საკუთარ მშობელს არ დაინდობ.

- კარგი ერთი. ხომ ხედავ, რა საქმე გიშოვე.

- რამდენი ხანია, რაც ამისთანა საქმეებს მოჰკვიდე ხელი?

- მოიხედე, მე ფული მჭირდება. როგორმე აქაურობას თავი უნდა დავაღწიო. სულ ამეწეწა აქ საქმეები. შენც ხომ იცი.

- ეგ ვინ არ იცის.

- ხომ ნახე, როგორ შოულობენ რევოლუციისთვის ფულს - მოტაცებაო, მოპარვაო და ამისთანა რამეები.

- ვიცი.

- ეგეც ისეთივე საქმეა. კეთილი საქმისთვის გვჭირდებაო.

- ჰო, მაგრამ აქ კი არ შეიძლება - აქ დაბადებულხარ, აქ გაზრდილხარ, ყველას იცნობ...

- არავის არაფერი დაუშავდება.

- არც იმ ბიჭებს?

- მე შენ ვაჟკაცი მეგონე.

- მე კი ვარ ვაჟკაცი, არხეინად ბრძანდებოდე, მაგრამ კიდეც ვაპირებ ამ ქალაქში ცხოვრებას.

- მე არ ვაპირებ, - თქვა ენაგატლეკილმა.

ღმერთო, გაიფიქრა ჰარიმ, თავისი პირით ამბობს.

- მე აქედან წასვლას ვაპირებ, - განაგრძო ენაგატლეკილმა, - კარჭაპი როდის გინდა გამოიყვანო?

- ამაღამვე.

- ვინ უნდა დაგეხმაროს?

- შენ.

- სად დააყენებ?

- საცა მუდამ მიდგას ხოლმე.

კარჭაპის გამოყვანა სულაც არ გამწელებიათ. ისევე უბრალოდ მოხდა ყველაფერი, როგორც ჰარი ვარაუდობდა. ღამის დარაჯი საათში ერთხელ ჩამოივლიდა ხოლმე, სხვა დროს ძველი სამხედრო ნავსადგურის ჭიშკართან იჯდა. ნავსადგომში პატარა ორჩხომელაზე გამობმული კარჭაპი თავისით შეცურდა ზღვაში. ყურეში რომ გავიდნენ

ჰარიმ ძრავები გასინჯა, მარტო ხუფები გადაერთოთ და სხვა არაფერი. მერე ბენზინიც ნახა - ასორმოცდაათი გალონი იქნებოდა დარჩენილი. ბენზინისთვის სულაც არ ეხლოთ ხელი, წინა მგზავრობაზე რაც დარჩა, უკლებლივ იყო. მაშინ, გამგზავრების წინ, სულ დაავსო ავზები, დახარჯვით კი ძალიან ცოტა დაეხარჯა, რადგან ზღვა ღელავდა და იძულეებული იყო, ნელა ევლო.

- შინაც მაქვს ბენზინი, - უთხრა მან ენაგატლეკილს, - ერთ ბოცას მე თვითონ წამოვიღებ მანქანით, ერთსაც ელბერტს მოვატანინებ, კიდეც თუ დაგვჭირდა.

მდინარეში მინდა დავაყენო კარჭაპი, ზედ შარაგზასთან, იმათ შეუძლიათ მანქანით მოვიდნენ.

- მაგათ კიდევ პორტ-დოკთან უნდოდათ ჩასხდომა.

- პორტ-დოკთან როგორ დავაყენებ კარჭაპს?!

- მართალი ხარ. მაგრამ ისინიც რომ არ მოინდომებენ მანქანით მოსვლას!

- კარგი. მაშ, ამაღამ მდინარეში დავაყენოთ - ბენზინს ჩავასხამ, გავაკეთებ, რაც საჭიროა.

შენ ძრავიან ნავს დაიქირავებ და იმათ მოიყვან. ჯერ იქ დავაყენებ. ქვეყნის საქმე მაქვს. შენ ახლა ორჩხომელით გადი ნაპირზე, მანქანა წამოიყვანე და ხიდთან მომაკითხე. ორ საათში გამოვალ შარაზე. დავაყენებ კარჭაპს და მაშინვე გამოვალ.

- ხიდთან მოგაკითხავ, - უთხრა ენაგატლეკილმა. ჰარიმ ძრავი გამორთო. კარჭაპი უხმოდ გაცურდა წყალზე, მერე ნავი იქითკენ დაძრა, საიდანაც საგუშაგო შხუნების სინათლე გამოკრთოდა. ორჩხომელა ხელით დაიჭირა, მანამ ენაგატლეკილი გადაჯდებოდა.

- მაშ, ორ საათში. - შეახსენა მან.

- ჰო, - უპასუხა ენაგატლეკილმა.

საჭეს უჯდა, კარჭაპს ნელა მიაცურებდა სიბნელეში, ცდილობდა ნავსადგომიდან გამომკრთალ სინათლეში არ მოხვედრილიყო, და ფიქრობდა - ამ ენაგატლეკილსაც რომ წვალემა სჭირდება ფულის საშოვნელად. ნეტავ რამდენს მოელის?! ან ამ ვაჟბატონებს როგორ აეკიდა, ნეტავ?! კაი ყალთაბანდი ბრძანდება, მაგრამ ერთდროს შეიძლება

რამე გამოსულიყო მაგისგან. ისე, კარგი ვეჭილიც არის. თვითონვე რომ თქვა ის, ტანში ამბურძგლა. საკუთარ თავს რომ დასჩხავლებ კაცი. ტანში გამცრა, რომ გავიგონე, როგორ დასჩხაოდა საკუთარ თავს.

თავი მეოთხე

სინათლე არ აუნთია, შინ რომ მივიდა. ფეხსაცმელები დაბლა წაიძრო და წინდების ამარა აუყვა ქვის კიბეს. პერანგის გარდა ყველაფერი გაიხადა და, მანამ ცოლი გაიღვიძებდა, ლოგინში შეწვა. ქალმა სიბნელეში წამოილაპარაკა: „ჰარი, ხარ?“ და მანაც უპასუხა: „დაიძინე, დაიძინე, ბებრუხანა“.

- რა მოგივიდა, ჰარი?
- რეისზე მივდივარ.
- ვინ მიგყავს?
- არავინ. იქნებ ელბერტი წავიყვანო.
- ვისი გემით?
- ჩემი გამოვიყვანე.
- როდის?
- ამ საღამოს.
- ციხეში ჩაგსვამენ, ჰარი.
- კაციშვილს არ გაუგია.
- სად გიყენია?
- დამალული მაქვს.

იწვა და გრძნობდა, როგორ მოცოცავდა ქალის ტუჩები, მას ეძებდა, მერე ხელიც შემოაჭდო. კაცი გადაბრუნდა და მაგრად ჩაეკრა.

- გინდა?
- ჰო. ახლავე.
- მე მეძინა. გახსოვს, ძილში რომ ვაკეთებდით?
- ეს მკლავი არ გიშლის? არ გეზიზღები?
- რამ გაგასულელა. ასე უკეთესია. შენი ყველაფერი მიყვარს. აგერ დამადე. არა, აქა, ასე, მართლა კარგია.
- კუს თათივითა მაქვს გამოჩრილი.
- კუს სულაც არ ჰგავხარ. მართლა ასე მოსდგამს ზღვის კუს - მართლა სამ დღეს უნდებიან? მთელ სამ დღეს?
- ჰო, ჩუმად! გოგოები არ დააღვიძო.

- მაგათ რა იციან, მე ვინა მყავხარ. თავის დღეში ვერ გაიგებენ, რა ბიჭი მყავხარ. ო, ჰარი, ასე. ო, თაფლი ხარ.

- დაიცა.

- რატომ უნდა დავიცადო. მოდი... ასე. ჰო, ასე. ზანგის ქალთან თუ ყოფილხარ როდესმე?

- რატომაც არა.

- კარგია?

- ზვიგენივით.

- სასაცილო კაცი ხარ. ნეტა არ მიდიოდე, ჰარი. ნეტა სულაც არ დადიოდე. რამდენ ქალთან ყოფილხარ, ვინ იყო ყველაზე უკეთესი?

- შენ.

- ტყუი. სულ ასე მატყუებ.

- არა. შენ ყველას ჯობიხარ.

- რომ დავბერდი?

- შენ არასდროს არ დაბერდები.

- თანაც ისიც რომ მჭირდა.

- ქალი კარგი იყოს და ეგ არაფერია.

- მოდი. მოდი. ეს ტაკვი აქ დამადე. ასე. კარგია. ასე გქონდეს. ასე. ასე.

- ძალიან ვხმაურობთ.

- რა ხმაურია, ვჩურჩულებთ.

- გათენებამდე უნდა ავდგე.

- დაიძინე. მე გაგაღვიძებ. რომ დაბრუნდები, დროსტარება მაშინ ნახე! ძველებურად

გავუტიოთ მაიამისკენ და სასტუმროში დავდგეთ. გავიხსენოთ ძველებური. ისეთი ადგილი ამოვარჩიოთ, საცა არავის არ ვუნახივართ. სულაც ნიუ-ორლეანში წავიდეთ!

- რატომაც არა! ოღონდ ახლა უნდა დავიძინო.

- დაიძინე. შენ ჩემი თაფლის კვერი ხარ. დაიძინე. მე გაგაღვიძებ. შენ დარდი ნუ გაქვს.

კაცმა დაიძინა, მოკვეთილი მკლავის ტაკვი ბალიშზე ედო. ქალი დიდხანს იწვა და ქმარს შეჰყურებდა. ფანჯრიდან შემოსული სინათლის შუქზე ხედავდა მის სახეს. რა ბედნიერი ვარ, ფიქრობდა იგი. ეს სულელი გოგოები! არც კი იციან, რა მოვლით. მე ვიცი, ვინ მყავს და ვინ მყავდა. მუდამ მწყალობდა ხოლმე ბედი. კუს თათივით გამოჩრილიო. კიდევ კარგი, ფეხი არ გაუხდა მოსაკვეთი. ფეხის მოკვეთა მართლაც დამწყვეტდა გულს. რა იქნებოდა, ეს მკლავიც არ დაეკარგა?! თუმცა ეს სულაც არ მიშლის. რაც არ უნდა მოუვიდეს, ჩემთვის მაინც ყოველთვის კარგი იქნება. რა ბედნიერი ქალი ვარ! ამისთანა კაცს სად შეხვდები. ვისაც არ უგემნია, რას გაიგებს! მე ბლომად მინახავს. რა ბედნიერი ვარ, რომ ამას შევხვდი. ნეტა კუც იმასვე განიცდის, რასაც ჩვენ?! მაგათთვისაც ასეთივე ტკბილია? თუ დედალ კუს სტკივა ხოლმე? რა

ფიქრები არ მოგივა! შეხედე, როგორ სძინავს, პატარა ბავშვივით. არ დავაძინებ, დროზე უნდა გავაღვიძო. ღმერთო, მე მთელი ღამე არ მომწყინდება. კაცებიც რომ ასე იყვნენ მოწყობილი. განუწყვეტლივ შემიძლია. ერთი წუთითაც არ დავიძინებ. სულ არა, სულ, არც ერთი წუთით. სავსებით, არც ერთი წუთით, სულ არა, სულ. ხედავ, რა ხდება! ჩემი ხნის ქალი რომ ამას ამბობს! სულ არ დავბერებულვარ. ხომ მითხრა, ისევ კარგი ხარო. ორმოცდახუთი წელი რა სიბერეა. სულ ორი წლითა ვარ ამაზე უფროსი. შეხედე, როგორ სძინავს. როგორ ბავშვივით ჩაუძინია.

გათენებას ორი საათიღა აკლდა, როცა ისინი გარაჟში ბენზინის ავზს უტრიალებდნენ, ბოცებში ასხამდნენ და მანქანებში ალაგებდნენ. მარჯვენა მკლავზე კავი ჰქონდა გამობმული ჰარის და უფრო მარჯვედ სწევდა ხოლმე მანულებით შემოწნულ ბოცებს.

- საუზმე არ გინდა?
- რომ მოვბრუნდები, მერე.
- ყავა მაინც დაგელია?
- გაქვს?
- აბა რა. როცა გამოვდიოდით, მაშინ დავდგი.
- ბარემ გამოიტანე.

გამოუტანა ყავა, კაცი მანქანასთან ჩაცუცქდა და იქვე შეხვრიპა. ქალმა ფინჯანი გამოართვა და გარაჟში თაროზე შემოღო.

- მეც გამოგყვები, ბოცებს გადაგაზიდინებ, - უთხრა ქალმა.
- კარგი, - დაეთანხმა კაცი და ქალი გვერდში მოუჯდა, ჩამსხვილებული, კანჭმაღალი, ბრტყელხელა, თეძოგამობურცული, ჯერ ისევ ლამაზი ქალი, რომელსაც ოქროსფრად შეღებილ თმაზე ქუდი ჩამოეფხატა. ამ დილის სიცივესა

და სიბნელეში ისინი შარაგზაზე მიჰქროდნენ, მძიმედ ჩამოწოლილ ნისლს მთარღვევდნენ.

- შეწუხებული რატომ ხარ, ჰარი?

- მე თვითონ არ ვიცი. რაღაც უმიზეზოდ დავლონდი, თმის გაზრდას აპირებ?

- ჰო, ასე გადავწყვიტე. გოგოები აღარ მომეშვნენ.

- გოგოებს რა ყურს უგდებ. ასე გქონდეს.

- მართლა ასე გირჩევენია?

- ჰო, - უთხრა კაცმა, - ასე უფრო მოწონს!

- ბებერი არ გეჩვენები?

- მაგათ ყველას ჯობიხარ.

- მაშ კარგი. ისევ შევიკრეჭ. თუ გინდა, უფრო ბაცად შევიღებავ.

- შენს თმასთან გოგოებს რა ესაქმებათ?! - უთხრა ჰარიმ, - ნეტავ, რას გაწუხებენ.

- მაგათი ამბავი ხომ იცი. გოგოები, საერთოდ, ყველა ასეა. მოიხედე, კარგად თუ გაგიმართლა ამ რეისმა, ნიუ-ორლეანში წავიდეთ, კარგი?

- მაიამიში.

- კარგი, მაიამი იყოს. ეგენი აქ დავტოვოთ.

- ჯერ ამ რეისს მოვრჩე.

- ახლა აღარ ხარ შეწუხებული, ხომ?

- აღარა.

- მთელი ოთხი საათი თვალი არ მომიხუჭავს, ვიწეკი და შენზე ვფიქრობდი, იცი.

- კარგი ბებრუხანა მყავხარ.

- შენზე რომ დავიწყებ ფიქრს, მაშინვე მომინდები ხოლმე.

- კარგი, ჯერ ეს ბენზინი ჩავასხათ, - უპასუხა ჰარიმ.

თავი მეხუთე

დილის ათ საათზე ჰარი უკვე ფრედის ბარში იყო, სხვა ოთხ-ხუთ კაცთან ერთად ისიც დახლს მისდგომოდა; საბაჟოს მოხელეები კი - ორი კაცი - ახლახან გასულიყვნენ ბარიდან. კარჭაპის ამბავი გამოჰკითხეს, მაგრამ ჰარიმ შორს დაიჭირა - არაფერი ვიცო.

- წუხელ სად იყავი? - ჰკითხა ერთმა.

- ჯერ აქ, მერე შინ.

- აქ რომელ საათამდე იყავი?

- მანამ არ დაიკეტა.

- გნახა ვინმემ აქა?

- ვინ აღარა ნახა, - მიუგო ფრედიმ.

- რაო ვითომ, - იწყინა ჰარიმ, - ჩემს საკუთარ კარჭაპს მე ხომ არ მოვიპარავდი? რაში მჭირდებოდა?!

- მე გეკითხები, სად იყავი-მეთქი, - უთხრა საბაჟოს მოხელემ, - რას გაცხარდი!

- გაცხარება რაში მეტყობა, - თქვა ჰარიმ, - გაცხარება მაშინ გენახა, სულ ტყუილუბრალოდ რომ წამართვეს გემი, ვერც ალკოჰოლის გადატანა დამიმტკიცეს და ვერც ვერაფერი. - წერილობითი ჩვენება გვქონდა, ხატზე დაიფიცეს, - თქვა საბაჟოს მოხელემ, - მე ხომ არ მიმიცია ის ჩვენება, შენ თვითონაც ხომ იცი, ვისი ჩვენება იყო.

- კარგი, კარგი, - უთხრა ჰარიმ, - ოღონდ ჩვენს შეკითხვაზე გაცხარდაო, ამას ნუ იტყვით. ნეტა, ისევ თქვენთან იყოს ის კარჭაპი. უკან დაბრუნების იმედი მაინც მექნებოდა. მოპარულს ვილა დამიბრუნებს?

- ეგეც კი მართალია, - დაემოწმა საბაჟოს მოხელე.

- მაშ წადით. ის თქვენი ქაღალდები ქექეთ, - უთხრა ჰარიმ.

- ნუ ჭიჭყინებ, - შეუტია საბაჟოს მოხელემ, - თორემ ისე გაგიხდით საქმეს, რომ სულ სხვა ადგილზე მოგიწევს ჭიჭყინი.

- თხუთმეტი წელიწადია სულ ეგ მესმის.

- არც გიჭიჭყინია ამ თხუთმეტ წელიწადში.

- არც ციხეში ვმჯდარვარ.

- ჭიჭყინს მოეშვი, თორემ ახლა ჩაჯდები.

- არხეინად იყავი, - უთხრა ჰარიმ. ამ დროს ბარში ის შტერი კუბელი ტაქსის შოფერი შემოეხეტა, თან ვიღაც ახლდა. თვითმფრინავით ახლახან ჩამოსული. აყლაყუდა როჯერი ამ შოფერს მიუბრუნდა.

- ჰეისუს, ბავშვი შეგძენია.

- დიახ, სერ, - ამაყად მიუგო ჰეისუსმა.

- ცოლი როდის შეირთე? - ჰკითხა როჯერმა.

- იმ თვეში. არა, იქითა თვეში. ქორწილზე არ ყოფილხარ?

- არა, - მიუგო როჯერმა, - ქორწილზე არ ვყოფილვარ.

- ბევრი დაგიკარგავს, - უთხრა ჰეისუსმა. - კაი ქორწილს გამოკლებიხარ. რა მოგივიდა, რატომ არ მოხვედი?

- როდის მთხოვე!

- მართალი ხარ, დამავიწყდა. არ მითხოვნი... ნახე, რაც გინდოდა? - მიუბრუნდა იგი უცხოელს.

- ჰო, მგონი, ვნახე. ამაზე ძვირიანი ბაკარდი არა გაქვთ?

- არა, სერ, - უპასუხა ფრედიმ, ნამდვილი carta del oro-ა.

- მოიხედე, ჰეისუს, საიდან იცი, რომ შენი შვილია? - აღარ მოეშვა როჯერი. - სულაც არ არის შენი შვილი.

- როგორ თუ არ არის?! რას მიჰქარავ! იცოდე, მაგისტანა რამეს არ მოგიტმენ! როგორ თუ ჩემი არ არის. ძროხა იყიდო და ხბო შენი არ იყოს?! ჩემი ბავშვია, ღმერთმანი. ჩემია. ჩემი ბავშვია. მე მეკუთვნის. ასეა ეს, სერ!

გადის. უცხოელიც თან მიჰყვება ბაკარდით ხელში, და ბოლოს მაინც როჯერს იგდებს მასხრად. კაი ვინმე კია ეს ჰეისუსი. ესეც და ის მეორე კუბელიც, სუიტუოტერიც.

უცებ ენაგატლეკილი ვეჭილი შემოდის და ჰარის ეუბნება:

- ეს წუთია, საბაჟოს მოხელეები შენი კარჭაპისკენ დაიძრნენ.

ჰარიმ შეხედა და ხელადვე შეატყობდი, თვალები მკვლელებით აემღვრა. ენაგატლეკილმა კი, ვითომც არაფერიყო, ისევ მშვიდად განაგრძო.

- საბარგო მანქანის ძარიდან დაუნახავს ვიღაცას ბუჩქებში და საბაჟოსთვის შეუტყობინებია. ჰერმან ფრედერიხსი შემხვდა და იმან მითხრა.

ჰარის ჯერ არაფერი უთქვამს, მაგრამ აშკარად შეატყობდი, როგორ თანდათანობით დაეწმინდა თვალები. მერე კი წყნარად მიუგო ენაგატლეკილს.

- შენ რომ არ გაგეგო, ისეთი რა იქნება!

- მადლობის მაგიერია? - უთხრა ენაგატლეკილმა ისევე მშვიდად.

- მე რა, - თქვა ჰარიმ, - ცოტა უფრო გაფრთხილებოდნენ კარჭაპს.

იდგნენ ასე დახლთან და არცერთს კრინტი აღარ დაუძრავს, მანამ აყლაყუდა როჯერი და დანარჩენები არ გაილაღენ. მერე დახლში შევიდნენ.

- შხამი ხარ, - უთხრა ჰარიმ, - რასაც არ უნდა გაეკარო, შხამად აქცევ.

- მანქანიდან რომ დაინახეს, ეგეც ჩემი ბრალია?! შენ თვითონ არ აარჩიე ის ადგილი! შენ თვითონ იქ არ დამალე შენი კარჭაპი!..

- მოკეტე! - შეუღრინა ჰარიმ, - რატომ აქამდე არ გაუვლიათ იქით მაგსიმადლე საბარგოებს? უკანასკნელი სახსარიც დავკარგე, რომ ცოტაოდენი ფული ალალი შრომით ვიშოვო. ეგლა მქონდა იმედად დარჩენილი, იქნებ ცოტა ფული გამოდნეს-მეთქი.

- აიღეს თუ არა სუნი, მაშინვე შეგატყობინე.

- ნამდვილი ყვავი ხარ.

- კარგი ერთი, - უთხრა ენაგატლეკილმა, - დღეს აპირებენ გამგზავრებას. სადამოხანს.

- ჯანდაბას მაგათი თავი.

- რატომღაც მოსვენება დაკარგეს.

- რომელ საათზე აპირებენ?

- ხუთზე.

- ვუშოვი ნავს. ჯანდაბამდე მივაცილებ.

- კარგს იზამ.

- ახლა მაინც ნულარ მოჰყვები ჩხავილს. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, ნეტა რას დამჩხავი!

- შენ მართლა მკვლელი და წუწკო, - შეუტია ენაგატლეკილმა, - ვცდილობ რამე სახსარი გამოგიძებნო, რამე...

- და მშხამავ არა! მოკეტე ერთი! ვისაც არ უნდა გაეკარო, იმწუთში მოშხამავ ხოლმე.

- კარგი ერთი, რას გადიდგულდი.

- კარგი, - უთხრა ჰარიმ, - მოვიფიქრებ. ამდენი ხანი ვფიქრობდი ამაზე და როგორც იქნა მოვიფიქრე. ახლა უნდა ავდგე და სულ სხვა რამეზე დავიწყო ფიქრი.

- რატომ არ გინდა დაგეხმარო?

- შენ თორმეტ საათზე მოხვალ აქ და იმ ფულს მომიტან, ნავის საგირავნოს.

დახლიდან რომ გამოვიდნენ, ბარში ელბერტი დახვდათ. მაშინვე ჰარისკენ გაემართა იგი.

- ძალიან კი ვწუხვარ, ელბერტ, მაგრამ ვერ წაგიყვან, - უთხრა ჰარიმ. ეს უკვე დიდი ხნის მოფიქრებული ჰქონდა.

- ბევრს არ გადაგახდევინებ.

- ძალიან ვწუხვარ, - გაიმეორა ჰარიმ, - მაგრამ ამჯერად შენ არ მჭირდები.

- ამ ფასად ხეირიანს ვერავის იშოვი, - არ მოეშვა ელბერტი.

- მარტოკა მივდივარ.

- მაგისტანა საქმეზე მარტო რას გახდები.

- გეყოფა! - შეუტია ჰარიმ, - ჩემი საქმეებისა შენ რა გაგეგება. თუ ბირჟაზე გასწავლიან მაგას?

- ჯანდაბაში წასულხარ.

- იქნებ მართლაც წავიდე, - მიუგო ჰარიმ. ვისაც არ უნდა შეეხედა, ხელადვე მიხვდებოდა, რომ რაღაცაზე გამწარებით ფიქრობდა, და ხელს რომ უშლიდნენ, ნერვები ეშლებოდა.

- ნეტა წაგეყვანე, - უთხრა ელბერტმა.

- არ შემძლია-მეთქი, გეუბნები. დამანებე თავი. აღარ მომეშვები?!

ელბერტი გავიდა, ჰარი კი იქვე იდგა დახლთან, ხან ნიკელის ავტომატს შეხედავდა, ხანაც კიუსტერის „უკანასკნელ შესვენებას“, რომელიც კედელზე იყო გაკრული. ისე მიშტერებოდა, თითქოს პირველად ხედავსო.

- ჰა, ზორბად კი მოუჭრა ჰეისუსმა იმ აყლაყუდა როჯერს, არა? - თქვა ფრედიმ და ყავის ფინჯნები საპნიან წყალში ჩაუშვა.

- ერთი ჩესტერფილდი მომეცი, - უთხრა ჰარიმ. სიგარეტის კოლოფი ილღიაში ამოიღო, ზედ გადაჭრილი მკლავის ტაკვი დააჭირა, ცალი მხარე მოხია კოლოფს, სიგარეტი გამოადრო და პირში ჩაიდო, მერე კი კოლოფი ჯიბეში ჩაიგდო და პაპიროსს მოუკიდა.

- კარჭაპი თუ გივარგა, ფრედი? - ჰკითხა მან.

- სწორედ ახლახან ვიმგზავრე, - მიუგო ფრედიმ. - დიდებულად დაცურავს.

- არ გააქირავებ?

- საით უნდა წავიდეს?
- კუბაში.
- მთელ საფასურს თუ დამიტოვებ გირაოდ - კი.
- რა ღირს მაინც?
- ათას ორასი დოლარი.
- მე ვქირაობ, - უთხრა ჰარიმ, - ისე არ მენდობი?
- არა.
- წინდად ჩემი სახლი იყოს.
- სახლი რად მინდა. ათას ორას დოლარს ჩამოდი.
- რა გაეწყობა.
- ჯერ ფული მომიტანე, - უთხრა ფრედიმ.
- ენაგატლეკილი რომ მოვა, უთხარი დამიცადოს, - დაუბარა ჰარიმ და გავიდა.

თავი მეექვსე

მარი და გოგონები საუზმეს შეექცეოდნენ.

- მამას გაუმარჯოს, - შესძახა უფროსმა გოგომ, - მამა მოვიდა.

- რას ჭამთ? - იკითხა ჰარიმ.

- შემწვარ ხორცს, - უპასუხა მარამ.

- მართლა მოიპარეს, მამი, შენი კარჭაპი?

- მიაგნეს, - მიუგო ჰარიმ.

მარამ ქმარს შეხედა.

- ვინ მიაგნო?

- საბაჟოს მოხელეებმა.

- ო, ჰარი, - სიბრაღულით თქვა ქალმა.

- უფრო კარგი არ არის, თუკი მიაგნეს! - გაიკვირვა მეორე გოგომ.

- წამის დროს ლაპარაკი არ შეიძლება, - უთხრა მას ჰარიმ, - მეც მომიტანე საჭმელი, რაღას უცდი!

- ახლავე.

- მეჩქარება, - თქვა ჰარიმ, - მორჩით, და ადექით, - მიუბრუნდა იგი გოგონებს, - რაღაც უნდა ვუთხრა დედას.

- თეატრის ფულს არ მოგვცემ, მამი?

- საბანაოდ წადით, უფასოა.

- რას ამბობ, მამი, ისე ცივა. თან თეატრშიაც გვინდა წასვლა.

- კარგი, - უთხრა ჰარიმ, - აგრე იყოს.

გოგონები რომ გავიდნენ, ჰარიმ ცოლს მიმართა.

- ბარემ დამიჭერი.

- ახლავე, ჩემო ტკბილო.

წვრილად დაუჭრა ხორცი, როგორც პატარა ბავშვს.

- მადლობელი ვარ, - უთხრა ჰარიმ, - რა თავისმომბეზრებელი გავხდი, არა? ამ გოგონებში დიდი ვერაფერი სიკეთე ყრია.

- რას იზამ, ჩემო ტკბილო.

- საოცარია, ერთი ბიჭი არ გაგვიჩნდა.
- იმიტომ, რომ მაგარი ვაჟკაცი ხარ. შენისთანა ვაჟკაცებს სულ გოგოები უჩნდებათ.
- რაღა ვაჟკაცი ვარ, - თქვა ჰარიმ, - მოიხედე, მუშტრები ვიშოვე. რაღაც ჯოჯოხეთი საქმე ჩანს.
- ჯერ კარჭაპის ამბავი მითხარი.
- საბარგო მანქანის ძარიდან დაუნახავთ. მაღალი მანქანა ყოფილა.
- ჯანდაბა!
- კიდევ უფრო უარესი. ძ...
- უჰ, ჰარი! სახლში ამისთანა სიტყვების თქმა სად გაგონილა.
- მაგაზე უარესებიც რომ გითქვამს ლოგინში!
- ეგ სულ სხვა საქმეა. სუფრაზე კი სულაც არ მსიამოვნებს მაგისთანა სიბინძურის მოსმენა.
- თუკი სიბინძურია!
- ო, ჩემო ტკბილო, რა საძაგელ გუნებაზე ხარ! - უთხრა მარიმ.
- სულაც არა. ისე ვფიქრობ, ჩემთვის.
- იფიქრე, ჩემო კარგო. მე მჯერა შენი.
- მეცა მჯერა ჩემი თავისა. მეტი რაღა დამრჩენია.
- არ მეტყვი, რა საქმეზე მიდიხარ?
- არა ოღონდ, რაც არ უნდა გაიგონო, ნუ შეშინდები.
- არ შევშინდები.
- ახლა მაღლა ადი და ჩემი „თომპსონი“ ჩამომიტანე. ხის ყუთში ვაზნები მიყრია, გასინჯე, დატენილი თუა.
- ნუ წაიღებ თოფს.
- დამჭირდება.
- ვაზნის კოლოფებიც გინდა?
- არა. გატენას მაინც ვერ მოვახერხებ. ოთხი თან მიმაქვს.
- მითხარი მაინც, ჩემო ტკბილო, ისეთი საქმე ხომ არ არის?..
- საშინელი საქმეა.

- ო, ღმერთო, - შესძახა ქალმა, - ღმერთო დიდებულო! ნეტა კი ამისთანა საქმეს მოეშვებოდე.

- წადი და ჩამომიტანე, ყავაც მომიმზადა.

- ახლავე, - უთხრა მარამ. გადაიხარა და მაგიდის მეორე მხარეს ქმარს ტუჩებში აკოცა.

- მომეშვი ახლა, - უთხრა ჰარამ, - უნდა ვიფიქრო.

იჯდა სუფრასთან, შესცქეროდა პიანინოს, განჯინას, რადიოს, კედელზე გაკრულ სურათებს - „სექტემბრის დილაო“ თუ მშვილდმომარჯვებული კუპიდინოს სხვადასხვა გამოსახულებანი - მუხის პრიალა მაგიდას და მუხისავე პრიალა სკამებს, ფანჯრებზე ჩამოშვებულ ფარდებს... შესცქეროდა და ფიქრობდა. ნეტა თუ მეღირსება, რომ ოჯახური ცხოვრებით დავტკბე? რატომ სულ უფრო და უფრო უკან მიმდის საქმე? თუ ეს თამაშიც არ მოვიგე, მორჩა - წასულია ჩემი საქმე. ჯანდაბას! სამოცი დოლარიც კი აღარ შემრჩენია ამ სახლის გარდა, მაგრამ მაინც უნდა გავრისკო. ეს ოხერი გოგოები. ამის მეტი ვერაფერი გამოგვივიდა მე და ჩემს ბებრუხუნას. ვინ იცის, ბიჭების ძალა იქნება გამოლეულიც ჰქონდა, როცა მე შევხვდი!

- აჰა, - უთხრა მარამ. ტილოს ღვედით ეჭირა ხელში თოფი, - ოთხივე კოლოფი გატენილია.

- წავედი, - თქვა ჰარამ. ზეთით გაზინთული ბოხჩა აიღო, შიგ გადახსნილი თომპსონი იღო, - წინა სავარძლის ქვეშ ამოდე, მანქანაში.

- ნახვამდის, - უთხრა მარამ.

- ნახვამდის, ჩემო ბებრუხუნა.

- მე კი არ შემეშინდება... მაგრამ თავს გაუფრთხილდი.

- აბა, შენ იცი.

- ოჰ, ჰარი, - წამოიძახა ქალმა და მკერდზე მიეკრა.

- გამიშვი, მაგვიანდება.

მკლავის ტაკვი ბეჭებზე მოუთათუნა.

- ჩემი კუს თათი, - თქვა ქალმა, - ო, ჰარი. ჭკუით იყავი.

- წავედი. ნახვამდის, ჩემო ბებრუხუნა.

- ნახვამდის, ჰარი.

იდგა და შეჰყურებდა, როგორ გავიდა იგი სახლიდან - მაღალი, მოსული, მხარბეჭიანი, წელში გამოწკვერტილი, მკვირცხლი. ახლაც კი რაღაც ცხოველს მაგონებს, გაიფიქრა ქალმა, სულაც არ დაბერებულა, ისევ შემორჩა ის სიცქვიტე

და მოქნილობა. რა მარდად დასრიალებს, გაიფიქრა მან. მანქანაში რომ ჯდებოდა, ქალს თვალში მოხვდა მზეზე გამოხუნებული მისი ქერა თმა, მონღოლივით ყვრიმალებგამობერილი სახე და ვიწრო თვალები, ჩატეხილი ცხვირი, ბრტყელი პირი და მომრგვალებული ნიკაპი. მანქანაში რომ ჩაჯდა, გაუცინა და ქალს ტირილი აუვარდა. „რამდენს დავინახავ ამ ოხერ სახეს, სულ ტირილი მინდება“.

თავი მეშვიდე

ფრედის ბარში სამი ტურისტი მისჯდომოდა დახლს, თვითონ ფრედი ემსახურებოდა. ერთი მათგანი მაღალ-მაღალი, გამხდარი, მხარბეჭიანი კაცი იყო, მუხლებამდე შარვალი ეცვა, სქელშუშებიანი სათვალე ეკეთა. მზით გარუჯულს, შეწითლებული უღვაში მოკლედ ჰქონდა დაყენებული. მის თანამგზავრ ქალს ხუჭუჭა ქერა თმა ბიჭურად შეეკრიჭა, შეუხედავი იყო და მოყვანილობით მოჭიდავე ქალს ჰგავდა. მასაც მუხლებამდე შარვალი ეცვა.

- სულ მიქარვაა ყველაფერი, - ეუბნებოდა ქალი მესამე ტურისტს, მოჟანგისფროულვაშიან, სახეწამომუპებულ მწითურ კაცს, რომელსაც ცელულოიდის საჩიხიანი ტილოს თეთრი ქუდი ეხურა და ლაპარაკის დროს ისე უცნაურად აცმაცუნებდა ტუჩებს, თითქოს პირში ცხელი საჭმელი უდევსო.

- რა დიდებულია! - შესძახა მწვანე საჩიხიანმა კაცმა, - პირველად მესმის ლაპარაკში ეს გამოთქმა. მე ეს უკვე მოძველებული გამოთქმა მეგონა. სალაპარაკო ენიდან ამოვარდნილი და... მხოლოდ მწერლობაში შემორჩენილი.

- მიქარვაა, ნამდვილად მიქარვაა, სულ მიქარვაა ყველაფერი, - განაგრძო მოჭიდავე ქალმა. რომელსაც ერთბაშად კეკლუცობის ჟინმა წამოუარა და მოსაუბრეს პატივისცემის ნიშნად დამუწუკებული პროფილი მიუშვირა.

- რა მშვენიერია, - თქვა მწვანე საჩიხიანმა კაცმა, - ისე ლამაზად გამოთქვამთ! ბრუკლინური ხომ არ არის ეს გამოთქმა?

- არ გეწყინოთ, ჩემი ცოლია, - უთხრა მაღალ-მაღალმა ტურისტმა, - არ იცნობთ ერთმანეთს?

- თვითონ ხომ მიქარვაა, მაგასთან ნაცნობობა კი - ორჯერ მეტად მიქარვა, - თქვა ცოლმა, - როგორა ხართ?

- არა მიშავს რა, - უპასუხა მწვანე საჩიხიანმა, - თქვენ როგორღა ხართ?

- მშვენივრად არის, - მიუგო მაღალ-მაღალმა, - აგერ, თვითონვე ნახავთ.

უცებ ჰარი შემოვიდა და მაღალი ტურისტის ცოლმა შესძახა:

- რა დიდებულია, არა? სწორედ ამისთანა მინდოდა. მიყიდე რა, მამიკო.

- საქმე მაქვს შენთან, ვერ მოიცლი? - მიმართა ჰარიმ ფრედის.

- მაგას რა კითხვა უნდა! ბარემ მითხარი, რა გინდა? - უთხრა მაღალი ტურისტის ცოლმა.

- მოკეტე, კახპავ! - შეულრინა ჰარიმ, - შიგ შევიდეთ, ფრედი.

შიგნითა ოთახში ენაგატლეკილი მისჯდომოდა მაგიდას და იცდიდა.

- გამარჯობა, ძმობილო, - უთხრა მან ჰარის.

- მოკეტე, - შეუღრინა ჰარიმ.

- მოიხედე, - უთხრა ფრედიმ, - გეყოფა, კაცო. ასე გამიგონია?! რას მილანძღავ ამ მუშტრებს! ამისთანა ადგილას ქალს კახპას ეძახი, სად გაგონილა.

- სწორედ რომ კახპაა, - თქვა ჰარიმ, რა მითხრა?

- ჰო, მაგრამ პირში მაინც არ უნდა მიახლო ამისთანა რამე.

- კარგი, კარგი. ფული თუ მომიტანე?

- აბა რას ვიზამდი! - უთხრა ენაგატლეკილმა, - რატომ არ უნდა მომეტანა? აკი შეგპირდი!

- მაჩვენე.

ენაგატლეკილმა გადასცა. ჰარიმ დაითვალა - ათი ას დოლარიანი და ოთხი ოციანი.

- ათას ორასი უნდა ყოფილიყო.

- ვახში გამოვქვითე, - უთხრა ენაგატლეკილმა.

- მოიტა.

- არა.

- მოიტა-მეთქი.

- ნეტა რას სულელობ.

- ახ, შე მდილო.

- აბა, აბა, მოზვერო, - შესძახა ენაგატლეკილმა, - წართმევა არც იფიქრო, იმიტომ, რომ თან არა მაქვს.

- ვხედავ, - უთხრა ჰარიმ, - ადრევე უნდა მეფიქრა. მოიხედე, ფრედი. რამდენი ხანია მიცნობ. ვიცი, რომ ათას ორასი ღირს ის შენი კარჭაპი. ასოცი დოლარი მაკლია. გამომართვი და დანარჩენ ფულსა და ქირას მენდე.

- ეს კაი სამას ოცი დოლარი გამოდის, - თქვა ფრედიმ. სამძიმო საქმე იყო ამდენი ფულის გარისკვა და ამის გაფიქრებაზე ოფლმა დაასხა.

- მანქანა მაქვს, სახლში რადიო მიდგას... საგირავნოდ ეგეც კმარა.

- საგირავნო ფურცელს მე შეგივსებ, - უთხრა ენაგატლეკილმა.

- ფურცელი რად მინდა, - თქვა ფრედიმ. ისევ დაასხა ოფლმა და ხმაც გაეზარა. მერე განაგრძო, - კარგი, გავრისკავ, ოღონდ, თუ ღმერთი გწამს, კარჭაპს გაუფრთხილდი. ჰა, ჰარი?!

- საკუთარივით გავუფრთხილდები.

- საკუთარი ხომ დაკარგე, - უთხრა ფრედიმ და ისევ დაასხა ოფლმა. ამ გახსენებამ კიდევ უფრო გაამწარა.

- ერთი სიტყვით, გავუფრთხილდები.

- ფული ბანკში მექნება, ჩემს სეიფში, - თქვა ფრედიმ.

ჰარიმ ენაგატლეკილს შეხედა.

- საიმედო ადგილია, - თქვა მან და გაიჭყანა.

- ბარმენ, - გამოსძახა ვიღაცამ ბარიდან.

ფრედი შებრუნდა.

- მაგან მე შეურაცხყოფა მომაცენა, - მოესმა ჰარის წრიპინა ხმა, მაგრამ იგი უკვე ენაგატლეკილს ელაპარაკებოდა.

- ქუჩის ბოლოში ვიქნები, ნავსადგომზე. ეს სულ ნახევარი კვარტლის საქმეა.

- კარგი.

- მეტი არაფერი.

- კარგი, ძამიკო.

- ნუ მეძამიკოები.

- როგორც გენებოს.

- ოთხი საათიდან ვიქნები იქა.

- მერე?

- უნდა მომცვივდნენ და ძალით წამართვან კარჭაპი, გაიგე? მე ვითომ არაფერი ვიცი. ჩემთვის ვარ და ძრავს ვამოწმებ. გემზეც კი არაფერი მაქვს მომზადებული სამგზავროდ. ფრედისგან ვიქირავე კარჭაპი მოხალისე მეთევზეების წასაყვანად. რევოლვერით უნდა დამადგნენ თავზე და ძრავი ჩამართვევინონ, საბელიც თვითონვე უნდა გადასჭრან.

- ფრედის რაღა ვუთხრათ? მართლა სათევზაოდ ხომ არ დაგიქირავებია ფრედისგან.

- ფრედის მე ვეტყვი.

- არ გირჩევ.

- ვეტყვი.

- არ გირჩევ.

- რას ამბობ, ფრედისთან ერთად ჯერ კიდევ ომის დროს რამდენი საქმე გამირიგებია. ორჯერ ვყოფილვართ საქმის მოზიარეები და ერთხელაც არ წავჩხუბებულვართ, შენ მაინც ხომ იცი, რამდენი საქონელი გადმომიტანია მაგისტრის. რაც ქალაქში ძაღლის გაგდებულეებია, იმათგან ერთადერთს მაგას თუ ვენდობი.
- მე თუ მკითხავ, არავისაც არ ვენდობოდი.
- შენ, ჰო. საკუთარი გამოცდილებით ზომავ.
- მე მომეშვი.
- კარგი. ახლა წადი და შენი მეგობრები ნახე. რას ეტყვი მაინც?
- ეგენი კუბელები არიან. სასტუმროში შევხვდი შემთხვევით. ერთ მათგანს დამოწმებული ჩეკი დასჭირდა ბანკში. რა არის აქ დაუჯერებელი?
- შენ ვერაფერს ამჩნევ?
- ვერა. ბანკთან შევიპირებ.
- იქ ვინ მოიყვანს?
- ტაქსი.
- მერე შოფერი რას იფიქრებს - ვინ არიანო, მევიოლინეები?
- ჩვენც იმისთანა შოფერს გამოვძებნით, სულაც არა ჰქონდეს ფიქრის თავი. მაგისტანა ხალხს რა გამოლევს ამ ქალაქში! ჯერ მარტო ჰეისუსი.
- ჰეისუსი ჭკვიანი გახლავს. ისე ისულელებს თავს.
- გავაფრთხილებ, რომ რაც შეიძლება შტერი შეარჩიონ.
- უშვილო შეარჩიონ.
- მაგისტანა ვინ იქნება! სად გინახავს, რომ ტაქსის შოფერს შვილები არ ჰყავდეს!
- მელაძუა ხარ ნამდვილი, მოღალატე და გამცემი.
- კაცი მაინც არ მომიკლავს ჩემს დღეში, - უთხრა ენაგატლეკილმა.
- ვერც მოკლავ. წამო, გავიდეთ აქედან. შენთან რომ ვარ, მთელი ტანი მექავება.
- იქნებ ტილები გახვევია!
- ლაპარაკით ხომ არ გადმოვიდოდა?
- პირი თუ არ მოკუმე, იქნებ მართლაც გადმოვიდეს.
- მაშ მოკუმე, მე კი წავალ და ცოტას დავლევ, - თქვა ჰარიმ.

ბარში კვლავ ის სამი ტურისტი იჯდა მაღალ ტაბურეტებზე, დახლთან. ჰარი რომ მიუახლოვდა, ქალმა ზიზლის ნიშნად პირი გვერდზე მიაბრუნა.

- რას დალეე? - ჰკითხა ფრედიმ.

- ეს ქალბატონი რასა სვამს?- იკითხა ჰარიმ.

- კუბა ლიბრს.

- მაშ მე სუფთა ვისკი დამისხი.

წითელულვაშა, სქელსათვალეზიანმა, მაღალმა ტურისტმა თავისი ბრტყელი სივითი ჰარისკენ მიღრიცა და უთხრა:

- შენ რა გაუბედე ჩემს ცოლს?!..

ჰარიმ ერთი ახედ-დახედა და ფრედის მიმართა:

- რას დაემსგავსა ეგ შენი ბარი?

- ვითომ რაო? - გამოეხმაურა მაღალ-მაღალი.

- დამშვიდდი, კაცო, - უთხრა მას ჰარიმ.

- ჩემთან მაგისტანები არ გაგივა.

- მოიხედე, - უპასუხა ჰარიმ, - თქვენ ხომ აქ გასაჯანსაღებლად და გასამაგრებლად ჩამოხვედით? ჰოდა, დამშვიდდი, - თქვა და ბარიდან გავიდა.

- უნდა გამერტყა, - თქვა მაღალ-მაღალმა, - ჰა, რას იტყვი, ჩემო ძვირფასო?

- ეჰ, ნეტა მამაკაცი მქნა, - მიუგო ცოლმა.

- ამისთანა ჩასკვნილ კაცს წინ რაღა დაგიდგებოდათ! - ლუდის ტოლჩაში ჩაიდუდლუნა მწვანე საჩიხიანმა.

- რაო, რა თქვით? - ჩაეკითხა მაღალ-მაღალი.

- რა ვთქვი და, გაიგეთ მისი გვარი, მისამართი, და მისწერეთ, რასაც ფიქრობთ მასზე.

- სხვათა შორის, ჯერ თქვენი გვარი მითხარით. მასხრად მიგდებთ?

- შეგიძლიათ პროფესორი მაკ-უოლსი მიწოდოთ.

- ჩემი გვარი ლაფტონია, - უთხრა მაღალ-მაღალმა, - მწერალი ვარ.

- ძალიან სასიამოვნო, - თქვა პროფესორმა მაკ-უოლსიმ. - ბევრსა სწერთ?

მაღალ-მაღალმა მიიხედ-მოიხედა.

- წავიდეთ აქედან, ჩემო ძვირფასო, - უთხრა მან ცოლს, - როგორც ვატყობ, აქ ვინც შემოდის, ან ტუტუცია, ან შტერი.

- უცნაური ადგილი გახლავთ, - თქვა პროფესორმა მაკ-უოლსიმ, - მართლაც რომ მომხიბლავია. ამერიკის გიბრალტარს ემახიან, ქაიროს სამხრეთით სამას სამოცდათხუთმეტ მილზე მდებარეობს. თუმცა ამ ბარის მეტი ჯერ არაფერი მინახავს აქ, ვერ მოვასწარი. ისე, კარგი ბარი ჩანს.

- თქვენ მართლა პროფესორი უნდა იყოთ, - უთხრა ქალმა, - მომწონხართ, იცი.

- მეც მომწონხართ, ჩემო ძვირფასო, - მიუგო პროფესორმა მაკ-უოლსიმ, - მაგრამ ახლა უნდა წავიდე.

გავიდა და თავის ველოსიპედს დაუწყო ძებნა.

- ყველა შტერია აქა, - თქვა მაღალ-მაღალმა, - აღარ დავლიოთ, ჩემო ძვირფასო?

- მართლა მომეწონა ეს პროფესორი, - თქვა ქალმა, - მომხიბლავი კაცია.

- ის მეორე...

- ო, რა ლამაზი სახე აქვს! - შესძახა ქალმა, - ნამდვილი თათარია. უზრდელი რომ არ იყოს!.. ისეთი სახე აქვს, ჩინგიზ-ყაენი გეგონება. იფ, რა ზორბა ვინმე იყო!

- ცალხელაა, - უთხრა ქმარმა.

- არ შემინიშნავს. აღარ დავლიოთ? ნეტა, ვინ შემოვა კიდევ?

- იქნებ თემურ-ლენგი შემოვიდეს.

- იფ, რა ნაკითხი ხარ, - შესძახა ცოლმა, - მაგრამ მე ჩინგიზ-ყაენიც მეყოფა. ეს „მიქარვა“ რატომ მოეწონა ნეტა პროფესორს?

- რა ვიცი, ჩემო ძვირფასო, - უპასუხა მწერალმა ლაფტონმა, - მე კი ჩემს დღეში არ მომწონებია და...

- ეტყობა, ნამდვილად მოვეწონე. - თქვა ქალმა, - ეჰ, რა კარგი ვინმე იყო.

- კიდევ ნახავ, ალბათ.

- სულ აქ არ არის, როცა არ უნდა მოხვიდეთ! - უთხრა ფრედიმ, - აქვე ცხოვრობს. აგერ, ორი კვირა იქნება, აქ არის.

- ის ვილა იყო, უწმაწურ სიტყვებს რომ ისროდა?

- ისა? ჰო, აქაურია.

- რას აკეთებს?

- ყველაფერს, ცოტ-ცოტას, - უპასუხა ფრედიმ, - მეთევზეა.

- მკლავი სად დაკარგა?

- რა ვიცი. სადღაც დაისახიჩრა.

- იფ, რა ლამაზი ვინმეა, - თქვა ქალმა.

ფრედიმ გაიცინა.

- რა არ გამიგონია მაგაზე, რა არ უთქვამთ, მაგრამ, ლამაზიაო, პირველად მესმის.

- ვითომ რა, არ არის ლამაზი?

- ნეტაი თქვენ, ქალბატონო, - მიუგო ფრედიმ, - ლორს მიუგავს სახე. თანაც ცხვირიც ჩაჭყლეტილი!

- ოჰ, რა სულელები არიან კაცები! - თქვა ქალმა, - სიზმარში რომ მოგელანდება, ისეთი კაცია.

- მტრისას, მაგისტანა კაცის დასიზმრება, - უპასუხა ფრედიმ.

მწერალი კი იჯდა და შტერივით აცეცებდა თვალებს, მხოლოდ მაშინ თუ გადაუვიდოდა სახეზე სიშტერე, როცა ცოლს შეხედავდა აღფრთოვანებით. მართლაც მწერალი უნდა იყო ან საზოგადოებრივ სამუშაოთა სამმართველოს თანამშრომელი, რომ ამისთანა ცოლი შეირთო, გაიფიქრა ფრედიმ. ღმერთო, რა საშინელებაა!

ამ დროს ელბერტი შემოვიდა ბარში.

- ჰარი სად არის?

- ნავსადგომისკენ წავიდა.

- გმადლობთ, - უთხრა ელბერტმა.

ელბერტი წავიდა, მწერალი და მისი ცოლი კი იქვე ისხდნენ, ფრედიც იქვე იდგა და ნავს მისტიროდა, თან იმასაც ფიქრობდა, მთელი დღე ფეხზე დგომით ფეხები სულ დამიავადმყოფდაო. ხის ლარტყული დააგო ცემენტის იატაკზე, მაგრამ ბევრი ვერაფერი უშველა, ტეხდა და ტეხდა ფეხები. საქმე კი კარგად მისდიოდა. ყველაზე უკეთესად მთელ ქალაქში, ხარჯებიც სხვაზე ნაკლები ჰქონდა. რა მაიმახია ეს დედაკაცი. ან ეს ვაჟბატონი რა უნდა იყოს, ამისთანა ქალს რომ გამოძებნის და შეირთავს! თვალდახუჭული რომ იყო, მაშინაც არ უნდა შეგეშალოს კაცს, ფიქრობდა ფრედი. მაგისტანა ქალთან არც უნდა გაიარო. სმით კი ბევრსა სვამენ კაი ძვირფას სასმელებს. ეგეც ხეირია.

- კი, ბატონო, - წამოიძახა მან, - ახლავე.

შემოვიდა მზით გარუჯული, ქერათმიანი, ჩამოსხმული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მეზღვაურის ზოლებიანი პერანგი და მიხაკისფერი მოკლე შარვალი ეცვა. თან შემოჰყვა შალის თეთრ სვიტერსა და ლურჯ შარვალში ჩაცმული მშვენიერი ქალი.

- ეს ხომ რიჩარდ გორდონია! - შესძახა ლაფტონმა და წამოხტა, - რიჩარდ გორდონი და მომხიბლავი მისს ელენი!

- გამარჯობა, ლაფტონ, - მიესალმა რიჩარდ გორდონი, - მთვრალი პროფესორი ხომ არსად გინახავთ?

- ფეხად გაგასწროთ, - მიუგო ფრედიმ.

- ვერმუთს არ დალევ, ჩემო საყვარელო? - ჰკითხა რიჩარდ გორდონმა თავის ცოლს.

- შენც თუ გინდა, - მიუგო ქალმა. მერე ლაფტონებს მიესალმა, - გამარჯობათ. ჩემთვის ფრანგულ-იტალიური შეაზავე, ფრედი, ნახევარ-ნახევარი.

მაღალ ტაბურეტზე შესკუპდა. ფეხი ამოიკეცა და ქუჩაში დაიწყო ცქერა. ფრედი აღფრთოვანებით შეჰყურებდა. ამისთანა ლამაზი არავინ ჩამოსულა ამ ზამთარს კი-უესტშიო, ფიქრობდა. საქვეყნოდ განთქმული მზეთუნახავი მისის ბრედლიც კი ვერ მოვა მაგასთანო. ცოტა არ იყოს, დასქელდა ის მისის ბრედლი. ამ ქალს კი ეშხიანი ისლანდიური სახე ჰქონდა, მხრებზე ჩამოშლილი შავი ხუჭუჭა თმა, რბილი, სუფთა კანი... ფრედიმ მის ბრინჯაოსფერ ხელს შეხედა, ქალს ჭიქა ეჭირა ხელში.

- საქმე როგორ მიგდის? - ჰკითხა ლაფტონმა რიჩარდ გორდონს.

- კარგად, - მიუგო გორდონმა, - თქვენ?

- ჯემსს მუშაობა აღარ ეპიტნავება, - დაასწრო მისის ლაფტონმა, - სმა ურჩევნია.

- ეგ პროფესორი მაკ-უოლსი ვინ არის? - იკითხა ლაფტონმა.- ეკონომიკის პროფესორი უნდა იყოს. ახლა, მგონი, ერთი წლის შვებულება აქვს, თუ რაღაც ამგვარი. ელენის მეგობარია.

- ძალიან მომწონს, - თქვა ელენ გორდონმა.

- მეც მომწონს, - არ ჩამორჩა მისის ლაფტონი.

- პირველად მე მომეწონა, - ბედნიერი ღიმილით თქვა ელენ გორდონმა.

- ინებეთ, თქვენი იყოს, - უპასუხა მისის ლაფტონმა, - თქვენისთანა ლამაზ გოგონებს წინ ვინ დაუდგება, რასაც მოიწადინებთ - თქვენია.

- იმიტომაც ვართ კარგები, - ჩაილაპარაკა ელენ გორდონმა.

- კიდევ მინდა ვერმუთი, - თქვა რიჩარდ გორდონმა, - თქვენ არ დალევთ? - ჰკითხა მან ლაფტონებს.

- რატომაც არა, - უპასუხა ლაფტონმა, - ერთი ეს მითხარით, ხვალ ბრედლის დიდ მეჯლისზე არ აპირებთ?

- როგორ არა, მიდის! - მიუგო ელენ გორდონმა. - მომწონს, იცით, ის ქალი, - თქვა რიჩარდ გორდონმა, - ჯერ ერთი, როგორც ქალი, ისე მიტაცებს, და მეორეც - როგორც სოციალური ფენომენი.

- იფ, - შესძახა მისის ლაფტონმა, - თქვენც ისე განათლებულად ლაპარაკობთ, როგორც პროფესორი.

- გაუნათლებლობით ყოყოჩობა არ ვარგა, ჩემო ძვირფასო, - უთხრა ლაფტონმა.

- სოციალურ ფენომენებსაც უწვებიან ხოლმე ლოგინში? - იკითხა ელენ გორდონმა და კარებში გაიხედა.

- ნეტა რას სულელობ! - წაულაპარაკა რიჩარდ გორდონმა

- ეგეც მწერლის მოვალეობებში თუ შედის-მეთქი, მაინტერესებს?

- მწერალმა ყველაფერი უნდა იცოდეს, - თქვა რიჩარდ გორდონმა. ბურჟუაზიული დონით ვერ შემოზღუდავს თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

- ოჰ, - შესძახა ელენ გორდონმა, - მწერლის ცოლს რაღა ევალეზა?

- ათასი რამე, როგორც ვაკვირდები, - მიუგო მისის ლაფტონმა, - თქვენ ის უნდა გენახათ, ვიღაც კაცი რომ შემოვიდა აქ და შეურაცხყოფა მოგვაყენა მე და ჯემსს. საშინელი რამე იყო.

- უნდა გამერტყა, - თქვა ლაფტონმა.

- ნამდვილი საშინელება იყო, - არ ცხრებოდა მისის ლაფტონი.

- შინ მივდივარ, - თქვა ელენ გორდონმა, - შენ არ წამოხვალ, დიკ?

- ცოტა ხანს ქალაქში მინდა გავლა, - მიუგო რიჩარდ გორდონმა.

- ჰოო? - თქვა ელენ გორდონმა-და სარკეში ჩაიხედა, რომელიც ფრედის თავზემით ეკიდა.

- ჰო, გავივლი, - უპასუხა რიჩარდ გორდონმა.

ფრედიმ ქალს შეხედა და გაიფიქრა, ახლავე ატირდებო. ნეტა ჩემს ბარში არ ატირდესო, ინატრა.

- სხვას არაფერს დალევ? - ჰკითხა რიჩარდ გორდონმა ცოლს.

- არა, - თავი გააქნია ქალმა.

- რა მოგივიდათ? - ჩაეკითხა მისის ლაფტონი, - არ მოგწონთ აქაურობა?

- აქ ყოფნას რა სჯობს, - მიუგო ელენ გორდონმა, - მაგრამ მე მაინც შინ მირჩევნია.

- მეც მალე მოვალ, - უთხრა რიჩარდ გორდონმა.

- ნუ შეწუხდები, - მიუგო ქალმა. ადგა და გავიდა ბარიდან. ტირილით არ უტირია. არც ჯონ მაკ-უოლსის შეხვედრია.

თავი მერვე

ჰარი მორგანმა მანქანა ნავსადგომთან გააჩერა, სწორედ იქ, საცა ფრედის კარჭაპი იდგა, მიიხედ-მოიხედა, და რაკი ირგვლივ არავინ ჩანდა, წინა სავარძელი ასწია, ზეთით გაზინთული გახეშეშებული ტილოს ბოხჩა გადმოიღო და პირდაპირ გემბანზე მოიქნია. თვითონაც გადავიდა კარჭაპზე, ძრავს ხუფი ახადა და თოფის ბოხჩა დამალა. მერე სარქველები გახსნა და ორივე ძრავა ჩართო. მარჯვენა ძრავა ორიოდე წუთში თანაბარი გუგუნით ამუშავდა, მარცხენასი კი მეორე და მეოთხე ცილინდრი ითიშებოდა - ფალიები გაბზარულიყო. ახლებს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ იპოვა. „უნდა ვიშოვო და გამოვცვალო, ბენზინიც უნდა ჩავასხა“, გაიფიქრა მან.

ძრავებს არც მოშორებია ისე, თოფის ბოხჩა გახსნა და ლულა კონდახს დაამაგრა. მერე ორი ღვედის ნაჭერი და ოთხი ხრახნი მოძებნა. ღვედები რამდენიმე ადგილას დასერა და კოკპიტის ქვემოთ, ზედ მარცხენა ძრავასთან თოფის სამაგრი გააკეთა. მოშვებულად იდო შიგ თოფი, თავისუფლად ქანაობდა. ბოხჩის ჯიბეში იმ ოთხ სავაზნე კოლოფთაგან ერთ-ერთი ამოარჩია და მოარგო. მერე ძრავებს შორის მუხლებზე დაეშვა და თოფს

გადასწვდა. ერთი წამის საქმე იყო: კონდახის სამაგრ ღვედს გადახსნიდა და წინა ღვედიდან ლულას გამოადრობდა. სცადა ამის გაკეთება და ცალხელამაც იოლად მოახერხა. მერე საკეტი ნახევარავტომატიდან სრულ ავტომატზე გადაიყვანა და შეამოწმა, მცველი ხომ დაკეტილიაო. ბოლოს ისევ თავის ადგილზე დაამაგრა თოფი. ველარ გადაწყვიტა, თავისუფალი ვაზნის კოლოფები სად დაემალა და ისევ ბენზინის ავზის ქვეშ შედო ბოხჩა, საიდანაც ადვილად დაითრევდა; კოლოფის ბოლოები მარჯვედ დააწყო, რომ სწრაფად წაევილო ხელი. ზღვაში რომ შევალთ, მერე, როგორც კი მოვახელთებ, ორ ცალს ჯიბეში ჩავიდებ, გაიფიქრა მან. თუმცა საშიშია, ჩხაკუნის არ დაიწყოს.

წამოდგა. მშვენიერი დღე იყო, სასიამოვნო ამინდი იდგა, არ ციოდა, დასავლეთის სუსტი ზღვაური უბერავდა. ერთი სიტყვით, მშვენიერი დღე იყო. ზღვის სრუტის სათავეში, ხიმინჯებზე ორი ვარხვი ჩამომჯდარიყო. თევზის ბაზრისკენ მეთევზეთა მწვანე ნავი მითუხთუხებდა. კიჩოზე, საჭესთან ზანგი მეთევზე იჯდა. ჰარიმ ნაშუადღევის მზეზე ნაცრისფრად მოლივლივე წყალს გახედა, იქვე არხის გაღრმავების დროს დაზვინული სილა მოჩანდა. კუნძულის თავზე თეთრად დასრიალებდნენ თოლიები.

„წყნარი ღამე იქნება“, - გაიფიქრა მან, - „ნამდვილი სამგზავრო ღამე.

ძრავებთან რომ საქმიანობდა, თავჩაღუნული, გაოფლიანებულიყო, და ახლა, როცა წამოდგა, სახე ჩვრით მოიწმინდა.

ნავსადგომთან ელბერტი იდგა.

- ჰარი, - უთხრა მან, - წამიყვანე, რა.

- რა მოგივიდა?

- ბირჟაზე ახლა კვირაში მარტო სამი დღე უნდა გვამუშაონ. ამ დილას გავიგეს სხვა საქმე უნდა გავიჩინო.

- კარგი, - უთხრა ჰარიმ. ეტყობოდა, ისევ გადაეფიქრა, - კარგი, წაგიყვან.

- აგაშენა ღმერთმა, - გაეხარდა ელბერტს, - შინ მისვლისა მეშინოდა, ჩემს ბებრუხანას

როგორ დავენახვო-მეთქი. ისე შემახურა ამ დილას, თითქოს ეს სამდღიანი კვირა მე შემომეღოს.

- რა ღმერთი უწყრება მაგ შენს ბებრუხანას, - სიცილით უთხრა ჰარიმ, - შენც ადექი და მიადე ერთი.

- შენ თვითონ მიადე, თუ კარგია, - მიუგო ელბერტმა, - ერთი მომასმენინა, რა პასუხს მიიღებდი. იმისთანა ენის პატრონია, რომ მტრისას.

- ელ, იცი რა ქენი, - უთხრა ჰარიმ, - ჩემს მანქანაში ჩაჯექი. აჰა, ესეც გამომართვი. რკინეულობის საწყობში მიხვალ და ექვს ამისთანა ფალიას მიყიდი. იქიდან მაღაზიაში შეირბინე და ოცი ცენტის ყინული და ექვსიოდე კეფალიც წამოიღე. თან ერთი-ორი ქილა ყავა, ოთხი ხორცის კონსერვი, ორი პური, ცოტაოდენი შაქარი და ორი შედედებული რძეც იყიდე. მერე სინკლერთან გამოიარე და უთხარი, ორმოციოდე ბალონი ბენზინი მომიტანოს. რაც შეიძლება მალე დაბრუნდი და მარცხენა ძრავში მეორე-მეოთხე ცილინდრებს ფალიები გამოუცვალე. ბენზინის ფულს მოვალ და მე თვითონ გადაგიხდი-თქვა, ჩემმაგიერ უთხარი. უნდათ - დამიცადონ, უნდათ -

ფრედისთან მომძებნონ. ხომ არაფერი დაგავიწყდება? ხვალ ტარპონებზე სათევზაოდ მიგყავს ხალხი.

- რაღა დროს ტარპონია ამ სიცივეში! - გაიკვირვა ელბერტმა.

- მაგათ რომ ჰკითხო, სწორედ ახლაა დრო, - უთხრა ჰარიმ.

- კეფალი ერთი დუჟინი ხომ არ წამომეღო? - ჰკითხა ელბერტმა, - ვაითუ ქარიყლაპიებმა დაგვიგლიჯონ! მთელი სრუტე სულ ქარიყლაპიებითაა გატენილი.

- დუჟინი იყოს. ოღონდ ერთ საათში უკან დაბრუნდი. ბენზინიც ჩაასხი.

- ამდენი ბენზინი რად გინდა?

- დილაადრიან გავალთ ხოლმე, გვიან დავბრუნდებით, ბენზინის ჩასხმის დრო იქნებ აღარ დაგვრჩეს.

- იმ კუბელებს რაღა მოუვიდათ, გადაყვანას რომ შეჰპირდი?

- იმის მერე აღარც გამოჩენილან.
- კარგი საქმე კი იყო.
- ეგეც კარგი საქმეა. აბა, ჩქარა.
- რამდენს გადამიხდი?
- დღეში ხუთ დოლარს, - უთხრა ჰარიმ, - თუ არ მოგწონს, შენი ნებაა.
- კარგი, იყოს, - უთხრა ელბერტმა, - რომელი ფალიებიო?
- მეორე და მეოთხე, - მიუგო ჰარიმ. ელბერტმა თავი დაუქნია.
- დავიხსომებ, როგორმე, - თქვა მან. მანქანაში ჩაჯდა, მოაბრუნა და ქუჩაში გასრიალდა.

ჰარი კარჭაპიდანვე გარკვევით ხედავდა პირველი

ამერიკული სახელმწიფო-საკრედიტო ბანკის აგურ-ქვიშის შენობასა და მის მთავარ შესასვლელს. ქუჩის ბოლოში იდგა ეს ბანკი, ნავსადგომიდან ერთი კვარტლის დაშორებით. გვერდის შესასვლელი არ ჩანდა. საათს დახედა. სამი დაწყებულიყო. ძრავს ხუფი დაახურა და ნავსადგომის ბაქანზე გამოვიდა. რაც მოსავალია, მომივიდეს, გაიფიქრა მან. ყველაფერი გავაკეთე, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა. ახლა წავიდე, ფრედი ვნახო. მოვბრუნდები იქიდან და იმათ დავუცდი. ნავსადგომიდან გამოვიდა, მარჯვნივ შეუხვია და ვიწრო მოსახვევებს დაადგა, ბანკის წინ გავლას მოერიდა.

თავი მეცხრე

სურდა, გულახდილად ეთქვა ფრედისთვის ყველაფერი, მაგრამ არ გამოუვიდა. ბარში კაცის ჭაჭანება არ ყოფილა, იჯდა ტაბურეტზე და ცდილობდა გული გადაეხსნა, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა. როცა გადაწყვიტა, ახლა კი ნამდვილად ვეტყვიო, იგრძნო, რომ ფრედი არ იზამდა ამას. ძველად შეიძლება ექნა კიდევ, მაგრამ ახლა - არასდიდებით. იქნებ არც ძველად დათანხმებულიყო. მანამ ფრედისთვის გამხელას გადაწყვეტდა, არც უფიქრია, რა საშინელი საქმე იყო ეს. მოდი, აქვე დავრჩები, და არც არაფერი მოხდება, გაიფიქრა ერთი პირობა. ვიჯდები აგერ ჩემთვის, დავლევ, დავთვრები და აღარაფერში გავერევი. ეს არის, რომ თოფი დამრჩა გემზე. მერე რა, ჩემი ბებრუხანას გარდა კაციშვილმა არ იცის, რომ ჩემი თოფია. კუბაში მაქვს ნაყიდი, ერთ-ერთი რეისის დროს, კონტრაბანდა რომ გადამქონდა. ვინ რა იცის, რომ ჩემია! დავრჩები აგერ და სულაც არ გავერევი მაგ საქმეში. მაგრამ ცოლ-შვილს რა ჯანდაბა ვაჭამო? მარი და გოგოები რითი შევინახო, ფულს ვინ მომაქვავებს? გემი მე აღარ შემრჩა, ფული არ მიჭყავის, სწავლა-განათლება არა მაქვს! რას უნდა გახდეს ცალხელა კაცი?! ვიქნები აგერ, ერთ ხუთ ჭიქას კიდევ დავლევ, დროს გავაჩანჩალებ, დავაგვიანებ. არ დავეძებ, რაც მოხდება, მოხდეს.

- რამე დამისხი, - უთხრა მან ფრედის.

- ახლავე.

სახლს გავყიდი და ბინას ვიქირავებ სადმე, სანამ რამე სამუშაოს გამოვძებნიდე. რა სამუშაოს? არავითარი სამუშაო ჩემთვის არ არსებობს. მივალ ბანკში და დავასმენ... რას მივიღებ მერე? მადლობას. მაშ არადა. მადლობა! კუბელმა მოხელეებმა აიღეს და თოფი დამიშინეს. მკლავი მომგლიჯეს, როცა სულაც არ იყო საჭირო სროლა; ამერიკელებმა კარჭაპი წამართვეს. ახლა სულსაც გამოვეთხოვო და სამაგიეროდ მადლობა მივილო? რა თავში ვიხლი მაგ მადლობას. ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ, გაიფიქრა მან. სხვა გზა არ არის.

ფრედის ვეტყვიო, იფიქრა. უნდოდა სხვა ვინმესაც სცოდნოდა მისი გადაწყვეტილება, მაგრამ ვერ მოახერხა. იგრძნო, რომ ფრედი არ იზამდა. ფული არ აკლია. მართალია, დღისით იშვიათად შემოიხედავს კაცი ამ ბარში, მაგრამ სამაგიეროდ სალამობით გაიჭედება ხოლმე და ღამის ორ საათამდე ტევა არ არის. თავი ქუდში აქვს ფრედის. არა, არასდიდებით არ დათანხმდება. ისევ მე უნდა ვქნა, გაიფიქრა მან, იმ უბედურ

ელბერტს გავიყოლებ. ღმერთო, რა საცოდავად იდგა ნავსადგომზე, შიმშილით გამოლასლასებული. რამდენი კონჩაა, შიმშილით მოკვდება და ქურდობას კი არ იკისრებს. ჯერ ჩვენს ქალაქშიაც რამდენს აქვს შიმშილით კუჭი მიმხმარი, მაგრამ თითსაც არ გაანძრევენ. ნელ-ნელა ელევით ხოლმე შიმშილით სული. დაბადებიდანვე ასე მოსდგამთ. ზოგიერთებს, რა თქმა უნდა.

- იცი რა, ფრედი, - გასძახა მან, - ორი ბოთლი უნდა მომცე.

- რა?

- ბაკარდი.

- მოგართმევ.

- ოღონდ საცობებს მომიხსნი, არა? ხომ იცი, კუბელების გადასაყვანად დავიქირავე შენი კარჭაპი.

- აკი მითხარი.

- ოღონდ არ ვიცი, როდის აპირებენ. იქნებ ამაღამვე. ჯერ არ უთქვამთ.

- კარჭაპი მზად არის, როცა არ უნდა მოუნდეთ. ღამესაც კარგი პირი უჩანს, ამაღამ თუ წახვალთ.

- დღეს, მგონი, სათევზაოდ უნდოდათ გასვლა ზღვაში.

- ბადეც გემზეა, ვარხვებმა თუ არ მოიპარეს.

- არა, იქვეა.

- მით უკეთესი, ბედნიერად გემგზავროს, - უთხრა ფრედიმ.

- მადლობელი ვარ. ერთსაც არ მომცემ?

- რასა?

- ვისკი იყოს.

- აკი ბაკარდისა სვამდი?

- ღამე თუ შემცივდა ზღვაში, ამას დავლევ.

- სულ ზურგქარი გაგაქროლებს, - უთხრა ფრედიმ, - ამისთანა ღამეში მეც სიამოვნებით ვიმგზავრებდი.

- ჰო, ღამეს კარგი პირი უჩანს. ჰა, არ მომცემ ერთსაც?

ამ დროს მაღალი ტურისტის და მისი ცოლი შემოვიდნენ.

- ჩემი საოცნებო ვაჟკაციც აქ ყოფილა, - თქვა ქალმა და ჰარის მიუჯდა გვერდით.

ჰარიმ ცერად გადახედა და წამოდგა.

- ისევ შემოგივლი, ფრედი, - უთხრა მან, - ახლა კარჭაპს მივხედავ, იქნებ სათევზაოდ გასვლა მოინდომონ.

- ნუ მიდიხარ, - შესძახა ქალმა, - ნუ წახვალ, თუ ღმერთი გწამს.

- რას მაიმუნობ! - უთხრა ჰარიმ და გავიდა.

ქუჩაში რიჩარდ გორდონი გამოჩნდა, მისის ბრედლის დიდი საზამთრო სახლისკენ მიემართებოდა. იმედი ჰქონდა, მისის ბრედლი მარტოკა დახვდებოდა. ალბათ მარტოკა იქნება. მისის ბრედლი მწერლებსაც ისევე აგროვებდა ხოლმე, როგორც მათ წიგნებს, მაგრამ რიჩარდ გორდონმა ჯერ ეს არ იცოდა. მისი საკუთარი ცოლი ამ დროს ზღვის სანაპიროს მიჰყვებოდა და შინისაკენ მიდიოდა. ჯონ მაკ-უოლსის კი მაინც ვერ შეხვდა. ალბათ, იმათი სახლის წინ ჩაივლის ჯონი.

თავი მეათე

ელბერტი გემზე დახვდა, ბენზინი უკვე ჩაესხათ.

- ძრავს ჩავრთავ და ის ორი ცილინდრი შევამოწმოთ, - უთხრა ჰარიმ, - ყველაფერი ჩაალაგე?

- ჰო.

- მაშ, საქნიერა მოამზადე.

- დიდი საქნიერა?

- დიდი იყოს. ტარპონისათვის.

ელბერტი საქნიერებს ამზადებდა კიჩოზე, ჰარი კი საქესთან ტრიალებდა. ძრავებს ახურებდა. უცებ რაღაცამ იფეთქა, თითქოს მანქანის საბურავი გასკდაო. ჰარიმ ქუჩას

გახედა და დაინახა, რომ ბანკიდან ვიღაც გამოვარდა, ხელში პისტოლეტი ეჭირა და მირბოდა. მალევე მიეფარა თვალს. მას ორი კაცი მოჰყვა, ცალ ხელში ამათაც რევოლვერები ეჭირათ, მეორეში კი - ტყავის პორტფელები. ესენიც იმავე მიმართულებით გარბოდნენ. ჰარიმ საქნიერების მომზადებაში გართულ ელბერტს გახედა. მეოთხეს, იმ ზორზოხას, ხელში თომპსონის ავტომატი ჰქონდა მომარჯვებული. რომ გამოდიოდა, პირით შენობისკენ იყო მიქცეული და უკან ფეხაკრეფით იხევდა. გამოვიდა თუ არა შენობიდან, ბანკში სირენა აწივლდა, ჰარიმ დაინახა, როგორ ატოკდა ავტომატის კონდახი და სირენის გაბმული წივილი როგორ გაჰკვეთა თოფის წყვეტილმა და მჭახე ბათქმა - ტიუ-ტიუ-ტიუ. ერთხელ კიდევ ისროლა ბანკის კარებისაკენ, მერე შებრუნდა და გაიქცა. ხოლო როცა ელბერტი წამოდგა და წამოიძახა: - „ღმერთო ჩემო, ბანკი გაძარცვეს. ღმერთო, რა გვეშველებაო“, ჰარიმ მოსახვევში მანქანის ხმა გაიგონა და დაინახა, როგორ დაიძრა ნავსადგომისკენ ფორდის ტაქსი.

ერთი კუბელი შოფრის გვერდით იჯდა, სამნი კი - უკან.

- კარჭაპი სადაა? - იყვირა ერთმა ესპანურად.

- ეგერ, შე სულელო, - უთხრა მეორემ.

- ეს სხვა კარჭაპია.

- კაპიტანი კი იგივეა და.

- ჩქარა, ჩქარა, თუ ღმერთი გწამს.

- გადმოდი! - შესძახა ერთმა კუბელმა შოფერს, - ხელები მაღლა!

როცა შოფერი გადმოვიდა და მანქანასთან გაჩერდა, იგი მივარდა და დანა ჩაურჭო ქამარში, მოსწია და გაუჭრა ღვედი. შარვალი მუხლებამდე ჩაუცურდა შოფერს. ჩასწია და ბოლომდე ჩახადა.

- არ გაინძრე! - უბრძანა მან.

იმ ორმა კუბელმა პორტფელები გემბანზე მოიქნიეს და ამის შემდეგ ოთხივენი ფაცხაფუცხით გადახტნენ კარჭაპზე.

- აბა, წავედით, - ბრძანა ერთმა მათგანმა, ზორზოხამ. ზურგზე თოფის ლულა ამოჰკრა ჰარის.

- ჩქარა, კაპიტანო, - შესძახა მან, - წავედით!

- წყნარად, - მიუგო ჰარიმ, - ესეც სადმე სხვაგან გაიშვირე.

- აუშვი ბაგირი, ბრძანა ზორზოხამ, - შენ გეუბნები! - დაულრიალა ელბერტს.

- დაიცადე! - შეჰყვირა ელბერტმა ჰარის, - არ ჩართო. ამათ გამარცხვეს ბანკი!

ზორზოხა კუბელი მოტრიალდა, თოფი შეიქნია და ელბერტს დაუმიზნა.

- ნუ! ნუ! - იღრიალა ელბერტმა, - ნუ მესვრი!

ლულა ისე ახლოს იყო მკერდთან, რომ სამივე ტყვია თითქოს ერთ ნახვრეტში ჩაჯდა. ელბერტი ჩაიკეცა, თვალები გადმოკარკლა, პირი დაალო, თითქოს კიდევ ერთხელ უნდოდა ეთქვა, „ნუ მესვრიო“.

- ანკი რად გინდა დამხმარე! - თქვა ზორზოხა კუბელმა, - შენ გეუბნები, ცალხელა ძაღლო! - მერე ესპანურად განაგრძო, - აიღეთ ეგ დანა და ბაგირი გადასჭერით, - და ინგლისურად დასძინა, - აბა, წავედით! - მერე ისევ ესპანურად: - რევოლვერი ზურგზე გქონდეთ მიბჯენილი. - და კვლავ ინგლისურად: - აბა, ჩქარა, წავედით! თავს წაგაცლი!

- ახლავე, - მიუგო ჰარიმ,

ერთ-ერთმა კუბელმა, რომელიც ინდოელს გავდა, რევოლვერი მიუშვირა, სწორედ დაზიანებული ხელის მხრიდან, და ლულა ლამის გადაჭრილი მკლავის ტაკვს შეახო.

კარჭაპი რომ დასძრა და ჯანსაღი ხელით საჭე დაატრიალა, ჰარიმ თან უკან მოიხედა, რათა ხიმინჯს არ წამოდებოდა; კიჩოზე ჩაკეცილ ელბერტს თავი გვერდზე გადაჰკიდებოდა, სისხლის ტბორში იჯდა. ნავსადგომზე ტაქსი იდგა, ტაქსის გვერდით კი ტრუსების ამარა კოჭებამდე შარვალჩამძვრალი შოფერი, რომელსაც ხელები კვლავ მაღლა ჰქონდა აწეული, ამასაც ელბერტით დაელო პირი. ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ ჩანდა.

კარჭაპმა ხიმინჯები უკან ჩამოიტოვა, შუქურას გაუპირდაპირდა და სრუტეში შევიდა.

- ცოცხლად! ჩქარა! - ყვიროდა ზორზოხა კუბელი, - მთელი სიჩქარით წაიყვანე.
- იქით გასწი ეს რევოლვერი, - უთხრა ჰარიმ. თავისთვის ფიქრობდა კროუფიშ-ბარის მეჩეჩზე შეესვამდი გემს, მაგრამ ეს კუბელი მაშინვე დამცხრილავს.
- უფრო ჩქარა - ყვიროდა ზორზოხა კუბელი. მერე ესპანურად თქვა: - გაწექით ყველანი, კაპიტანი მიზანში გყავდეთ! - თვითონ კიჩოზე გაწვა, ელბერტი დაითრია და დაბლა ჩააგდო. დანარჩენები კოკპიტზე გაიშხლართნენ. ჰარი საჭესთან იჯდა. მიაპობდა წყალს და წინ იყურებოდა. გაიარა ნავსადგურის ყელი, საცა იახტები დგას ხოლმე, გასცილდა მწვანე ციმციმას, ფორტს აუარა, წითელ ციმციმასაც გასცდა. უკან მოიხედა. ზორზოხა კუბელს ჯიბიდან მწვანე სავაზნე კოლოფი ამოეღო და ტენიდა. თოფი გვერდზე ეგდო, ისე აწყობდა ვაზნებს, რომ არც უყურებდა, ხელის ცეცებით ტენიდა და უკან იცქირებოდა, კიჩოსაკენ. სხვებიც უკან იმზირებოდნენ, გარდა იმ ერთისა, რომელსაც ჰარის გუშაგობა ჰქონდა დავალებული, და ამან ხელადვე ანიშნა რევოლვერით, წინ იყურეო. მდევარი ჯერ არ სჩანდა. მრავები კარგად მუშაობდნენ და ზღვის მიქცევის წყალობით კარჭაპი თავისუფლად მისრიალებდა.

ორ სწრაფმავალ ნავს შეუძლია ჩვენი დაწევა, ფიქრობდა ჰარი. ერთია რეის ნავი, ფოსტას რომ დაატარებს, მატეკუმბიდან. მეორე სად უნდა იყოს ახლა? ედ ტეილორის ნავმისადგომზე ვნახე ამ ორი დღის წინ, გაიხსენა მან. სწორედ ამ ნავის დაქირავება მინდოდა, ენაგატლეკილს მივუგზავნი-მეთქი, ვფიქრობდი. არა, კიდევ არის ორი ნავი, უცებ მოაგონდა. ერთი საგზაო დეპარტამენტს დაუდის კუნძულებზე. მეორე გარიზონ ბაიტზე უდგათ. ნეტა რამდენი გავიარეთ? მიიხედა.

ფორტი კარგა შორს ჩამოეტოვებინათ. სამხედრო ნავსადგურის შენობებიდან უკვე კარგად გამოიკვეთა წითელი აგურისაგან ნაგები ძველი ფოსტა, სასტუმროს ყვითელი შენობაც ყველაზე უფრო დიდი მოჩანდა ქალაქის დავიწროებულ ჰორიზონტზე. მკაფიოდ გამოჩნდა ფორტის უბე და დიდი საზამთრო სასტუმროს გასწვრივ გაწკაპულ შენობებზე წამომართული შუქურა. სულ ცოტა, ოთხი მილი გაგვივლია, გაიფიქრა მან. ეგერ, მდევრებიც! ორმა თეთრმა სათევზაო ნავმა ზვირთსაქცევს შემოუარა და ახლა მათკენ მოემართებოდნენ. ეგენი ხომ ათ მილსაც ვერ გაივლიან საათში, გაიფიქრა მან, უბადრუკები არიან.

კუბელები ესპანურად ლაპარაკობდნენ ერთმანეთში.

- რა სისწრაფით მივდივართ, კაპიტანო? - გამოსძახა ზორზოხამ და თავი მოაბრუნა.
- თორმეტამდე, - მიუგო ჰარიმ.
- მაგ ნავებს რა სიჩქარე აქვთ?
- ათი, ალბათ.

ყველას იმ ნავებისათვის მიეშტერებიან თვალი, იმასაც კი, ვისაც ჰარის გუშაგობა ჰქონდა დაკისრებული. მაგრამ რა უნდა ვქნა? - ფიქრობდა ჰარი, - ჯერ რას გავხდები.

ის ორი თეთრი ნავი მეტად აღარ იზრდებოდა.

- იქ შეხედე, რობერტო, - წამოიძახა თავაზიანმა კუბელმა.

- სადა?

- აი, იქ!

შორს, უკან, ძლივს გასარჩევად, პატარა თეთრი ჭავლი აიზიდა წყალზე.

- ჩვენ გვესვრიან, - თქვა თავაზიანმა. - რა სისულელეა!

- ღმერთმა დალახვროს! - შესძახა პირბრტყელმა, - სამი მილის მანძილიდან.

„ოთხი“. გაიფიქრა ჰარიმ. „ოთხი იქნება“.

წყნარი წყლის ზედაპირიდან ასვეტილ თეთრ ჭავლებს კი ხედავდა ჰარი, მაგრამ სროლის ხმა არ ესმოდა.

„ეს საწყალი კონჩები“, გაიფიქრა მან, „რას უნდა გახდნენ, რა სასაცილო ხალხია“.

მთავრობას თუ დაუდის აქ ნავი? - იკითხა პირბრტყელმა და თავი მოაბრუნა.

- სასაზღვრო ნავი.

- რამდენს გადის?

- თორმეტს, ალბათ.

- მაშ გადავრჩენილვართ!

ჰარის არაფერი უპასუხნია.

- ჰა, გადავრჩებით?

მაინც არაფერი უპასუხა ჰარიმ. სანდ-კიეს ზევით ამოზიდული, ფართოდ გაწოლილი შვერილი მარცხნივ მოიტოვა მან. ათი წუთიც და მეჩეჩების ზონას სულაც გაეცლებოდნენ.

- რა მოგივიდა? რას ჩაგივარდა ენა?

- მკითხეთ რამე?

- ვილას შეუძლია ახლა ჩვენი დაწევა?

- სასაზღვრო დაცვის თვითმფრინავს, - მიუგო ჰარიმ.

- ტელეფონების ხაზები გადაჭრილი გვაქვს. ქალაქში შესვლისთანავე გადავჭერთ, - თქვა თავაზიანმა ყმაწვილმა.

- რადიოსაც ხომ ვერ გადაჭრიდით?!

- აქაც მოგვწვდებოდა ვითომ თვითმფრინავი?

- მანამ დაბნელდებოდეს, ყველაფერი შეიძლება, - მიუგო ჰარიმ.

- შენ მაინც როგორ გგონია? - ჰკითხა რობერტომ, იმ პირბრტყელმა.

ჰარის არ უპასუხნია.

- ჰა, შენ როგორ გგონია-მეთქი?

რას მოაკვლევინე ჩემი თანაშემწე, მაგ ძაღლის გაგდებულს?! - უთხრა ჰარიმ თავაზიან ყმაწვილს, რომელიც ახლა მის გვერდით იდგა და კომპასს აკვირდებოდა.

- მოკეტე, - დაუყვირა რობერტომ, - შენც მოგკლავ.

- ფული რამდენი წამოიღეთ? - ჰკითხა ჰარიმ თავაზიან ყმაწვილს.

- არ ვიცით, ჯერ არ დაგვითვლია. ჩვენი მაინც არ არის.

- ვატყობ, - თქვა ჰარიმ. შუქურა გვერდზე მოიტოვა. გეზი 2250-ით აიღო. ჰავანისკენ სულ ამ გზით დადიოდა ხოლმე.

- ესე იგი, პირადად ჩვენი არ არის. ორგანიზაციისათვის მიგვაქვს.

- თანაშემწეც მაგისტრის მომიკალით?

- ძალიან ვწუხვარ, - უპასუხა ყმაწვილმა. - ვედარ მომიხერხებია გამოვთქვა, როგორ ვწუხვარ.

- ძალიანაც ნუ ეცდები.

- ეს რობერტო, - უთხრა ყმაწვილმა წყნარად. - ცუდი კაცია. კარგი რევოლუციონერია, მაგრამ კაცად არ ვარგა. ისე პანტა-პუნტით ხოცავდა ხალხს მაჩადოს დროს, რომ შეეჩვია. ახლა გართობად მიაჩნია. თუმცა საქმისათვის კლავს, კარგი საქმისათვის. - რობერტოს გახედა. იგი პატარა სკამზე იჯდა, მუხლებზე თომპსონი ედო და თეთრ ნავებს გაჰყურებდა, რომლებიც ჰარის ახლა გაცილებით დაპატარავებულები ეჩვენებოდა.

- დასალევი რა გაქვს? - გამოსძახა რობერტომ კიჩოდან.

- არაფერი, - უპასუხა ჰარიმ.

- რა გაეწყობა, ჩემსას დავლევ, - თქვა რობერტომ. ერთ-ერთი კუბელი უკვე წამოწოლილიყო. საწოლი ბენზინის ავზზე იყო დამაგრებული. ეტყობოდა, გემს მაგრად დაერწია და გული ერეოდა. მეორეც მაგრად დანჯღრეული ჩანდა, მაგრამ ჯერჯერობით იჯდა და უძლებდა.

ჰარიმ უკან მიიხედა და ტყვისფერი ნავი დაინახა, რომელიც ფორტს გამოსცილებოდა და ახლა იმ ორ თეთრ ნავს ეწეოდა.

„სასაზღვრო ნავია“, გაიფიქრა მან, „ეგეც კაი უზადრუკი რამეა“.

- გამოჩნდება ვითომ საზღვაო თვითმფრინავი? - ჰკითხა თავაზიანმა ყმაწვილმა.

- ნახევარ საათში დაბნელდება, - უთხრა ჰარიმ. კვლავ საჭეს მიუჯდა, - მე რას მიპირებთ? მომკლავთ?

- ღმერთმა ნუ ქნას, - თქვა ბიჭმა, - მძულს ხოცვა-ჟლეტა.

- რას აკეთებ? - გამოსძახა რობერტომ, რომელსაც ახლა ვისკის ბოთლი მოემარჯვებინა ხელში, - კაპიტანს უძმაკაცდები? რაო, ვითომ? კაპიტნის სუფრაზე მოგინდა სადილი?

- საჭესთან მიდი, - უთხრა ჰარიმ ყმაწვილს, - კომპასს ხომ ხედავ? ორას ოცდახუთით მივდივართ. - თვითონ წამოდგა და კიჩოსკენ გასწია.

- მეც დამალევიწე. - მიმართა მან რობერტოს, - ეგერ სასაზღვრო ნავიც გამოგვიდგა, მაგრამ ვერ დაგვეწევა.

გაბრაზება, სიძულვილი და წყენა - როგორც გაუმართლებელი ფუფუნება - მან გვერდზე გადადო და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას შეუდგა.

- მართალი ხარ, - კვერი დაუკრა რობერტომ, - რაღას დაგვეწევა. ერთი ამ განაზებულ ღლაპებს შეხედე, როგორ დაარწია! რა მითხარი? დამალევიწეო?! სხვა სურვილებიც ხომ არ გექნებათ, კაპიტანო, ამ სიკვდილის წინ?

- ნეტა რას სულელობ, - უთხრა ჰარიმ. დიდხანს არ მოუშორებია პირიდან ბოთლი.

- გეყოფა! - შესძახა რობერტომ, - მეტი აღარ მაქვს.

- სამაგიეროდ მე მაქვს, - უთხრა ჰარიმ, - გაგაცურე.

- მაგისტანა გაცურებას მოეშვი. - თქვა რობერტომ და დაეჭვებით ახედა.

- ან კი რაში მჭირდება!

- რა სასმელი გაქვს?

- ბაკარდი.

- გამოიტანე.

- გული დაიწყნარე, - უთხრა ჰარიმ, - ნეტა რა გეჩქარება.

ელბერტის გვამს გადაალაჯა და ქიმისკენ წავიდა. საჭესთან რომ მივიდა, კომპასს დახედა. თითქმის ოცდახუთი გრადუსით აცდენოდა ყმაწვილი ალებულ გეზს,

კომპასის ისარი ქანაობდა. არ ყოფილა მეზღვაური, გაიფიქრა ჰარიმ. მაშ, დრო კიდევ მქონია. ერთი, კილვატერს გავხედოთ.

კილვატერის ორი აქაფებული სვრელი იგრინებოდა და უკან გარბოდა, იქითკენ, სადაც ახლა ცაში კონუსისებურად აჭრილი შუქურის მკრთალი მოყავისფრო სილუეტი

მოჩანდა ჰორიზონტის თავზე. ნავები თითქმის აღარ ჩანდა იმ ადგილას, საცა ქალაქის რადიოანძები ეგულეობდა, ახლა იგი ბუნდოვან ლაქასდა ხედავდა. ძრავები შეუფერხებლად მუშაობდა. ჰარი დაიხარა და ერთი ბოთლი ბაკარდი აიღო. კიჩოზე გავიდა, ჯერ თვითონ მოსვა და მერე რობერტოს გადასცა ბოთლი. ელბერტის გვამს რომ გადახედა, ტანში გააჟრჟოლა: „უბედური“, გაიფიქრა მან.

- რა მოგივიდა? შეგაშინა? - ჰკითხა პირბრტყელმა კუბელმა.

- მოდი, ზღვაში ჩავუშვათ, - უთხრა ჰარიმ, - გემზე რილას მაქნისია!

- აგრე იყოს, - დაეთანხმა რობერტო, - ჭკუაზე მოსულხარ.

- შენ მხრებში მოჰკიდე ხელი, - უთხრა ჰარიმ, - მე ფეხებს დავიჭერ.

თოფი კიჩოზე დადო რობერტომ, მერე დაიხარა და გვამს მხრებში სწვდა.

- მკვდარზე უფრო მძიმე არაფერი არ არის ქვეყნად, იცი! - თქვა მან, - აგიწევია როდესმე მკვდარი კაცი, კაპიტანო?

- არა, - მიუგო ჰარიმ, - შენ მკვდარი ქალი თუ აგიწევია?

რობერტომ კიჩოსკენ გაათრია გვამი.

- კაი მამაძალდი ყოფილხარ. - უთხრა მან, - რაო, სასმელი მაქვსო?

- მიდი, მიდი!

- მართალი თუ გინდა, გული მწყდება ეს ბიჭი რომ მოვკალი, - თქვა რობერტომ, - შენ რომ მოგკლავ, კიდევ უფრო დამწყდება გული.

- რეებს ბოდავ, - უთხრა ჰარიმ, - ნეტა რაში გჭირდება მაგნაირი ლაპარაკი.

- აბა, მოვიქნით, - თქვა რობერტომ, - ჰე!

მანამ დაბლა დახრილები გვამს ეჯაჯგურებოდნენ, ჰარიმ თოფს გამოჰკრა ფეხი და მგიდისკენ მიაცურა. ელბერტთან ერთად ისიც გადაუშვა წყალში. მაგრამ ვიდრე

კიჩოსთან თეთრად აქაფებული წყალი გვამს ერთი-ორჯერ გადაატრიალებდა და ჩაიხვევდა, თოფი პირდაპირ ფსკერისაკენ წავიდა.

ესეც ასე, - თქვა რობერტომ, - საქმე მოთავებული ჯობს. - მერე, როცა შენიშნა, თოფი აღარ იყო, იყვირა: - სად წავიდა? რა უყავი?

- რას რა ვუყავი?

- Ametralladora! - ზედმეტი აღელვებისაგან ესპანურზე გადავიდა.

- რაო?

- ძალიან კარგად იცი.

- თვალით არ დამინახავს.

- შენ თვითონ გადააგდე კიჩოდან. ახლავე მოგკლავ.

- კარგი ერთი, - უთხრა ჰარიმ, - რას მერჩი, რატომ უნდა მომკლა?

- რევოლვერი მომაწოდე, - ესპანურად გასძახა რობერტომ საწოლზე გაშხლართულ ამხანაგს, - ჩქარა, რევოლვერი!

იდგა ჰარი გემბანზე და უცნაური გრძნობა ეუფლებოდა - თითქოს ერთბაშად გამაღლდა, ბეჭებშიაც უჩვეულოდ გაიშალა; გრძნობდა, როგორ გამოჟონა ოფლმა ილღიებში, როგორ გადმოეღვენთა მხრებსა და ბეჭებზე.

- აღარ გაძეხი ამდენი მკვლელობებით?! - ესპანურადვე უპასუხა ამხანაგმა, - ჯერ თანაშემწე მოუკალი. ახლა თვითონ კაპიტანი გინდა მოკლა. კუბაში ვინ ჩაგვიყვანს?!

- თავი დამანებე, - კვერი დაუკრა მეორემაც, - ჯერ ჩაგვიყვანოს და მერე მოკალი.

- თოფი გადამიგდო ზღვაში.

- ფული უკვე წამოვიღეთ, თოფი რალა ჯანდაბად გინდა! თოფის მეტი რა გვაქვს კუბაში.

- სანანებლად გაგვიხდება, ეგ რომ ეხლა არ მოგვკლათ. მე მითქვამს და აგერ ნახავთ. მომეცი რევოლვერი!

- კარგი, ერთი, მოკეტე. დამთვრალხარ და ჭკუა დაგიკარგავს. რამდენს დალევ, ვინმე რომ არ მოკლა, არ იქნება.

- ცოტა კიდევ დალიე, - უთხრა ჰარიმ, რომელიც გოლფსტრიმის მორუხო ხვრელს გაჰყურებდა შორს ჰორიზონტზე, საცა მრგვალი წითელი მზე იყო, ის იყო ზღვას შეეხო, - აბა, შეხედე. როცა სულ დაიმალება, ზღვას მომწვანო ფერი გადაეკვრის.

- ზღვას რა თავში ვიხლი, - არა ცხრებოდა პირბრტყელი კუბელი, - შენ გგონია, ასე ჩაგივლის ეს?

- სხვა თოფს გიყიდი, - უთხრა ჰარიმ, - მაგისტანა თოფი კუბაში ორმოცდახუთი დოლარი ღირს. დამშვიდდი, რა მოგივიდა. უკვე სამშვიდობოს ხართ. სასაზღვრო თვითმფრინავიც კი ვეღარაფერს დაგვაკლებს.

- მაინც უნდა მოგკლა, - თავით ფეხებამდე შეათვალიერა რობერტომ, - განგებ გადამიგდე. გვამიც იმიტომ ამაწევინე.

- ჩემი მოკვლა რა ხეირს დაგაყრის, - უთხრა ჰარიმ, - კუბაში ვინლა ჩაგიყვანო?!

- ადრევე უნდა ჩამეძაღლებინე.

- კარგი, დამშვიდდი, - უთხრა ჰარიმ, - მე წავალ, ძრავებს დავხედავ.

ხუფი ახადა, ქვევით ჩავიდა, საზეთეები შეამოწმა და თომპსონის კონდახს ხელი შეახო. ჯერ არა, გაიფიქრა მან, ჯერ ადრეა. ღმერთო, შენ გმადლობ, ძალიან კი გამიმართლა. ელბერტი ხომ მაინც მკვდარი იყო და რაღა მნიშვნელობა ჰქონდა? დამარხვის ფული დაეზოგება მის დედაბერს. ეს თავგასიებული ნაბუშარი! თავგასიებული სისხლის მსმელი ნაბუშარი! ო, ახლავე გამაგორებინა!.. მაგრამ დაცდა ჯობს.

წამოდგა, მალა ავიდა და ისევ დახურა ხუფი.

- როგორაა საქმე? - მიმართა მან რობერტოს. ხელი მხრებზე ჩამოადო. პირბრტყელმა კუბელმა ერთი კი ახედა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

- ნახე, როგორ გამწვანდა წყალი? - ჰკითხა ჰარიმ.

- ჯანდაბა შენს თავს! - შეუღრიალა რობერტომ. მთვრალი იყო, მაგრამ დაეჭვებული ჩანდა, და ცხოველივით წინასწარვე იყნოსავდა რაღაც არასასიამოვნოს.

- საჭესთან მიმიშვი, - ახლა ყმაწვილს მიმართა ჰარიმ, - რა გქვია?

- ემილიო დამიძახე, - უპასუხა ბიჭმა.

- დაბლა ჩადი, ჭამე რამე, - უთხრა ჰარიმ, - პურია, ხორცის კონსერვი... ყავაც აიდუღე, თუ გინდა.

- არ მინდა.

- მერე მე თვითონ მოვამზადებ, - თქვა ჰარიმ. იჯდა საჭესთან, აღებული გეზის შენარჩუნება სულაც არ უჭირდა ამ წყნარ წყალში, ნაგტუიზის სინათლეზე მართავდა გემს და ზღვაზე თანდათანობით ჩამოწოლილ ღამეს შეჰყურებდა. გვერდის ნათურები არ აუნთია.

დიდებული ღამე კია, გაიფიქრა მან, ნამდვილი სამგზავრო ღამე. სულ რომ დაბნელდება, აღმოსავლეთისაკენ უნდა შევატრიალო, თორემ ერთ საათში გაჩახჩახებული ჰავანა გამოჩნდება. თუნდა ორი საათი იყოს. ჰავანას თუ მოჰკრა თვალი, იმ წუთში ჩემი მოკვლა მოუწდება მაგ ძაღლის გაგდებულს. ძალიან კი გამიმართლა, ის თოფი რომ მოვიშორე. მართლაც რომ ბედმა გამიღიმა; ვახშმად რა მოამზადა, ნეტა, მარიმ?! ჰოი, რა შეწუხებული იქნება! ჭამის თავიც აღარ ექნება, ალბათ. ნეტა, რამდენი ფული წამოიღეს ამ ნაბუშრება. უცნაურია, არც კი

დაითვალეს. კარგი ხერხი კი მოუგონიათ რევოლუციისთვის ფულის საშოვნელად. უცნაური ხალხია ეს კუბელები.

ეს რობერტო ნამდვილი გარეწარია. ამაღამვე მოვუღებ ბოლოს. აღარ დავეძებ, მერე რა

მოხდება, ოღონდ კი ერთი გავაგორო. თუმცა იმ უბედურ ელბერტს რაღას უშველის. ძალიან კი გამიჭირდა ასე უღმერთოდ წყალში გადაგდება. ნეტა რამ მომადიქრებინა.

სიგარეტს მოუკიდა და სიბნელეში გააბოლა.

ჯერჯერობით არა უშავს რა, გაიფიქრა მან. არც მეგონა, ასე თუ წამივიდოდა საქმე. ეს ბიჭი ნამდვილად კარგია. ის ორი რომ ერთ მხარეს მოხვდებოდეს იმ დროს! ნეტა, როგორმე ერთად შემაგროვებინა. საცდელი არ უნდა დავაკლო, რომ ყველაფერი წესიერად მოხდეს. რაც უფრო დამშვიდდებიან ამჟამად, მით უკეთესი. უბრალოდ თუ მოხდა ყველაფერი, იმას რა ჯობს.

- სენდვიჩი არ გინდა? - ჰკითხა ბიჭმა.

- მადლობელი ვარ, - მიუგო ჰარიმ, - შენს ამხანაგს მიაართვი.

- ის სვამს. საჭმელი არ უნდა, - უპასუხა ბიჭმა.

- სხვები?

- წვანან, გული ერევათ.

- ნამდვილი სამგზავრო ღამეა, - თქვა ჰარიმ. რაკი შეატყო, ბიჭი კომპასს არ უყურებსო, გემი აღმოსავლეთით შეაბრუნა.

- მართლაც სასიამოვნო მგზავრობა იქნებოდა, - უპასუხა ბიჭმა, - შენი თანაშემწე რომ არ მომკვდარიყო.

- კაი კაცი იყო, - თქვა ჰარიმ, - ბანკში ხომ არავინ გაგიმეტებიათ?

- ის ვეჟილი. სიმონსია ხომ მისი გვარი?

- მოკვდა?

- მე მგონი.

ხედავ! გაიფიქრა ჰარიმ. ენაგატლეკილი! აბა, რას ელოდა! რატომ ეგონა, რომ

ყოველთვის გამოძვრებოდა?! ასე იცის ცეცხლთან თამაშმა. ასე იცის ზედმეტმა მამამაღლობამ. ენაგატლეკილი! მშვიდობით, ბატონო ენაგატლეკილო.

- მაინც როგორ მოკლეს?

- შენ თვითონაც ხომ ხვდები, - უპასუხა ბიჭმა, - შენი თანაშემწის საქმე სულ სხვა იყო. გული მეწურება, რომ გავიხსენებ. განა ცუდი უნდოდა რამე. რა ვუყოთ, რევოლუცია ასე მოითხოვს ამ ეტაპზე.

- ცუდი კაცი არ უნდა ყოფილიყო, - თქვა ჰარიმ. და მაშინვე გაიფიქრა: ღმერთო, ეს რა თქვა ჩემმა ენამ! ენასაც რომ ჭკუა მოეკითხება! როგორმე ეს ბიჭი უნდა დავიძმაკაცო, ვინ იცის...

- რა რევოლუციას ამზადებთ მაინც? - ჰკითხა მან.

- ჩვენ ერთადერთი ნამდვილად რევოლუციური პარტია ვართ, - უპასუხა ბიჭმა, - გადაწყვეტილი გვაქვს, ბოლო მოვუღოთ ძველი პოლიტიკური

ხელმძღვანელობის თარეშს; ბოლო მოვუღოთ ამერიკულ იმპერიალიზმს, რომელიც გვახრჩობს, სამხედრო ტირანიას. გადაწყვეტილი გვაქვს ყველაფერი თავიდან დავიწყოთ და ყოველ ადამიანს ცხოვრების სახსარი მივცეთ. გადაწყვეტილი გვაქვს, ბოლო მოვუღოთ guajiros - ესე იგი გლეხობის მონობას. დიდი შაქრის პლანტაციები იმათ გავუნაწილოთ, ვინც ნამდვილად მუშაობს შიგ. მაგრამ კომუნისტები არა ვართ.

ჰარიმ კომპასს მოაშორა თვალი და ბიჭს გადახედა.

- მერე, როგორ გინდათ, ეგ გააკეთოთ? - ჰკითხა მან.

- ხომ ხედავ, ფულს ვაგროვებთ ბრძოლისთვის, - მიუგო ბიჭმა, - ისეთ ხერხებს მივმართავთ ახლა, რასაც შემდეგ აღარასოდეს აღარ გამოვიყენებთ. ისეთი ხალხის დახმარებაც დაგვჭირდება, რომელთანაც მერე ურთიერთობას აღარ ვიქონიებთ. მიზანი ამართლებს საშუალებას. მეფის დროინდელ რუსეთშიაც ასე იყო.

რადიკალი ჩანს, გაიფიქრა ჰარიმ. კი, ნამდვილი რადიკალია.

- კარგი პროგრამა გქონიათ, - თქვა მან, - თუკი მუშა კაცის დახმარება გაქვთ გადაწყვეტილი. მე თვითონაც რამდენჯერ მიმიღია მონაწილეობა გაფიცვებში, ძველად, თამბაქოს ფაბრიკები როცა გვქონდა კი-უესტში. ადრევე რომ მცოდნოდა, ვინ იყავით, მეც სიამოვნებით დაგეხმარებოდით, თუკი რამე შემეძლებოდა.

- დახმარების სურვილი ბევრსა აქვს, - უპასუხა ბიჭმა, - მაგრამ ისეთ ეტაპზეა ამჟამად ჩვენი მოძრაობა, რომ ხალხს ადვილად ვერ ვენდობით. საქმის საჭიროება მოითხოვს ამ ეტაპს, თუმცა ძალიან კი მწყდება გული, რომ ასეა. მძულს ტერორი. ფული კი საჭიროა, მაგრამ ამნაირ შოვნას ვერ ვიტან. სხვა გზაც რომ არ არის! ვერც კი წარმოიდგენ, რა ხდება ახლა კუბაში.

- ვიცი, რომ ძალიან ცუდ დღეში იქნებიან.

- არა, შენ ამას ვერ წარმოიდგენ. სისხლიანი ტირანია მძვინვარებს. უბრალო სოფელს ვერ ნახავ, რომ ეს ტირანია არ ახრჩობდეს. ქუჩაში სამ კაცს ვერ ნახავ ერთად, ამის ნება არა აქვთ. კუბას გარეშე მტერი არა ჰყავს და ჯარი სულაც არ სჭირდება. მიუხედავად ამისა, ოცდახუთათასიან არმიას ინახავს და მთელი ეს ჯარი, კაპრალიდან

დაწყებული, ერსა სწოვს სისხლს. უბრალო ჯარისკაცი რომ აიღო, ისიც კი გამდიდრებაზე ფიქრობს. ახლა სამხედრო რეზერვი! ამდენი ყალთაბანდი, თავზე ხელაღებული და ჯაშუში, ჯერ კიდევ მაჩადოს დროიდან შემორჩენილი!.. ჯარს თუ რამე გადარჩა, ესენი ხვეტავენ. მანამ ჯარისაგან არ გავთავისუფლდებით, არაფერი სახიერო არ შეიძლება მოხდეს. ადრე კეტებით გვაშინებდნენ, ახლა თოფი, ტყვიამფრქვევი და ხიშტი - ყველაფერი ჩვენკენ არის მომართული.

- მართლაც ცუდად ყოფილა საქმე, - თქვა ჰარიმ და კიდევ აღმოსავლეთისკენ გადასწია საჭე.

- ვერც კი წარმოიდგენ, როგორ ცუდად, - შესძახა ბიჭმა, - მე მიყვარს ჩემი ტანჯული ქვეყანა და ღონეს არ დავიშურებ, არაფერს არ დავიშურებ, რომ ამ ტირანიისაგან გავათავისუფლო. ისეთ რამეს ვაკეთებ, რაც მძულს, მაგრამ ათასჯერაც უფრო რომ მძულდეს, მაინც გავაკეთებ.

ნეტა რამე დამალევინა, გაიფიქრა ჰარიმ. მაგისი რევოლუცია მე რაში მენაღვლება. ერთი მაგისი რევოლუციაც! მუშა კაცს უნდა დავეხმარო და ბანკს მარცვავს, თან

იმასაც არ ინდობს, ვინც ამ საქმეში უშველა. მერე დგება და იმ საცოდავ ელბერტსა კლავს, თავის დღეში იოტის ოდენა ცოდვა რომ არ ჩაუდენია. მუშა კაცსა კლავს, ვითომც არაფერიაო, ცოლშვილიან კაცს. კუბაში კუბელები ბატონობენ. ლამის შეჭამონ ერთმანეთი. ერთმანეთის გაყიდვასაც არ ერიდებიან. ახია, რაც მოუვათ. ჯანდაბას მაგათი რევოლუცია.

- მართლაც რომ ცუდადაა საქმე, - უთხრა მან ბიჭს, - საჭეს ვერ გამომართმევ ცოტა ხანს? წავალ, დავლევ.

- როგორ არა, - მიუგო ბიჭმა, - რამდენზე მეჭიროს?

- ორას ოცდახუთზე.

უკვე ბნელოდა და გოლფსტრიმის მიმართულებით ამ სიშორეზე შეჭრილი გემი ფრთონაში მოჰყვა. ჰარიმ საწოლებზე გაშხლართულ კუბელებს ჩაუარა და რობერტოს მიუახლოვდა, რომელიც ისევ იმ სკამზე იჯდა. კიჩოს უკან წყალი ტყლაშუნობდა სიბნელეში. რობერტოს მეორე სკამი გადაებრუნებინა და ზედ ფეხები შეეწყო.

- ცოტა მეც დამალევინე, - უთხრა ჰარიმ.

- თავიდან მომწყდი! - შეუღრინა პირბრტყელმა, - ჩემია.

- კარგი, - ჩაილაპარაკა ჰარიმ და მეორე ბოთლის მოსატანად გაემართა. ქვემოთ, სიბნელეში, ბოთლი გადაჭრილი მკლავის ქვეშ ამოიღო, მეორე ხელით საცობი მოხსნა, - რომელიც ადრე ფრედიმ ამოაძრო და უფრო სუსტად დაუცო, - და მოსვა.

- ახლა კი ნამდვილი დროა, თქვა მან გუნებაში. დაცდას რაღა აზრი აქვს. ამ პატარა ბიჭმა თავისი სათქმელი უკვე თქვა. ის თავგასული ნაბუშარი გაღეშილი გდია. იმ ორსაც გული ერევა. სწორედ რომ დროა.

ერთი კიდევ მოსვა, ბაკარდიმ გაახურა და გაამხნევა, მაგრამ მუცელში მაინც სიცივეს გრძნობდა. გულ-გვამი გაყინული ჰქონდა.

- არ დალევ? - ჰკითხა მან საჭესთან მიმჯდარ ბიჭს.

- არა, მადლობელი ვარ, - მიუგო ბიჭმა, - არა ვსვამ. ნაგტუიზის შუქზე ჰარიმ დაინახა, როგორ იღიმებოდა ბიჭი. მართლაც რომ სანდომიანი ყმაწვილი იყო, კარგი მოლაპარაკეც.

- მაშ, მე დავლევ, - თქვა ჰარიმ. და ამჯერადაც კარგა ბლომად მოსვა, მაგრამ გაყინული გულ-გვამი მაინც ვერ გაითბო. ბოთლი ისევ ძირს დადო.

- ასე გეჭიროს, - უთხრა მან ბიჭს, - მე ძრავებს დავხედავ.

ხუფი ახადა და კიბეს ქვევით ჩაჰყვა. მერე გრძელი კაუჭით გაამაგრა ხუფი. დაიხარა, ჯანსაღი ხელი გაზის გაყვანილობასა და ცილინდრებს მოუსვა, ჩობალსაც გადასწვდა. საზეთეებს კარგა მაგრად მოუჭირა. ძალიან მაგრად მიდის, თქვა გუნებაში. ცოტა უფრო დინჯად და ნელა. სად წავიდა შენი ცეცხლი? ნაცარი გადააყარეს?

ზემოთ აიხედა. აქედანვე ადვილად მიწვდებოდა ორივე საწოლს, რომლებზედაც ის ორი კუბელი იწვა. ბიჭი პირშექცევით იჯდა, მომადლო სკამზე, და ნაგტუიზის სინათლეზე გარკვევით ჩანდა მისი გამოსახულება. შემობრუნდა და კიჩოსკენ ქნა პირი;

ჩამუქებული წყლის ფონზე მან დაინახა სკამზე ულაზათოდ ჩაკეცილი რობერტოს სილუეტი.

კოლოფში ოცდაერთი ვაზნაა, ეს იქნება, დიდი-დიდი, ოთხი ჯერი, ხუთ-ხუთი ზედიზედ, გაიფიქრა მან. ციბრუტივით უნდა დავტრიალდე. კი, ბატონო, მაშ, დავიწყოთ. რაღას ზოზინობ, შე გულგვამგამოცლილო! ჰოი, რად მიღირს კიდევ ერთი ყლუპი! კარგი ერთი, რაღა დროს ყლუპია. მარცხენა ხელი გადაჰყო, კონდახს ღვედი ახსნა და თოფი გამოაძრო. მერე იქვე ჩაცუცქდა და მიზანში ამოიღო ნაგტუიზის შუქით განათებული ბიჭის კეფა.

ცეცხლმა სიბნელეში გაიკვესა და დაცლილმა ვაზნებმა ახდილ ხუფსა და ძრავებზე მოადინეს ტკაცანი. მანამ ბიჭის სხეული სკამიდან მოწყდებოდა, ჰარი მიბრუნდა და მარცხენა საწოლზე გაშლართულ სხეულს ესროლა; ამიგდიგებულ-ალმოდებული ლულა ისე ახლოს მიიტანა კაცთან, რომ ტრუსის სუნი დადგა. მერე შებრუნდა და მეორე საწოლს დაუმიზნა, რათა ახლა მეორე კაცისთვის დაეხალა, რომელიც წამომჯდარიყო და ხელი რევოლვერისკენ წაეღო. ამის შემდეგ გაწვა და კიჩოს გახედა.

პირბრტყელი კუბელი იქ აღარ დახვდა. სკამების სილუეტებილა ჩანდა. ბიჭი გაუნძრევლად ეგდო ჰარის უკან, ამაში დასაეჭვებელი აღარაფერი იყო. ერთ-ერთი კუბელი საწოლზე ფართხალებდა, მეორე კი, საწოლიდან ნახევრად ჩამოკონწიალებული, პირჩამხობილი იწვა.

ჰარი ცდილობდა, სიბნელეში ის პირბრტყელი მოეძებნა. კარჭაპი ახლა ერთ ადგილზე ბრუნავდა და კოკპიტში ცოტა უფრო მეტი სინათლე იდგა. სული განაბა. ყურადღება დამაბა. რაღაც შავი შენიშნა კუთხეში, იატაკზე. ნამდვილად ის იქნება. კარგად დააკვირდა და ნახა, რომ ცოტათი ინძრეოდა. ის იყო.

მისკენ მოცოცავდა. არა, მისკენ არა, საწოლზე გადმოკიდებულ ამხანაგისკენ. რევოლვერისთვის მიცოცავდა. თითქმის სულ განერთხო ჰარი იატაკს, მოძრავ ფიგურას უყურებდა და მარჯვე მომენტს უცდიდა. როცა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა, დაახალა. ცეცხლმა ხელები და მუხლები გაუნათა და, როგორც კი ტა-ტა-ტა-ტა შეწყდა, ჰარის მისი მძიმე ფართხალი შემოესმა.

- ძაღლის გაგდებული, - ჩაილაპარაკა ჰარიმ, - თავგასიებული მკვლეელი ნაბუშარი.

სიცივის ჟრუანტელმა გაუარა და ახლა ჩვეულებრივ ყრუ ბგერებს გრძნობდა გულში. ბენზინის ოთხკუთხა ავზთან დაიხარა და ახალი ვაზნების კოლოფი გადმოიღო. დასველებული ხელი ერთბაშად აუორთქლდა და სიცივე იგრძნო.

ავზი გამიხვრეტია, გაიფიქრა მან. ძრავები უნდა გამოვრთო. რას გაიგებ, საიდან წვეთავს. დაცლილი ვაზნის კოლოფი გამოიღო, ახალი ჩადო და ზევით ამოცოცდა.

გაიმართა და, ხელში თოფმომარჯვებულმა, მიიხედ-მოიხედა, მოკვეთილი ხელის ტაკვით ხუფის დახურვა სცადა, მაგრამ უცებ საწოლზე მწოლი, სამი ტყვიით ბეჭებდაცხრილული კუბელი წამოჯდა, ფრთხილად ამოიღო ჰარი ნიშანში და შიგ მუცელში დაახალა.

თითქოს კეტი ჩასცესო. ერთბაშად ჩაიკეცა და რკინის ჩარჩოს მიეყრდნო, რაზედაც სკამი იყო დამაგრებული. კუბელმა კიდევ ესროლა და ამჯერად სკამის ანატკეჩმა თავზე გადაუქროლა ჰარის. იატაკზე ხელი მოაფათურა, თოფი მოძებნა, ფრთხილად აიღო, კონდახი გადაჭრილი მკლავის ტაკვით მიიკრა მკერდზე და დარჩენილი ვაზნები საწოლზე ნახევრადჩამხობილ კაცს დააცალა; კაცი მოწყვეტით გაიმოტა საწოლზე,

ჰარიმ კი იატაკზე ხელების ცეცებით პირბრტყელი კუბელი მოძებნა, რომელიც პირქვე ჩამხოზილიყო; ტაკვით გადმოაბრუნა, ლულა ზედ სახეზე დაადო და ჩახმახს ფეხი გამოუშალა. გოგრას რომ კეტი დაუშინო, ისეთი ხმა გაიღო ტყვიებმა. მერე თოფი დადო და თვითონაც იქვე გაწვა.

„მეც ძაღლის გაგდებული ვარ“, იატაკს წასჩურჩულა ჰარიმ, „ძაღლის გაგდებული ვარ და ჩემი აღსასრულიც მოვიდა. ძრავები უნდა გამოვრთო, თორემ ერთიანად გამოვიბუგებით. ჯერ კიდევ არის რაღაც იმედი. ჯერ კიდევ, ვინ იცის. ღმერთო ჩემო. როგორ მოულოდნელად გაფუჭდა საქმე. ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. დასწყევლოს ღმერთმა! ო, ღმერთმა შეაჩვენოს ეს კუბელი ნაბუმარი. მეგონა, ჩავაძაღლე, და რას ვიფიქრებდი!..“

ფორთხვით მიუახლოვდა ხუფს და ხელი ჰკრა, ხმაურით დახურა და მერე საჭესთან მიბობლდა. სკამს მოეჭიდა, წამოიმართა და გაკვირვებით გაიფიქრა, კიდევ რამდენი შემძლებიაო. ერთი წამით იდგა ფეხზე და ხელადვე მოუსავათდა, გული შეუღონდა; წინ გადაიხარა და მოჭრილი მკლავის ტაკვით კომპასს დაეყრდნო, ორივე ძრავი

გამორთო. გუგუნნი შეწყდა და ახლა გარკვევით გაიგონა ტალღების ტყლაშუნი. სხვა არაფერი ისმოდა. ახლად ამოჭრილ ჩრდილოეთის ქარს კარჭაპი შეებრუნებინა და წამოქოჩრილ ზვირთებში არწევდა.

საჭეს მოეჭიდა, მერე სკამზე დაემვა და ზურგით მიესვენა. გრძნობდა, გულისრევისგან როგორ თანდათან ეცლებოდა ძალა. ჯანსაღი ხელით პერანგი გაიხსნა და ჭრილობა მოისინჯა, მერე თითი დააჭირა. სისხლი ცოტადა მოდიოდა. სულ შიგნით წავიდა, გაიფიქრა მან, დავწვები, იქნებ შეწყდეს.

ცაზე მთვარე გამოჩნდა და კოკპიტი გაანათა.

ჯოჯოხეთი, გაიფიქრა მან. ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა.

ბარემ ჩემით დავწვე, მანამ დავვარდებოდე, გაიფიქრა და იატაკზე დაემვა.

ცალ გვერდზე დაწვა. ტალღების რწევით კარჭაპი ისე შეებრუნდა, რომ მთვარის სინათლეზე ყველაფერი გარკვევით გამოჩნდა.

გვამებით გაიჭედა, თქვა მან. სულ გვამებით გაიჭედა მთელი კარჭაპი. ნეტა რას იზამს?! რა უნდა ქნას მარიმ, რა ეშველება?! ვინ იცის, იქნებ ჯილდოც მისცენ. ღმერთმა შეაჩვენოს ეს კუბელი. თავს როგორმე გაიტანს. ჭკვიანი ქალია. თავს ყველა გავიტანდით როგორმე. დიდი სისულელე მომივიდა. იმისთანა რამეს მოვეჭიდე, რომ ძალა აღარ მეყო. სულაც არ უნდა მომეკიდა ხელი. თუმცა ბოლომდე კი მქონდა ყველაფერი მოფიქრებული. აქ რაც მოხდა, ამას კაციშვილი ვეღარ გაუგებს ასავალ-დასავალს. ნეტა მარისთვის გამეკეთებინა რამე. ქვეყნის ფული ყრია აგერ კარჭაპზე! არც კი ვიცი რამდენია. ეს ფული კაცს ააშენებს. სასაზღვრო გუშაგები გაიტაცებენ. ნაწილობრივ მაინც. ნეტა შემეძლოს ჩემს ბებრუხანას გავაგებინო, რაც აქ მოხდა. საინტერესოა, რას იზამს! ვინ იცის. სხვა

რამე საქმისთვის უნდა მომეკიდა ხელი, ბენზინის საწყობში ან სხვაგან სადმე. ნავით წანწალს სულ უნდა მოვშვებოდი. ჩვენს დროში ნავით ვის მოუპოვებია ალალი ლუკმა! ნეტა ასე არ ინჯღრეოდეს ეს ოხერი! ნელა მაინც ირწეოდეს. ლამის გულ-გვამი ამომიტრიალდეს. მე, ენაგატლეკილი და ელბერტი... ერთი სიტყვით, სუყველა, ვინც კი ამ საქმეში გაერია. აგერ, ეს ნაბუშრებიც. ეტყობა, უკუღმართი საქმეა. უკუღმართი და უბედური საქმე. ჩემისთანა კაცისთვის ბენზინის საწყობია ზედგამოჭრილი. მეც რომ მაგის კაცი ვარ! მარის, ჰო, მარის

შეუძლია. დაბერდა უკვე, საიმისოდ აღარ ვარგია. რანაირად ანჯღრევს ეს ოხერი! არ უნდა გაინძრე. როგორმე მშვიდად უნდა იწვე. ასე გამიგონია, წყალს თუ არ გაეკარები და არ გაინძრევიო. რაც მთავარია, წყალს თუ არ გაეკარებიო.

კიდევ მოავლო თვალი მთვარით განათებულ კოკპიტს.

ალაგება აღარ მომიწევს, გაიფიქრა მან. მშვიდად იწექი. მეტი არაფერი არ მოგეთხოვება. იწექი შენთვის მშვიდად. როგორმე ნუ გაინძრევი. იქნება გადარჩე კიდევ. წყალს თუ არ გაეკარე და არ გაინძერი.

ზურგზე გადაბრუნდა და სცადა თანაბრად ესუნთქა. კარჭაპი გოლფსტრიმში ირწეოდა და ჰარი მორგანი გულაღმა იწვა გემბანზე. ერთი პირობა თავის ერთადერთ ხელზე დაყრდნობა სცადა, რათა ნაკლებად ეგრძნო ნჯღრევა. მერე გაინაბა და ბედს შეურიგდა.

თავი მეთერთმეტე

მეორე დილას რიჩარდ გორდონი ფრედის ბარში მისულიყო ამბის გასაგებად, ბანკი რანაირად გამარცვსო, და ახლა შინ ბრუნდებოდა. ველოსიპედით ჩაუქროლა ჭრელთვალა, ძორძობა დედაკაცს, რომელსაც ბერიკაცის ფეტრის ქუდიდან ოქროსფრად შეღებილი თმა გამოსჩროდა. ტირილისაგან თვალეზღაწითლებული ქალი აჩქარებული ნაბიჯით ჰკვეთდა ქუჩას. ერთი ამ ძროხას შეხედე, გაიფიქრა გორდონმა. რაზე უნდა ფიქრობდეს ახლა ამისთანა დედაკაცი? რა გუნებაზე უნდა დადგეს მაგისი ქმარი, ამოდენა ქალს რომ შეუწვება?! ვისთან დადის ნეტა ამ ქალაქში? რა საშინელი სანახავია! ნამდვილი კრეისერია. მტრისას!

უკვე სახლს იყო მიახლოებული. ველოსიპედი პარმალთან დატოვა, ვესტიბიულში შევიდა და ტერმიტებისგან ერთიანად დაკრკილულ-დაჩვრეტილი კარი მიიხურა.

- რაო, დიკ? - რა გაიგე? - გამოსძახა ცოლმა სამზარეულოდან.

- ნუ მელაპარაკები, - უპასუხა მან, - უნდა ვიმუშაო. ყველაფერი მოფიქრებული მაქვს.

- მაგას რა სჯობია, - უთხრა ცოლმა, - ხელს აღარ შეგიშლი.

კაცი დიდ მაგიდას მიუჯდა დიდ ოთახში. რომანსა სწერდა საფეიქრო ქარხანაში გაფიცვის შესახებ. დღევანდელ თავში ის ძორძობა, ტირილისგან თვალეზღაწითლებული ქალი უნდა გამოეყვანა, ამ დილით ქუჩაში რომ ნახა. საღამოობით სამსახურიდან შინ მოსული ქმარი ვერ იტანს ამ ქალს, ვერ იტანს მის გასიებულსა და მოშვებულ სხეულს, შეღებილ თმას, გადმოშვებულ მკერდს. ამას ისიც ემატება, რომ ცოლი არავითარ ინტერესს არ იჩენს ქმრის პროფკავშირული მუშაობის მიმართ. უნებურად მკვრივძუძუებიან და ტუჩებსავსე ებრაელის გოგოს ადარებს, რომელიც იმ საღამოს სიტყვით გამოვიდა კრებაზე. კარგი გამოვა, გასაგიჟებელი რამე იქნება, არც ძნელია და თან სიმართლევ არის. ერთბაშად გონების თვალი გადაავლო ამნაირი ქალის მთელ შინაგან ცხოვრებას.

ქმრის ალერსის მიმართ თავიდანვე გულგრილობა, დედობისა და უზრუნველი ცხოვრების დაუცხრომელი წყურვილი, ქმრის მისწრაფებებით სრული დაუინტერესებლობა, უბადრუკი ცდა იმისა, რომ მოჩვენებითი სექსუალური

მგზნებარება გამოამჟღავნოს, რაც, ბოლოს და ბოლოს, მასვე ურევს გულს... მართლაც რომ დიდებული თავი გამოვა.

ქალი, რომელიც მან ქუჩაში ნახა ამ დილით, მარი იყო, ჰარი მორგანის ცოლი. შერიფთან ყოფილიყო და შინ ბრუნდებოდა.

თავი მეორე

ფრედი უოლესის კარჭაპი „დედოფალი კონჩა“, სიგრძით ოცდაათობმეტი ფუტი, რომელსაც ნიშანი „V-ტამპა“ ედო, თეთრად იყო შეღებილი. წინა გემბანი ეგრეთ წოდებულ „მხიარულ“ მწვანედ შეეღებათ და კოკპიტის შიგნითა მხარეც ასევე „მხიარული“ მწვანე იყო. კიჩოზე შავი ასობით ეწერა კარჭაპის სახელწოდება და ნავსადგომი - კი-უესტი, ფლორიდა. აუტრიგერი და ანძები არა ჰქონია კარჭაპს. მინის ქარსაფრები ჰქონდა, და ერთ-ერთი წინა ქარსაფარი ჩამტვრეული იყო. ახალშეღებილი კარჭაპის კორპუსს რამდენიმე ადგილას ატკეჩილი ნახვრეტი აჩნდა. ნახვრეტებიც სულ ახალი იყო. კარჭაპის ორივე ფერდზე შენიშნავდით ამ ნახვრეტებს, უფრო ქიმისკენ, პლანშირს დაბლა, ასე, ერთ ფუტზე. რამდენიმე ასეთი ნახვრეტი კიჩოს მხარესკენაც აჩნდა კორპუსს, მარჯვნივ, ზედ წყალხაზთან, იმ პილერსის პირდაპირ, რაზედაც საჭის ტენტი იყო დამაგრებული. სულ ქვემოთა ნახვრეტიდან გამოჟონილი რაღაც მუქი წებოვანი სითხე ახალშეღებულ კორპუსის ფერდს მისცხებოდა.

კარჭაპი ათამდე მილით გაეტაცებინა დინებას ტანკერების სამარშრუტო ხაზიდან და,

ჩრდილოეთის სუსტი ნიავისაკენ ფერდშექცეული, თავისი თეთრი და მწვანე ფერით გოლფსტრიმის მუქად ჩალურჯებული ტალღების ფონზე თვალისმომჭრელად ელავდა. მზისაგან გამოყვითლებული წყალმცენარეები ბლუჯა-ბლუჯად ფარფატებდნენ კარჭაპის მახლობლად, წყლის ზედაპირზე, ნელა მიაცურებდა მათ დინება ჩრდილო-დასავლეთით, თვით ნავს კი ქარი სულ უფრო და უფრო გოლფსტრიმისაკენ მიაქანებდა. სიცოცხლის ნიშან-წყალი არ იგრძნობოდა კარჭაპზე. მიუხედავად იმისა, რომ პლანშირთან, ბენზინის ავზის გასწვრივ, ოდნავ შესიებული კაცის სხეული ჩანდა საწოლზე. ხოლო მარჯვნივ, ზედ ძგიდესთან მდგარი გრძელი სკამიდან მეორე კაცი გადაყუდებულიყო და ხელი პირდაპირ წყალში ჩაეშვა. თავი და ბეჭები მზისთვის მიეფიცებინა ამ კაცს და იმ ადგილას, საცა მისი თითები ოდნავ ეხებოდა წყალს, წვრილი თევზების მთელი ქარავანი მოსულიყო. ოვალური მოყვანილობის იყვნენ ეს თევზები, ასე, ორიოდე გოჯი სიგრძისა, ოქროსფერ ქეცედზე მოწითალო ზოლები დაჰკრავდათ; წყალმცენარეებიდან გამომძვრალიყვნენ და დინებას მინდობილ მოფარფატე ნავის ჩრდილისთვის შეეფარებინათ თავი; შენიშნავდნენ თუ არა წყალში ჩავარდნილ მუქ წვეთს, ჯგროდ მიესეოდნენ და ხელადვე გააქრობდნენ. ორი მორუხო კობრი, ასე თვრამეტი გოჯი სიგრძისა, ირგვლივ

უვლიდა კარჭაპს, ჩრდილის გაყოლებაზე სრიალებდნენ, წარამარა აღებდნენ პირს, მაგრამ, ეტყობოდა, ალლო ვერ აეღოთ, რა სიხშირით ეცემოდა ზღვაში ის მუქი წვეთი, რასაც წვრილი თევზები სანსლავდნენ, და ამიტომ, წვეთის ჩაშვების დროს, უფრო ხშირად კარჭაპის მეორე მხარეს აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. დიდი ხანია გამოეწოვათ უფრო ქვევით ნახვრეტებიდან წყალში ზოლად ჩამოდენილი ლეკერტა, მოწითალო სითხე, და, რამდენს გადაყლაპავდნენ, უშნოდ

შეიქნევდნენ მახინჯ თავსა და წაწვრილებულ გრძელ ბოლოს. აღარ ეთმობოდათ ეს ადგილი, საცა, აგერ, სრულიად მოულოდნელად მშვენივრად გამოძნენ.

კოკპიტშიაც იყო ბარე სამი კაცი. ერთი ზედ საჭესთან გაშხლართულიყო პირადმა, უსულოდ. ეტყობოდა, საჭის სკამიდან ჩამოცურდა. მეორე, ასევე სულგაცხებული, ტენტის ბოძთან ეგდო მოკრუნჩხული. მესამე კი - ჯერ ისევ ცოცხალი, მაგრამ ცნობამიხდილი - ცალ გვერდზე დაწოლილიყო და თავი მკლავზე დაესვენებია.

ნავის ორმაგ ძირზე სულ ბენზინი ესხა და რწევის დროს ტყლაშუნი გაჰქონდა. ამ კაცს, ჰარი მორგანს, ეჩვენებოდა, თითქოს ტყლაშუნი მისი საკუთარი მუცლიდან მოდიოდა,

ტბად წარმოედგინა თავისი მუცელი, რომლის ორივე ნაპირს წყალი ერთდროულად ეტლაშუნებოდა. ასე იმიტომ ეჩვენებოდა, რომ ახლა ზურგზე გადაბრუნებულიყო, თავი უკან გადაეგდო, მუხლები კი მოეხარა. ტბის წყალი, ესე იგი, მისი საკუთარი მუცელი, ყინულივით ცივი იყო. ისეთი ცივი, რომ, როცა ფეხი შედგა ტბაში, თითები სულ წაეყინა, გულ-გვამიც ერთიანად გაულიგვდა და პირში ბენზინის გემო გაუჩნდა, თითქოს ავზიდან რეზინით ბენზინს ქაჩავსო. იცოდა, რომ არავითარი ავზი არ იყო, თუმცა პირში მაინც გრძნობდა ცივ, დიდ რეზინს, რომელიც ღრმად შეიჭრა, დამსხვილდა, დამძიმდა და მთელ გულ-გვამში გაეჩხირა. რამდენს შეისუნთქავდა, ეს რეზინი უფრო და უფრო ცივდებოდა და მკვრივდებოდა, სულ ქვევით ჩაიწია და ახლა იგი დიდ, სრიალა გველად წარმოუდგა, რომელიც იგრიხებოდა და ტბაში ტყლაშუნობდა. საშინლად ეშინოდა ამ გველისა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შიგ გულ-გვამში ჰყავდა გაჩხერილი, მაინც სადღაც გადაკარგულში ეჩვენებოდა და ახლა სიცივედა აწუხებდა.

სიცივემ აიტანა, გამჭოლმა სიცივემ, რომელიც არა და არ ეშვებოდა, და იგი გაუნძრევლად იწვა, ამ სიცივეს გრძნობდა. ერთი პირობა იფიქრა, წამოწევა თუ

მოვახერხე, გავთბები, თითქოს საბანი დამეხუროსო. მოეჩვენა, თითქოს წამოიწია კიდევ და მართლაც შეთბა. მაგრამ ეს სითბო სინამდვილეში სისხლდენა იყო, რაც მუხლის მოხრამ გამოიწვია. სითბომ რომ გაიარა, მაშინლა მიხვდა, რომ წამოწევა არასდიდებით არ შეიძლებოდა, და, საერთოდ, საშველი არ იყო, უნდა შეჰგუებოდა სიცივეს. იწვა და გამწარებით ცდილობდა, კიდევ დიდხანს არ მომკვდარიყო მას შემდეგ, როცა ფიქრი შეუწყდებოდა. ტალღებმა ნავი შემოატრიალეს და ახლა ჩრდილში მოხვდა. სულ უფრო და უფრო სციოდა.

დამის ათი საათიდან მოკიდებული, ნავი სულ დინებას მიჰყავდა, ახლა კი აგერ შუადღე გადასულიყო. ირგვლივ, მთელი გოლფსტრიმის დინებაზე, არაფერი არ ჩანდა, გარდა წყალმცენარეებისა, წყლის ზედაპირზე ამოტივტივებულ რამდენიმე გაბერილ მედუზისა და შორეული კვამლის სვეტისა, რაც ტამპიკოდან ჩრდილოეთისკენ მიმავალ მაგრად დატვირთულ ტანკერიდან ამოდიოდა.

თავი მეცამეტე

- ჰა? - უთხრა რიჩარდ გორდონმა ცოლს.
- პერანგზე პომადა გცხია, - მიუგო ცოლმა, - ყურებზედაც.
- ამაზე რას მეტყვი?
- რაზე?
- რაზე და, იმ ლოთთან ერთად რომ გნახეს გაშხლართული ტახტზე!
- ტყუილია!
- მე თვითონ არ გნახეთ?!
- ჩვენ ხომ ვისხედით!
- სიბნელეში.
- შენ სადღა იყავი?
- ბრედლისთან.
- დიახ, - თქვა ქალმა, - ვიცი. არ მომეკარო. იმ დედაკაცის სუნი აგდის.
- შენ ვილას სუნი აგდის?
- არავისი. მე ასე ვიჯექი, მეგობარს ველაპარაკებოდი.
- არ გიკოცნია?
- არა.
- არც იმას უკოცნია?
- მერე რა, მსიამოვნებდა.
- ძუკნა ხარ!
- კიდევ თუ დაგცდენია მაგისთანა სიტყვა, იცოდე, მიგატოვებ.
- ძუკნა.
- აგრე იყოს. - თქვა ქალმა. - მაინც გათავებულა ყველაფერი. შენ რომ ასე თავდაჯერებული არ ყოფილიყავი და მეც რომ არ შემცოდებოდი, აქამდე მიხვდებოდი ამას.
- ძუკნა ხარ.
- არა, - შესძახა ქალმა, - არა ვარ მე ძუკნა. სულ იმას ვცდილობდი, კარგი ცოლი ვყოფილიყავი, მაგრამ შენ ხომ მამალივით გაბღენძილი ხარ, შენი თავის მეტი

არაფერი გახსოვს. სულ ასე გაჰყივი - „აბა, ერთი ნახეთ, რა გავაკეთე. ნახე რა ბედს შეგყარე! სულ

ირგვლივ უნდა მირბინო და იკაკანო“. რა ბედს შემყარე?! ყელში ამომიხვედი. მეყო ამდენი კაკანი.

- ნეტა რას კაკანებ! რა შეგიქმნია, რომ მოდგე და იკაკანო?!

- ვისი ბრალია, მერე? არ მინდოდა მე ბავშვები? მაგრამ მაგისი თავი არა გვაქვსო. კაპ დანტიბესში საცურაოდ წასვლის თავი ხომ გვქონდა?! შვეიცარიაში წასვლისა და თხილამურებზე ცურაობის თავი ხომ გვქონდა?! აგერ, კი-უესტში ჩამოსვლის თავი ხომ გვქონდა?! ყელში ამომიხვედი. დასანახავად ველარ გიტან. ეს ბრედლი კიდევ უკანასკნელი წვეთი გამოდგა.

- მაგ ქალს მოეშვი.

- სულ პომადით წათხიპნილი მობრძანდა! დაგებანა მაინც! აგერ შუბლზეც კი გცხია.

- იმ ლოთ არამზადას ლომნიდა!

- არაფერიც. ნეტა მცოდნოდა, რას აკეთებდი და მაშინ კი ნამდვილად ვაკოცებდი.

- რატომ აკოცინინე?

- შენზე ვიყავი გაცოფებული. გიცადეთ, გიცადეთ, გული გადაგველია. ჩემთან მოსვლაც არ მოგაფიქრდა. იმ დედაკაცთან წაბრძანდი და მთელი დღე მასთან გაატარე. ჯონმა მომაცილა შინ.

- აჰ, ჯონმა?

- დიახ, ჯონმა. ჯ ო ნ მ ა. ჯონმა.

- გვარი? თომასი?

- არა, მაკ-უოლსი.

- როგორ იწერება - ერთად თუ ცალ-ცალკე?

- არ ვიცი, - თქვა ქალმა და გაიცინა. მაგრამ ეს გაცინება უკანასკნელი იყო, - რაკი

გავიცინე, არ გეგონოს, რომ ყველაფერმა გადამიარა, - თქვა მან და თვალებში ცრემლი მოადგა. ტუჩები აუთრთოლდა, - არა, სულაც არ გადაუვლია. უბრალო წაჩხუბება არ გეგონოს. ყველაფერი გათავდა. კი არ მძულხარ. არა, მეზიზღები. ველარ გიტან. ყელში ამომიხვედი.

- აგრე იყოს, - მიუგო კაცმა.

- აგრე იყოს, რას ქვია! ყველაფერი უნდა გათავდეს. გესმის?

- ვხვდები, მგონი.

- „მგონი“ არ კმარა.
- მაგ მელოდრამებს მოეშვი, ელენ.
- ჰა, მე მელოდრამებს ვთამაშობ? აგერ ნახავ. თვალითაც ვეღარ დამლანდავ.
- არსადაც არ წახვალ.
- მეტს აღარ გავიმეორებ.
- მაინც რას აპირებ?
- ჯერ არ მიფიქრია. იქნებ მაკ-უოლსის გავყვე.
- შენ მაგას არ იზამ.
- თუ მომეგუნება, დიახაც ვიზამ.
- ის არ შეგირთავს.
- არხეინად ბრძანდებოდე, დღეს მთხოვა სწორედ ცოლობა.

რიჩარდ გორდონს აღარაფერი უთქვამს. გულის ადგილას, მკერდში, ერთბაშად ცარიელი სივრცე გაუჩნდა, და რასაც ისმენდა, ან თვითონ ლაპარაკობდა, თითქოს ერთხელ უკვე მოესმინოს.

- რა მთხოვაო? - სადღაც შორიდან მოისმა მისი ხმა.
- ცოლობა.
- რატომ?
- იმიტომ, რომ ვუყვარვარ. იმიტომ, რომ ჩემთან ყოფნა უნდა. ფულს კარგა ბლომად აკეთებს, კარგად შემინახავს.
- შენ რომ ჩემი ცოლი ხარ!

-ნამდვილი ცოლი არა მქვია. ჯვარი არ დაგვიწერია ეკლესიაში. ჯვრის დაწერა არ ინებე და, შენც ხომ იცი, რომ ამან გაუხეთქა დედაჩემს გული. მე კიდევ ისე ნაზად მიყვარდი, ვისაც არ უნდა გახეთქოდა გული, შენთვის ყველაფერს მოვითმენდი. ღმერთო, რა სულელი ვიყავი. მე თვითონაც გავიხეთქე გული. გავიხეთქე და მორჩა, აღარც შემრჩა. ყველაფერი, რისი რწმენაც მქონდა და რაც კი მიმაჩნდა რადმე, შენ გამო დავთმე, რადგან შენ ისე გაგიჟებით და ისე საოცრად გიყვარდი, რომ ამ სიყვარულის მეტი მე

არც არაფერი მინდოდა. სიყვარულის მეტი არც არსებობდა რამე. არა, განა? სიყვარული ისეთი რამე იყო, რაც მხოლოდ ჩვენა გვქონდა - სხვას არც ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა. შენ გენიოსი იყავი, მე კი - მთელი შენი სიცოცხლე. შენი უღლის გამწევი ვიყავი, შენი პატარა შავი ყვავილი. რა ბავშვობაა! სიყვარულიც ბინძური ტყუილია. სიყვარული ერგოაპიოლის პილულებია, რასაც წამდაუწუმ

ველაპავდი ხოლმე, რადგან შენ ბავშვისა გეშინოდა. სიყვარული ქინაა, ქინა, ქინა და მეტი არაფერი, მანამ სულ არ დამაყრუა ამ ქინამ. სიყვარული აბორტის ბინძური საშინელებაა, რაც შენგან არასოდეს არ დამკლებია. სიყვარული ჩემი გულ-გვამის დაგლეჯვა-დაქუცმაცებაა; სანახევროდ კათეტერი და სანახევროდ შიგნეულში შადრევნის დატრიალება; ვიცი, რაც არის ეგ სიყვარული. სააბაზანოს კარზე ჰკიდია ხოლმე სიყვარული. ლიზოლეუმის სუნი ასდის. ჯანდაბას ეგ სიყვარული. იცი, რა არის სიყვარული - შენ რომ ბედს შემყარე და დამდამობით პირდაბრენილს გძინავს, მე კი ვწევარ მთელი დამე ძილგამკრთალი და ლოცვა ვერ გამიბედავს, რადგან ვიცი, რომ აღარა მაქვს ამის უფლება. სიყვარული პატარ-პატარა ბინძური ოინებია, მე შენგან ვისწავლე, შენ კი ალბათ წიგნში ამოგიკითხავს. ასეა. შენც მწერალი ხარ!

- შენ კი წუნკალი ძუკნა ხარ.

- ნუ იგინები, თორემ შენი სახელიც ვიცი.

- კარგი, კარგი.

- კარგი კი არა, სულ უარესი და უარესი. კარგი მწერალი რომ იყო, შეიძლება კიდევ მომეთმინა, მაგრამ ხომ გნახე, რა შვილიც ბრძანდები - ღვარძლიანი, შურიანი, პოლიტიკურ შეხედულებებს მოდაზე იცვლი, პირში ელაქუცები ხალხს, ზურგს უკან - ჭორავ. ისე გაგიცანი, რომ ყელში ამომიხვედი. ახლა კიდევ ეს ფულიანი ბინძური დედაკაცი, ეს ძაღლის გაგდებული ბრედლი! ო, ყელში ამომიხვედი. სულ იმას ვცდილობდი, კარგად მომეგლო შენთვის, ხასიათი შემეწყო, საჭმელი დროზე მომემზადებინა, შენს სურვილზე გავჩუმებულიყავი, შენს სურვილზე მემხიარულა, ენა არ შემებრუნებინა, თავი მუდამ ბედნიერად მომეჩვენებინა, შენი ცოფიანი ხასიათი, სიბილწე და ეჭვიანობა მომეთმინა... მაგრამ მორჩა, აღარ შემიძლია.

- მაშ, იმ ლოთ პროფესორთან გინდა ახალი ცხოვრება დაიწყო?

- ის პროფესორი კაცური კაცია. კეთილი, გულმოწყალე, მასთან რომ ხარ, თავისუფლად

გრძნობ თავს, თან ერთი წრიდანაც ვართ, ისეთი რამეები გვქვს საერთო, რასაც შენ შენს დღეში ვერ ეღირსები. მამაჩემისნაირი კაცია.

- ლოთია.

- სვამს, მართალია. მამაჩემიც სვამდა. მამაჩემიც შალის წინდებს იცვამდა, შეაწყობდა წინდებიან ფეხებს სკამზე და გაზეთს კითხულობდა ხოლმე სადამოობით. წითელა რომ შეგვეყრებოდა, თვითონ გვივლიდა. მექვაზე იყო და ხელები სულ დახეთქილი ჰქონდა. ჩხუბი იცოდა, როცა დათვრებოდა, თუმცა ფხიზელსაც შეეძლო ჩხუბი. ეკლესიაშიც დადიოდა იმიტომ, რომ დედაჩემს უნდოდა ასე; სააღდგომოდ დღესასწაულსაც იხდიდა დედაჩემისა და ღმერთის

ხათრით, უფრო დედაჩემის ხათრით; პროფკავშირშიაც მუშაობდა, და ზოგჯერ სხვა ქალთან თუ მივიდოდა, დედაჩემი ამას თავის დღეში ვერ გაიგებდა.

- სანაძლეოს ჩამოვალ, რომ სულ ქალებში იყო.

- შეიძლება, არ შეგედავები. მაგრამ მღვდელს გაანდობდა ხოლმე ამას, დედაჩემს თავის

დღეში არ ეტყოდა. თუ დადიოდა, იმიტომ დადიოდა, რომ სხვანაირად არ შეეძლო. მერე წუხდა და ნანობდა. დროს სატარებლად კი არ დადიოდა, არც მამლაცინწური ამპარტავნობის გამო, არც იმისთვის, რომ მერე ცოლთან ტრაბახს მოჰყოლოდა, რამხელა კაცი ვარო. ამას თუ გააკეთებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დედაჩემი მთელი ზაფხული ბავშვებთან იყო ცალკე, ის კი სულ ამხანაგებში ტრიალებდა და სვამდა. კაცი იყო.

- ბარემ მწერლობა დაიწყე და აღწერე მისი ცხოვრება.

- შენზე კარგი მწერალი მაინც ვიქნებოდი. ჯონ მაკ-უოლსიც კაცური კაცია. შენ - არა. ვერც გახდები. პოლიტიკურ შეხედულებებსა და რელიგიაში არ არის საქმე.

- არავითარი რელიგია არა მწამს.

- არც მე. მაგრამ იყო დრო, მწამდა, და კიდევ ვიწამებ. ველარ წამართმევ, ყველაფერს რომ მართმევდი ხოლმე.

- არა.

- დიახ. ახლა მიბრძანდი და ვინმე ფულიან დედაკაცს შეუგორდი ლოგინში, ელენ ბრედლისთანა ქალს. მოეწონე მაინც? რაო, კარგი ხარო?

- რიჩარდ გორდონი შეჰყურებდა ქალის სევდიან, ცრემლებისგან გალამაზებულ, გაბუსხულ სახეს, ნაწვიმარი კვირტებივით დაბერილ ტუჩებს, სახეზე ჩამოშლილ შავ, კულულა თმას, და გრძნობდა, რომ მეტად ველარ დააკავებდა.

- აღარ გიყვარვარ?

- მაგ სიტყვის გაგონებაც კი აღარ მინდა.

- აგრე იყოს, - უთხრა კაცმა და შიგ სახეში გაუშალა გამეტებით.

ქალმა მაგიდაზე ჩარგო თავი და ტირილი წასკდა, არა გაბრაზებით, არამედ ტკივილის გამო.

- ეს რაღად გჭირდებოდა! - თქვა ქალმა.

-მჭირდებოდა, - მიუგო კაცმა, - მჭირდებოდა. შენ ძალიან ბევრი რამ იცი ქვეყნად, მაგრამ ამას კი ვერ მიმხვდარხარ, როგორ მჭირდებოდა ახლა ეს.

იმ საღამოს კარი ისე გაიღო, რომ ქალს კაცი არ დაუნახავს. მან დაინახა მხოლოდ თეთრი ქერი, ზედ კუპიდონის გამოსახულებები, მტრედები და

არქიტექტორული ორნამენტები, რაც შეღებული კარიდან ერთბაშად შემოჭრილ სინათლეზე მკაფიოდ გამოისახა.

რიჩარდ გორდონმა თავი მოაბრუნა და ზედ კარის ზღურბლზე მდგარი ზორზობა, წვერიანი კაცი დაინახა.

- რას გაჩერდი! - უთხრა ელენმა, - რა მოგივიდა?! - მისი ქერა თმა ბალიშზე გადაფენილიყო.

მაგრამ გახევებული რიჩარდ გორდონი კვლავ იმ კაცს მიშტერებოდა.

- ნეტაი შენ, სად იყურები? რაში გენადვლება! ახლა სხვა რამეზე ფიქრი გაგონილა?1 - გამწარებით ჩასციებოდა ქალი.

წვერიანმა ნელა მიხურა კარი. იგი ილიმებოდა.

- რა მოგივიდა, ჩემო ძვირფასო! - ჰკითხა ელენ ბრედლიმ ახლა, როცა კვლავ სიბნელე ჩამოწვა ოთახში.

- უნდა წავიდე.

- ახლა წასვლა გაგონილა?!

- ის კაცი...

- ეს ხომ ტომია, - უთხრა ელენმა, - მაგან ყველაფერი იცის. შენ ეგ ნუ შეგაწუხებს. მოდი, ჩემო კარგო, ჰე, გეხვეწები.

- არ შემეძლია.

- როგორ თუ არ შეგიძლია! - იწყინა ელენმა. კაცი გრძნობდა, როგორ ცახცახებდა ქალი,

როგორ უკანკალებდა თავი, - ღმერთო ჩემო! რა მოგივიდა? ნუთუ არაფერი არ გესმის?! ქალს არაფრად არ აგდებ?!
 - უნდა წავიდე, - არ იშლიდა რიჩარდ გორდონი.

სიბნელეში მან იგრძნო, როგორ გააწნეს სილა და როგორ გაიკვესა თვალებში ნაპერწკალმა. მეორედაც გაართყა ქალმა, ოღონდ ამჯერად ტუჩებში.

- სულ ეგ არის შენი ვაჟკაცობა, - უთხრა ქალმა, - მე შენ კაცი მეგონე, ახლავე აიბარგე!

ეს იმ საღამოს მოხდა. ასე დამთავრდა ბრედლისთან შეხვედრა.

ახლა კი აგერ მისი ცოლი მაგიდას უზის, სახე ხელებში ჩაურგავს და ორივენი დუმან. რიჩარდ გორდონს საათის ტიკტიკი ესმის და გულში ისეთივე სიცარიელეს გრძნობს, რა სიმშვიდეც ოთახში სუფევს. ცოტა ხნის შემდეგ ცოლმა დაიწყო, ისე, რომ ქმრისთვის არც შეუხედავს:

- მწყინს, რომ ასე მოხდა. მაგრამ შენ ხომ ხედავ, ყველაფერი გათავდა!
 - ჰო, თუ მართლა ისეა, როგორც შენ ამბობ.
 - თავიდან არ ყოფილა ასე, მაგრამ ახლა უკვე კარგა ხანია ასეა.
 - მაპატიე, რომ გაგარტყი.
 - არაფერია. განა მაგის გამო... ეს გამოთხოვებასავით იყო.
 - ნუღარ ლაპარაკობ!
 - უნდა მოვემზადო, - დადლილი ხმით თქვა ქალმა, - ალბათ, დიდი ჩემოდნის წაღება მომიწევს.
 - დილით ჩაალაგე, - უთხრა კაცმა, - დილითაც მოასწრებ.
 - ბარემ ჩავალაგებ, დიკ, გულსაც გადავაცოლებ. მაგრამ ისე დავიქანცე... საშინლად დამღალა ყველაფერმა, თავიც ამტკივდა.
 - შენ იცი.
 - ო, ღმერთო, - თქვა ქალმა. - ნეტა ასე არ მომხდარიყო. მაგრამ რას იზამ. შენც დაგილაგებ ყველაფერს. ვინმე უნდა აიყვანო, მოგივლის, ამდენი რამე რომ არ მეთქვა ახლა და შენც რომ არ გაგერტყა, ვინ იცის, იქნებ ისევ შევრიგებულებიყავით.
 - არა, მანამდე გათავდა ყველაფერი.
 - მეცოდები, დიკ.
 - ნუ შემიცოდებ, თორემ კიდევ გაგარტყამ.
 - მგონი, უფრო კარგად გავხდები, თუ გამარტყამ, - თქვა ქალმა, - მეცოდები, ო, როგორ მეცოდები!
 - ჯანდაბა შენს თავს!
 - ახლა ვნანობ, ის რომ გითხარი, კაცობა რომ დაგიწუნე. შენ გგონია, რამე გამეგება მაგისი! ალბათ, დიდებული ხარ.
 - არც შენ ხარ ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი.
- ქალი კვლავ ატირდა.
- ეს გარტყმაზე უარესი იყო.
 - შენ რაღა მითხარი?
 - არ ვიცი. აღარ მახსოვს, ისე გულმოსული ვიყავი... შენც აიღე და ისე გამარტყი!
 - ხომ ყველაფერი გათავდა! გული რაღას მოგდის?

- არ მინდა, რომ ყველაფერი გათავდეს, მაგრამ რას იზამ, აღარაფერი ეშველება.
- გყავდეს ის შენი ლოთი პროფესორი.
- კარგი, გეყოფა, - უთხრა ქალმა, - არ შეიძლება, რომ გავჩუმდეთ და აღარაფერი ვთქვათ?
- რატომაც არა.
- მართლა?
- რატომაც არა.
- აქვე დავიძინებ.
- არა. ლოგინში ჩაწევი. ჰო, ჰო. მე ცოტა ხნით გავივლი.
- ნუ წახვალ.
- საქმე მაქვს.
- ნახვამდის, - კაცმა შეხედა ქალის სახეს, რაც მას ყოველთვის გაგიჟებით უყვარდა, და რასაც ცრემლები ვერაფერს აკლებდა; მის შავ კულულებს, მაგიდაზე მიყრდნობილ, სვიტერით დაფარულ მკვრივ, პატარა ძუძუებს... სხვა რამე კი, რაც მას ასე გაგიჟებით უყვარდა და თითქოს ხიბლავდა კიდევ, თუმცა, ალბათ, ვერაფერი სიკეთე იყო, არ დაუნახავს, მაგიდა ფარავდა. ოთახიდან რომ გადიოდა, ქალმა მაგიდიდან გახედა. ნიკაპი კვლავ ხელებზე ჰქონდა დაყრდნობილი და ტიროდა.

თავი მეთოთხმეტე

ველოსიპედზე აღარ შემჯდარა, ფეხით დაუყვა ქუჩას. მთვარე უკვე ამოსულიყო და ხეები მის ფონზე ჩამუქებული ჩანდა. ჩაუარა პატარა ეზოებიან სახლებს, რომელთა დაკეტილი დარბებიდან სინათლე გამოკრთოდა; მოუკირწყლავ შუკებს, რომელთა ორივე მხარეზე სახლები იყო ჩამწკრივებული; გაიარა კონჩების უბანი, საცა უცხო თვალთაგან ყველაფერი გულმოდგინედ დაეფარათ - სათნოება, მარცხი, შვრიის ფაფა და მოხარშული თევზი, შიმშილი, ცრურწმენა, პატიოსნება, სისხლის აღრევა და რელიგიით თვითდამშვიდება... გასცდა კუბელების გაჩახჩახებულ, კარებგამოღებულ „ბოლიტოებს“ , ქობმახებს, რომელთაც მხოლოდ სახელები შერჩენოდათ რომანტიკული - „წითელი სახლი“ თუ „ჩიჩას სახლი“... ქვის საყდარს, რომლის სამკუთხა აწოწოლიკებული გუმბათი ულაზათოდ აჩრილიყო მთვარით განათებულ სივრცეში; მთვარის შუქზე კეკლუცად გამომზირალ, გაშლილ ეზოში მდგარ დიდ, შავგუმბათიან მონასტერს; ბენზინის ჩასასხმელ სადგურს; გაჩახჩახებულ სასენდვიჩეს და მის მოსაზღვრედ გაშვებულ მინდორს, საცა ადრე გოლფის მინიატურული მოედანი ჰქონდათ მოწყობილი; გაიარა დღესავით განათებული მთავარი ქუჩა, რომელზედაც

უამრავი სავაჭრო იყო მოთავსებული - სამი აფთიაქი, მუსიკალური მაღაზია, ებრაელების ხუთი დუქანი, სამი საბილიარდო, ორი საპარიკმახერო, ხუთი სალუდე, სამი სანაყინე, ხუთი უხეირო და ერთიც ხეირიანი რესტორანი, ორი საგაზეთო კიოსკი, ძველმანების ოთხი მაღაზია (ერთ მათგანში გასაღებებსაც აკეთებდნენ), ფოტოგრაფი, რაღაც კანტორები, რომელთაც კბილის ოთხი საექიმო კაბინეტი ჰქონდა დაშენებული, იაფფასიანი საქონლის მაღაზია, კუთხეში - სასტუმრო; სასტუმროს პირდაპირ ტაქსების გაჩერება იყო. სასტუმრო რომ გაიარა, პატარა ქუჩით „ჯუნგლების“ უბნისკენ შეუხვია, გასცდა დიდ, შეუღებავ ხის სახლს, საიდანაც პიანოლის ხმა გამოდიოდა, კარებში ქალები იდგნენ და იქვე მეზღვაური იჯდა, პირდაპირ ტროტუარზე; ჩაუარა აგურით ნაგებ სასამართლოს, რომელზედაც ელექტრონით განათებული დიდი საათი თერთმეტის ნახევარს უჩვენებდა, მთვარის შუქზე მოელვარე ციხის თეთრ შენობას; მერე ავტომანქანებით ჩახერგილი შესახვევი გაიარა და „იასამნის ყვავილობას“ მიაღწა.

ხალხით გაჭედილი „იასამნის ყვავილობა“ მაგრად გაეჩახჩახებინათ. რიჩარდ გორდონი შევიდა და ნახა, რომ ბანქოს დარბაზში ტევა აღარ იყო. ბორბალი მძიმედ ბრუნავდა. პატარა ბურთი, ლითონის ფირფიტებს რომ გაჰკრავდა, ტკაცანს გაიღებდა,

ზუზუნით დაბზრიალდებოდა, შეხტებოდა. კიდევ დაიტკაცუნებდა და გაჩერდებოდა. მაშინ მხოლოდ ბორბლის ბრუნვისა და სათვალავას ტკაცუნის ხმაღა ისმოდა. ბარის პატრონი დახლში იდგა ორ ბარმენტან ერთად.

- ალო, ალო, მისტერ გორდონ. რას დალევთ?

- არ ვიცი, - მიუგო რიჩარდ გორდონმა.

- ფერი აღარ გადევთ. რა მოგივიდათ? ცუდადა ხართ?

- არა.

- კარგ რამეს დაგაღვინებთ. დიდებულ რამეს. ოხენი არასოდეს არ გაგისინჯავთ, ესპანური აბსინთი?

- თქვენს სიტყვაზე იყოს.

- ხელად მოგარჩენს. მაშინვე ჩხუბის გუნებაზე დაგაყენებს, - უთხრა ბარის პატრონმა, - აბა ერთი, მისტერ გორდონს საგანგებო ოხენი მოუმზადეთ.

-რიჩარდ გორდონმა სამი საგანგებო ოხენი გადაჰკრა ზედ ბართან. მაგრამ უკეთესობა მაინც არ უგრძნია. მღვრიე, მოტკბო, ჩაციებულმა სასმელმა, რომელსაც ლიქიორის გემო დაჰკრავდა, სულაც ვერ იმოქმედა გორდონზე.

- სხვა რამე დამაღვინეთ, - უთხრა მან ბარმენს.

- რა იყო? ოხენი არ მოგეწონათ? - ჰკითხა ბარის პატრონმა. - არ გამოგიკეთათ გუნება?

- არა.

- ოხენის მერე ყველაფრის დალევა კი არ შეიძლება.

- სუფთა ვისკი იყოს.

ვისკიმ ენა და ხახა კი გაუხურა, მაგრამ გუნება მაინც ვერ გამოუკეთა. და უცებ, ბუფეტის სარკეში საკუთარ თავს რომ მოჰკრა თვალი, მიხვდა, რომ ამიერიდან სასმელი ვერასდროს ვეღარ გამოუკეთებდა გუნებას. რაც უკვე მოხდა - მოხდა, აღარაფერი ეშველება. ამის შემდეგ უგრძნობლადაც რომ დათვრეს, გამოიღვიძებს და ისევ იმ გუნებაზე იქნება.

იქვე, დახლთან მდგომმა აწოწილმა ყმაწვილმა კაცმა, რომელსაც ნიკაპზე მეჩხერი ქერა წვერი ამოზურბუნოდა, გორდონს გადმოხედა.

- თქვენ რიჩარდ გორდონი არ ხართ?

- დიახ.

- მე ჰერბერტ სპელმანი ვარ. ჩვენ მგონი ბრუკლინში შევხვედრივართ ერთმანეთს რაღაც საღამოზე.

- შეიძლება. - მიუგო რიჩარდ გორდონმა, - ადვილი შესაძლებელია.

- თქვენი ბოლო წიგნი ძალიან მომეწონა, - უთხრა სპელმანმა, - საზოგადოდ, ყველა თქვენი წიგნი მომწონს.

- ძალიან სასიამოვნოა, - მიუგო რიჩარდ გორდონმა, - არ დალევთ რამეს?
- მე დამეწვიეთ, - უთხრა სპელმანმა, - ოხენი არ გაგისინჯავთ?
- ვერაფერი მიშველა.
- რა მოგივიდათ?
- ცუდ გუნებაზე ვარ.
- ერთი კიდევ დაგელიათ.
- არა, ვისკის დავლევ.
- იცით, ჩემთვის რას ნიშნავს თქვენთან შეხვედრა! - უთხრა სპელმანმა, - ეტყობა, არ გახსოვართ.
- დიახ. ალბათ კარგი საღამო იყო. კარგი საღამოები ისე არ ამახსოვრდება ხოლმე ადამიანს, არა?
- მეც ასე მგონია, - უპასუხა სპელმანმა, - მარგარეტ ვან ბრუნტთან ვიყავით. არ გაგონდებათ? - იმედიანი ხმით ჩაეკითხა იგი.
- ვცდილობ, მოვიგონო.
- სწორედ მე გადავწვი მაშინ სახლი, - თქვა სპელმანმა.
- რას ამბობთ!
- დიახ, - ბედნიერი ღიმილით მიუგო სპელმანმა, - მე გადავწვი. იმისთანა მეჯლისი ჩემს დღეში არ მახსოვს.
- ახლა რას აკეთებთ? - ჰკითხა გორდონმა.
- არაფერს ისეთს, - მიუგო სპელმანმა, - ხან რასდა ხან რას. გამიტკბა ამისთანა ცხოვრება. ახალწიგნსა წერთ?
- დიახ, ნახევარი თითქმის დაწერილი მაქვს.
- დიდებული საქმეა, - თქვა სპელმანმა, - რაზე წერთ?
- გაფიცვა საფეიქრო ქარხანაში.
- დიდებულია, - შესძახა სპელმანმა, - ჭკუას ვკარგავ პირდაპირ სოციალურ თემებზე.
- ჰა?
- ძალიან მიყვარს, - თქვა სპელმანმა, - ყველაფერს მირჩევნია. თქვენი ბადალი მწერალი არ მოიძევება. თქვენ ეს მითხარით, ლამაზი ებრაელი გოგო თუ გყავთ გამოყვანილი, აგიტატორი?

- ვითომ რა? - დაეჭვებით ჰკითხა რიჩარდ გორდონმა.

- სილვია სიდნეისთვის არის ეგ როლი. მე მიყვარს სილვია. გინდათ, სურათს გაჩვენებთ.

- ნანახი მყავს, - მიუგო რიჩარდ გორდონმა.

- მოდი, დავლიოთ, - ბედნიერი ღიმილით თქვა სპელმანმა, - ჰა, ძალიან არ შეგხვდით დღეს! ილბლიანი კაცი ვარ, ბედი მწყალობს.

- რაო, ვითომ? - ჰკითხა რიჩარდ გორდონმა.

- გიჟი ვარ, - მიუგო სპელმანმა, - იფ! დიდებული საქმეა! ასე გგონია, შეყვარებული ვარო. ოღონდ ყველაფერი კარგად დაბოლოვდეს. ეგ არის მთავარი.

რიჩარდ გორდონი ოდნავ განზე გადავა.

- ნუ გეშინიათ, - უპასუხა სპელმანმა, - ცოფიანი გიჟი კი არა ვარ. ესე იგი, იშვიათად თუ გავცოფდები. მოდი, დავლიოთ.

- დიდი ხანია გაგიჟდით?

- მე მგონი, თავიდანვე გიჟი ვიყავი, - უპასუხა სპელმანმა, - მართალი თუ გინდათ, ჩვენს დროში ეს ერთადერთი საშუალებაა, კაცმა ბედნიერად იგრძნოს თავი. რაში მეკითხება, როგორ მისდის საქმეები დუგლას ეირკრაფტს?! ან სატელეგრაფო-სატელეფონო კომპანია რასა შვება?! ფეხებზე არ მკიდია! აგერ თქვენს რომელიმე წიგნს ავიღებ, ან ცოტას დავლევ, ან სილვიას სურათს დავხედავ და ბედნიერი ვიქნები. ჩიტის ვარ. ჩიტზე უკეთესიც. მე... - ეტყობოდა, ცოტა შეჭოჭმანდა, სიტყვას დაუწყო ძებნა, და მერე ერთბაშად მიაყარა: - მე პაწაწკუნა კობტა ყარყატი ვარ, - წამოროშა და გაწითლდა, თვალები რიჩარდ გორდონისთვის მიემტერებინა, ტუჩები უთრთოდა. ბარში ვიღაც ვირგლა, ქერა ბიჭი წამოდგა, ამხანაგებს მოშორდა, დახლისკენ გამოემართა და სპელმანს მხარზე ხელი ჩამოადო.

- წამოდი, ჰარლოდ, - უთხრა მან, - შინ წავიდეთ.

სპელმანი რიჩარდ გორდონს უბრიალებდა თვალებს.

- ყარყატს დასცინის, - თქვა მან. - ყარყატს გაურბის. ყარყატს, რომელიც წრეში დაფარფატებს და ...

- წავიდეთ, ჰარლოდ, - გაუმეორა ვირგლა ბიჭმა.

სპელმანმა ხელი გაუწოდა რიჩარდ გორდონს.

- არა მწყენია, - უთხრა მან, - თქვენ კარგი მწერალი ხართ. წერეთ და წერეთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე მუდამ ბედნიერი ვარ. თავს ნურავის შეაწუხებინებთ. მალე მენახეთ.

ვირგლა ბიჭმა მხარზე ხელი მოხვია და ხალხით გაჭედულ ბარში ძლივს გაიკვლიეს გზა კარებისაკენ. სპელმანმა ერთი მოიხედა და რიჩარდ გორდონს თვალი ჩაუკრა.

- მშვენიერი ბიჭია, - თქვა ბარის პატრონმა და შუბლზე ხელი მიიტყაპუნა, - დიდად

ნასწავლი და განათლებული... ეტყობა, ზედმეტი მოუვიდა. ჭიქების მსხვრევა უყვარს. ცუდი გულით კი არ მოსდის. რასაც გასტეხს, მერე მოდგება და იხდის ხოლმე.

- აქ ხშირად მოდის?

- საღამოობით. რა ვარო? გედიო?

- ყარყატი ვარო.

- წუხელ ცხენი იყო. ფრთოსანი ცხენი. სწორედ იმნაირი, „თეთრი ცხენის“ ბოთლებს რომ ახატია, ოღონდ ამას წყვილი ფრთა ჰქონდა გამოზმული! მაინც კარგი ბიჭია. ბლომად ფული! ახირებული აზრები მოსდის. აქა ჰყავთ მშობლებს, მეთვალყურე დაუქირავეს. თქვენი წიგნები ყვარებია, მისტერ გორდონ, თვითონვე მითხრა. რას დალევთ? ბარის ხარჯზე.

- ვისკი იყოს, - უთხრა რიჩარდ გორდონმა. შენიშნა, რომ შერიფი უახლოვდებოდა. მუდამ მკვდრის ფერი ედო ამ შერიფს. ისე, სასიამოვნო კაცი იყო, რიჩარდ გორდონი ბრედლისთან შეხვდა, მეჯლისზე, და ბანკის გაძარცვაზე ელაპარაკა.

- ჰო, რა უნდა მეთქვა, - უთხრა მან რიჩარდ გორდონს, - საქმე თუ არაფერი გაქვთ, მე გამომყევით, ცოტა ხნის შემდეგ სასაზღვრო გუშაგებს ჰარი მორგანის კარჭაპი მოჰყავთ. ტანკერმა შენიშნა მატაკუმბის მახლობლად. მთელი ბანდა გაქაჩეს.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა რიჩარდ გორდონმა, - ყველა დაიჭირეს?

- ერთის გარდა ყველა მკვდარიაო, ასეთი ცნობა მივიღეთ.

- არ იცით ვინ არიან?

- არა. არ მოუწერიათ. ღმერთმა უწყის, რა მოხდა.

- ფულს მიაგნეს?

- ვინ იცის. ალბათ, გემბანზე იპოვნინდნენ, რაკი კუბამდე ვერ ჩააღწიეს.

- როდის მოვლენ?

- ო, ჯერ კიდევ გვაქვს ორი-სამი საათი.

- კარჭაპს სად მოაყენებენ?

- ალბათ, სამხედრო ნავსადგურზე. საცა საგუმზაგო ნავეები უდგათ.
- თქვენ სად გნახავთ?
- მე თვითონ გამოგივლით აქ.
- თუ ფრედისთან? დიდხანს ვერ გავძლებ აქ.
- ფრედისთანაც ძნელი გასაძლები იქნება ამაღამ. მთელი ვეტერანები იყრიან დღეს თავს. ერთი ამბავი აქვთ ხოლმე, ერთად რომ შეიყრებიან.
- მაინც წავალ და ვნახავ, რას აკეთებენ, - თქვა რიჩარდ გორდონმა, - რაღაც ცუდ გუნებაზე ვარ.
- სიფრთხილე გმართებთ, არაფერს გადაეყაროთ, - უთხრა შერიფმა, - ორ საათში გამოგივლით და წაგიყვანთ. გინდათ, ახლაც მიგიყვანთ მანქანით?
- მადლობელი ვიქნები.

ბრზო გაარღვიეს და გავიდნენ. რიჩარდ გორდონი შერიფს მოუჯდა გვერდით, მანქანაში.

- როგორ გგონიათ, მორგანის კარჭაპზე რა მოხდებოდა? - ჰკითხა მან.
- ეშმაკმა იცის, - მიუგო შერიფმა, - რაღაც უბედურება კი ტრიალებს.
- სხვა არაფერი შემოუთვლიათ?
- არაფერი, - უპასუხა შერიფმა, - აჰა, ახლა მიბრძანდით და მაგათ უყურეთ.

ზედ ფრედის ბართან გაჩერდნენ, გაჩახჩახებული ვიტრინის წინ, და ხელადვე შენიშნეს, რომ ბარი გაჭედილი იყო, შესასვლელთანაც კი ირეოდა ხალხი. დუნგარები ეცვათ, ზოგი თავშიშველი იყო, ზოგს კეპი ეხურა, ზოგს კიდეც ძველი სამხედრო ქუდი და ზოგსაც - მუყაოსა მუზარადი. დახლს მიწყდომოდნენ. ნიკელის ფონოგრაფი „კაპრის კუნძულს“ უკრავდა. შეჩერდა თუ არა მანქანა, ვიღაცამ ბარის კარები გამოკეტა და გამოვარდა, მას მეორე მოჰყვა, იქვე დავარდნენ ტროტუარზე და ბლლარძუნს მოჰყვნენ. ერთი ზემოდან მოექცა, თმაში ხელები ჩასჭიდა მეორეს და ნჯღრევა დაუწყო - წამოუწევდა თავსა და ზედ ასფალტზე გაადენინებდა ბრაგვანს, გულისშემალონებელი ბათქუნი გაჰქონდა, მაგრამ ბარიდან კაციშვილს არ გამოუხედავს.

შერიფი მანქანიდან გამოვარდა და იმ კაცს სწვდა, ვინც ზემოთ იყო მოქცეული, ბეჭებში სტაცა ხელი.

- თავი გაანებე, - დაუყვირა მან, - ადექი!

მოჩხუბარი გასწორდა და შერიფს შეხედა.

- მომეშვი, თუ ღმერთი გწამს, საქმე გამოგელია?

ახლა ის მეორე სწვდა პირში შერიფს; თმა სულ სისხლში მოთხვროდა, ცალი ყურიდანაც გამოეჟონა სისხლს და ჭორფლიანი სახეც გასისხლიანებოდა.

- ჩემს ძმაკაცს მოეშვი! - უთხრა მან ჩახრინწული ხმით, - რას ჩააცივდი? შენ გგონია, ვერ ავიტან?

- რას ვერ აიტან, ჯოი! - უთხრა იმ მეორემ, თავს რომ ახეთქინებდა მიწაზე. მერე შერიფს მიმართა, - ერთ დოლარს ვერ მასესხებ?

- არა, - მიუგო შერიფმა.

- ჯანდაბამდის გზა გქონია.

ახლა რიჩარდ გორდონს მიუბრუნდა:

- შენ რას იტყვი, ძმობილო?

- წამოდი, დაგალევიანებ, - უთხრა გორდონმა.

- წავსულვართ, - თქვა ვეტერანმა და გორდონს ხელი გამოსდო.

- ცოტა ხანში გამოგივლით, - მიაძახა შერიფმა.

- კარგი, დაგელოდებით.

ბარში რომ შევიდნენ და დახლისკენ გაემართნენ, ის მეორეც წამოეწიათ - წითური, ჭორფლიანი ვეტერანი, რომელსაც ყური და სახე სისხლში ჰქონდა მოთხვრილი; გორდონს მკლავში ჩასჭიდა ხელი.

- ჩემი ძმაკაცი! - წამოიძახა მან.

- ყოჩალი ბიჭია, - თქვა ახლა პირველმა ვეტერანმა, - ყველაფერს აიტანს.

- ნახე, თუ არ ავიტანო, - შესძახა სისხლში მოთხვრილმა.

- შენ თვითონ ხელის განძრევა არ შეგიძლია, - ჩაილაპარაკა ვიღაცამ, - რას აწვები?!

- გაგვატარე, - უპასუხა სისხლში მოთხვრილმა, - გაგვატარეთ მე და ჩემი ძმაკაცი.

- მერე რიჩარდ გორდონს ჩასჩურჩულა ყურში: - ანკი რად უნდა გავანძრიო ხელი?! ხომ ხედავ, ყველაფრის ატანა შემიძლია.

- ეგ რა არის! - თქვა პირველმა ვეტერანმა, როცა ისინი ლუდით აჭოჭილ დახლს მიადგნენ, - შენ დღეს უნდა გენახა, მეხუთე ბანკის კომისართან: ქვეშ რომ მოვიგდე და თავზე ბოთლი დავუშინე. დოლზე უკრავსო, იტყოდი. ბარე ორმოცდაათჯერ ჩავკარი.

- მეტჯერ, - შეუსწორა სისხლში მოთხვრილმა.

- წარბიც არ შეუხრია.

- ატანით, იცოცხლე, ავიტან! თქვა სისხლში მოთხვრილმა და მერე რიჩარდ გორდონს გადაუჩურჩულა. - ეს ჩემი საიდუმლოა.

თეთრჟილეტიანმა ზორზოხა, მუცელგადმოშვებულმა ბარმენმა სამი ლუდი დაასხა და რიჩარდ გორდონისკენ გააცურა. გორდონმა აიღო და ორი ტოლჩა ვეტერანებს მიაწოდა.

- რა საიდუმლო? - ჰკითხა მან.

- ჩემი, - მიუგო სისხლში მოთხვრილმა ვეტერანმა, - ჩემი საიდუმლოა.

- მართლა აქვს საიდუმლო, - დაუმოწმა პირველმა ვეტერანმა, - არა ტყუის.

- გინდა, გითხრა? - კვლავ ჩასჩურჩულა სისხლში მოთხვრილმა რიჩარდ გორდონს.

გორდონმა თავი დაუქნია.

- არა მტკივა.

პირველმა თავის დაქნევით დაუდასტურა.

- ბარემ, ყველაფერი უთხარი.

წითურმა თითქმის ყურზე მიადო სისხლიანი ტუჩები რიჩარდ გორდონს.

- ზოგჯერ მსიამოვნებს კიდეც, - თქვა მან, - ჰა, რას იტყვი?

გორდონს გვერდით მაღალ-მაღალი, გამხდარი კაცი მოსდგომოდა, სახეზე ნაიარევი აჩნდა - თვალის უპიდან მოკიდებული ზედ ნიკაპამდე. წითურ ვეტერანს გადახედა ამ კაცმა და გაიჭყანა.

- ჯერ სპორტს ეძახდა, - თქვა მან, - ახლა კი სიამოვნებად გადაექცა. კიდეც კარგი, გულის არევა არ ვიცი, თორემ შენს დანახვაზე ნამდვილად გული ამერეოდა, წიქორა.

- შენს გულის არევასაც რომ რამე უნდა, - უთხრა მეორე ვეტერანმა, - რომელ ნაწილში გიმსახურია?

- რა შენი ჭკუის საკითხავია, ლოთო?! - შეუბღვირა მაღალ-მაღალმა.

- ლუდზე არ დაგვიწვევი? - მიმართა მას გორდონმა.

- მადლობელი ვარ, - მიუგო მაღალ-მაღალმა, - აგერ მაქვს ლუდი.

- ჩვენ ნუ დაგვივიწყებ, - უთხრა გორდონს ერთ-ერთმა იმ ორ მოჩხუბარ ვეტერანთაგან.

- სამიც დაგვისხი, - გასძახა გორდონმა. ზანგმა დაასხა და დახლზე გააცურა. ისეთი ჭედვა იყო, განძრევა ჭირდა, და გორდონი სულ მიეჭყლიტა მაღალ-მაღალს.

- გემიდანა ხართ? - ჰკითხა მაღალმა.
- არა, დიდი ხანია ჩამოვედი. თქვენ კუნძულებიდან ხართ?
- ტორტუგასიდან ჩამოვედით ამაღამ, - მიუგო მაღალ-მაღალმა, - ისეთი ჯოჯოხეთი დავატრიალეთ, რომ ჩვენს იქ გაჩერებას მოერიდნენ.
- ეგ წითელია, - თქვა მეორე ვეტერანმა.
- ჰკუა რომ გქონდეს, შენც წითელი იქნებოდი, - მიუგო მაღალმა, - ჩვენი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს და იქ შეგვრეკეს, მაგრამ ისეთი ამბავი ავტეხეთ, რომ თავბედი ვაწყევლინეთ. - რიჩარდ გორდონმა გაუღიმა.
- მიაკერეთ მაგ ვაჟბატონს, - იღრიალეს ბრბოში, და რიჩარდ გორდონმა დაინახა, როგორ გაარტყეს სახეში ვიდაცას შემართული მუშტი, იქვე, მასთან ახლოს. ეგეც არ აკმარეს - სტაცა ორმა სხვამ ხელი ამ კაცს და დახლიდან გაათრია; ცოტა უფრო თავისუფალ ადგილზე რომ გაიყვანეს, ერთმა მათგანმა კვლავ სახეში სთხლიშა გამეტებით, ხოლო მეორემ - მუცელში. კაცი ცემენტის იატაკზე ჩაიკეცა და თავი ხელებით დაიფარა; ახლა უკვე წიხლი ამოჰკრა ერთმა. ნაცემი კაცი ხმას არ იღებდა. უცებ ფეხზე წამოაყენა ერთ-ერთმა და კედელს მიახეთქა.
- ჰკუაზე უნდა მოვიყვანოთ ეს ძაღლის გაგდებული, - შესძახა მან და როცა სახეგადატეტკილი კაცი კედელზე მიიკრუნჩხა, მეორე ოდნავ ჩაცუცქდა, მარჯვენა ხელი ფართოდ გაშალა, თითქმის ცემენტის იატაკიდან წამოიღო მუშტი და სახეგადატეტკილ კაცს ყბაში ამოართყა. კაცი ჯერ მუხლებზე ჩაიკეცა, მერე კი სულაც გაიშოტა იატაკზე, თავი სისხლის პატარა გუბურაში უცურავდა. ახლალა მიატოვეს და კვლავ დახლისკენ გაემართნენ.
- ჰოი, რა მიაღე! - თქვა ერთმა.
- ძაღლის გაგდებული! ჩამობრძანდება ქალაქში. რაც ხელფასი აქვს, სალაროში შეიტანს და ლუდის დასალევად ხან ვის აეკიდება და ხან ვის, - მიუგო ამხანაგმა, - ეს მეორედ ვასწავლე ჰკუა.
- ახლა ნამდვილად ისწავლიდა.
- ისე მომხვდა ყბა ხელში, როცა ამოვართყი, კენჭებით სავსე პარკი გეგონებოდა, - კმაყოფილებით თქვა პირველმა. ნაცემი კვლავ კედელთან ეგდო, კაცი არ აქცევდა ყურადღებას.
- ჩემთვის რომ მოგერთყა მასე, წარბსაც ვერ შემახრევიანებდი, - უთხრა წითურმა ვეტერანმა.
- მოკეტე, ხრინწო! - შეუღრინა ჰკუის მასწავლებელმა.
- რას მიჰქარავ!

- შენისთანებს რომ ვუყურებ, გული მერევა, - უთხრა ჭკუის მასწავლებელმა. - შენზე გავისვრი ხელს?!

- ეგ კარგად გამოგივიდა, მართლაც არ უნდა გაისვარო ხელები, - მიუგო წითურმა, - მოიხედე, ძმობილო, - მიუბრუნდა იგი რიჩარდ გორდონს, - ერთი კიდეც არ დაგველია?!

- ხომ კაი ბიჭები არიან?! - თქვა მაღალმა, - ომი ასპეტაკებს და აკეთილშობილებს ხალხს. გასარკვევი ის არის, მარტო ჩვენისთანა ხალხი გამოდგება ჯარისკაცებად თუ სამხედრო სამსახურმა გაგვხადა ასეთები!

- რა მოგახსენო, - მიუგო რიჩარდ გორდონმა.

- სანაძლეოს ჩამოვალ, ამდენ ხალხში სამი სათადარიგოც კი არ იქნება. სულ დარჩეული ბიჭები არიან. ნაძირლების ნაღები. ამისთანა ხალხმა მოაგებინა ველინგტონს ვატერლოოს ომი. ასეა, მისტერ ჰუვერმა აიღო და სულ გადმოგვრეკა ანტიკოსტიდან, ხოლო რუზველტმა აქ გადმოგვიყვანა, რომ თავიდან მოვეშორებინეთ. ისე აქვთ

ბანაკები მოწყობილი, როგორმე ეპიდემია უნდათ გამოიწვიონ. მაგრამ ეს საწყალი ნაბუშრები მაინც არ კვდებიან. ზოგი ტორტუგასზე გადაგვსხეს, მაგრამ იქ ახლა ჯანსაღი ადგილი გახლავთ. მაინც არ დაგვიდგა იქ გული. იძულებული გახდნენ, უკანვე გადმოვეყვანეთ. ახლა რაღას გვიხიმათკებენ?! როგორმე თავიდან უნდა მოგვიშორონ. ვერ ამჩნევთ? ჰა?

- რატომ?

- იმიტომ რომ თავზეხელაღებული ხალხი ვართ, - თქვა მან, - მე შენ გეტყვი და რამეს ვკარგავთ! სულ გავმხეცდით. სპარტაკს რომ ხალხი ჰყავდა, მონაგონები არ არიან. მაგრამ ეს არის, რომ ბევრს ვერაფერს გახდებიან ჩვენთან: იმდენი გვცემეს, რომ ერთადერთი ნუგეში ალკოჰოლიდა შეგვრჩა, და ერთადერთი საამაყო - მოთმინება. თუმცა ყველა ასეთი როდი ვართ. ზოგს ხელის გამოღებაც შეუძლია.

- ბევრი კომუნისტი გყავთ ბანაკში?

- ორმოციოდე, - უპასუხა მაღალმა, - ორი ათასი კაციდან - ორმოცი. კომუნისტი რომ გახდე, დისციპლინა და თავშეკავება უნდა გქონდეს. ლოთი ვერ გახდება კომუნისტი.

- მაგას რა ყურს უგდებ! - თქვა წითურმა ვეტერანმა, - გამოუსწორებელი რადიკალია...

ვიღაც ვეტერანს ანგარიში არ მოსწონებოდა და ფრედის ეჩხუბებოდა დახლის ბოლოში.

- აჰა, ამდენი დალიე, - უთხრა ფრედიმ.

რიჩარდ გორდონმა იმ ვეტერანს შეხედა. მაგრად გაღეშილიყო და, თვალეზრასისხლიანებული, ახლა შარზე იყო.

- ყალთაბანდი ხარ, - უყვირა მან ფრედის.

- ოთხმოცდახუთი ცენტი! - არ ეშვებოდა ფრედი.

- აბა, იქ შეხედეთ, - თქვა წითურმა ვეტერანმა.

ფრედიმ დახლზე დააწყო გაშლილი ხელები. თვალს არ აშორებდა ვეტერანს.

- ყალთაბანდი ხარ! - კვლავ იყვირა მან და ლუდის ტოლჩას სტაცა ხელი, რათა ფრედისთვის ესროლა, მაგრამ ხელის მოვლება ვერც კი მოასწრო, რომ ფრედიმ თავის მარჯვენა ხელით დახლის თავზე ნახევარწრე შემოხაზა და ჭურჭლეულის ხელსახოცში გახვეული დიდი სამარილე ჩაართვა თავში ვეტერანს.

- სუფთად არ გააკეთა?! - შესძახა წითურმა ვეტერანმა. - რა ლამაზად გამოუვიდა!

- შენ უნდა ნახო, გადახერხილ საბილიარდო კიის რომ დაატრიალებს, - უთხრა მეორემ.

ორმა ვეტერანმა, რომლებიც სწორედ იქ იდგნენ, საცა სამარილეჩართული კაცი ჩაცურდა, ფრედის შეუბღვირეს.

- რას ერჩოდი?

- თქვენ არხეინად იყავით, - უთხრა ფრედიმ, - ეს ბარის ანგარიშში იყოს. აბა, უოლეის, - გასძახა მან, - ეს ვაჟბატონიც კედელთან მიაბრძანეთ.

- ხომ კარგი იყო? - აღარ ეშვებოდა წითური ვეტერანი რიჩარდ გორდონს, - ჰა, ხომ დიდებული იყო?

ჩასკვნილმა ბიჭმა სამარილეჩართულ ვეტერანს სტაცა ხელი და ბრბოში გაათრია. მერე ფეხზე წამოაყენა. კაცმა უაზრო თვალეზრით შეხედა.

- აბა, მოუსვი, - უთხრა ბიჭმა, - ჰაერი გადაყლაპე.

ის ვეტერანი, ამაზე ადრე რომ ასწავლეს ჭკუა, ისევ კედელთან იჯდა, თავი ხელებში ჩაერგო. ჩასკვნილი ბიჭი მასთან მივიდა.

- შენც მოუსვი, - უთხრა მან, - არ იქნება, რომ ფათერაკს არ გადაეყარო.

- ყბა მაქვს მომტვრეული, - ჩახრენწილი ხმით უპასუხა ჭკუნასწავლმა. პირიდან სისხლი გადმოსდიოდა და ნიკაპზე ეღვრებოდა.

- შენი ბედი, რომ არ მოკვდი! რაც შენ იმან მოგარტყა! - უთხრა ჩასკვნილმა ბიჭმა, - ახლავე მოუსვი.

- ყბა მაქვს მომტვრეული, - გაიმეორა კაცმა.

- მოუსვი, მოუსვი, - არ ეშვებოდა ბიჭი, - არ იქნება, ფათერაკს არ გადაეყარო.

ფეხზე წამოაყენა ყბამომტვრეული ვეტერანი, რომელიც მერე ბარბაცით გავიდა ქუჩაში.

- ბარე თორმეტი კაცი მინახავს ერთ ღამეს მაგ კედელთან მიყრილი, - თქვა წითურმა ვეტერანმა. - ამ ფაშვიანს ერთ დილას ვედრო გამოეტანა და წყლით რეცხდა იატაკს. აკი გნახე, ერთ დღეს, იატაკს რომ რეცხავდი?! - გასძახა ჩასუქებულ ზანგ ბარმენს.

- დიახ, სერ, - უპასუხა ბარმენმა, - რამდენჯერ მერე! დიახ, სერ. მაგრამ ვინმესთვის რომ მეცემოს, ამას თავის დღეში ვერ ნახავდით.

- აკი ვთქვი! - შესძახა წითურმა ვეტერანმა, - ვედროთი რეცხავდა.

- ამაღამდელ ღამესაც კარგი პირი უჩანს, - თქვა მეორე ვეტერანმა, - ერთი კიდევ დაგველია, ჰა? მიუბრუნდა იგი რიჩარდ გორდონს, - რას იტყვი, ძმობილო?

რიჩარდ გორდონი გრძნობდა, როგორ თანდათანობით ეკიდებოდა სასმელი. სულ უფრო და უფრო ეუცხოებოდა თავისი თავი სარკეში, რომელიც დახლის უკან ეკიდა.

- შენი სახელი? - ჰკითხა მან მაღალ-მაღალ კომუნისტს.

- ჯეკს, - მიუგო მაღალმა, - ნელსონ ჯეკს.

- მანამდე აქ მოხვდებოდი, სადა ცხოვრობდი?

- ო, სად არ მიცხოვრია, - უპასუხა მაღალ-მაღალმა, - მექსიკაში, კუბაში, სამხრეთ ამერიკაში... სად არა!

- მშურს შენი, - უთხრა რიჩარდ გორდონმა.

- რად უნდა გმურდეს? რატომ არ მუშაობ?

- სამი წიგნი მაქვს დაწერილი, - მიუგო რიჩარდ გორდონმა, - ერთს კიდევ ვწერ ახლა, გასტონიის გაფიცვაზე.

- ყოჩაღ, - მოუწონა მაღალმა, - დიდებულია. რაო, რა მქვიაო?

- რიჩარდ გორდონი.

- ა-ა! - თქვა მაღალმა.

- „ა-ა“ რას ნიშნავს?

- არაფერს, - მიუგო მაღალმა.

- წაგიკითხავს ჩემი წიგნები? - ჰკითხა რიჩარდ გორდონმა.

- წამიკითხავს.

- მოგწონს მერე?

- არა, - უპასუხა მაღალმა.
- რატომ?
- არ მინდა გიპასუხო.
- თქვი.
- ნეხვია და მეტი არაფერი, - უთხრა მაღალ-მაღალმა და ზურგი შეაქცია.
- დღეს ჩემი საღამო ყოფილა და ეგ არის, - თქვა რიჩარდ გორდონმა, - ჩემი ზეიმი. რაო, შენ რა თქვი - რა მინდაო? - ჰკითხა მან წითურ ვეტერანს, - ორი დოლარი კიდევ დამრჩა.
- ლუდი დამალევი, - უპასუხა წითურმა, - შენ ჩემი ძმაცაა ხარ. რა შეეძლება შენს წიგნებს! ჯანდაბაშიაც წასულა ეგ ნაბუმარი რადიკალი.
- თან ხომ არ გაქვს რამე წიგნი? - ჰკითხა მეორე ვეტერანმა, - სიამოვნებით წავიკითხავდი. „დასავლურ მოთხრობებში“ არაფერი დაგიბეჭდავს? ან „ომის გმირებში“? ყოველდღე რომ ვიკითხო ეს „ომის გმირები“, არ მომწყინდება.
- ეს წოწოლა ჩიტი ვინ ბრძანდება? - იკითხა რიჩარდ გორდონმა.
- აკი გითხარი, ნაბუმარი რადიკალია-მეთქი. მთელი ბანაკი მაგისტანებითაა სავსე. რამდენჯერ გამოვაპანლურეთ, მაგრამ ჩვენი ბიჭების ამბავი ხომ იცი, სანახევროდ არ ახსომდებათ ხოლმე.
- რა არ ახსომდებათ? - იკითხა წითურმა.
- არაფერი არ ახსომდებათ, - უპასუხა მეორემ.
- მე ხომ მხედავ? - ჰკითხა წითურმა.
- გხედავ, - მიუგო რიჩარდ გორდონმა.
- წარმოიდგენდი, რომ მე ულამაზესი ცოლი მყავს ამქვეყნად?
- რატომაც არა.
- ნამდვილს გეუბნები, - თქვა წითურმა, - პირდაპირ ჰკუთხე კარგავს ჩემზე. მონასავითაა. „აბა, ერთი ყავა კიდევ დამისხი“, ვეტყვი ხოლმე. „ახლავე, მამიკოლო“ და ხელადვე მომირბენინებს. სუყველაფერში ასეა. თავზე მევლება. რაც არ უნდა მომეხუსტუროს, მისთვის კანონია.
- ბარემ ისიც თქვი, სადა გყავს? - ჰკითხა მეორე ვეტერანმა.
- საქმეც ეგაა, - თქვა წითურმა, - საქმეც ეგაა, ჩემო ძმობილო. სად არის?
- ასავალ-დასავალი არ იცის მისი, - უთხრა მეორე ვეტერანმა.

- ეგ კიდევ არაფერი, - განაგრძო წითურმა, - უკანასკნელად სად ვნახე, ისიც არ მახსოვს.

- რა ქვეყანაშია, ისიც კი არ იცის.

- შენ დაიცა, ძმობილო, - უთხრა წითურმა, - საცა არ უნდა იყოს, ჩემი პატარა გოგო მე არ მიღალატებს.

- ღვთის წინაშე, მართალს ამბობს, - თქვა მეორე ვეტერანმა - შეგიძლია საკუთარ თავს ჩამოხვიდე სანაძლეოდ.

- ზოგჯერ ვიფიქრებ ხოლმე, - განაგრძო წითურმა, - ჯინჯერ როჯერსი ხომ არ არის და კინოში ხომ არ იღებენ-მეთქი.

- რატომაც არა, - დაუმოწმა მეორემ.

- მერე კვლავ იმას წარმოვიდგენ, შინ გამოკეტილა და მოთმინებით მელოდება-მეთქი.

- კერიას არ უქრობს, - თქვა მეორემ.

- აბა, რა გგონია! - უთხრა წითურმა, - დიდებული გოგოა, ბადალი არა ჰყავს!

- ეგ კი არადა, ჩემს ბებრუხანასაც არა უშავს რა, - თქვა მეორემ.

- მართალი ხარ.

- მოკვდა საწყალი, - თქვა მეორე ვეტერანმა, - ნუღარც ვახსენებთ.

- ცოლშვილიანი ხარ, ძმობილო? - ჰკითხა წითურმა ვეტერანმა რიჩარდ გორდონს.

- რა თქმა უნდა, - მიუგო მან. დახლის ბოლოში, ასე ოთხიოდე კაცის მოშორებით, მან თვალი მოჰკრა პროფესორ მაკ-უოლსის გაღაჟღაჟებულ პირისახეს, ლურჯ თვალებსა და ლუდში ამოწუწულ, გამოხუნებულ უღვაშს. პირდაპირ იყურებოდა პროფესორი მაკ-უოლსი. რიჩარდ გორდონმა დაინახა, როგორ გამოსცალა მან ლუდის ტოლჩა. მერე ქვემოთა ტუჩი გამოზიკა და უღვაშებიდან ქაფი შეისრუტა. რიჩარდ გორდონმა შენიშნა, როგორ უციმციმებდა მას ლურჯი თვალები.

შეჰყურებდა რიჩარდ გორდონი და თითქოს გულში რაღაც წყდებოდა. პირველად მიხვდა, რა გრძნობა მოიცავს ხოლმე ადამიანს, როცა იმ კაცს შეჰყურებს, ვისთანაც მისი ცოლი გაიქცა.

- რა მოგივიდა, ძმობილო? - ჰკითხა წითურმა ვეტერანმა.

- არაფერი.

- კარგად ვერ უნდა იყო. პირდაპირ გეტყვი, ცუდადა ხარ.

- სულაც არა, - მიუგო რიჩარდ გორდონმა.
- თითქოს აჩრდილი გამოგცხადებოდეს.
- იმ ულვაშა კაცს ხედავ? - ჰკითხა რიჩარდ გორდონმა.
- იმას?
- ჰო.
- მერე რა მოხდა? - ჰკითხა მეორე ვეტერანმა.
- არაფერი, - მიუგო რიჩარდ გორდონმა, - ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია. არაფერი.
- მაგან შეგაწუხა? ჩვენ მოვიყვანთ ჰკუაზე, ჩვენ გაგიქაჩავთ და შენ წიხლები დასცხე.
- არა, - უთხრა რიჩარდ გორდონმა, - ეგ ვერ უშველის საქმეს.
- გარეთ რომ გავა, მაშინ გაგიქაჩავთ, - უთხრა წითურმა ვეტერანმა, - არც მე მომწონს მაგისი სიფათი, შტრეიკბრეხერსა ჰგავს ეგ ძაღლის გაგდებული.
- დასანახავად ვერ ვიტან, - თქვა გორდონმა, - სული გამიმწარა.
- იცოცხლე, მაგას აგიწრუწუნებთ, - უთხრა მეორე ვეტერანმა, - ეგ იუდას კერძი! იცი რა, წიქორა! ორი ბოთლი მოიძარჯვე! ერთი კარგად მივასულმკვდაროთ. როდის ქნა ეგა?.. ერთიც დაგველია, ჰა!
- დოლარი და სამოცდაათი ცენტია შემრჩა, - თქვა რიჩარდ გორდონმა.
- მაშ, ბოთლით აგველო. - თქვა წითურმა, - ახლა შევდივარ სმის ეშხში.
- არა, - უთხრა მეორემ, - კასრის ლუდი უფრო მოგიხდება. დასაქაჩავი ლუდი. წავიდეთ, ის ვაჟბატონი მივბეგვოთ და ლუდი მერე დავლიოთ.
- არ გინდათ. მოეშვიოთ.
- არაფერიც. ჩვენ მაგის ხალხი არ ვართ, ძმობილო. ცოლი გამიმწარაო. შენა თქვი, არა?
- სული გამიმწარა-მეთქი, ცოლი არა.
- ა! უკაცრავად. მაპატიე, ძმობილო.
- ეგ იქნება ბანკის გამქურდავი და გამძარცველი, - თქვა მეორე ვეტერანმა, - სანამღეოს ჩამოვალ, რომ მაგაზე ჯილდო იქნება დაწესებული. ღმერთმა შემარცხვინოს, მაგის სურათი თუ არ მენახოს დღეს ფოსტაში გამოკრული.
- ფოსტაში რაღა გინდოდა?! - დაეჭვებით ჰკითხა მეორემ.
- წერილის მიღების უფლებაც არ მაქვს?

- ბინაში ვერ მიიღებ?!
- შენ გგონია, შემნახველ სალაროში ვიყავი?
- რა გინდოდა ფოსტაში?
- გზაზე მივდიოდი და შევუხვით.
- მაშ, ესეც მიიღე, - თქვა და რამდენადაც კი იმ ჭედვაში ხელის მოქნევა შეიძლებოდა, ძმობილს მიაკერა.
- მეგობრები წაიკიდნენ, - წამოიძახა ვილაცამ. მაშინვე დაესიენ, გაქაჩეს, უბიძგეს, უთაქეს და ქუჩაში გააპანლურეს.
- ქუჩაში იჩხუბონ, - თქვა ჩასკვნილმა ბიჭმა, - ღამე ერთია და სამ-ოთხჯერ მაინც დაერევიან ერთმანეთს ეს ნაბუშრები.
- ჩხუბისთავეები არიან ორივენი, - თქვა ვილაცამ, - ეგ წიქორა კარგად ჩხუბობდა ერთ დროს, მაგრამ ახლა ხრინწი შეეყარა.
- ორივე ხრინწიანია.
- მაგ წიქორას რინგზე შეეყარა ვილაც ბოქსიორისგან, - თქვა დაბალმა, მხარბეჭიანმა ვეტერანმა, - იმ ბიჭს სჭირვებოდა და სულ დამუწუკებული იყო თურმე ზურგზე, მხარ-ბეჭებზე. იმდენი ეხახუნა, ბრძოლის დროს ცხვირით, რომ გადაედო.
- მიქარვავა. ცხვირს იმის ზურგთან რა უნდოდა?
- სულ ასე იბრძოდა წიქორა! ასე ჰქონდა ხოლმე თავი ჩალუნული, და სხეულს ეხახუნებოდა.
- მიქარვავა! ეგ საკენკი შენისთანებს დაუყარე. როდის მომხდარა, რომ ვინმეს რინგზე გადასდებოდა ხრინწი?!
- ეს შენ გგონია ასე. წიქორასავით სუფთა ადამიანს მეორეს ვერ შეხვდებოდი ქვეყანაზე. მე ხომ ვიცნობ! ერთად ვიყავით ნაწილში. მებრძოლადაც არა უშავდა, ნამდვილად კარგი მებრძოლი იყო. ცოლიც კარგი გოგო ჰყავდა, მშვენიერი გოგო. ნამდვილად კარგი
- გოგო იყო. და იმ ბენი სამპსონმა შეჰყარა ხრინწი. შენ რომ გიყურებ ახლა, ისე დანამდვილებით ვიცი.
- შენ დაჯექი, მოისვენე, - უთხრა მეორემ, - ჰუჩიმ სადღა აიკიდა?
- სადა და შანხაიში.
- შენ?
- მე არსადაც არ ამიკიდებია.

- სადსმა სად აიკიდა?
- ვილაც გოგომ აჰკიდა ბრესტში, შინ რომ ბრუნდებოდა.
- ასე იცით ხოლმე ლაქლაქი. ხრინწი! რა მოხდა მერე - რა მნიშვნელობა აქვს - გჭირს თუ არ გჭირს?!
- ჩვენისთანებისთვის აღარაფერი, - მიუგო ვილაც ვეტერანმა, - მაინც კარგად ვგრძნობთ თავს.
- პუჩი ახლა უფრო ბედნიერიცაა. არც კი ესმის, რა სჭირს.
- ხრინწს რას ეძახით? - ჰკითხა პროფესორმა მაკ-უოლსიმ თავის მეზობელს. კაცმა აუხსნა.
- საოცარია, ხრინწს საიდან დაუკავშირეს, - გაიკვირვა პროფესორმა მაკ-უოლსიმ.
- რა მოგახსენო, - უთხრა მეზობელმა, - რაც ჯარში გამიწვიეს, სულ ასე მესმის...
- ნეტა გამაგებინა! - თქვა პროფესორმა მაკ-უოლსიმ, - ეს ტერმინები უმთავრესად ინგლისიდან შემოდის?
- ხრინწი რატომ შეარქვეს? - იკითხა პროფესორ მაკ-უოლსის მეორე მეზობელმა.
- რა მოგახსენო.

კაციშვილმა არ იცოდა, მაგრამ ამ ფილოსოფიურ პაექრობაში ყველა დიდი ამბით ჩაერთა.

რიჩარდ გორდონი ახლა პროფესორ მაკ-უოლსის გვერდით აღმოჩნდა, დახლთან. წითური ვეტერანი და პუჩი რომ წაიკიდნენ, გორდონი აქეთ წამოიღო ტალღამ და ისიც მიჰყვა.

- ჰელო, - მიმართა პროფესორმა მაკ-უოლსიმ, - ლუდზე არ დამეწვევით?

თქვენ არა, - მიუგო რიჩარდ გორდონმა.

- საოცრებაა, თქვა პროფესორმა მაკ-უოლსიმ, - საოცარი ხალხია. მე აქ დავდივარ ხოლმე ღამღამობით.

- ფათერაკს არ გადაჰყრიხართ?

- არა. რატომ უნდა გადავყროდი?

- ამისთანა გალემილ ხალხში...

- ერთხელაც არაფერი მომსვლია.

- ორიოდე წუთის წინ ორი ჩემი მეგობარი აპირებდა თქვენს გალახვას.

- რას ამბობთ?!

- ნეტა ხელი არ შემეშალა.

- არა მგონია, ამით რამე შეცვლილიყო, - ისეთი უცნაური კილოთი წარმოთქვა პროფესორმა, როგორც საერთოდ სჩვეოდა ხოლმე, - ჩემი აქ ყოფნა თუ არ გსიამოვნებთ, შემიძლია წავიდე.

- არა, - მიუგო რიჩარდ გორდონმა, - როგორღაც მსიამოვნებს კიდეც თქვენი სიახლოვე.

- აჰა.

- ცოლი თუ გყოლიათ როდესმე? - ჰკითხა რიჩარდ გორდონმა.

- როგორ არა.

- მერე რა მოხდა?

- ინფლუნციის ეპიდემიის დროს მოკვდა, ცხრაას თვრამეტში.

- ახლა რამ გადაგაწყვეტინათ ხელმეორედ შერთვა?

- იმედი მაქვს, უფრო გამიმართლებს. ახლა მე მგონი, უფრო კარგი ქმარი ვიქნები.

- და ჩემი ცოლი აირჩიეთ!

- დიახ, - მიუგო პროფესორმა მაკ-უოლსიმ.

- ჯანდაბამდისაც გზა გქონია, - უთხრა რიჩარდ გორდონმა და სახეში გაუშალა.

ვიდაცა ხელში სწვდა. გორდონმა გამოგლიჯა ხელი და ამ დროს უცებ ყურის ძირში ხეთქეს. იგი კვლავ პროფესორ მაკ-უოლსის შეჰყურებდა, რომელიც ისევ ცხვირწინ ედგა, დახლთან, გაღაჟღაჟებული და თვალეზაციმციმებული. ლუდის მეორე ტოლჩას გადასწვდა, რადგან პირველი გორდონმა დაუღვარა, და რიჩარდ გორდონმა ისევ მოიქნია ხელი გასართყმელად, მაგრამ უცებ თითქოს რაღაც გაუსკდა ზედ ყურის ძირში, ერთბაშად გაჩახჩახდა და დაბზრიალდა ყველა სინათლე და ხელადვე ჩაქრა.

მერე კარის ზღურბლზე აღმოჩნდა, ფრედის ბარის შესასვლელში. თავში რაღაც რეკავდა, ხალხით გაჭედული დარბაზი ირწეოდა, და თვით რიჩარდ გორდონს გულს აზიდებდა. შენიშნა, რომ ბრბო მას მიმტერებოდა. ჩასკვნილი ბიჭი გვერდით ედგა.

- რა ამბავია, - ეუბნებოდა იგი, - თქვენი ჩხუბილა გვაკლია. ამ ლოთების ჩხუბი აღარ გვეყოფოდა?!

- ვინ გამარტყა? - ჰკითხა რიჩარდ გორდონმა.

- მე გაგარტყი, - მიუგო მხარბეჭიანმა ყმაწვილმა კაცმა, - ის კაცი ჩვენი მუშტარია. ზოგიერთი რამე უნდა მოითმინო. აქ ჩხუბის ატეხას უნდა მოერიდო.

რიჩარდ გორდონმა შენიშნა, როგორ გამოეყო პროფესორი მაკ-უოლსი ბრბოს და მისკენ დაიძრა.

- ძალიან მწყინს, - უთხრა პროფესორმა, - მწყინს, რომ გაგარტყეს, სულაც არ მიკვირს თქვენი აღელვება.

- ჯანდაბამდისაც გზა გქონია, - უთხრა რიჩარდ გორდონმა და მისკენ გადადგა ნაბიჯი. ამის მეტი აღარაფერი დამახსოვრებია, რადგან მხარბეჭიანმა ყმაწვილმა ფეხები გაშალა, მხარი ოდნავ დაუშვა და კიდევ ამოარტყა. გორდონი ჩაიკეცა და ამჯერად პირქვე ჩაემხო ცემენტის იატაკზე. მხარბეჭიანი ყმაწვილი პროფესორ მაკ-უოლსის მიუბრუნდა.

- ესეც ასე, დოკ, - სტუმართმოყვარე მასპინძლის ტონით უთხრა მან, - მეტს აღარ შეგაწუხებს. რა მოუვიდა მაინც?

- შინ უნდა წავიყვანო, - თქვა პროფესორმა მაკ-უოლსიმ, - ხომ გადარჩება?

- ფიქრი ნუ გაქვს.

- ტაქსში ჩამადებინეთ, - უთხრა პროფესორმა მაკ-უოლსიმ. აქეთ-იქით ჩაავლეს ხელი, შოფერიც დაეხმარათ, ადამისყამინდელ ტაქსში შეტენეს.

- ნამდვილად მოვა გრძნობაზე? - ჩაეკითხა პროფესორი მაკ-უოლსი.

- გრძნობაზე მოყვანა რომ მოგიხდეს, ყურს ჩამოსწიე მაგრად. წყალიც დაასხურე. ოღონდ ფრთხილად, კიდევ არ მოუხდეს ჩხუბი. ხელი არ ჩაგავლოს, დოკ.

- ფიქრი ნუ გაქვს, - მიუგო პროფესორმა მაკ-უოლსიმ.

რიჩარდ გორდონის თავი უცნაურად გაჩხერილიყო ტაქსის უკანა სავარძლის კუთხეში, ყოველ ამოსუნთქვაზე ხორხიდან ხრიალი ამოსდიოდა. პროფესორმა მაკ-უოლსიმ თავქვეშ ხელი ამოუდო, რომ მანქანის კედელს არ მისჯახებოდა.

- საით? - ჰკითხა ტაქსის შოფერმა.

- ქალაქის ბოლოში, - უპასუხა პროფესორმა მაკ-უოლსიმ, - პარკს იქით. კეფალს რომ ყიდიან, იმ ქუჩაზე უნდა შეუხვიო.

- როკი როუდზე? - ჩაეკითხა შოფერი.

- ჰო, - მიუგო პროფესორმა მაკ-უოლსიმ.

პირველივე კაფეს რომ გაუპირისპირდნენ, პროფესორმა მაკ-უოლსიმ მანქანა გააჩერებინა. სიგარეტის ყიდვა მოუხდა. ფრთხილად დაუშვა რიჩარდ გორდონის თავი სავარძელზე და კაფეში შევიდა. რომ გამობრუნდა და მანქანის კარი გააღო, რიჩარდ გორდონი აღარ დახვდა.

- რა იქნა? - ჰკითხა მან შოფერს.

- ეგერ ქუჩაში მიდის.

- დავეწიოთ.

ტაქსი ტროტუარზე ბარბაცით მიმავალ რიჩარდ გორდონს გაუპირისპირდა. პროფესორი მაკ-უოლსი გადმოხტა და მასთან მივიდა.

- ჩაჯექით, გორდონ, - უთხრა მან, - შინ მივდივართ.

რიჩარდ გორდონმა სახეში შეხედა.

- ჩვენა? - ჰკითხა მან და დაბარბაცდა.

- ტაქსით მიგიყვანთ შინ.

- თავიდან მომწყდი.

- ჩაჯექით, - აღარ მოეშვა პროფესორი მაკ-უოლსი, - მშვიდობიანად მიგიყვანთ.

- შენი ბანდა რა უყავი? - ჰკითხა რიჩარდ გორდონმა.

- რა ბანდა?

- შენი ბანდა, მე რომ მომისიე?

- შვეიცარი იყო. სულაც არ მინდოდა, რომ შენთვის ეცემა.

- ტყუი! - უთხრა რიჩარდ გორდონმა. ხელი მოუქნია მის წინ მდგარ ლაქლაქა კაცს, მაგრამ ააცილა და თვითონვე ჩაიკეცა მუხლებზე, ძლივს წამოდგა. მუხლები ქვაზე გადაეყვლიფა, მაგრამ არ შეუნიშნავს.

- მოდი, ვიჩხუბოთ, - ამოილულლულა მან.

- მე არა ვჩხუბობ, - უთხრა პროფესორმა მაკ-უოლსიმ, - ჩაჯექით ტაქსში, მე არ გამოგყვებით.

- თავიდან მომწყდი, - თქვა რიჩარდ გორდონმა და ქუჩას გაუყვა.

- გაუშვი, წავიდეს, - უთხრა ტაქსის შოფერმა, - ახლა აღარაფერი უჭირს.

- ვითომ არაფერი უჭირს?

- აბა რა, - მიუგო შოფერმა, - მშვენივრად არის.

- მაინც მეშინია, - თქვა პროფესორმა მაკ-უოლსიმ.

- ჩხუბს დაიწყებს, მანქანაში ჩასმა რომ მოუნდომო. გაუშვი, წავიდეს. აღარაფერი უჭირს. თქვენი ძმია?

- თითქმის, - მიუგო პროფესორმა მაკ-უოლსიმ.

უყურებდა, როგორ გაიარა ბარბაცით ქუჩა რიჩარდ გორდონმა, და როგორ გაუჩინარდა დიდი, გადმოხურული ხეების ჩრდილში. ხის ტოტები გადმოშვებულნიყო და მიწას შეზრდოდა, თითქოს ფესვებიაო. უყურებდა

პროფესორი რიჩარდ გორდონს და ფიქრებს მისცემოდა, თუმცა სასიამოვნო ვერ იყო ეს ფიქრები. მომაკვდინებელი ცოდვაა, ფიქრობდა იგი, მძიმე და მომაკვდინებელი ცოდვა, დიდი სისასტიკე. ბოლოს და ბოლოს, სარწმუნოებაც რომ გვაძლევდეს ამის ნებას, მე თვითონ ვერ ვაპატიებ ჩემს თავს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რად უნდა მოერიდოს ქირურგი ოპერაციას იმის შიშით, ავადმყოფს ტკივილი არ მივაყენო. მაგრამ, ეგეც კია, ამისთანა ოპერაციებს უანესთეზიოდ რატომ უნდა აკეთებდნენ ცხოვრებაში?! მე რომ კაი კაცი ვიყო, უნდა მეცემინებინა თავი. გულს მოიოხებდა. საწყალი! შტერი! უბადრუკი, უსახლკარო კაცი.

არ უნდა გამეშვა, მაგრამ რომ ვერ აიტანდა ამას! მე თვითონ სირცხვილით ვიწვი, მეზიზღება ჩემი თავი, ჩემივე საქციელისა მრცხვენია. ჯერ ვინ იცის, რა უბედურად დატრიალდება ყველაფერი. მაგრამ ამაზე ფიქრი საქმეს რას არგებს. იმავე ანესთეზიას უნდა დავუბრუნდე, რითაც მთელი ჩვიდმეტი წელიწადი მედგა სული, და რაც მალე აღარ დამჭირდება. თუმცა ეგ ალბათ ბოროტებაა და მე საბაბსლა ვეძებ, რომ გავამართლო. ასეა თუ ისე, შეგუებული ვარ ამ ბოროტებას. ნეტა რისიმე გაკეთება შემეძლოს ამ საწყალი კაცისთვის, ასე რომ ვატკინე გული.

- ისევ ფრედისთან მიმაბრუნე! - უთხრა მან შოფერს.

თავი მეთხუთმეტე

საგუშაგოს კატარღა, რომელსაც ბუქსირით მოჰყავდა „დედოფალი კონჩა“, ახლა რიფებსა და კუნძულებს შორის გამავალ ვიწრო სრუტეს მოჰყვებოდა. ზღვის მოქცევასთან ერთად ჩრდილოეთის სუსტი ქარიც ამოიჭრა და კატარღა ტალღებში ირწეოდა, მაგრამ თეთრი კარჭაპი მსუბუქად და მორჩილად მიჰყვებოდა მას.

- ქარი თუ არ გაძლიერდა, კარგად მიდის საქმე, - თქვა საგუშაგო კატარღის კაპიტანმა. - მშვენივრად მოსრიალეხს კარჭაპი. რა დიდებულ ნავებს აკეთებდა საწყალი რობი! მაგის დუდღუნს თუ გაუგე რამე?

- უაზროდ ლაპარაკობს, - მიუგო თანაშემწემ, - აბოდეხს.

- არა მგონია, გადარჩეს, - თქვა კაპიტანმა, - სულ დაფლეთილი აქვს მუცელი. რას იტყვი, ის ოთხი კუბელი მაგან მოკლა?

- ვინ იცის. ჩავეკითხე, მაგრამ ვერაფერი გაიგო.

- მოდი, კიდევ გამოველაპარაკოთ?

- წავიდეთ. ვნახოთ კიდევ, - მიუგო თანაშემწემ.

მესაჭე იქვე დატოვეს, თვითონ კი საჭეს შემოუარეს და კაპიტნის კაიუტაში შევიდნენ. იქ ჰარი მორგანი იწვა რკინის საწოლზე. თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ როცა კაპიტანმა ფართო ბეჭზე დაადო ხელი, ნელა გაახილა.

- როგორა ხარ, ჰარი?- ჰკითხა კაპიტანმა. ჰარიმ შეხედა, მაგრამ არაფერი უპასუხნია.

- ხომ არაფერი გინდა, ბიჭო? - ჩაეკითხა კაპიტანი.

ჰარი მორგანმა ამოხედა.

- არ ესმის შენი. - უთხრა თანაშემწემ.

- ჰარი, - კვლავ ჩასძახა კაპიტანმა, - იქნებ რამე გინდა, ბიჭო!

საწოლზე დამაგრებული სურა აიღო, პირსახოცი დაასველა და ერთიანად დახეთქილ ტუჩებზე დაადო. გამხმარი და ჩაშავებული ჩანდა ეს ტუჩები. ჰარი მორგანს კაპიტნისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე დაიწყო ლაპარაკი.

- კაცი... - თქვა მან.

- ჰო, ჰო, - გაამხნევა კაპიტანმა, - თქვი.

- კაცი, - ამოილულულა ჰარი მორგანმა, - არაფერი ისე და სულ ვერ გახდება ვერასდიდებით. - ისევ გაჩუმდა. ლაპარაკის დროს ოდნავაც არ შესცვლია სახის გამომეტყველება.

- თქვი, ჰარი, - კვლავ გაამხნევა კაპიტანმა, - გვითხარი, ბიჭო, რა მოხდა. ეგ ვისი საქმეა.

- კაცი, - კვლავ სცადა თქმა. ბრტყელ სახეში ჩამჯდარი მისი წვრილი თვალები კაპიტანს მიშტერებოდა.

- ოთხი კაცი. - მიეშველა კაპიტანი. ისევ დაუსველა ტუჩები, პირსახოცი ჩააწურა და რამდენიმე წვეთმა შიგნითაც შეაღწია.

- კაცი, - გაუსწორა ჰარიმ და გაჩუმდა.

- კაცი. მერე? - უთხრა კაპიტანმა.

- კაცი, - კვლავ წამოილაპარაკა ჰარიმ მძიმედ, უსიცოცხლოდ, ძლივს შეარხია გამხმარი ტუჩები, - ისე დატრიალდა საქმე. ისეა ყველაფერი მოწყობილი, რომ არა.

კაპიტანმა თანაშემწეს გადახედა და თავი გააქნია.

- ეს ვინა ქნა, ჰარი? - ჰკითხა თანაშემწემ.

ჰარიმ ახლა მას შეხედა.

- არ უნდა მოიტყუო თავი, - თქვა მან. კაპიტანი და თანაშემწე მისკენ დაიხარნენ. უკვე

იწყებდა, - მთის მწვერვალზე მანქანა ვის აუყვანია. იმ გზაზე, კუბისკენ. ყველა გზაზედაც. საცა უნდა იყოს. ეგეც ასეა. ასე მიდის ახლა საქმე. ასე მოეწყო ყველაფერი. ამ ერთ ხანს, რა თქმა უნდა, მაგრამ სულ ერთია. თუ გაუმართლა. კაცი, - გაჩუმდა. კაპიტანმა თანაშემწეს გადახედა და კვლავ გააქნია თავი. ჰარი მორგანი უაზროდ მიშტერებოდა მას. ისევ დაუსველა ტუჩები. პირსახოცს სისხლის წვეთები დააჩნდა.

- კაცი, - განაგრძო ჰარი მორგანმა. ახლა ორივეს შეჰყურებდა, - მარტოხელა კაცი ვერაფერს გახდებდა. მარტოხელა კაცი, რაც არ უნდა მოხდეს, სულ ტყუილია.

თვალები დახუჭა. დიდი ხანი მოანდომა ახლა ამის თქმას, და მთელი სიცოცხლე მოუნდა, მანამ ამას მიხვდებოდა.

იმგვარადვე იწვა, ახლა უკვე თვალებგახელილი.

- წავიდეთ, - უთხრა კაპიტანმა თანაშემწეს, - მართლა არაფერი გინდა, ჰარი?

ჰარი მორგანმა შეხედა, მაგრამ არ უპასუხნია. მან უკვე უთხრა, მაგრამ ამათ ვერ გაიგონეს.

- ისევ მოვბრუნდებით, - უთხრა კაპიტანმა, - ნუ გეშინია, ბიჭო.

ჰარი მორგანმა თვალი გააყოლა, როცა ისინი კაიუტიდან გადიოდნენ.

როცა ჩამოხვდებოდა და თანაშემწემ ჯიხურიდან დაინახა, როგორ ალაპლაპდა წყალზე შუქურის სინათლე, კაპიტანმა გადაულაპარაკა:

- ტანში გამცრის ხოლმე, ასე რომ დაიწყებს ბოდვას.

- საწყალი კაცი, - თქვა კაპიტანმა, - ახლა უკვე მალე მივალთ. ნაშუადამევს მივიყვანთ ალბათ. ბუქსირმა თუ არ გაგვაწვალა.

- ვითომ გადარჩება?

- არა, - თქვა კაპიტანმა, - თუმცა ვინ იცის.

თავი მეთექვსმეტე

ჩაბნელებულ ქუჩაში, ზედ რკინის ჭიშკრებთან, - საცა უწინ წყალქვეშა ფლოტის ბაზა იყო, ახლა კი იახტების ნავსადგომი მოეწყოთ, - დიდძალი ხალხი ირეოდა. კუბელ გუშაგს ნაბრძანები ჰქონდა, არავინ შეეშვა და ამოდენა ბრბო მესერს აწყდებოდა, რათა რკინის ჯოხებს შორის შეეჭყიტათ და წყლის დიდი, ჩაბნელებული სივრცე დაენახათ, რასაც მკრთალად ანათებდა ნავსადგურზე მიბმული იალქნების ფარნები. ხალხი თითქოს დამშვიდებული იყო, რამდენადაც კი შეიძლება დამშვიდებული იყვნენ კი-უესტის მცხოვრებლები. იახტსმენები ნიდაყვებით მიიკვლევდნენ გზას ბრბოში და ჯიქურ მიიწევდნენ გასასვლელისაკენ.

- ეი! გავლა არ შეიძლება, - შესძახა გუშაგმა.

- რა ჯანდაბა მოგივიდათ! ჩვენ იახტიდანა ვართ.

- არავისი გატარება არ შეიძლება, - უთხრა გუშაგმა, - უკან გაბრუნდით.

- ნუ მიქარავ! - შეუყვირა ერთმა იახტსმენმა, გუშაგი გვერდზე მისწია და ნავსადგომისაკენ გაემართა.

ბრბო ჭიშკარს გადაღმა დარჩა. ჩია გუშაგი შეწუხებული და დარცხვენილი იდგა, აღარ იცოდა სად დაემალა თავისი ქუდი, უღვაშები და შელახული ავტორიტეტი, გული წყდებოდა - რატომ გასაღები არა მაქვს, რომ ეს დიდი ჭიშკარი დამეკეტაო. ისინი კი არხეინად დაემშენენ დაქანებულ ბაქანზე, მამაკაცების ჯგუფს გასცდნენ, რომლებიც იქვე იდგნენ და ელოდნენ. ყურადღებაც კი არ მიუქცევიათ ამ ხალხისთვის, ნავსადგომზე მიბმულ იახტებს ჩაუარეს და მეხუთე ბაქნისაკენ გაემართნენ. აქ ულაზათო ფიცრული ბაქნიდან ძალუმად განათებული ტრაპით „ახალი ექზუმის“ ტექტონის გემბანზე ავიდნენ. დიდ კაიუტაში ტყავის რბილ სავარძელზე მოკალათდნენ, ჟურნალებით მოფენილ გრძელ მაგიდასთან, და ერთ-ერთმა მათგანმა ზარი დარეკა - სტიუარდს მოუხმო.

- შოტლანდიური ვისკი და სოდა! - უთხრა მან, - შენ, ჰენრი?

- მეც, - მიუგო ჰენრი კარპენტერმა.

- რა მოხდა, ეს ყვეფი ვირი რას დაუყენებიათ ჭიშკართან?

- აზრზე არა ვარ, - უპასუხა ჰენრი კარპენტერმა.

თეთრჟილეტიანმა სტიუარდმა ორი ჭიქა მოიტანა.

- აბა, ერთი, ნასადილევს რომ ფირფიტები ამოვიღე, ის დაუკარი, - უბრძანა იახტსმენმა, რომელსაც უოლუის ჯონსტონი ერქვა.

- მაპატიე, სერ, მგონი, ჩავალაგე, - უთხრა სტიუარდმა.

- რა ჯანდაბა მოგივიდა. მაშინ ბახის ახალი ალბომიდან ამოიღე რამე.
- ახლავე, სერ, - მიუგო სტიუარდმა. ფირფიტების კარდასთან მივიდა. ალბომი გადმოიღო და გრამაფონისკენ გაემართა. „სარაბანდი“ დაუდო.
- ტომი ბრედლი არ გინახავს დღეს? - ჰკითხა ჰენრი კარპენტერმა, - თვითმფრინავი რომ მოფრინდა, მე მაშინ ვნახე.
- ველარ ვიტან, - თქვა უოლეისმა, - ვერც მაგას და ვერც მაგის კახპა ცოლს.
- მე პირადად მომწონს ელენი, - უთხრა კარპენტერმა, - დროსტარების ფასი იცის.
- შენც გიცდია?
- რა თქმა უნდა. დიდებულია.
- ქვეყნის ფული რომ მომცე, მაგას ვერ ავეკიდები, - თქვა უოლეის ჯონსტონმა. - ვერ გამიგია, აქ რა უნდა.
- აქ ვილა აქვთ მშვენიერი.
- ძალიან კოხტა და სუფთა ნავსადგური კია, - თქვა უოლეის ჯონსტონმა, - მართალია, ტომი ბრედლი იმპოტენტიან?
- არა მგონია. მაგას ვისზე აღარ ამბობენ. ფართო აზროვნების კაცია.
- ფართო აზროვნება დიდებული საქმეა. ყოველ შემთხვევაში, ცოლზე მაინც ითქმის ფართო და გულუხვი.
- ძალიან სასიამოვნო ქალია, - თქვა ჰენრი კარპენტერმა, - ნამდვილად მოგეწონება, უოლი.
- არა, - მიუგო უოლეისმა, - რაც კი რამე მძულს ქალისა, ყველაფერი მაგ დედაკაცსა სჭირს, და მამაკაცისა რაცა მძულს, სულ ტომი ბრედლის არსებაშია თავმოყრილი.
- რაღაც ძალიან აგრესიულადა ხარ ამაღამ შემართული.
- შენ შენს დღეში ვერ იქნები ასე, იმიტომ რომ მტკიცე ხასიათი არა გაქვს, - უთხრა უოლეის ჯონსტონმა, - საკუთარი აზრი არ გაგაჩნია. ისიც კი არ იცი, თავად ვინ ხარ და რას წარმოადგენ.
- მომეშვი ერთი, - სიგარეტი გააბოლა.
- რატომ ვითომ?
- თუნდაც იმიტომ, რომ ყველგან თან დაგყვები ამ შენს ოხერ იახტაზე და რაც კი დაგჭირდება, სანახევროდ მე გიკეთებ: ფულს გიზოგავ ხოლმე, რაც ნამუსის შენახვისათვის ქრთამად რომ უნდა აძლიო შენს მეზღვაურებს, რომელთაც ისიც კარგად იციან, თავად ვინ არიან და ისიც - შენ რა კაცი ხარ.

- ძალიან კი გაუტეი! - უთხრა უოლესის ჯონსტონმა, - შენც ხომ იცი, რომ ჩემს დღეში არ მიმიცია ფული ნამუსის შენახვისათვის.
- რა თქმა უნდა. შენისთანა ხელმოჭერილ კაცს ფულს დასცინცლავ?! იმიტომაა, რომ ჩემნაირ მეგობრებს იჩენ.
- შენნაირი მეგობარი ერთიც არ მყავს.
- ძალიანაც ნუ დატკბები. - უთხრა ჰენრიმ, - არა ვარ დღეს მაგის გუნებაზე. ეგერ, ბახს მოუსმინე, სტიუარდს გაუჯავრდი, ცოტა ზომაზე მეტი დალიე და დაწეი, დაიძინე.
- რამ გაგამწარა? ჰკითხა უოლესმა და წამოდგა, - რომ არ ყოფილხარ ასეთი ტლანქი? ხომ არ დაგავიწყდა, რა საქონელიც ბრძანდები?!
- ვიცი, - მიუგო ჰენრიმ, - ხვალ ვიქნები ძალიან მხიარული. დღეს რაღაც უჟმური ღამეა. არ შეგიძინებია, რომ ღამეებშიც არის ხოლმე განსხვავება? კაცი რომ გამდიდრდება, მერე ალბათ ყველაფერი ერთნაირია მისთვის.
- მოწაფე გოგოსავით ლაპარაკობ.
- ღამე ნებისა. - უთხრა ჰენრი კარპენტერმა, - მე არც მოწაფე გოგო ვარ და არც მოწაფე ბიჭი. უნდა დავიძინო. დილით სულ მხიარული იქნება ყველაფერი.
- რამდენი წააგე? იმიტომ ხარ ძაღლის გუნებაზე?
- სამასი წავაგე.
- ხომ ხედავ? აკი მივხვდი მიზეზს.
- შენ ხომ არაფერი გამოგეპარება.
- მოიცადე, კაცო. ხომ სამასი წააგე?
- უფრო მეტი.
- მაინც?
- მთელი საცხოვრებელი. - უთხრა ჰენრი კარპენტერმა, - ასეა, ბედი აღარ მწყალობს. დღევანდლამდე არ ჩავფიქრებია არ ამას. საერთოდ აღარ ვფიქრობ ხოლმე ამნაირ რამეებზე. წავალ, დავიძინებ. აღარ გაგაბეზრებ.
- სულაც არ მაბეზრებ. შეიკავე როგორმე თავი.
- რა ვქნა. ასეთი ვარ. შენ მომაბეზრე თავი. ღამე ნებისა. ხვალ ყველაფერი კარგად იქნება.
- ძალიან უზრდელი კაცი ხარ.
- ან უნდა შეეგუო, ან სულაც არ მიაქციო ყურადღება, - უთხრა ჰენრიმ, - მე სულ ასე ვაკეთებ ჩემი დღე და მოსწრება.

- ღამე ნებისა, - იმედიანი ხმით უთხრა უოლეს ჯონსტონმა.

ჰენრი კარპენტერს არაფერი უპასუხნია. ბახს უსმენდა.

- ასე მომზამული გუნებით ნუ დაიძინებ, - უთხრა უოლეს ჯონსტონმა, - გულისთქმას არ უნდა აჰყვე.

- მოეშვი ერთი.

- დალიე, გამხიარულდები.

- არ მინდა. სულ ერთია, მაინც არ გამამხიარულებს.

- მაშ, წადი, დაწევი.

- მივდივარ, - უთხრა ჰენრი კარპენტერმა.

ასეთი იყო საქმის ვითარება იმ ღამეს „ახალ ექზუმაზე“. ეკიპაჟის შემადგენლობა - თორმეტი კაცი, კაპიტანი - ნილს ლარსონი, იახტის პატრონი - ოულების ჯონსტონი, ოცდათვრამეტი წლისა, ხელოვნების მაგისტრი, ჰარვარდის უნივერსიტეტდამთავრებული, კომპოზიტორი, შემოსავლის წყარო - აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკები, უცოლო, *interdit de sejour in Paris*, ალჟირიდან მოკიდებული ბისკრამდე კარგად ცნობილი; და ერთი სტუმარი - ჰენრი კარპენტერი, ოცდათექვსმეტი წლისა, ხელოვნების მაგისტრი, ჰარვარდის უნივერსიტეტდამთავრებული, შემოსავლის წყარო - დედის მემკვიდრეობა, ამჟამად ორასი ყოველთვიურად, სამეურვეო ფონდიდან, მანამდე კი ოთხას ორმოცდაათი, ვიდრე ბანკი ერთ საიმედო გარანტიას მეორეზე არ გადაცვლიდა, მერე კიდევ სხვებზე, შედარებით ნაკლებად საიმედო გარანტიებზე, საბოლოოდ კი საკმაოდ დიდ უძრავ ქონებაზე, რაც საიმედო სულაც აღარ გამოდგა. მანამ შემოსავლის წყარო ასე შეუმცირდებოდა, ჰენრი კარპენტერზე ამბობდნენ - უპარაშუტოდაც რომ გადმოაგდო ხუთი ათას ფუტის სიმაღლიდან, მშვიდობიანად დაეშვება ვინმე მდიდარი კაცის სუფრაზეო. იშვიათად იყო ხოლმე ასეთ გუნებაზე, როგორც ამაღამ, და ამნაირი სიტყვებიც ათასში ერთხელ თუ წამოსცდებოდა, ისიც მხოლოდ ბოლო ხანებში, მაგრამ მეგობრებმა მაინც კარგა ხანია გაუგეს, რომ

მდგომარეობა თანდათანობით შეერყა. ეს მათ იგრძნეს იმ უტყუარი ალლოთი, რითაც მდიდრები მუდამ თავის დროზე გებულობენ ხოლმე, როდის იბზარება თავიანთი წრის რომელიმე წევრის მდგომარეობა და ხელაღვე ჯანსაღი სურვილი გაუჩნდებათ - თუ მთლიანად მოსპობას ვერ მოახერხებენ, ზურგი მაინც დროულად შეაქციონ. სწორედ ამან აიძულა კარპენტერი, უარი არ თქვა უოლეს ჯონსტონის სტუმართმოყვარეობაზე. უოლეს ჯონსტონი მისი უკანასკნელი თავშესაფარი აღმოჩნდა. და კარპენტერის პატიოსანი ცდა - ერთხელ და სამუდამოდ მოელო ბოლო ამ მეგობრობისათვის - მისდა უნებურად, თავდაცვისა და ამავე მეგობრობის შენარჩუნების შესანიშნავი საშუალება აღმოჩნდა: მისი მკვახე სიტყვა-პასუხი და მომავალზე ხელის გულწრფელად

ჩაქნევა უფრო ხიბლავდა ჯონსტონს; ხოლო გამუდმებულ წუწუნს რომ მოჰყოლოდა, ამით, ბოლოს და ბოლოს, თავს მოაბეზრებდა, მით უმეტეს, ჰენრი კარპენტერის წლოვანებასაც თუ გავითვალისწინებთ. ამრიგად, კარპენტერი გარდაუვალ თვითმკვლევლობას თუ თითო თვით არა, თითო კვირით მაინც დებდა და დებდა ხოლმე.

მისი საარსებო წყარო, რის გამოც სიცოცხლე ჰქონდა მოძულეებული, ას სამოცდაათი

დოლარით აღემატებოდა მეთევზე ელბერტ ტრესის ყოველთვიურ შემოსავალს, რითაც იგი მთელ ოჯახს ინახავდა, მანამ ამ სამი დღის წინათ არ მოკლეს.

სხვა იახტებზე სხვა ხალხი იყო და სხვა საზრუნავი ჰქონდათ. ერთ-ერთ ყველაზე დიდსა და კობტა, შავად შეღებილ, სამანძიან იახტაზე, სამოცი წლის ბერიკაცი, ხელობით ხორბლის მაკლერი, მოუსვენრად წრიალებდა ლოგინში; კანტორიდან ცნობა მიეღო იმ გამოკვლევის შესახებ, რასაც შინაგანი შემოსავლის ბიურო აწარმოებდა, და ეს აწუხებდა. სხვა დრო რომ ყოფილიყო, დარდს ადვილად გააყოლებდა შოტლანდიურ ჰაიბოლს და ფეხებზე დაიკიდებდა ყველაფერს, ძველი მეკობრეების მსგავსად, რომელთაც იგი მართლაც რომ ჰგავდა ხასიათითაც და ქცევითაც. მაგრამ ექიმმა აუკრძალა დალევა მთელი თვით, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მთელი სამი თვით. პირდაპირ გამოუცხადეს - გაისამდე ვერ გაატან, თუ სამი თვით მაინც არ დაანებე თავი სმასაო; ასე რომ, გადაწყვიტა, ერთი თვით მოეთმინა. აწუხებდა წამოსვლის წინა დღეს ბიუროდან მიღებული წერილობითი შეკითხვაც - საით მიემგზავრები და განზრახული გაქვს თუ არა შეერთებული შტატების საზღვაო რაიონები დატოვო.

პიჟამაში ჩაცმული, ფართო ლოგინზე გამზვართულიყო და თავქვემ ორი ბალიში ამოედო; მაგიდის ლამპა კი აენტო, მაგრამ წიგნს გულს ვერ უდებდა; გალაპაგოს მოგზაურობის ისტორია ეჭირა ხელში. თავის დღეში არ მოუყვანია აქ ქალები. თვითონ მიდიოდა ხოლმე მათთან, მათივე კაიუტებში, მერე კი მობრუნდებოდა და ამ ლოგინში შეწვებოდა. ეს მისი საკუთარი კაიუტა იყო და თავისივე კანტორასავით უფრთხილდებოდა. ერთხელაც არ მოუწადინებია ქალის მოყვანა. ქალი თუ მოუწადინებდა, თვითონვე წავიდოდა ხოლმე მასთან. ხოლო როცა სამუდამოდ მორჩა ყველაფერს, ისეთივე ცივი და ნათელი განცდა გაუჩნდა, როგორც ყოველთვის ამ ამბის შემდეგ. იწვა თავისთვის, არც ბურანში წასვლით ცდილობდა თავის დამშვიდებას, არც მოჩვენებითი თავის გამხნევებით, რაც ამდენი ხნის განმავლობაში გონებას უმშვიდებდა და გულს უთბობდა, იწვა და ვარაუდობდა - ნეტა კომისიამ რა აღმოჩინა, რას გამოაცხადებენო. სულაც არ ეშინოდა მათი. სძულდა მხოლოდ, სძულდა ის ძალაც, რასაც ისინი ახლა ისე თავხედურად გამოიყენებენ, რომ მისი საკუთარი მაგარი, პატარა, შეურყეველი და უცვლელი თავხედობა, - მისი ერთადერთი მარადიული და ღირებული რამ, - საბოლოოდ შეირყევა და, შეშინებაც თუ მოახერხეს, სულაც გაქრება.

რაიმე განყენებულ ცნებებზე კი არ ფიქრობდა - თავში ათასნაირი გარიგებები, აუქციონები, თამასუქები და ანგარიშები უტრიალებდა... შეღავათი თუ არ მისცეს, ცუდად წაუვა საქმე. უწინ ოდნავაც კი არ შეწუხდებოდა, მაგრამ შებრძოლების უნარი, სხვა უნართან ერთად, გაუცვდა და დაელია, ეულად დარჩა ამდენ თავსატეხ ფიქრებთან, იწვა უშველებელ, ფართო, ძველ საწოლზე და ვერც წაკითხვას ახერხებდა, ვერც დაძინებას.

ცოლი ამ ათი წლის წინ გაექცა. მანამდე, მთელი ოცი წელიწადი, გარეგნულად კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა ცოლთან! არასოდეს არ ყვარებია და გაყრის შემდეგ ერთხელაც არ მონატრებია. ქალის ფულით დაიწყო საქმიანობა. ორი ბიჭიც აჩუქა ცოლმა, მაგრამ ორივენი დედასავით სულელები გამოდგნენ. კარგად ექცეოდა ცოლს, მაგრამ როცა დაბანდებული ფული ორჯერ გაიზარდა, უფლება მიეცა, სულაც არ შეემჩნია მისი არსებობა. ამდენი ფული რომ დაუგროვდა, ცოლის წუწუნი, მისი თავის ტკივილი, თუ ათასნაირი გეგმები თავს აღარ ახეზრებდა. სულ ფეხებზე დაიკიდა.

სწორედ რომ სასპეკულანტო კარიერისთვის იყო გაჩენილი: ჯერ ერთი, იშვიათი

სექსუალური ძალა ჰქონდა და ეს თამაშის დროს თავდაჯერებას მატებდა; ჰქონდა აგრეთვე საღი გონება; საოცარი მათემატიკური ჭკუა; დაუშრეტელი, თუმც კი თავშეკავებული სკეპტიციზმი... სწორედ ამ სკეპტიციზმის წყალობით გრძნობდა მოახლოებულ გასაჭირს, როგორც ზუსტი ბარომეტრი იგრძნობს ხოლმე ატმოსფერულ წნევას; და დროის იშვიათი შეგრძნება, რისი წყალობითაც არც ძალიან ადრე იწყებდა მოქმედებას, არც ძალიან გვიან. ამას უნდა დავუმატოთ ზნეობის სრული უგულვებელყოფა, იმის უნარი, რომ სხვისთვის შეეყვარებინა თავი, თვითონ კი არც არავინ ყვარებოდა, არც არავისი ნდობა ჰქონოდა, თუმცა დიდი გულითადობითა და მხურვალედ ეფიცებოდა ყველას მეგობრობას. ეს არ იყო განურჩეველი მეგობრობა. ისეთ დაინტერესებას გამოიჩენდა ხოლმე ამ მეგობრების წარმატებით, რომ ისინი უნებურად მისივე თანამზრახველნი ხდებოდნენ. სინანულისა და თანაგრძნობის უნარი ერთი ბეწოთიც არა ჰქონია; და ამან, აი, რა დღეში ჩააგდო - ლოგინში გაშხვართულს, ზოლებიანი პიჟამა უფარავდა ბერიკაცულ, ჩავარდნილ მკერდს, გამობერილ პატარა მუცელს, არაპროპორციულად დიდ, აწ უკვე უსარგებლო აღჭურვილობას, რითაც ერთ დროს თავი მოჰქონდა, ჩამომჰკნარ, სუსტ ფეხებს... იწვა და ძილი არ ეკარებოდა, რადგან ახლად იგრძნო სინანული.

ხუთი წლის წინ რომ რაღაც იმამამაღლა, იმას ნანობდა. სულ არ სჭირდებოდა მაშინ ხრიკები, შეეძლო პირდაპირ დაეფარა გადასახადი... და მართლა ასე რომ მოქცეულიყო, ახლა შესაწუხებელიც არაფერი ექნებოდა. იწვა, ფიქრობდა და, ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეძინა. მაგრამ რაკი ერთხელ იპოვა ბზარი სინანულმა, აღარ მოეშვა, მოჟონავდა და მოჟონავდა, ძილს მადლი დაეკარგა, ტვინი ისევე დაძაბული ჰქონდა, როგორც სიფხიზლის დროს. მაინც ვერ მოისვენა, და ამ ხნის კაცს მეტიც არ უნდოდა, დარდი მოუღებდა ბოლოს.

თვითონვე იტყოდა ხოლმე, დარდი შტერების საქმეაო, და მანამ ეს უძილობა დაემართებოდა, ახლოსაც არ იკარებდა დარდს. ძილში ახლაც ახერხებდა თავის დაცვას, მაგრამ რომ გაიღვიძებდა, ერთბაშად დაეხვეოდა და, მოხუცებულს, ადვილად ერეოდა...

რა დღეში ჩაყარა სხვები, ვის რა შეემთხვა მის გამო ან როგორ დაამთავრეს ყველაფერი, ამაზე თავის შეწუხება რა საჭირო იყო. ვინ დაკარგა სახლები ცენტრში - „ტბის პირას“ - და სადღაც გარეუბანში პანსიონი გახსნა; ცხოვრებაში ახლად გამოსული ვისი

ქალიშვილები დაუდგნენ კბილის ექიმებს ასისტენტებად, თუკი იშოვეს საერთოდ სამუშაო; სამოცდასამი წლის ბერიკაცმა როგორ დაიწყო ღამის გუშაგობა იმის გამო, რომ მოატყუეს და გააცურეს; ვინ ირტყა შუბლში ტყვია დილაადრიან, საუზმემდე, და მერე რომელმა ბავშვმა ნახა პირველად მისი გვამი, ან ამის შემდეგ როგორ აირ-დაირია ყველაფერი; ვინ დადის ახლა ყოველ დილას სამუშაოზე მეტროთი, თუკი სამუშაო გამოჩნდა სადმე; ვინ მოდგა და ვინ ჰყიდა - ჯერ აქციები, მერე ავტომანქანები, სახლის მოწყობილობა და ხელსაწყოები (მეწვრილმანეები ტყუილად ნუ შეგვაწუხებენ, მიბრძანდით! და ცხვირწინ კარი გამოუკეტეს). მერე, მამისაგან განსხვავებით, - რომელიც ორმოცდამეორე სართულიდან გადმოხტა, - როგორ შედგა იგი მესამე ლიანდაგზე, ავრორა-ელჯინის მატარებლის გავლის წინ, ისე რომ წინასწარ პალტოს ჯიბიდან ხილის წვენი და კვერცხის გაუყიდავი სადღვებლების ამოღება არც უფიქრია. *ჯერ ნახეთ, ქალბატონო, რა საქონელია. აქ დაამაგრებთ, მერე ამ კატარა ხრახნს მოუჭერთ. აბა, უყურეთ. არა, არ მჭირდება. ჯერ სინჯეთ. არა მჭირდება. მიბრძანდით.*

იქიდან რომ გამოვიდა, დაუყვა ქუჩას, - რომლის ორივე მხარეს ხის სახლები,

მოტიტვლებული ეზოები და კატალპის განძარცული ხეები ჩანდა, და საცა არაფრის ყიდვა არ ინდომეს, - და პირდაპირ ავრორა-ელჯინის რკინიგზას მიადგა.

ზოგი კანტორის ფანჯრიდან გადმოვარდნას არჩევდა. ზოგი გარაჟში ჩაკეტვას და ძრავის გაშვებას ამჯობინებდა; ზოგი მამაკაპურ ტრადიციას მისდევდა და „კოლტით“, ან „სმიტ-ვესონითაც“ იოლას გადიოდა, ამ მარჯვედ მოწყობილი იარაღებით უღებდნენ ბოლოს უძილობას, სინანულს, კიბოს, გაკოტრებას... თითის ერთი გამოწევით ათასნაირ უბედურებასა და ჯოჯოხეთს აღწევდნენ თავს... ამ დიდებული ამერიკული იარაღებით, რომელთა ტარებაც ადვილია, ეფექტი - უტყუარი, და სწორედ ამისთანა საქმისთვის არის ზედგამოჭრილი, რომ ბოლო მოუღოს ამერიკულ სიზმარს, როცა იგი საშინელი კომმარო გახდება. ცუდი მხოლოდ ისა სჭირს ამ იარაღს, რომ მერე ჭირისუფლებმა უნდა იტყონ თავი და ათასი რამე მოაგვარონ.

ასე სხვადასხვანაირად აღწევდა გასაჭირს თავს მისგან გაკოტრებული ხალხი. მაგრამ ეს სულაც არ ადარდებდა. ვინმემ ხომ უნდა წააგოს! დარდი კი მარტო შტერებს ჩვევიათ.

საკმარისი იყო ერთი გაეფიქრა - ნეტა ხუთი წლის წინ იმ საქმეში არ მემადლა, მაშინ

ხომ ყველაფერი კარგად იქნებოდაო - და მორჩა: იმის შეცვლის სურვილი, რისი შეცვლაც უკვე არასდროებით აღარ შეიძლებოდა, ფართედ გაუხსნიდა ხოლმე კარებს დარდს. შტერების საქმეა დარდი. სოდიანი ვისკის დაღევა რომ შეეძლოს, დარდს ხელად მოიშორებდა. ჯანდაბას ექიმების თავი. ზარს რეკავს, ძილმორეულ სტიუარტს ვისკი შემოაქვს, და ერთს რომ გადაკრავს, სპეკულანტი უკვე აღარ არის შტერი, აღარაფერი აწუხებს, გარდა სიკვდილის შიშისა.

მეზობელ იახტაზე სასიამოვნო, წესიერი და წყნარი ოჯახი მისცემია ძილს. ოჯახის მამას სინდისი დამშვიდებული აქვს, გვერდზე გადაბრუნებულა და ტკბილად სძინავს; ზედ სასთუმალთან, ჩარჩოში ნავი ქარიშხალს ებრძვის, მაგიდის ლამპა ისევ ანთია, წიგნი ხელიდან გავარდნია კაცს და იქვე საწოლთან ჩაცურებულა. დედასაც მშვიდად ძინავს და სიზმარში თავის ბაღსა ხედავს. ორმოცდაათი წლის ქალია, მაგრამ კოხტა, ჯანმრთელი, კარგად შენახული, ძილშიაც კი მომხიბლავია. გოგონას საქმრო ესიზმრება, რომელიც ხვალ უნდა ჩამოფრინდეს, ძილში ბორგავს და რაღაცაზე იცინის, მაგრამ გაღვიძებით მაინც არ იღვიძებს, მუხლებს წამოწევს - ლამის ნიკაპთან მიიტანოს. ლამაზი გოგონაა, კატასავით დახუჭუჭებული ქერა თმა აქვს, დედასა ჰგავს, დაძინებული; ბავშვობაში დედამისიც ასეთი იყო.

ბედნიერი ოჯახია, ყველას ერთმანეთი უყვარს. მამა მოქალაქეობრივი ღირსებებით შემკული კაცია და ბევრი ღვაწლიც მიუძღვის, ადრე „მშრალი კანონის“ წინააღმდეგ გამოდიოდა, სულაც არ არის გონებაბნელი და შეზღუდული, პირიქით - დიდსულოვანი ადამიანია, სიმპათიური, ავკარგიანი, იშვიათად რომ გული მოუვიდეს და მოთმინება დაკარგოს. იახტის ეკიპაჟი კარგ ხელფასს იღებს, კარგად იკვებება და ბინებიც კარგი აქვთ. პატრონს დიდ პატივსა სცემენ და მისი ცოლ-შვილიც უყვართ. საქმრო „ჩონჩხისა და თავის ქალის“ საზოგადოების წევრია. ეტყობა, ბევრს მიაღწევს ცხოვრებაში, ყველას უყვარს. სხვებზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე საკუთარ თავზე, ისეთი კარგია, რომ ქვეყნად არცერთი ქალი არ იქნებოდა მისი ღირსი, მაგრამ ფრენსისთანა მომხიბლავ გოგონაზე ამას ვერ იტყვი. ცოტათი იქნებ ფრენსისსაც კი სჯობდეს, მაგრამ, მანამ ფრენსი ამას მიხვდებოდეს, ალბათ წლები გავა; ხოლო თუ ყველაფერი კარგად მოეწყო, იქნებ სულაც ვერ მიხვდეს. საერთოდ, „ჩონჩხის“ საზოგადოებაში დიდად გამოჩენილი მამაკაცები, ლოგინში იშვიათად თუ გამოიჩენენ თავს. მაგრამ ფრენსისთანა მომხიბლავი გოგონასთვის განზრახვა და შესრულება თითქმის ერთი და იგივეა.

ერთი სიტყვით, ყველა ტკბილ ძილს მისცემია, მაგრამ ეს ფული საიდან მოდის, ასე ბედნიერად რომ გრძნობენ თავს, ყველას მიმართ ხელგაშლილი და გულმოწყალე რომ არიან? ფული შემოაქვთ მილიონობით ბოთლებს, ბოთლებში კი ისეთი რამე ასხია, რასაც ყველა ეტანება, და რაც მწარმოებელს სამიოდე ცენტი უჯდება, ხოლო გაყიდვით, კვარტიანი თითო დოლარად იყიდება, საშუალო ბოთლი - ორმოცდაათ ცენტად, პატარა კი - ოცდახუთად. კვარტიანის ყიდვა უფრო სახეიროა. და ათ დოლარს თუ აკეთებ კვირაში, ფასი ისეთივე იქნება, თითქოს მილიონერი იყო, საქონელი კი მართლაც რომ ნაღდია. რასაც მოელოდით ამ საქონლიდან, იმას უსათუოდ გაგიკეთებს, და უფრო მეტსაც. მოდის და მოდის მადლიერ მუმტართა წერილები ყველა ქვეყნიდან, სთავაზობენ ამ საქონლის გამოყენების ახალ-ახალ მეთოდებს, ძველი მუმტრები კი ისეთივე ერთგულნი არიან, როგორც ჰარლოდ ტომპკინსი, გოგონას საქმრო - თავისი „ჩონჩხების“, ან სტენლი ბოლდუინი - ჰაროუს სკოლის მიმართ. ამგვარად მოპოვებული ფული თვითმკვლევლობას არ იწვევს და დიდთან-პატარიანად ყველას ტკბილად სძინავს „ალზირაზე“; კაპიტანი - ჯონ ჯაკობსონი, ეკიპაჟი - თოთხმეტი კაცი, მგზავრები - პატრონი და მისი ოჯახი.

მეოთხე ნავსადგომთან ორანძიანი იახტა დგას, სიგრძით - ოცდათოთხმეტი ფუტი. გემბანზე ორნი არიან, იმ სამოცდაოთხ ესტონელთაგან, რომლებიც თავიანთი ოცდარვა-ოცდათექვსმეტ ფუტიანი იახტებით, მსოფლიოს ყველა ზღვასა და ოკეანეს მოსდებიან, რათა გაზეთებს კორესპონდენციები უგზავნონ. ამ კორესპონდენციებს დიდი გასავალი აქვს ესტონეთში და ავტორებს თითო სვეტში დოლარსა თუ დოლარსა და ოცდაათ ცენტს უხდიან. კორესპონდენციები მოთავსებულია იმ ადგილას, საცა ამერიკული გაზეთები, ჩვეულებრივ, ფეხბურთისა და ბეისბოლის რეპორტაჟებს ბეჭდავენ ხოლმე, კორესპონდენციების საერთო სათაურია „ჩვენი მამაცი მოგზაურების საგები“. სამხრეთის წყლებში ხეირიანად მოწყობილ ნავსადგომს ვერ ნახავ, რომ, სულ ცოტა, ორ მზისაგან გარუჯულ ქერა ესტონელს არ გადაეყარო, რომლებიც თავიანთი უკანასკნელი კორესპონდენციის ჰონორარს ელოდებიან. როცა მიიღებენ, სხვა ნავსადგომისკენ გასწევენ და სხვა საგის წერას შეუდგებიან. თავს ეგენიც ბედნიერად გრძნობენ. ისევე ბედნიერად, როგორც „ალზირას“ მგზავრები. მამაცი მოგზაურის სახელს ეხუმრები!

„ირიდიანზე“ ლოგინში შეწოლილან ვილაც ჭაბუკი - ხელობით მდიდარი კაცის სიძე, და

მისი საყვარელი, სახელად დოროთი, ცოლი ჰოლივუდის დიდხელფასიანი რეჟისორის ჯონ ჰოლისისა, რომელიც ახლა იმასლა ცდილობს, ტვინმა ღვიძლზე მეტ ხანს გაუძლოს, საბოლოოდ კი თავი კომუნისტად გამოაცხადოს და ამით სული იხსნას, რადგან სხვა ორგანოები ისე დაღპობია, რომ მათი ხსნა უკვე აღარ შეიძლება. სიძე მოყვანილი ბიჭია, პლაკატური სილამაზისა, წევს ახლა პირადმა და ხვრინავს. დოროთი ჰოლისს კი, რეჟისორის ცოლს, ძილი არ ეკარება. ადგება, ხალათს მოისხამს, გემბანზე გამოვა და ჩაბნელებულ წყალს გახედავს. გემბანზე

ცივა, ქარი თმას უწეწავს, ქალი მზემოკიდებულ შუბლზე ჩამოყრილ კულულებს გაისწორებს და ხალათს უფრო მჭიდროდ შემოიხვევს, რადგან ძუძუსთავები სიცივისგან უფრო გაუმაგრდა და წამოეზარდა. სიბნელეში ზვირთსაქცევის გასწვრივ მომავალი კატერის სინათლეებს შენიშნავს. ხედავს, როგორ უფრო და უფრო სწრაფად მოძრაობენ ეს სინათლეები, ნავსადგომის შესასვლელში კი პროჟექტორიც აანთეს. ერთბაშად მოვარდნილმა სინათლემ ქალი წამით დააბრმავა. საგუშაგო ბაქანთან გამოჩნდა მომლოდინე ხალხი და შავად მბზინავი სანიტარული მანქანა. ეს მანქანა დამკრძალავ ბიუროს ეკუთვნის, რადგან კატაფალკადაც იყენებენ ხოლმე.

მოდო, ლუმინალი დავლიო, გაიფიქრა დოროთიმ. ცოტა მაინც ხომ უნდა წავთვლიმო. საწყალი ედი, როგორ გაიღემა! ღმერთივით ბიჭია, მოსიყვარულე, მაგრამ ასე რომ დათვრება, ხელად დაეძინება. რა ტკბილია! ცოლად რომ გავყოლოდი, სხვასთან ძრომას, ალბათ, არც მაშინ მოიშლიდა, მაგრამ მაინც საყვარელი ბიჭია. საწყალი ბიჭი, როგორ გაიღემა. ნეტა დილით მაინც არ მოიჩვართებოდეს. წავალ, თმას დავივარცხნი და ცოტას წავთვლემ. საფრთხობელას არ დავემსგავსე! მინდა, რომ მისთვის სულ ლამაზი ვიყო. რა ტკბილი ბიჭია! მოსამსახურე მაინც წამომეყვანა! თუმცა როგორ! ბეიტსსაც კი ვერ ვენდობოდი. ნეტა, საწყალი ჯონი როგორ არის. ეჰ, ჯონიც ისეთი საყვარელია! ღვთით, იქნებ მოიკეთა. როგორ გააწვალა იმ ოხერმა ღვიძლმა. იქ მაინც ვიყო, მოვუვლიდი. წავალ და ცოტას წავთვლემ, თორემ დილით საფრთხობელა ვიქნები. ჩემი საყვარელი ედი! ჯონიც საყვარელია. ოჰ, ეს ოხერი ღვიძლი! ჩემი საყვარელი ედი! ნეტა ასე არ დამთვრალიყო. რა მოყვანილი ბიჭია, რა მხიარული, რა დიდებული, და ყველაფერი. ნეტა, ხვალ მაინც არ დათვრებოდეს ასე.

ისევ ქვემოთ ჩავიდა, თავისი კაიუტის კარები შეაღო, სარკეს მიუჯდა და თმის ვარცხნას შეუდგა. მშვენიერ თმაში რომ გაებლანდა გრძელი სავარცხელი, სარკეში

თავის თავს გაუღიმა. ედი ტკბილი ბიჭია. ნამდვილად. ნეტა, არ დამთვრალიყო. სულ ასე მოსდით ხოლმე კაცებს, არ იქნება, რამე არ აწუხებდეთ. აგერ ჯონის ღვიძლი ნახე. ნახვა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. მტრისას, რა საშინელი სანახავი იქნება! კიდევ კარგი, არ შეიძლება ნახვა. თუმცა მამაკაცს მახინჯი და შესაზიზღებელი არაფერი არა აქვს. საოცარია, რატომ არ ესმით ეს. თუნდაც ეს ღვიძლი. გინდა თირკმელები. თირკმელები en brochette. რამდენი თირკმელი აქვს ადამიანს? კუჭისა და გულის გარდა თითქმის ყველაფერი ორ-ორი. ტვინიც, რა თქმა უნდა. აჰა. როგორ მიყვარს თმის ვარცხნა. ეს ერთადერთი რამ უნდა იყოს, რაც საჭიროც არის და სასიამოვნოც. მარტო როცა ხარ, რა თქმა უნდა. ოჰ, რა ტკბილია ედი! ხომ არ მივსულიყავი?! არა, ძალიან მთვრალია. საწყალი ბიჭი. ლუმინალს დავლევ.

საკუთარი თავი შეათვალიერა სარკეში. საოცრად ლამაზი იყო, პატარა, კობტა ტანი ჰქონდა. ჯერ კიდევ არა მიშავს, გაიფიქრა მან. ზოგი რამე ძალიან კარგი

მაქვს, ზოგი - ცოტა უფრო უარესი, მაგრამ, საერთოდ, მაინც არა მიშავს ჯერჯერობით. ძილით მაინც უნდა დავიძინო. მიყვარს ძილი. ნეტა ისეთი ტკბილი და ნამდვილი ძილი შემეძლოს, ბავშვობაში რომ მეძინა ხოლმე. ასე იცის, რომ გაიზრდები, გათხოვდები, ბავშვებს

გააჩენ, სმას შეეჩვევი, და ბევრ ისეთ რამეს იზამ, რაც წესით არ უნდა გააკეთო. კარგი ძილი რომ გქონდეს, ამეებმა იქნებ არც კი გაწყინოს. ბევრი სმა, რა თქმა უნდა, მაინც არ შეიძლება. საწყალი ჯონი და მისი ოხერი ღვიძლი. ახლა ედიც. ედი მაინც ტკბილია. ჩემი კოხტა ბიჭი. ლუმინალი უნდა დავლიო.

სარკეში გაიჭყანა.

- ლუმინალი უნდა დალიო, - წაიჩურჩულა მან. ლუმინალი გადაყლაპა და წყალი დააყოლა. თერმოსი იქვე ედო. საწოლის პატარა კარადაზე.

ეს არის სწორედ ნერვების ამშლელი, გაიფიქრა მან. მაგრამ ხომ უნდა დავიძინო. ნეტა, ედი როგორი იქნებოდა, მისი ცოლი რომ ვიყო. ალბათ, ჩემზე უფრო ახალგაზრდას გამოძებნიდა ვინმეს. ეტყობა, ასეთია მამაკაცის ბუნება, ჩვენი არ იყოს. ოღონდ ეგ ნუ მომაკლდება და რა მიჭირს, ვისთან იქნება ეს - ისევ იმასთან თუ ვინმე ახალთან, სულ ერთია. ოღონდ არ მომაკლდეს, და ამისთანა კაცს შეიყვარებ კიდეც და ყველაფერი. თუნდაც ერთი და იგივე კაცი იყოს. მამაკაცებს სხვა ბუნება აქვთ. მუდამ ახალ-ახალი უნდათ, უფრო ახალგაზრდა, ან ისეთი, ვიზედაც ხელი არ მიუწვდებათ, ან ვინც

ვიღაცას ჰგავს. შავი თუ ხარ, თეთრი მოუნდება. თეთრი ხარ - წითურს მოიწადინებს. ვთქვათ, წითური ხარ, მაშინ სხვა რაღაცას გამოიგონებს, ებრაელის ქალი მინდაო, იტყვის. ესეც რომ მოყირჭდება, ჩინელისკენ გაუწევს გული, ან ლესბოსელს მოინდომებს, და ვინ იცის, კიდეც რას. რას გაუგებ. იქნებ, იღლებიან და იმიტომ მოსდით ასე. რას იზამ, თუკი ასეთი ბუნება აქვთ, ხომ ვერ გაკიცხავ. ან მე რა უნდა ვქნა, თუკი ჯონმა ბევრი სვა და ახლა სხვა აღარაფრის თავი არა აქვს. თავის დროზე ისიც კარგი იყო. დიდებული იყო. ნამდვილად. ნამდვილად იყო. ედიც დიდებულია. მაგრამ მთვრალი თუკია! როგორც ვატყობ, ნამდვილი ძუკნა გავხდები. იქნებ ვარ კიდეც. ალბათ, თვითონ ვერც კი შეატყობ, როდის გახდები ძუკნა. გულითაღმა მეგობრებმა უნდა გითხრან. უინჩელის წიგნში ამას ვერ ამოიკითხავ. იცოცხლე, კარგი სიუჟეტი იქნებოდა მისთვის. ძუკნობა! მისის ჯონ ჰოლისმა მთელი სანაპირო შემოიარა და ქალაქში რომ დაბრუნდა, ძუკნად იქცა! ბაღლების ამბავს ეს არ სჯობია! უფრო ჩვეულებრივიცაა. მაგრამ ქალები მართლაც რომ უბედურები არიან. რაც უფრო კარგად ეპყრობი კაცს, რაც უფრო ესიყვარულები, მით უფრო ჩქარა აბეზრებ თავს. ნამდვილ ვაჟკაცს გამოუღეველად უნდა ჰყავდეს ცოლები. მაგრამ ეგეც რომ დამქანცველია - როცა ამდენი ცოლის მაგივრობა გინდა გასწიო. მერე ვიღაც გამოტყვრება და უბოდიშოდ

წაგართმევს, როცა შენ მობეზრდები. როგორც ეტყობა, ბოლოს და ბოლოს, ყველანი ძუკნებად ვიქცევით, მაგრამ ვისი ბრალია? ძუკნები უფრო მხიარულად

ცხოვრობენ, მაგრამ თუ მთლად წყალწაღებული სულელი არა ხარ, ნამდვილი ძუკნა ვერ გახდები. აგერ, ელენ ბრედლი, მაგალითად. მთლად სულელი უნდა იყო, თან დიდი გაქნილი და ხარბი, თუ გინდა, კარგი ძუკნა გახდე. მე უკვე ვარ ალბათ ასეთი ძუკნა. შენ თვითონ ამას თავის დღეში ვერ მიხვდებიო, ამბობენ. ალბათ ისეთი მამაკაცებიც მოიძებნებიან, არც შენ მობეზრდები და არც ეს. ასეთებიც იქნებიან, რა თქმა უნდა, მაგრამ ვის ერგება ასეთი კაცი?! ჩვენ ვისაც ვიცნობთ, ყველანი ცუდად აღზრდილები არიან. აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი. რაღა დროს ეგ არის. არც მანქანებისა და ცეკვების გახსენება ღირს. ნეტა, ეს ლუმინალი იმოქმედებდეს. სამაგელი ედი! რა იქნებოდა, ასე არ დამთვრალიყო! რა უსინდისობაა. მაგათ ბუნებას ვერ შეცვლი, რა თქმა უნდა, მაგრამ სიმთვრალე რაღა უბედურებაა. არა, ნამდვილად ძუკნა ვარ. მაგრამ მთელი ღამე თუ ასე ვეგდე და მაინც ვერ დავძინე, უსათუოდ გავგიჟდები; არადა, ბევრი თუ დავლიე ეს ოხერი, მთელი ხვალინდელი დღე გამაღლებული მექნება, თანაც ყოველთვის კი არ მოქმედებს - ნერვები უნდა ამეშალოს და საფრთხობელა გავხდე...

როგორც იქნა, ჩაეძინა. მანამ სულ დაეხუჭებოდა თვალი, ისიც არ დავიწყნია, რომ გვერდზე გადაბრუნებულიყო, და სახე ბალიშისათვის აერიდებინა. როგორადაც არ უნდა მორეოდა ძილი, ის მაინც ახსოვდა, რომ ბალიშზე პირჩამხობილი ძილი სახეს საშინლად აფუჭებდა.

ორი იახტა კიდევ იდგა მეზობლად, მაგრამ იქ ყველას ეძინა, როცა საგუშაგო კატარლამ ჩაბნელებულ ნავსადგურში ფრედი უოლესის კარჭაპი „დედოფალი კონჩა“ შემოიყვანა.

თავი მეჩვიდმეტე

ჰარი მორგანს აღარაფერი ესმოდა, როცა ორმა კაცმა ნავსადგომის ბაქნიდან, პროჟექტორებით განათებულ, ნაცრისფერ კარჭაპის გემბანზე საკაცე გადაიტანა და კაპიტნის კაიუტასთან დადო. ორმა სხვამ იგი კაპიტნის საწოლიდან აიყვანა და საკაცეზე დააწვინა. რაც შებინდდა, მერე გონზე აღარ მოსულა. როცა ოთხმა კაცმა ასწია და ბაქნისკენ წაიყვანა, მისმა მძიმე სხეულმა ღრმად ჩაზნექა საკაცის ტილო.

- ასწი.

- შენ ფეხები დაუჭირე. არ ჩამოცურდეს.

- ასწი.

საკაცე ბაქანზე გადმოიტანეს.

- როგორ არის, ექიმო? - ჰკითხა შერიფმა, როცა საკაცე სანიტარულ მანქანაში შეაცურეს.

- ცოცხალია, - მიუგო ექიმმა, - მეტს ვერაფერს გეტყვი.

- რაც ჩვენს ნაზზე გადმოვიყვანეთ, ან ბოდავს ან უგონოდ გდია, - თქვა ბოცმანის თანაშემწემ, რომელიც ახლა საგუშაგო კატარლას კაპიტნობდა. დაბალი, ჩასკვნილი კაცი იყო, სათვალის მინები პროჟექტორის შუქზე ულაპლაპებდა. წვერი მოშვებოდა, - დახოცილთა გვამები საბუქსირო კარჭაპზე ყრია. ყველაფერი ისევ ისე დავტოვეთ. მხოლოდ ორი კაცი გადავასვენეთ შიგნით. შეგვეშინდა, წყალში არ ჩაცურებულებოდა. ყველაფერი ისეა, როგორც დაგვხვდა, ფულიც და იარაღიც. ყველაფერი.

- წავიდეთ, - თქვა შერიფმა, - იქით ვერ მივანათებთ პროჟექტორს?

- ახლავე მივანათებ, - უპასუხა ნავსადგომის უფროსმა და პროჟექტორისა და ბაგირისთვის გაემართა.

- წავიდეთ, - თქვა შერიფმა. კარჭაპისაკენ გაემართნენ, გზას პატარა ფარნებით ინათებდნენ, - ისე მაჩვენეთ ყველაფერი, როგორც დაგიხვდათ. ფული სადაა?

- ეგერ, იმ ორ ჩანთაში.

- რამდენია?

- არ ვიცი, რომ გავხსენი და ვნახე, ფული იყო, მაშინვე დავკეცი. ხელის ხლებას მოვერიდე.

- კარგი გიქნია, - მოუწონა შერიფმა, - კარგად მოქცეულხარ.

- ყველაფერი ისევ ისეა, გარდა იმისა, რომ ეს ორი კაცი საწოლიდან ჩამოვიყვანეთ და კოკპიტში გადავათრიეთ, შეგვეშინდა, წყალში არ გადაცვივნილიყვნენ; თან

ის ბუღალტერი ნაზვზე გადავიტანეთ და ჩემს საწოლზე დავაწვინეთ. არ მეგონა, სული თუ ჩამოჰყვებოდა. ძალიან ცუდად არის.

- გონზე სულ არ მოსულა?

- ერთ ხანს კი ბოდავდა, მაგრამ თავი და ბოლო ვერ გავუგეთ მის სიტყვებს, - თქვა შვიპერმა, - ვუსმინეთ, მაგრამ ვერაფერი აზრი ვერ გამოვიტანეთ. მერე ისევ დაკარგა გონი. აჰა, მთელი ამბავი ეგ არის. ყველაფერი ასე იყო, ოღონდ აგერ ზანგივით ბიჭი

რომ გდია, მანდ ჰარი იწვა. ეს კი ავზის მარჯვენა საწოლზე ეგდო, ნახევრად წყალში გადაყუდებული, ის მეორე შავი ბიჭი მეორე საწოლზე იყო, ავზთან, მარცხნივ, პირქვე ეგდო, მოკრუნჩხული. ფრთხილად. ასანთი არ გაკრათ. სულ ბენზინი ასხია.

- კიდევ უნდა იყოს ერთი მოკლული, - თქვა შერიფმა.

- ჩვენ ეგენი დაგვხვდა. ფული იმ ჩანთებშია. იარაღიც იქვეა, სადაც ეყარა.

- კარგი იქნება, ბანკიდანაც დაგვესწროს ვინმე, ჩანთებს რომ გავხსნით, - თქვა შერიფმა.

- სწორია, - მიუგო შვიპერმა, - ასე აჯობებს.

- ჩემს კაბინეტში შევიტანოთ ჩანთები და დავლუქოთ.

- კარგი იქნება, - დაემოწმა შვიპერი.

პროექტორების შუქზე თეთრ-მწვანედ შეღებილი კარჭაპი ახალივით ელავდა. ეს

იმიტომ, რომ გემბანი და ტენტი ნამით იყო დაფარული. თეთრ საღებავზე ნატყვიარი ანატკეჩები მკაფიოდ ჩანდა. კიჩოს უკან, ელექტრონის სინათლეზე, წყალს ღიამწვანე ელფერი დასდებოდა და ხიმინჯებთან ლიფსიტები ირეოდა. მოკლულთა შემუშპებული სახეებიც ელავდა ელექტრონის შუქზე, კოკპიტში, ხოლო შემხმარი სისხლი ყავისფერ ლაქასავით აჩნდათ. გვამების ირგვლივ ორმოცდახუთყალიბრიანი ცარიელი ვაზნები ეყარა, თომპსონი კიჩოზე ეგდო, იქვე, საცა ჰარიმ დააგდო. ტყავის ჩანთები, რომლითაც ფული მიიტანეს კარჭაპზე, ბენზინის ავზთან იყო მიყრილი.

- ბუქსირზე რომ მოვიბით ეს კარჭაპი, ერთი პირობა ვიფიქრე, ფულსაც გადავიტან-მეთქი, - თქვა შვიპერმა, - მაგრამ მერე ისევ დატოვება ვამჯობინე, მით უმეტეს, ამინდიც კარგი იყო.

- კარგი გიქნიათ, - უთხრა შერიფმა, - იმ მეთევზეს რაღა მოუვიდა, ელბერტ ტრესის?

- რა მოგახსენოთ. აქ ყველაფერი ისევ ისეა, მარტო ეს ორი კაცი გადმოვიყვანეთ კოკპიტში, - მიუგო შკიპერმა, - სულ ტყვიით არიან დაცხრილული, იმ ერთის გარდა, ეგერ საჭესთან რომ გდია. კეფაში მოურტყამთ მაგისტვის და შუბლშია

ტყვია გამოსული. ეტყობა კიდევ.

- ეგ ის არის, პატარა ბავშვს რომ ჰგავდა, - თქვა შერიფმა.

- ახლა აღარაფერს არა ჰგავს, - მიუგო შკიპერმა.

- აგერ, ამ დიდს, ავტომატი ეჭირა ხელში, ამან მოკლა ვეჯილი რობერტ სიმონსი, - თქვა შერიფმა, - რა მოხდა ნეტა, შენ როგორ გგონია? ასე როგორ ამოწყვიტეს ერთმანეთი?!

- ალბათ, ჩხუბი მოუვიდათ, - უპასუხა შკიპერმა, - ფულის გაყოფაზე ვერ მორიდდნენ.

- დილამდე რამე გადავაფაროთ ამათ, - თქვა შერიფმა, - ჩანთებს მე წავიღებ.

ჯერ კოკპიტიდან არც კი გამოსულიყვნენ, რომ უცებ ვიღაც დედაკაცი ბაქანზე გამოვარდა, საგუშაგო კატარლას გამოსცდა და გამოიქცა, უკან ბრბო მოსდევდა. შუახნის ქალი ჩანდა, ჩამომხმარი, თავშიშველი, მავთულივით გახეხებულული თმა კისერზე ჩამოშლოდა, თუმცა ნაწნავის ბოლო ისევ შეკრული ჰქონდა. გვამები რომ

დაინახა კოკპიტში, კვილი მორთო. ნაპირს მოსდგომოდა, თავი უკან გადაეგდო და კიოდა, მანამ ორმა ქალმა მკლავებში არ სტაცა ხელი. ბრბო ირგვლივ შემოერთყა, ერთმანეთს აწვებოდნენ და გემბანისაკენ იჭყიტებოდნენ.

- ჯანდაბას, - შესძახა შერიფმა, - ვინ ოხრობამ გააღო ჭიშკარი? რამე მოიტანეთ და გვამებს გადააფარეთ. ან საბნები იქნება, ან ზეწრები, ან რამე... ეს ხალხი უნდა გავრეკოთ.

ქალმა წამით შეწყვიტა კვილი და გემბანს დააშტერდა, მერე ისევ უკან გადააგდო თავი და ისევ აკივლდა.

- ნეტა რა უყვეს? - თქვა ერთმა მათგანმა, რომელიც გვერდში ედგა თმაგაწეწილ ქალს, - ელბერტს რა უყვეს ნეტა?

ქალმა ისევ შეწყვიტა კვილი და კვლავ გემბანისკენ დაიწყო თვალის ცეცება.

- იქ არ არის, - თქვა ქალმა, - ჰეი, შენ, როჯერ ჯონსონ, - გასძახა მან შერიფს, - ელბერტი რა იქნა?

- გემზე არ არის, მისის ტრესი, - უპასუხა შერიფმა. ქალმა თავი უკან გადააგდო და ისევ კვილი ატეხა, გამხმარ კისერზე სახმო სიმები დაეჭიმა, მუშტები მომჯილა, თავს გამწარებით აქნევდა.

ახალმოსულები ნიდაყვებით ცდილობდნენ ბრბოს გარღვევას და წინ გამოსვლას.

- ჩამოგვეცალეთ. სხვასაც დაანახვეთ.

- რაღაცას აფარებენ!

ამას ესპანური შემახილები მოჰყვა: „გამიშვით, დამანახეთ. Hay cuatro muertos. Todos son muertos. მეც დამანახეთ.“

ქალი კვლავ გაჰკვირდა: „ელბერტ! ელბერტ! ღმერთო! ელბერტ, სად წახვედი!“

ბრბოს ორი ახალგაზრდა კუბელი მოადგა. რაკი ხალხის ტალღა ვერ გაარღვიეს, ცოტათი უკან დაიხიეს და ერთბაშად გამოქანდნენ. დაჯახებისაგან უკანანი წინ მდგომეებს მიაწყდნენ და შეარყიეს. მისის ტრესი კივილში იყო გართული, როცა დაძრული ხალხის ტალღა მისწვდა და ისიცა და მისი ორი მეზობელი ქალიც შეატორტმანა და წინ გადაზნიქა. ის ორი ქალი გამწარებით დაქიჩმაჩდა, ძლივს აღიდგინეს შერყეული წონასწორობა, მისის ტრესი კი, კივილი არ შეუწყვეტია ისე, წყალში ჩაყირავდა. წყლის ტყლაშუნმა კივილის ხმა შთანთქა.

საგუშაგოს ორი მეზღვაური მაშინვე გადაეშვა მწვანედ აელვარებულ წყალში, სწორედ იმ ადგილას, საცა ჯერ კიდევ სხმარტალებდა მისის ტრესი. შერიფი კიჩოსთან დაიხარა და ბარჯი გაუწოდა ქალს; ბოლოს, მეზღვაურები ქვემოდან მოაწვნენ, შერიფმა ზევიდან ასწია, მერე მკლავებში სწვდა და კიჩოზე აითრია ქალი. ბრბოში კაციშვილი არ განძრეულა, რომ მიშველებოდა. გაწუწული ქალი ფეხზე წამოდგა. ხალხს გადახედა, მომჯიღული ხელები მოუღერა და იღრიალა: „ნაბურცებო! ჯალღებო!“ მერე კოკპიტი შეათვალიერა და იკივლა: „ელბერ! შადა ხარ, ელბერ?!“

- გემზე არ არის, მისის ტრესი, - უთხრა შერიფმა, საბანს დასწვდა და ქალს მოახურა, - დამშვიდდი, მისის ტრესი, გული გაიმაგრე.

- ქვილები! - გამწარებით იბღავლა მისის ტრესიმ, - ქვილები დავკარგე!

- დილით ვიპოვით და ამოვიღებთ, - დაამშვიდა საგუშაგო ნავის შკიპერმა, - უსათუოდ ვიპოვით.

ამასობაში საგუშაგოს მეზღვაურებიც ამომძვრალიყვნენ გემბანზე და გაწუწულები იდგნენ.

- წამო, წავიდეთ, - თქვა ერთმა, - სიცივემ ამიტანა.

- ხომ კარგად ხარ, მისის ტრესი? - ჰკითხა შერიფმა და საბანი გაუსწორა.

- რა მიშავშ, - უთხრა მისის ტრესიმ, - რა მიშავშ, - მერე მუშტები მომუჭა, თავი უკან გადააგდო და მოემზადა, რათა უფრო ხმამაღლა ებღავლა. იმხელა მწუხარება დაატყდა მისის ტრესის, რომ მის ასატანად ძალა არ ეყო.

პატივისცემით გამსჭვალული ბრბო მდუმარედ უსმენდა. მისის ტრესის კვილი კარგად უხდებოდა ამ სანახაობას: შერიფი და საგუმაგოს ერთ-ერთი მოსამსახურე, ის იყო, საბნებს აფარებდნენ გვამებს, მაღავდნენ იმ საშინელებას, რისი მსგავსიც აგერ რამდენი წელიწადია არ ენახა ქალაქს; არ ენახა მას შემდეგ, რაც კაუნტი როდზე ლინჩი მოუწყვეს ისლენოს და მერე სეირის საყურებლად მოსულთა მანქანებით განათებულ ტელეფონის ბოძზე ჩამოკიდეს.

ბრბოს იმედი გაუცრუვდა, როცა გვამებს საბნები გადააფარეს, მაგრამ ნუგეში მაინც იყო - ბოლოს და ბოლოს, მთელ ქალაქში მარტო ამათ ნახეს ყველაფერი; ესენი დაესწრნენ მისის ტრესის წყალში ჩავარდნას, ხოლო ცოტა უფრო ადრე ჰარი მორგანიც იხილეს, როცა იგი საკაცეთი გაატარეს საზღვაო ჰოსპიტლისაკენ. შერიფმა რომ ბრძანა, ნავსადგომი გაათავისუფლეთო, მშვიდად, კმაყოფილებით გაეცალნენ იქაურობას. თვითონვე გრძნობდნენ, რა ბედს ეწიენ დღეს.

საზღვაო ჰოსპიტლის ვესტიბიულში კი ამ დროს ჰარი მორგანის ცოლი, მარი, და მისი სამი ქალი ისხდნენ, და იცდიდნენ. გოგონები ტიროდნენ, მარი ცხვირსახოცს კვნიტდა. შუადღის აქეთ ცრემლები გაშრობოდა.

- მუცელში დაუჭრიათ მამა, - უთხრა ერთმა გოგონამ თავის დას.

- რა გვეშველება! - მიუგო დამ.

- ჩუმად, - გააჩუმა უფროსმა დამ, - ხელს ნუ მიშლით, ღმერთს ვევედრები!

მარი ჩუმად იჯდა, ხმას არ იღებდა, მარტო ცხვირსახოცსა და ქვემო ტუჩს იკვნიტდა.

ცოტა ხნის შემდეგ ექიმი გამოვიდა. ქალმა შეხედა, ექიმმა თავი გააქნია.

- შესვლა შეიძლება? - ჰკითხა ქალმა.

- ჯერ არა. - ქალი წამოდგა და ექიმს მიუახლოვდა.

- გათავდა?

- არც საამქვეყნო პირი უჩანს, მისის მორგან.

- არ შეიძლება, ვნახო?

- ჯერ არა, საოპერაციოშია.

- ღმერთო!.. ღმერთო დიდებულო!... ბავშვებს წავიყვან შინ... და მაშინვე მოვბრუნდები.

ერთბაშად ყელი გაუსივდა და ნერწყვი ველარ გადაყლაპა.

- წავიდეთ, ბავშვებო, - უთხრა მან გოგონებს. გოგონები მიჰყვნენ, ქალი ძველი მანქანის საჭეს მიუჯდა და ძრავი ჩართო.

- მამა როგორ არის? - იკითხა ერთმა გოგომ.

მარის არ უპასუხნია.

- ნუ მელაპარაკები, - უთხრა მარიმ, - თუ ღმერთი გწამს, ნუ მელაპარაკები.

- კი მაგრამ...

- გაჩუმდი, გენაცვალე, - უთხრა მარიმ, - გაჩუმდი და ღმერთს შეევედრე.

გოგონებმა კვლავ ტირილი მორთეს.

- რა ღმერთი გიწყრებათ, - გაუჯავრდა მარი, - რა გატირებთ! ხომ გითხარით, ღმერთს შეევედრეთ-მეთქი!

- აკი ვევედრებით, - თქვა ერთმა გოგომ, - რაც საავადმყოფოდან გამოვედით, ენა არ გამიჩერებია.

როკი როუდზე რომ შეუხვიეს, ფარის სინათლეზე ბარბაცით მომავალი კაცი გამოჩნდა.

„ვიღაც ლოთი! - გაიფიქრა მარიმ, - ლოთი და ოხერი!“

წამოეწიენ და გასცდნენ სახეგასისხლიანებულ კაცს, რომელმაც მანქანის გავლის შემდეგაც ბარბაცით გააგრძელა გზა ჩაბნელებულ ქუჩაში. ეს იყო შინისკენ მიმავალი რიჩარდ გორდონი.

* * *

მარიმ სახლთან გააჩერა მანქანა.

- ახლა დაიძინეთ, ბავშვებო, - უთხრა მან, - ადით და დაიძინეთ.

- მამა?.. - იკითხა ერთმა გოგომ.

- ნუ მელაპარაკებით, თუ ღმერთი გწამთ, ნუ მელაპარაკებით.

მანქანა ქუჩაშივე მოაბრუნა და ჰოსპიტლისაკენ გააქანა.

* * *

სწრაფად აირბინა ჰოსპიტლის კიბე. ზღურბლზე ექიმი შემოხვდა. ის იყო, კარი გამოაღო. შინ მიემურებოდა, დაღლილი.

- გათავდა, მისის მორგან, - უთხრა მან.

- მოკვდა?

- მაგიდაზე მოკვდა.

- შეიძლება ვნახო?

- შეიძლება, - უთხრა ექიმმა, - მშვიდად მოკვდა, მისის მორგან. ტკივილი არ უგრძვნია.

- ო, ღმერთო! - ამოიკვნესა მარიმ. დაწვებზე ცრემლები ჩამოუცურდა, - ოჰ! - კვნესოდა იგი, - ოჰ! ოჰ! ოჰ!

ექიმმა მხარზე დაადო ხელი.

- ხელს ნუ მახლებთ, - უთხრა მარიმ, - ვნახო მინდა.

- წამოდით, - უთხრა ექიმმა. დერეფანი გაიარეს და თეთრ ოთახში შევიდნენ, საცა გორგოლაჭებიან მაგიდაზე ჰარი მორგანი ესვენა. ვეება ტანზე თეთრი ზეწარი ჰქონდა

წაფარებული. ოთახი გაჩახჩახებული იყო. ამ ძლიერი სინათლით შეშინებული მარი კარებთან შედგა.

- სულ არ უწვალა, მისის მორგან, - უთხრა ექიმმა მარის. ეტყობოდა, არ გაუგონია.

- ო, ღმერთო! - და ისევ წასკდა ტირილი. - ეს ოხერი სახე!

თავი მეთვრამეტე

მარი მორგანი სასადილო მაგიდას მისჯდომოდა და ფიქრობდა: არ ვიცი... ერთ დღეს რომ მოვითმენ, ღამესაც მოვითმენ... იქნებ შევეჩვიო. ამ ოხერ ღამეებს რა გაუძლებს! ბავშვები რომ მიყვარდეს, კიდევ ჰო! მაგრამ რომ არ მიყვარს! უნდა ვიღონო რამე. რამე საქმეს მოვეკიდო. მკვდარივითა ვარ. თუმცა სულ ერთი არ არის! მაინც უნდა მოვეკიდო რამე საქმეს. დღეს ერთი კვირა შესრულდა. სულ მასზე რომ ვფიქრობ, ვაითუ დამავიწყდეს მისი სახე. აკი დამავიწყდა ერთხელ და რა უბედურად დავფეთდი... უნდა მოვეკიდო რამე საქმეს, როგორადაც არ უნდა გამიძნელდეს. ფული რომ დაეტოვებინა, ან ჯილდო მიმეღო, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ მე მაინც ვერ ვიგრძნობდი უკეთესობას. ჯერ ავდგები და ამ სახლს გავყიდი როგორმე, ვცდი მაინც, ნაბიჭვრები! როგორ მოკლეს. ო, საზიზღარი ნაბიჭვრები, ესლა შემრჩა, ეს გრძნობა, სიძულვილი და სიცარიელე გულში. ცარიელი ვარ, დაცლილი სახლივით. არა, უსათუოდ უნდა მოვეკიდო ხელი რამე საქმეს. უნდა მივყოლოდი სასაფლაომდე. მაგრამ ძალა აღარ მეყო. მაინც უნდა მოვეკიდო რამე საქმეს. ამქვეყნიდან წასულს უკან რაღა დააბრუნებს.

რა კაცი იყო - ფიცხი, ღონიერი, ცქაფი, რაღაცნაირ იშვიათ მხეცსა ჰგავდა. ჩემს დღეში არ მომწყინდებოდა მისი ყურება. რა ბედნიერი ვიყავი მის ხელში!.. ერთხელ ჰავანაში წამიყვანა, ფულს ბლომად შოულობდა მაშინ. ბაღში ვსეირნობთ და ზანგმა რაღაც გადმომილაპარაკა. ისე ამოარტყა ჰარიმ, რომ ჭილის ქუდი მოხადა, დასწვდა მერე იმ ქუდს და ქუჩაში მოიქნია. მერე ტაქსმა გადაუარა. იმდენი ვიცინე, კინაღამ მუცელზე გავიფხრიწე.

სწორედ მაშინ შევიღებე ოქროსფრად თმა სილამაზის სალონში, პრადოზე. მთელი დღე მიტრიალა პარიკმახერმა; ყორანივით თმა მქონდა და ჯერ უარზე იდგა. მეშინოდა, მოჩვენებას არ დავმსგავსებოდი. ველიჭინე, ცოტა უფრო გამიბაცე-მეთქი. ჯობზე ბამბა დაახვია და ჯამში ჩააწო, რაღაც სითხე ესხა ჯამში, სულ ოხშივარი ასდიოდა. ჯობის წვერს ახმარდა ხოლმე სავარცხელს, გადმოჰქონდა კულულები სათითაოდ, შემიღებავდა და უცდიდა, მანამ გაშრებოდა; ვიჯექი და გული მისკდებოდა - ეს რა ვქენი-მეთქი. ველიჭინებოდი, ცოტა უფრო ბაცი გამოეყვანა.

ბოლოს, პირდაპირ გამომიცხადა, ამაზე ბაცი აღარ შეიძლება, ქალბატონო. შამპუნით

ამიქაფა და ტალღებად დამიყენა. შიშით სული მძვრებოდა, მოჩვენებას არ დავმსგავსო-მეთქი. დამივარცხნა, შუაზე გამიყო, ყურებს უკან გადაატარა და მომალლოდ დამიყენა, უკან პატარ-პატარა კულულები გადმომიყარა, მაგრამ ჯერ სველი იყო და არ ვიცოდი, როგორი გამომივიდოდა. ისე შეცვლილი ვჩანდი, მე თვითონ მეუცხოებოდა ჩემი თავი. მერე ხილაბანდი შემომახვია და საშრობის ქვეშ დამსვა. სულ შიშის კანკალი მქონდა, მანამ იქ ვიჯექი. ბოლოს ამაყენა,

ხილაბანდი მომხსნა, სარჭები მომაშორა, გადამივარცხნა... და ვნახე, ოქროსფერი გამიხდა.

გარეთ რომ გამოვედი და სარკეში ჩავიხედე, მზეზე ისე მიბრწყინავდა და, ხელი რომ მოვიკიდე, ისე აბრეშუმით დარბილებულიყო, უცებ ვიფიქრე, ნეტა მე ვარ თუ სხვა ვინმე არის-მეთქი, სიხარულისგან სუნთქვა შემეკრა.

დავუყევი პრადოს და კაფეს მივადექი. ჰარი მელოდებოდა იქ. ისე ვღელავდი, მეშინოდა, გული არ შემიღონდეს-მეთქი. დამინახა და წამოდგა. ველარ მომაშორა თვალი, ისეთი სასაცილო ხმით მითხრა: „მარი, რა ლამაზი ხარ!“

- მოგწონს ოქროსფერი? - მე ვუთხარი.

- ნულარ მელაპარაკები, ჩქარა სასტუმროში წავიდეთ.

წავიდეთ-მეთქი, მეც ვუთხარი. მაშინ ოცდაექვსი წლისა ვიყავი.

მუდამ ასეთი იყო ჩემთვის. და მეც ყოველთვის ასეთი ვიყავი მისთვის. შენისთანა ქალს არ გადავყრივარო, მეუბნებოდა, და მე ხომ ვიცი, რომ მისი ბადალი კაცი არ ყოფილა ქვეყნად. მეტი, აბა, რა ოხრობა ვიცი. და ამისთანა კაცი მოკვდა.

რამე საქმეს უნდა მოვეკიდო. სხვა გზა არ არის. ამას კი ვხედავ. მაგრამ ამისთანა კაცი რომ გეყოლება და ვიღაც ოხერი მოგიკლავს, ასე უცებ ვერ მოახერხებ. იმიტომ, რომ გული გაქვს მკვდარი. აღარ ვიცი, რა ვქნა. ეს ხომ რეისზე წასვლას არა ჰგავს. მაშინ ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდა... ახლა კი მთელი სიცოცხლე უმისოდ უნდა ვიყო. ამ ხნის ქალი, ასე მახინჯი... ის კი... გვერდზე აღარა მყავს, რომ დამამშვიდოს, მახინჯი არა ხარო. ვინმე უნდა დავიქირავო, სხვა რა გზა მაქვს. მაგრამ რაღას მომიხდება. ასე წამივიდა საქმე, ამნაირად დატრიალდა ყველაფერი.

თავზე მევლებოდა, ჩემი ბურჯი იყო, ქვას გახეთქავდა და იშოვნოდა ფულს, ფული აღარ მქონდა საფიქრალი. მარტო მასზე უნდა მეფიქრა, ახლა ყველაფერი გათავდა.

ვინც მოკვდა, იმას რა უჭირს. ნეტა მე მოვეკალი, სულაც არ შევწუხდებოდი. ბოლოს, არაქათი გამოელიაო, ექიმმა მითხრა. აღარც კი გაულვიძია. კიდე კარგი, ადვილად ამოხდა სული. ღმერთო, კარჭაპზე, ალბათ, რამდენი იწვალა. ნეტა ჩემზე თუ ფიქრობდა, ან საერთოდ რაზე ფიქრობდა. მაგისთანა დღეში რომ ჩავარდები, ალბათ აღარავისი თავი არა გაქვს. ჯოჯოხეთი იქნება, ალბათ. ბოლოს დაიქანცა, ძალა აღარ შერჩა. ნეტა მე მოვეკალი ღმერთს. მაგრამ ნატვრა რას გიშველის, რა ყრია მაგ ნატვრაში.

სასაფლაომდე ვერ მივაცილე. ხალხი ამას ვერ გაიგებს. ხალხმა რა იცის, გულში რა ცეცხლი გიტრიალებს. იმიტომ, რომ ნამდვილი მამაკაცი იშვიათია. რა იციან ნამდვილი მამაკაცის ფასი, თავის დღეში არ ღირსებიან. მე ვიცი. მე ძალიან

კარგად ვიცი. ოცი წელიწადი რომ ვიცოცხლო კიდევ, მაშინ რა უნდა ვქნა? ვინ მომცემს მაგის პასუხს. უნდა ვითმინო, ყოველდღიურად ასე უნდა ვითმინო. ახლავე რამე საქმეს უნდა მოვეკიდო. ეს აუცილებელია. მაგრამ, იესო მაცხოვარო, ღამეს რა ვუყო, ღამით რა მეშველება.

რა უნდა ქნა ღამით, ძილი თუ არ გაგეკარა? ალბათ, ამასაც მიხვდები, როგორც უქმრობას მიხვდი. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს მიხვდები. ყველაფერს გაიგებ ამ ოხერ ცხოვრებაში. უსათუოდ მიხვდები. უკვე ვხვდები და ეგ არის. მკერდში გული ჩაგიკვდება და მერე ყველაფერი ადვილია. შენც მკვდარი იქნები, როგორც ხალხის უმრავლესობაა მკვდარი მთელი თავისი დღე და მოსწრება. მაშინ მოისვენებ. შენც ასე მოგივა. მაშ, კარგად დამიწყია, თუკი მართლა ეს მომელის. ასეა. ნამდვილად ეს მომელის. რას იზამ. კარგად დამიწყია. ყველასთვის გამისწრია.

* * *

გარეთ მშვენიერი, ცივი, სუბტროპიკული ზამთრის დღე იდგა. პალმის რტოებს მსუბუქი ნიავი არხევდა. ზამთრის ტურისტები ველოსიპედებით ჩაუქროლებდნენ ხოლმე სახლს. ხმამაღლა იცინოდნენ. ქუჩის გადაღმა, დიდ ეზოში ფარშავანგი ჩხაოდა.

ფანჯარაში ზღვა მოჩანდა, ზამთრის დღის სინათლეზე თითქოს უფრო მყარი, ახალი და ლურჯი იყო.

ნავსადგურში დიდი, თეთრი იახტა შემოდიოდა. შვიდიოდე მილის დამორებით,

ჰორიზონტზე ტანკერს შენიშნავდი. ლურჯი ზღვის ფონზე პატარა და მკაფიო ჩანდა. რიფს სულ ახლოს შემოუარა დასავლეთიდან, ეტყობოდა, საწვავს ზოგავდა.

11 ყინულში ჩაციებული სოდიანი ვისკი, მაღალ ჭიქებში ასხამენ ხოლმე.

12 ლიმონიწუნია (limey) - ასე, გამოჯავრებით ეძახიან ხოლმე ინგლისელ მეზღვაურებს, რომელთაც ცინგის საწინააღმდეგოდ ლიმონის წვენი ასმევენ.

11 ყინულში ჩაციებული სოდიანი ვისკი, მაღალ ჭიქებში ასხამენ ხოლმე.

12 ლიმონიწუნია (limey) - ასე, გამოჯავრებით ეძახიან ხოლმე ინგლისელ მეზღვაურებს, რომელთაც ცინგის საწინააღმდეგოდ ლიმონის წვენი ასმევენ.

•

•

•

•

- COPY
- SHARE
- NOTE

•